



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ნინო ბეგალიშვილი

**სახელმწიფო იმუნიტეტის როლი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების
ცნობასა და აღსრულებაში**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი, ეკა სირაძე

თბილისი

2023

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ცნობა, აღსრულება, იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის განხილვის საბოლოო მიზანია მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. თუმცა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო იმუნიტეტი, რადგან ამ პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს უფლება, დაცული იყოს იმუნიტეტით, და კერძო მხარის უფლება, ცნობილ და აღსრულებულ იქნას მის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. შედეგად, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, და მეორე მხრივ, - სუვერენული იმუნიტეტით თავი დაიცვას სხვა სახელმწიფოს მართლმსაჯულებისაგან და მისი აქტივები - აღსასრულებლად მიქცევისაგან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სწორედ სახელმწიფო იმუნიტეტის როლის შესწავლა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში. ნაშრომში დეტალურადაა გამოკვლეული საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ჭრილში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი: როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ისე ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას სახელმწიფოს მიერ სუვერენული იმუნიტეტის გამოყენების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები.

ნაშრომის სიახლე და მნიშვნელობა მდგომარეობს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის გამოყენების მიმართ ახალი ოპტიმალური მიდგომის შემუშავებაში, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნას ბალანსი სახელმწიფოს ვალდებულებებსა და

ინვესტორის უფლებებს შორის პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ისე მასპინძელი სახელმწიფოს სუვერენული უფლებების დაცვას.

ამას გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი კანონმდებლობა ფაქტობრივად არ არსებობს და ზემოხსენებული პრობლემატიკა არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში, ნაშრომში განხილული და გამოკვლეული სამართლებრივი საკითხები კარგი საფუძველი იქნება შემდგომში საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესამუშავებლად.

სისტემური თვალსაზრისით, ნაშრომი შედგება: შესავლის, ექვსი ძირითადი თავისგან და დასკვნისგან.

თემის კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება: დოგმატურ, ნორმატიულ, ისტორიულ, აღწერილობით, სისტემურ, ანალიტიკურ, ლოგიკურ და შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდებს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შესაბამის საქმეთა შესწავლასა და ანალიზს. საბოლოოდ, შეფასების მეთოდის საშუალებით წარმოდგენილია თემის კვლევისას გაკეთებული მიგნებების მართებულობა და საფუძვლიანობა.

განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში „უკანასკნელ ბასტიონად“ მაინც რჩება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი. მიუხედავად არაერთი მცდელობისა საერთაშორისო ხელშეკრულებებით (როგორცაა ICSID, ნიუ-იორკისა და გაეროს კონვენციები) მოგვარებულიყო ეს საკითხი, მანამდე და შემდგომ არსებული პრაქტიკისა და ეროვნული კანონმდებლობების ანალიზი ცხადყოფს სახელმწიფოთა არაერთგვაროვან მიდგომას, რაც ადასტურებს, რომ პრობლემა ჯერ კიდევ შორსაა გადაწყვეტისგან. ნაშრომში შემოთავაზებული საკითხის გადაჭრის სხვადასხვა გზების განსახორციელებლად მიზანშეწონილია სახელმწიფოებმა გამოავლინონ ნება, რათა შემუშავდეს ის მაქსიმალურად მიღწევადი მიდგომა, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული იქნება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მხარის

ინტერესები და მიიღწევა გარკვეული ბალანსი სამართლის განსხვავებული პრინციპებით დაცულ უფლებებს შორის.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევას აქვს პოტენციალი წვლილი შეიტანოს საკითხის საერთაშორისო დონეზე რეგულირებაშიც. ასევე მნიშვნელოვანი არის აღნიშნულ თემაზე სრულფასოვანი ქართულენოვანი ნაშრომის შექმნა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას.

Abstract

Key words: International arbitral awards, recognition, enforcement, state immunity from jurisdiction, state immunity from execution

The eventual goal of international arbitration is the recognition and enforcement of an arbitral award. However, in the event of an unfavourable award against a State, the successful party usually faces the plea of sovereign immunity by the State party during enforcement proceedings. In the light of competing rights and obligations involved in the process, such as a defence of the state immunity doctrine available to a State and the right of a successful private party to the recognition and enforcement of the arbitral award, on the one hand, the State has responsibility to perform its obligations under international treaties and on the other hand, to raise a sovereign immunity defence against jurisdiction and enforcement powers of the enforcing State.

The purpose of this thesis is to explore the role of state immunity in the process of the recognition and enforcement of international arbitral awards. The thesis thoroughly examines the regulation of state immunity under international treaties as well as approaches under Anglo-American and civil law systems on domestic and international level, in the process of the recognition and enforcement of international arbitral awards. The research discusses arguments in favor of and against the plea of sovereign immunity by the State in recognition and enforcement proceedings of the international arbitral award.

The novelty and importance of the present thesis is in the adoption of a new approach in respect to the application of the state immunity doctrine to the recognition and enforcement proceedings of international arbitral awards, balancing State's obligations and investor's rights on the proportionality basis, thus, promoting foreign investments and protecting State's sovereign rights.

Besides, as Georgian legislation does not provide for a comprehensive law on State immunity and the above-mentioned issues are not duly researched and studied in the Georgian

legal literature, the findings and discussions of the present thesis can be a basis for the future regulation of State immunity in Georgia.

The paper consists of the introduction, six main chapters and the conclusion.

The methodology of the research is based on the dogmatic, normative, descriptive, systematic, analytical, logical and comparative research methods. Besides, particular importance is assigned to case study and analysis. Finally, through the evaluation method, the validity and substantiality of the findings in relation to the subject of the research is evaluated.

The present research has revealed that state immunity from execution still remains a 'last bastion' in the process of execution of international arbitral awards. Despite numerous attempts to resolve the issue through international treaties (such as ICSID Convention, the New-York Convention and the UN Convention), the analysis of the case study and national legislations existing before and after, discloses the diverse approaches of the states confirming that the problem is still far from being resolved. To implement the solutions proposed under the paper, the states should express will, in order to adopt the best feasible approach, enabling to balance the rights protected by different principles of law taking into account interests of both the State and a private party.

Due to the significance of the study, the research has also ability to contribute to the regulation of the issue at international level. Apart from this, a new academic work on the research topic is of a practical importance as it enriches Georgian academic legal literature.

სარჩევი

აბსტრაქტი	I
სარჩევი.....	VI
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	X
შესავალი.....	1
1. საკვლევი სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრა და ნაშრომის მიზანი	2
2. კვლევის აკადემიური სიახლე და მნიშვნელობა	6
3. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებული წყაროები	7
4. კვლევის ფარგლები.....	8
5. ნაშრომის სტრუქტურა	8
I. ტერმინთა განმარტება.....	11
1. ცნობა და აღსრულება	11
2. საერთაშორისო, უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები	12
II. სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის სათავეები საერთაშორისო სამართალში.....	22
1. აბსოლუტური და შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი.....	22
2. სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნა	27
3. <i>Acta jure gestionis v acta jure imperii</i>	29
4. იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.....	35
III. სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში FSIA-სა და SIA-ს თანახმად	38
1. FSIA.....	39
1.1. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი	39
1.1.1. აშშ-ში სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის ევოლუცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში	39
1.1.2. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისები.....	44
1.1.3. იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისი.....	46
1.1.4. საარბიტრაჟო გამონაკლისი	56
1.1.5. პირადი განსჯადობა და არბიტრაჟი FSIA-ს მიღების შემდეგ.....	60
1.1.6. უცხო სახელმწიფო, უცხო სახელმწიფოს უწყებები ან ინსტიტუციები	72
1.1.7. დასკვნა.....	76

1.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.....	78
1.2.1. სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან FSIA-ს 1610(a) მუხლის თანახმად	81
1.2.1.1. ქონების კომერციული საქმიანობისთვის გამოყენება	81
1.2.1.2. საარბიტრაჟო გამონაკლისი.....	85
1.2.2. სახელმწიფო უწყებისა ან ინსტიტუციის აღსრულებისგან იმუნიტეტი FSIA-ს 1610(b) მუხლის თანახმად	86
1.2.3. აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა.....	88
1.2.4. ქონება, რომელზეც არ ვრცელდება იმუნიტეტიდან გამონაკლისები	92
1.2.5. იმუნიტეტი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყადაღისგან	94
1.2.6. აქტივების გამოვლენა	98
1.2.7. დასკვნა.....	99
2. SIA.....	101
2.1. სახელმწიფო იმუნიტეტი იურისდიქციისგან	102
2.1.1. იმუნიტეტზე უარის თქმა – იურისდიქციისადმი დაქვემდებარება.....	103
2.1.2. კომერციული გარიგება.....	106
2.1.3. საარბიტრაჟო გამონაკლისი	110
2.1.4. იმუნიტეტით დაცვის უფლების მქონე სახელმწიფო და დამოუკიდებელი ერთეულები	114
2.1.5. პროცესუალური საკითხები.....	119
2.1.6. დასკვნა.....	120
2.2. სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან.....	121
2.2.1. იმუნიტეტზე უარის თქმა.....	122
2.2.2. გამონაკლისი კომერციულ ქონებაზე.....	124
2.2.3. დამოუკიდებელი ერთეულები და ცენტრალური ბანკი.....	127
2.2.4. დასკვნა.....	130
IV. სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის არმქონე ქვეყნებში.....	132
1. შესავალი.....	132
2. შვეიცარია	133
2.1. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი.....	133
2.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული აქტივები	138

3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.....	139
3.1. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი.....	139
3.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული აქტივები	141
3.3. იმუნიტეტზე უარის თქმა	145
4. საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი	147
5. საფრანგეთი	152
5.1. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი	152
5.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.....	154
5.2.1. საპინ II.....	154
5.2.1.1. სასამართლო ავტორიზაცია.....	160
5.2.2. იმუნიტეტზე უარის თქმა.....	161
5.2.3. სახელმწიფოს „ემანაცია“ და ცენტრალური ბანკები.....	164
5.3. <i>Yukos</i> -ის საქმის საგა და მისი გავლენა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობაზე საფრანგეთსა და ბელგიაში.....	165
5.3.1. <i>Yukos</i> -ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მცდელობები საფრანგეთსა და ბელგიაში	167
5.3.2. ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია	169
5.3.3. <i>Yukos</i> -ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება და მისი შედეგები	171
6. დასკვნა	179
V. გაეროს კონვენცია.....	181
1. შესავალი.....	181
2. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.....	182
2.1. იმუნიტეტზე უარის თქმა (თანხმობა იურისდიქციაზე).....	182
2.2. კომერციული გამონაკლისი	186
2.3. საარბიტრაჟო გამონაკლისი.....	190
3. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი	193
3.1. იმუნიტეტზე უარი.....	194
3.2. სახელმწიფოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო ქონების გამოყოფა.....	196
3.3. კომერციული გამონაკლისი	197
3.4. სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული სახელმწიფო ქონება	200
3.4.1. დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონება.....	204
3.4.2. ცენტრალური ბანკის ქონება.....	206

4. დასკვნა	209
VI. სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID კონვენციითა და ნიუ-იორკის კონვენციით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში.....	212
1. ICSID გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება	212
1.1. შესავალი	212
1.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოოობა და შესასრულებლად სავალდებულო ძალა	213
1.3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო, როგორც დავის მხარე	216
1.4. ცნობა და აღსრულება 54-ე მუხლის თანახმად	221
1.4.1. ზოგადი მიმოხილვა	221
1.4.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის დაუშვებლობა	223
1.4.3. ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ფედერალური მოწყობის ხელშემკვრელ სახელმწიფოში	225
1.4.4. ცნობა, აღსრულება და იძულებითი აღსრულება	229
1.4.4.1. ცნობა	229
1.4.4.2. აღსრულება და იძულებითი აღსრულება	232
1.4.4.3. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	236
1.5. 53-ე და 54-ე მუხლების ურთიერთმიმართება	242
1.6. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი	245
1.6.1. ICSID კონვენციის აქილევსის ქუსლი	245
1.6.2 აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა	248
1.7. ICSID კონვენცია და საქართველო	251
1.8. დასკვნა	255
2. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად	258
2.1. შესავალი	258
2.2. სახელმწიფო იმუნიტეტი და ნიუ-იორკის კონვენცია	262
2.2.1. სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმა და ნიუ-იორკის კონვენცია	264
2.2.2. FSIA, აშშ-ის კონსტიტუცია და ნიუ-იორკის კონვენცია	268
2.3. დასკვნა	273
დასკვნა	275
ბიბლიოგრაფია	288

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

BGH	Bundesgerichtshof გერმანიის მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო
BVerfG	Bundesverfassungsgericht გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო
DEBA	Federal Act on Debt Enforcement and Bankruptcy ფედერალური აქტი სააღსრულებო და გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ
ECtHR	European Court of Human Rights ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
FSIA	The Foreign Sovereign Immunities Act უცხოური სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტი
GA	United Nations General Assembly გაეროს გენერალური ასამბლეა
HL	House of Lords ლორდთა პალატა
ICSID	International Centre for Settlement Investment Disputes საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი
ICJ	International Court of Justice მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო
ILC	International Law Commission საერთაშორისო სამართლის კომისია
ILM	International Law Materials საერთაშორისო სამართლის მასალები
SDNY	Southern District New York ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქი
SIA	State Immunity Act

	სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტი
UN	United Nations გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო კომისია
UNTS	United Nations Treaty Series გაეროს ხელშეკრულებათა სერია
UK	United Kingdom გაერთიანებული სამეფო
US	United States ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)
YRBK	Yearbook წელიწადური
თსუ	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ემღვნება ბეზიისა და ბაბუის ნათელ ხსოვნას

შესავალი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება საერთაშორისო კერძო გარიგებების რიცხვი, რომელთა მხარეებს კერძო სუბიექტებთან ერთად წარმოადგენენ სახელმწიფოები ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები (შემდგომ – სახელმწიფო საწარმოები). ასეთი გარიგებების რაოდენობის ზრდამ განაპირობა საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების მატებაც, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ არბიტრაჟის პროცედურული მოქნილობით დავის სასამართლო წესით გადაწყვეტასთან შედარებით.¹

ნათელია, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის განხილვის საბოლოო მიზანი მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებაა.² მაგრამ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას მოგებული კერძო მხარე, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობას აწყდება სახელმწიფო იმუნიტეტის სახით.³ პრობლემის სიმწვავის საილუსტრაციოდ საკმარისია ის დაბრკოლებებიც, რომელთა გადალახვა დღემდე უწევთ Yukos-ის ყოფილ აქციონერებს 2014 წლის ივლისში ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მათ სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ აღსრულების პროცესში.⁴

¹ Brazil David R., 'International Commercial Arbitration Involving a State Party and the Defense of State Immunity' (2011) 22 *American Review of International Arbitration* 241.

² Doak R. Bishop, James R. Crawford and W. Michael Reisman (eds), *Foreign Investment Disputes: Cases, Materials and Commentary* (2nd edn, Kluwer Law International 2014) 1177.

³ Nigel Blackaby, Constantine Partasides, Alan Redfern and Martin Hunter, *Redfern and Hunter on International Arbitration* (6th edn, OUP 2015) 654.

⁴ *Hulley Enterprises Limited (Hulley) v the Russian Federation, Yukos Universal Limited (YUL) v the Russian Federation, Veteran Petroleum Limited (VPL) v the Russian Federation*, (Final Awards) (2014) PCA AA 226, AA227 <<https://pcacases.com/web/sendAttach/418>> [18.06.2019]; Guillaume Croisant, 'Recent developments in the Yukos saga see assets in Belgium belonging to Russia unfrozen' (*Linklaters Blog*, 27 June 2017) <<https://www.arbitrationlinks.com/recent-developments-in-the-yukos-saga-see-assets-in-belgium-belonging-to-russia-unfrozen/>>, [18.06.2019]; Ben Knowls, Khaled Moyeed and Nefeli Lamprou, 'The USD 50 billion Yukos Award overturned – Enforcement becomes a game of Russian Roulette' (*Kluwer Arbitration Blog*, 13 May 2016) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2016/05/13/the-us50-billion-yukos-award-overturned-enforcement-becomes-a-game-of-russian-roulette/>> [20.06.2019]; Karol Bucki and Flore Poloni, 'The Yukos Case: Former Shareholders Lose their Legal Battle in France but continue the War' (August Debouzy, 04 December 2017)

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო აქტივების აღსასრულებლად მიქცევის საკითხის განხილვისას საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში რუსეთის ცენტრალური ბანკისა და შავ სიაში შესული რუსეთისა და ბელორუსის მოქალაქეების კერძო აქტივების „გაყინვის“ ფაქტები, რაც განხორციელდა 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომ პერიოდში.⁵ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა უკვე 30 მილიარდის ღირებულების კერძო აქტივების კონფისკაცია მოახდინა, რუსეთის ცენტრალური ბანკის დაყადაღებული აქტივების კონფისკაციაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს დებატები, რამდენად სამართლებრივი და კანონიერი შეიძლება იყოს სპეციალური რეჟიმით დაცული სახელმწიფო აქტივების კონფისკაცია, თუნდაც ომისგან დაზარალებული ქვეყნის აღდგენის საფუძველით.⁶ მართალია, აღნიშნული ცდება სადისერტაციო კვლევის ფარგლებს და შესაბამისად, არც არის განხილული წინამდებარე ნაშრომში, მაგრამ გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, როგორ განვითარდება მოვლენები და რა გავლენას იქონიებენ ისინი ზოგადად სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული ქონების რეგულირების საკითხზე, რასაც თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

1. საკვლევი სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრა და ნაშრომის მიზანი

სახელმწიფო იმუნიტეტზე საუბრისას გასამიჯნია იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.⁷

<<https://www.august-debouzy.com/en/blog/1092-the-yukos-case-former-shareholders-lose-their-legal-battle-in-france-but-continue-the-war>>[20.06.2019].

⁵ იხ. Oliver Noyan, 'Germany Open to Russian Central Bank Asset Seizure to Finance Ukraine's Recovery' Euractiv (17 May 2022) <<https://www.euractiv.com/section/eastern-europe/news/germany-open-to-russian-central-bank-asset-seizure-to-finance-ukraines-recovery/>> [19.07.2022].

⁶ იქვე. იხ. ასევე Alan Rappoport and David E Sanger, 'Seizing Russian Assets to Help Ukraine Sets off White House Debate' *The New York Times* (31 May 2022) <<https://www.nytimes.com/2022/05/31/us/politics/russia-sanctions-central-bank-assets.html>>[19.07.2022].

⁷ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 654.

სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება საერთაშორისო სამართლის ორი მნიშვნელოვანი დოქტრინა: *par in parem non habet jurisdictionem*⁸ და *pacta sunt servanda*,⁹ რომელთაგან პირველი ქმნის რა აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის საფუძველს, კრძალავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას, ხოლო მეორე სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გულისხმობს, რაც „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის კონვენციითაა განმტკიცებული.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა დღეს მხარს უჭერს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას, სახელმწიფოს მაინც შეუძლია თავი დაიცვას სახელმწიფო იმუნიტეტით აღსრულების ეტაპზე იმ შემთხვევაში, როდესაც აღსასრულებლად მისაქცევია სახელმწიფო ქონება ან სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ მყოფი აქტივები.¹¹

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას სახელმწიფო იმუნიტეტზე. ზოგადი წესის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება თავის თავში მოიაზრებს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას. თუმცა, უარი იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ავტომატურად არ გულისხმობს უარს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე.¹² აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს

⁸ „თანაბარი არ ფლობს ძალაუფლებას თანაბარზე“, - თარგმანი ლათინურიდან, იხ. ნუნუ კაპანაძე და მარინა კვაჭაძე, *ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი* (ლალო ჭანტურია, მანანა ტაბიძე (რედ), სეზანი 2008) 60.

⁹ „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“, - თარგმანი ლათინურიდან, იხ. იქვე, 60.

¹⁰ ვენის კონვენცია „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ (მიღების თარიღი: 23/05/1969; ძალაში შესვლის თარიღი: 29.01.1980) 26-ე მუხლი (შემდგომ - ვენის კონვენცია); იხ. ასევე Hersch Lauterpacht, 'The Problem of Jurisdictional Immunities of Foreign States' (1951) 28 *British Year Book of International Law* 220; J. Crawford, 'International Law and Foreign Sovereigns: Distinguishing Immune Transactions' (1983) 54 *British Year Book of International Law* 75; Guido Santiago Tawil, 'Binding Force and Enforcement of ICSID Awards: Untying Articles 53 and 54 of the ICSID Convention', in Albert Jan van den Berg (ed), *50 Years of the New York Convention: ICCA International Arbitration Conference*, ICCA Congress Series, Volume 14 (Kluwer Law International 2009) 329. Hazel Fox, 'International Law and Restraints on the Exercise of Jurisdiction by National Courts of States' in Malcolm D Evans (ed), *International Law* (2nd edn, OUP 2006); See also, Christoph H Schreuer, *State Immunity: Some Recent Developments* (Cambridge: Grotious Publications Limited 1988).

¹¹ Andrea K Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards: The re-politicization of International Investment Disputes' (2010) 21 *American Review of International Arbitration* 211-213.

¹² Hazel Fox and Philippa Webb, *The Law of State Immunity* (3rd ed, OUP 2015) 599-604.

სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ როგორც ადგილობრივი კანონმდებლობების უმრავლესობა, ასევე საერთაშორისო კონვენციები.¹³ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ძირითადად ხორციელდება „სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ“ კონვენციისა (შემდგომ – ICSID კონვენცია) და „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ გაეროს კონვენციით (შემდგომ – ნიუ-იორკის კონვენცია). ორივე კონვენციის თანახმად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი უნდა გადაწყდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს¹⁴ სუვერენული იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.¹⁵

შესაბამისად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი რჩება „აქილევსის ქუსლად“¹⁶ და „უკანასკნელ ბასტიონად“¹⁷ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში, რამაც შესაძლოა დაუკარგოს აზრი დავის საერთაშორისო არბიტრაჟის გზით გადაწყვეტას, რადგან სწორედ რომ სხვადასხვა იურისდიქციაში გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა არის საერთაშორისო არბიტრაჟის უმნიშვნელოვანესი უპირატესობა.¹⁸

¹³ იხ. United Nations Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (მიღების თარიღი: 10.06.1958, ძალაში შესვლის თარიღი: 07.06.1959) 330 UNTS 38, (შემდგომ - ნიუ-იორკის კონვენცია); Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of other States (მიღების თარიღი: 18.03.1965, ძალაში შესვლის თარიღი: 14.10.1966) ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი: 10.04.2006, 575 UNTS 159, (შემდგომ - ICSID კონვენცია); United Nations Convention on Jurisdictional Immunities and Their Property (მიღების თარიღი: 02.10.2004, ძალაში არ არის ჯერ შესული) UN General Assembly, A/59/508, (შემდგომ - გაეროს კონვენცია) <https://treaties.un.org/doc/source/docs/A_59_508-E.pdf> [12.12.2022]; European Convention on State Immunity of 1972 (მიღების თარიღი: 16.05.1972; ძალაში შესვლის თარიღი: 11.06.1976) ETS 74, 11 ILM 470 (1972), (შემდგომ - ევროპული კონვენცია); The Foreign Sovereign Immunities Act 1976 (as amended 1988) (US), 15 ILM 1388 (1976), (შემდგომ - FSIA); The State Immunity Act 1978 (UK), 17 ILM 1123 (1978), (შემდგომ - SIA).

¹⁴ ნაშრომის მიზნებისთვის „ადგილსამყოფელ სახელმწიფოში“ იგულისხმება სახელმწიფო, რომლის სასამართლოშიც წარდგენილია სარჩელი.

¹⁵ ICSID კონვენცია, 54-ე და 55-ე მუხლები; ნიუ-იორკის კონვენცია, მე-3 მუხლი.

¹⁶ Christoph H Schreuer, Loretta Malintoppi, August Reinisch and Anthony C Sinclair, *The ICSID Convention: A Commentary: Contents* (2nd edn, Cambridge University Press 2009) 1154.

¹⁷ Jeremy Ostrander, 'The Last Bastion of Sovereign Immunity: A Comparative Look at Immunity from Execution of Judgements' (2004) 22 Berkeley Journal of International Law 541-582.

¹⁸ Andrea K Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' in Christina Binder and others (eds), *International Investment Law for the 21st Century: Essays in Honour of Christoph Schreuer* (Oxford University Press 2009) 321.

იმ სახელმწიფოების მაგალითზე, რომლებიც სუვერენული იმუნიტეტის საფუძველზე თავს არიდებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძო მხარის სასარგებლოდ აღასრულონ მათ წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ნათელი ხდება რამდენად მნიშვნელოვანია ზუსტად გაიმიჯნოს სახელმწიფოს როგორც საჯარო სამართლის სუბიექტის პრივილეგიები (კონკრეტულად ეს ეხება იმუნიტეტის საკითხს) და მისი, როგორც კერძო სამართლის სუბიექტის მოვალეობები. ნაშრომის წინაშე დასმული ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმ ოპტიმალური საზღვრების დადგენაა, რომელიც, ერთი მხრივ, არ დააზიანებს სახელმწიფოს საერთაშორისო საჯაროსამართლებრივ სამართალსუბიექტურობას, მაგრამ მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ კერძო სამართლის სუბიექტების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას.

წინამდებარე ნაშრომის საგანი და მიზანია სახელმწიფო იმუნიტეტის როლის შესწავლა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში. ნაშრომში დეტალურადაა გამოკვლეული საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ჭრილში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი როგორც ანგლო-ამერიკული, ისე კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას სახელმწიფოს მიერ სუვერენული იმუნიტეტის გამოყენების სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები.

კერძოდ, გამოკვლეულია, რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი დღეს არსებული სამართლებრივი ბაზა, იქნება ეს ადგილობრივი კანონმდებლობა, თუ საერთაშორისო კონვენციები. გაანალიზებულია ნიუ-იორკის კონვენციისა და ICSID კონვენციის ზეგავლენა ადგილობრივ კანონმდებლობაზე და ამ კონვენციების თვითკმარობა ზემოხსენებული პრობლემის გადაჭრაში. განხილულია იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტისა და

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის განმასხვავებელი ნიშნები და არგუმენტები არბიტრაჟზე თანხმობის აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევ უარად მიჩნევის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. წარმოჩენილი და შეფასებულია სპეციალური რეჟიმით დაცული სახელმწიფო ქონების სამართლებრივი რეგულირებიდან გამოკვეთილი პრობლემები.

შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილია ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო გარიგების მონაწილე კერძო სუბიექტებს წინ აღუდგნენ სახელმწიფოს მიერ სუვერენული იმუნიტეტის დოქტრინის გამოყენებას და მიაღწიონ საკუთარი ინვესტიციებისა და უფლებების დაცვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერად აღსრულების გზით. ასევე გამოვლენილია ის სამართლებრივი ხარვეზები და ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოებს, მიმართონ სუვერენული იმუნიტეტის დოქტრინას, იქნება ეს საერთაშორისო კონვენციები და საარბიტრაჟო წესები, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები თუ ადგილობრივი საარბიტრაჟო კანონმდებლობა. დასასრულს, ნაშრომში შემოთავაზებულია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები.

2. კვლევის აკადემიური სიახლე და მნიშვნელობა

ნაშრომის სიახლე, აქტუალობა და მნიშვნელობა მდგომარეობს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის გამოყენების მიმართ შესაძლო ოპტიმალური მიდგომის შემუშავებაში, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნას ბალანსი სახელმწიფოს ვალდებულებებსა და ინვესტორის უფლებებს შორის პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც ინვესტიციების ხელშეწყობას, ისე მასპინძელი სახელმწიფოს სუვერენული უფლებების დაცვას.

ასევე ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებული პრობლემატიკა არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ნიუ-იორკის კონვენციისა და ICSID კონვენციის წევრი სახელმწიფო, მაგრამ საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს, ასევე, საქართველოს მიერ არ არის ხელმოწერილი გაეროს კონვენციაც. შესაბამისად, ნაშრომში განხილული და გამოკვლეული სამართლებრივი საკითხები კარგი საფუძველი იქნება შემდგომ საქართველოში შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე სამუშაოდ.

უფრო მეტიც, თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევას აქვს პოტენციალი წვლილი შეიტანოს საკითხის საერთაშორისო დონეზე რეგულირებაშიც. ასევე მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნულ თემაზე სრულფასოვანი ქართულენოვანი ნაშრომის შექმნა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას.

3. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებული წყაროები

თემის კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება დოგმატურ, ნორმატიულ, ისტორიულ, აღწერილობით, სისტემურ, ანალიტიკურ, ლოგიკურ და შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდებს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შესაბამის საქმეთა შესწავლასა და ანალიზს. საბოლოოდ, შეფასების მეთოდის საშუალებით წარმოდგენილია თემის კვლევისას გაკეთებული მიგნებების მართებულობა და საფუძვლიანობა.

გამოყენებული წყაროების კუთხით, ნაშრომის ფარგლებში ცენტრალური ადგილი უჭირავს საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული მასალის შესაბამისი დებულებების დეტალურ კვლევასა და ანალიზს. გარდა ამისა, წყაროების მნიშვნელოვანი წილი მოდის საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა და მათ

ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ეროვნული სასამართლოთა პრაქტიკის სიღრმისეულ განხილვასა და შესწავლაზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თემატიკაზე არსებული უახლესი უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა (წიგნები, მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები), რომელთაგან ნაწილი მოპოვებულია ელექტრონული რესურსების სახით, ხოლო ნაწილი - თავად ნაშრომის ავტორის მიერ ქალაქ ლუქსემბურგში, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, საერთაშორისო, ევროპული და რეგულატორული საპროცესო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტში ხუთი თვის განმავლობაში წარმოებული ინტენსიური კვლევის პროცესში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია საკვლევი თემის გარშემო არსებული სხვადასხვა ინტერნეტ-წყაროები.

4. კვლევის ფარგლები

კვლევა ეხება სახელმწიფო იმუნიტეტის გავლენას საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე. სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა და მისი სამართლებრივი რეგულირება განხილულია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა კვლევის მთავარ საკითხებზე პასუხის გასაცემად.

5. ნაშრომის სტრუქტურა

სისტემური თვალსაზრისით, ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი ძირითადი თავისგან და დასკვნისგან.

1. პირველ თავში განსაზღვრულია კვლევისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი ტერმინები და სამართლებრივი ცნებები, როგორცაა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ასევე განმარტებული და გამიჯნულია საერთაშორისო, უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნებები.

2. მეორე თავი განიხილავს სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის სათავეებს საერთაშორისო სამართალში. მიმოხილულია შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის წარმოშობისა და სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შექმნის საკითხი. გაანალიზებულია სახელისუფლებო (*jure imperii*) და არასახელისუფლებო (*jure gestionis*) ქმედებათა გამიჯვნის პრობლემა. ასევე განსაზღვრულია ორი იმუნიტეტის - იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხები.

3. მესამე თავი ეთმობა „უცხოური სუვერენული იმუნიტეტების შესახებ“ 1976 წლის ამერიკის შეერთებული შტატების აქტის¹⁹ (შემდგომ - FSIA) და „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ 1978 წლის გაერთიანებული სამეფოს აქტის²⁰ (შემდგომ - SIA) საფუძველზე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხს და მის როლს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში. SIA-ს შესაბამისი დებულებები შედარებულია „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ 1972 წლის ევროპულ კონვენციასთან²¹ (შემდგომ - ევროპული კონვენცია), რომელიც შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების პირველი მცდელობის მაგალითია და ამასთან SIA-თი მოხდა ევროპული კონვენციის გაერთიანებულ სამეფოში რატიფიცირება.

4. მეოთხე თავში განხილულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, როგორცაა: შვეიცარია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (შემდგომ - გერმანია), საქართველო, საფრანგეთი და ბელგია, სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში. ასევე, Yukos-ის ყოფილი მსხვილი აქციონერების რეზონანსული საქმის მაგალითზე ნაჩვენებია სახელმწიფო იმუნიტეტის სახით რა სირთულეები შეიძლება წარმოიშვას კონკრეტულ ქვეყნებში სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო

¹⁹ The Foreign Sovereign Immunities Act 1976 (as amended 1988) (US), 15 ILM 1388 (1976), (შემდგომ -FSIA).

²⁰ The State Immunity Act 1978 (UK), 17 ILM 1123 (1978), (შემდგომ - SIA).

²¹ European Convention on State Immunity 1972 (მიღების თარიღი: 16.05.1972; ძალაში შესვლის თარიღი: 11.06.1976) ETS 74, 11 ILM 470 (1972), (შემდგომ - ევროპული კონვენცია).

გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა პროცესმა სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირებაზე.

5. მეხუთე თავი ეხება „სახელმწიფოების და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ“ გაერთიანებული ერების კონვენციას²² (შემდგომ - გაეროს კონვენცია). გამოკვლეულია გაეროს კონვენციით იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის მოწესრიგების საკითხი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების კონტექსტში. წარმოჩენილია აღნიშნული დებულებების მნიშვნელობა როგორც ეროვნული კანონმდებლობების, ისე საერთაშორისო დონეზე.

6. მეექვსე თავი ეთმობა ICSID და ნიუ-იორკის კონვენციებს. გაანალიზებულია აღნიშნული კონვენციებით შემოთავაზებული სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მექანიზმები რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით ბალანსის დაცვას ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და კერძო მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვასა და მეორე მხრივ, სახელმწიფოს, როგორც სუვერენის უფლებამოსილებას შორის, გამოიყენოს სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლება საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში.

ნაშრომის დასკვნაში ასახულია კვლევის საბოლოო შედეგები: მიგნებები და რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი დეტალურად სტრუქტურირებულია და მასში ბევრი თავი და ქვეთავია, ისინი იმდენად მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა თავში განსხვავებულ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული, რაც საკითხის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენისა და გამოკვლევის საშუალებას იძლევა და, საბოლოო ჯამში, წარმოაჩენს საკვლევი პრობლემის სრულყოფილ სურათს.

²² United Nations Convention on Jurisdictional Immunities and Their Property (მიღების თარიღი: 02.10.2004, ძალაში არ არის ჯერ შესული) UN General Assembly, A/59/508, (შემდგომ - გაეროს კონვენცია) <https://treaties.un.org/doc/source/docs/A_59_508-E.pdf> [12.12.2022].

I. ტერმინთა განმარტება

1. ცნობა და აღსრულება

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი ორი განსხვავებული ინსტიტუტია. ისინი ხშირად ერთმანეთის გვერდით იკავებენ ადგილს როგორც მრავალი ქვეყნის ადგილობრივ კანონმდებლობაში, ისე საერთაშორისო აქტებში, რომელთაგანაც აღსანიშნავია ნიუ-იორკის კონვენცია.²³ ამასთანავე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება. კერძოდ, თუკი აღსრულება თავის თავში მოიცავს ცნობასაც, გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია მისი აღსრულების პროცედურის გარეშე.²⁴ აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის კონვენცია განამტკიცებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების „ცნობისა და აღსრულების“ ცნებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სხვადასხვა ცნებაა, განსხვავებით, მაგალითად, 1927 წლის ჟენევის კონვენციისგან,²⁵ რომელიც უფრო კონკრეტულია და იყენებს ტერმინს „ცნობა ან აღსრულება.“²⁶

ტერმინს „ცნობა და აღსრულება“ იყენებს ასევე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.²⁷ თუმცა, აღნიშნული კანონის მიღებამდე მოქმედი საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საერთოდ არ იცნობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ინსტიტუტს.²⁸ შესაბამისად 2009 წელს განხორციელებული

²³ ლევან გოთუა, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2010) 11 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/levan_gotua.pdf> [26.09.2022].

²⁴ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 610-611.

²⁵ Geneva Convention 1927 – Convention on the Execution of Foreign Arbitral Awards (მიღების თარიღი: 26.09.1927; ძალაში შესვლის თარიღი: 25.07.1929) 92 UNTS 301.

²⁶ ნიუ-იორკის კონვენცია, 1(1) მუხლი.

²⁷ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, სსმ, №13, 02/07/2009, 45(1) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8>> [25.12.2021].

²⁸ იხ. სალომე ჯაფარიძე, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება“ (2013) წელიწადური, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა 193-229 <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Yearbook/yearbook-2013.pdf>> [20.09.2022]; გიორგი ცერცვაძე, „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2008) 226-234 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/giorgi_cercaze.pdf> [20.09.2022].

საკანონმდებლო ცვლილებები „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონის შემუშავების სახით, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს საარბიტრაჟო სისტემის განვითარებაში, რითაც ის შესაბამისობაში მოვიდა ნიუ-იორკის კონვენციის მოთხოვნებთან.²⁹

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არის დამცავი მექანიზმი მოგებული მხარისათვის და ერთგვარი გარანტია იმისა, რომ წაგებული მხარე ვეღარ მიმართავს სასამართლოს იმ სადავო საკითხის გადასაწყვეტად, რომელზეც საარბიტრაჟო სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება.³⁰ ამის საპირისპიროდ, აღსრულება პოზიტიური ქმედებაა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არა მარტო კანონიერად და სავალდებულოდ ცნობას, არამედ აცხადებს მას აღსრულებადად და უზრუნველყოფს შესრულების იძულებას სანქციების დაწესების გზით.³¹

2. საერთაშორისო, უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები

სახელმწიფოს მონაწილეობით საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა იგულისხმება „საერთაშორისო“, „უცხოურ“ და „არაადგილობრივ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.

დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისოდ მიღებული შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იქნას მიჩნეული „საერთაშორისო“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად.³² ყველა სახელმწიფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს საარბიტრაჟო

²⁹ სტივენ ოსტერმილერი, „არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა“ (2016) წელიდწლეული, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა 73, 104-105 <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/yearbook2016.pdf> [25.09.2022].

³⁰ Andrew Tweeddale and Keren Tweeddale, *Arbitration of Commercial Disputes: International and English Law and Practice* (OUP 2007) 408.

³¹ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 435; იხ. ასევე Ihab Amro, *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards* (Cambridge Scholars Publishing 2013) 5.

³² Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 434.

გადაწყვეტილების „საერთაშორისოდ“ თუ, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, „უცხოურად“ მიკუთვნების კრიტერიუმებს.³³ ტერმინოლოგიური განსხვავებაა ასევე საერთაშორისო კონვენციებშიც.³⁴

ნიშანდობლივია, რომ ნიუ-იორკის კონვენცია არ იცნობს ცნება „საერთაშორისოს.“ იგი იყენებს „უცხოური“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნებას და განმარტავს, რომ კონვენციის მოქმედების სფერო განისაზღვრება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობითა და აღსრულებით, რომლებიც გამოტანილია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება.³⁵ ასევე, ნიუ-იორკის კონვენცია ვრცელდება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე, რომლებიც არ არის მიჩნეული „ადგილობრივ“ გადაწყვეტილებებად იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება.³⁶

შესაბამისად, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად მიიჩნევა ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი ცნობა და აღსრულება მოითხოვება მეორე ქვეყანაში, მიუხედავად მხარეთა მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.³⁷ ნიშანდობლივია, რომ ასეთი უცხოური გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იყოს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ არბიტრაჟში.³⁸ აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის კონვენცია შეიქმნა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ხელშეწყობისათვის, სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საერთაშორისო

³³ იქვე.

³⁴ შუად. European Convention on International Arbitration 1961 (მიღების თარიღი: 21.05.1961; ძალაში შესვლის თარიღი: 07.01.1964) 484 UNTS 364, 1(1) მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას მხარეების მუდმივი ადგილსამყოფელის სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნას; იხ. ასევე ICSID კონვენცია, 25 (1) მუხლი.

³⁵ ნიუ-იორკის კონვენცია, 1(1) მუხლი.

³⁶ იქვე.

³⁷ Albert Jan Van den Berg, *The New York Arbitration Convention of 1958* (TMC Asser Institute, The Hague 1981) 15-19.

³⁸ Marike RP Paulson, *The 1958 New York Convention in Action* (Kluwer Law International 2016) 109-110.

გადაწყვეტილებებით, იმ პირობით, რომ ასეთი ადგილობრივი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოთხოვნილი იქნება სხვა სახელმწიფოში.³⁹

ნიუ-იორკის კონვენცია არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება „არაადგილობრივი“ გადაწყვეტილებების ქვეშ.⁴⁰ თუმცა, ნიუ-იორკის კონვენციის საკანონმდებლო ისტორიაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ისეთი გადაწყვეტილებებია, რომლებიც გამოტანილია იმ ქვეყანაში, სადაც მოთხოვნილია მათი ცნობა და აღსრულება, მაგრამ არბიტრაჟის სამართალი არის სხვა ქვეყნის საარბიტრაჟო სამართალი ან დავა შეიცავს საერთაშორისო ელემენტს.⁴¹

აღსანიშნავია, რომ „არაადგილობრივად“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა იმ სახელმწიფოს სასამართლოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება და, შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილებების „არაადგილობრივი“ სტატუსი განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობების თანახმად.⁴² შედეგად, ნიუ-იორკის კონვენციის მიზნებისთვის ის, რაც ერთი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით შეიძლება მიჩნეულ იქნას უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად მასში „უცხოური ელემენტის“ არსებობის გამო, მეორე სახელმწიფოს მიერ შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნას ადგილობრივ გადაწყვეტილებად მხარეების ამ სახელმწიფოსადმი კუთვნილების გამო.⁴³

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის შესახებ ცენტრალური ICSID კონვენციისთვის, რომელიც არეგულირებს ხელშეკვრულ სახელმწიფოსა და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ინვესტორს შორის საინვესტიციო დავების მოგვარებას,

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე, 104.

⁴¹ Gary Born, *International Commercial Arbitration* (2nd edn, Kluwer Law International 2014) 2958-66; იხ. ასევე Paulson (სქ. 38) 104-114; Fernando Mantilla-Serrano, 'Non-domestic Award: The Second Hypothesis of Article 1(1)' in Kathia Fach Gomez and Ana M Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law Arbitration 2019) 55-56; Van den Berg (სქ. 37) 22-28. „არაადგილობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად“ ასევე მოიაზრება ე.წ. ა-ნაციონალური გადაწყვეტილებებიც (გადაწყვეტილებები, რომლებიც მხარეთა შეთანხმებით არცერთი ეროვნული საარბიტრაჟო კანონით არ რეგულირდება), თუმცა მათზე ნიუ-იორკის კონვენციის გავრცელება სადავოა და მეტწილად დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოები, მიიჩნევენ თუ არა მათ არაადგილობრივ გადაწყვეტილებებად. იხ. Paulson (სქ. 38) 112-113; Van den Berg (სქ. 37) 28-51.

⁴² Van den Berg (სქ. 37) 25-27.

⁴³ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 11; იხ. ასევე Paulson (სქ. 38) 4-6; Van den Berg (სქ. 37) 15-19, 22-29.

სწორედ ინვესტორის არამასპინძელი სახელმწიფოსადმი კუთვნილებაა აუცილებელი პირობა დავაზე ცენტრის იურისდიქციის გასავრცელებლად.⁴⁴ ICSID კონვენციის მიხედვით, სხვა ხელშეკვრელი სახელმწიფოს ინვესტორად მიიჩნევა მხარეთა მიერ დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ შეთანხმების დღეს არსებული დავის არამონაწილე ხელშეკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.⁴⁵

თავის მხრივ, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონისთვის (შემდგომ - UNCITRAL-ის მოდელური კანონი), რომელიც შემუშავებულ იქნა სწორედ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის რეგულირებისთვის, ცნება „საერთაშორისო“ გადამწყვეტია.⁴⁶ UNCITRAL-ის მოდელური კანონი განასხვავებს ერთმანეთისგან „საერთაშორისო“ და „არასაერთაშორისო“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, „ადგილობრივად“ და „უცხოურად“ ტრადიციული დაყოფის ნაცვლად,⁴⁷ იმ პირობით, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია საერთაშორისო არბიტრაჟში.⁴⁸

UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად, არბიტრაჟი საერთაშორისოა, თუ:

1) საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას მხარეების ადგილსამყოფელი სხვადასხვა ქვეყანაშია;

2) საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, მხარეთა ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა:

ა) არბიტრაჟის ადგილი;

⁴⁴ ICSID კონვენცია, 25(1) მუხლი.

⁴⁵ იქვე, 25(2) მუხლი.

⁴⁶ UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985, with amendments as adopted in 2006, UN Doc A/40/17, annex I და A/61/17 annex I (შემდგომ - UNCITRAL-ის მოდელური კანონი) <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [28.09.2022].

⁴⁷ Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, 36 (შემდგომ - Explanatory Note on UNCITRAL Model Law) <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [28.09.2022].

⁴⁸ Gary Born, *International Commercial Arbitration* (2nd edn, Kluwer Law International 2014) 2967-68.

ბ) ნებისმიერი ადგილი, სადაც სახელშეკრულებო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობის არსებითი ნაწილი უნდა შესრულებულიყო, ან ადგილი, რომელთანაც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დავის არსებითი ნაწილი;

3) მხარეები გარკვევით და ნათლად შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი დაკავშირებულია ერთზე მეტ ქვეყანასთან.⁴⁹

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონი აერთიანებს არბიტრაჟის „საერთაშორისოდ“ ცნობის ორ კრიტერიუმს, როგორცაა: დავის საერთაშორისო ხასიათი და მხარეების კუთვნილება ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, და ამატებს მესამესაც. კერძოდ, მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას თვითონვე შეთანხმდნენ საარბიტრაჟო შეთანხმების „საერთაშორისოობაზე.“⁵⁰

ნიმანდობლივია, რომ UNCITRAL-ის მოდელური კანონი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დებულებებს ავრცელებს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოტანილ ყველა გადაწყვეტილებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნება ისინი გამოტანილი.⁵¹ აღნიშნულით, UNCITRAL-ის მოდელური კანონი ხაზს უსვამს საერთაშორისო დავებში საარბიტრაჟო წარმოების ადგილის ნაკლებ მნიშვნელობას და უარს ამბობს რა ტერიტორიულ საზღვრებზე, განამტკიცებს ერთგვაროვან მიდგომას საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მიმართ, მიუხედავად იმისა, ისინი „უცხოურია“ თუ „ადგილობრივი“⁵² ანუ - გამოტანილია სხვა ქვეყანაში თუ იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება მისი ცნობა და აღსრულება. შედეგად, UNCITRAL-ის მოდელური კანონი კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს ნიუ-იორკის კონვენციის მიერ დადგენილ ცნობისა და აღსრულების რეჟიმს.⁵³

მართალია, მოდელური კანონის მიზანი იყო საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაცია და მოდერნიზაცია და მან ნამდვილად მოახდინა დიდი გავლენა ქვეყნების საარბიტრაჟო კანონმდებლობებს

⁴⁹ UNCITRAL-ის მოდელური კანონი, 1(3) მუხლი.

⁵⁰ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 9-11.

⁵¹ UNCITRAL-ის მოდელური კანონი, 35(1) მუხლი.

⁵² Explanatory Note on UNCITRAL Model Law (სქ. 47) 36.

⁵³ იქვე.

შორის საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟთან დაკავშირებით შეუსაბამობების მინიმუმამდე დაყვანის კუთხით,⁵⁴ თუმცა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება „საერთაშორისო“, „უცხოური“ თუ „არაადგილობრივი“, ეს საკითხი მაინც განსხვავებულად რეგულირდება ადგილობრივი კანონმდებლობების მიერ.⁵⁵

მაგალითად, შვეიცარიის კანონმდებლობა იცნობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს.⁵⁶ შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის თანახმად, არბიტრაჟი, რომლის ადგილი შვეიცარიაშია, არ მიიჩნევა „საერთაშორისოდ“, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას ერთ-ერთ მხარეს მაინც არ აქვს საცხოვრებელი ადგილი ან მუდმივი ადგილსამყოფელი სხვა სახელმწიფოში.⁵⁷ ხოლო იმისათვის, რომ შვეიცარიაში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნას „უცხოურად“ ან „არაადგილობრივად“ და მასზე გავრცელდეს ნიუ-იორკის კონვენცია, არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი ან მუდმივი ადგილსამყოფელი შვეიცარიაში და მხარეებს უარი უნდა ჰქონდეთ ნათქვამი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლებაზე.⁵⁸ შედეგად, შვეიცარიის კანონმდებლობა საინტერესოა იმით, რომ იგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მიიჩნევს „უცხოურად“ (ან „არაადგილობრივად“) არა იმის გამო, რომ იგი მიღებულია საერთაშორისო არბიტრაჟში, არამედ იმის გამო, რომ მხარეებმა უარი თქვეს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის უფლებაზე.⁵⁹ ასეთი რეგულირებით უზრუნველყოფილია, ერთი მხრივ, არბიტრაჟის

⁵⁴ იქვე, 24, 36.

⁵⁵ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 11.

⁵⁶ Michael E Schneider and Joachim Knoll, 'Enforcement in Switzerland' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 316.

⁵⁷ Christopher Boog, Melissa Magliana and Noradele Radjai (eds), Swiss Private International Law Act 1987, 176(1) მუხლი (შემდგომ - Swiss Private International Law Act) <https://www.swissarbitration.org/wp-content/uploads/2021/05/20210129-Chapter-12-PILA_Translation_English.pdf> [28.09.2022]; იხ. ასევე Elliot Geisinger and Nathalie Voser (eds), *International Arbitration in Switzerland: A handbook for Practitioners* (2nd edn, Kluwer Law International 2013).

⁵⁸ Swiss Private International Law Act, 192-ე მუხლი; მსგავსი მიდგომა აქვს პერუს კანონმდებლობასაც. იხ. Fernando Mantilla-Serrano, 'Non-domestic Award: The Second Hypothesis of Article 1(1)' in Kathia Fach Gomez and Ana M Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law Arbitration 2019) 63.

⁵⁹ შვედეთის, კოლუმბიისა და ტუნისის კანონმდებლობებსაც მსგავსი მიდგომა აქვთ იმ გამონაკლისით, რომ ნიუ-იორკის კონვენციაზე პირდაპირი მითითება არ ხდება. იხ. Fernando Mantilla-Serrano, 'Non-

სახელმწიფოს სასამართლოების მხრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საზედამხედველო კონტროლის განხორციელების მინიმუმამდე დაყვანა და მეორე მხრივ, მათზე ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული დაცვისა და ბენეფიტების გავრცელება.⁶⁰

ფრანგული სამართალი განსხვავებული ნორმებით არეგულირებს საერთაშორისო არბიტრაჟში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას⁶¹ და „საერთაშორისო არბიტრაჟად“ მიიჩნევს არბიტრაჟს, რომელიც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებს.⁶² შესაბამისად, ფრანგული კანონმდებლობით დადგენილი საერთაშორისო საარბიტრაჟო რეჟიმი არეგულირებს საერთაშორისო არბიტრაჟს, როდესაც არბიტრაჟის ადგილი საფრანგეთშია; ასევე - საერთაშორისო დავაზე საფრანგეთში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, ან საფრანგეთის ფარგლებს გარეთ ადგილობრივ ან საერთაშორისო ხასიათის დავაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას.⁶³

აშშ-ის სამართალთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აშშ-ის კანონმდებლობა არ ავრცელებს ნიუ-იორკის კონვენციას აშშ-ის მოქალაქეებს შორის გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, თუ მხარეებს შორის სამართალურთიერთობა არ შეიცავს აშშ-ის ფარგლებს გარეთ მდებარე ქონებას, არ ითვალისწინებს შესრულებას ან აღსრულებას აშშ-ის ფარგლებს გარეთ, ან არ აქვს სხვა გონივრული კავშირი ერთ ან რამდენიმე უცხო სახელმწიფოსთან.⁶⁴

domestic Award: The Second Hypothesis of Article 1(1)’ in Kathia Fach Gomez and Ana M Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law Arbitration 2019) 63.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ Born (სქ. 48) 1969; იხ. ასევე Guido Carducci, ‘The Arbitration Reform in France: Domestic and International Arbitration Law’ (2012) 28 (1) *Arbitration International* 125, 125-157.

⁶² საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, დეკრეტი No 2011-48 (2011), წიგნი IV, თავი II, 1504 მუხლი <http://www.iaiparis.com/pdf/FRENCH_LAW_ON_ARBITRATION.pdf> [29.09.2022]; აღსანიშნავია, რომ ფრანგული სამართალი ადგილობრივი არბიტრაჟის რიგ ნორმებს ავრცელებს საერთაშორისო არბიტრაჟზეც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან. იხ. Guido Carducci, ‘The Arbitration Reform in France: Domestic and International Arbitration Law’ (2012) 28 (1) *Arbitration International* 125, 129.

⁶³ იქვე, 1518-1527 მუხლები.

⁶⁴ The Federal Arbitration Act 1925 as amended 1990 (US), 84 Statute 692, 9 US Code Title §202 (შემდგომ - The Federal Arbitration Act 1925).

ზემოხსენებულით აშშ-ის ფედერალური საარბიტრაჟო კანონი, რომლითაც ნიუ-იორკის კონვენციის იმპლემენტაცია მოხდა აშშ-ის კანონმდებლობაში, ხაზს უსვამს მხარეთა მოქალაქეობრივი კუთვნილების მნიშვნელობას.⁶⁵ კერძოდ, თეორიულად, თუ აშშ-ის ორი მოქალაქე გადაწყვეტს აშშ-თან დაკავშირებული გარიგებიდან გამომდინარე დავა სხვა ქვეყანაში განიხილოს საარბიტრაჟო წესით, შედეგად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ მიიჩნევა „უცხოურად“ აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, იმის გამო, რომ გარიგება არ შეიცავს „უცხოურ ელემენტს“, რითაც იზღუდება ნიუ-იორკის კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება,⁶⁶ მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს აქვთ ლეგიტიმური უფლება თავიანთი შეხედულებისამებრ აირჩიონ არბიტრაჟის ადგილი, რომელსაც არანაირი კავშირი არ ექნება მხარეების მოქალაქეობრივ კუთვნილებასთან.⁶⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქმეზე *Creighton Ltd v Govt St Qatar* აშშ-ის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც, როდესაც არბიტრაჟის ადგილი ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაა, კონვენციის ყველა სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს და აღსრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიუხედავად საარბიტრაჟო დავის მხარეთა მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.⁶⁸

მეორე მხრივ, „არაადგილობრივ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე *Bergesen v Joseph Muller Corp* განაცხადა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ნიუ-იორკის კონვენცია ვრცელდება არა იმიტომ, რომ იგი გამოტანილია აშშ-ის ფარგლებს გარეთ, არამედ იმიტომ, რომ იგი მიღებულია სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რაც გულისხმობს ან სხვა ქვეყნის სამართლის მიხედვით გადაწყვეტილების გამოტანას ან

⁶⁵ Paulson (სქ. 38) 108.

⁶⁶ Van den Berg (სქ. 37) 17.

⁶⁷ Paulson (სქ. 38) 108.

⁶⁸ *Creighton Ltd v Government of the State of Qatar* No. 98-7063 181 F3d 118, 121 (DC Circuit 1999);

ნიუ-იორკის კონვენციის პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, აშშ-ის დათქმა აქვს გაკეთებული ნაცვალგებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, ნიუ-იორკის კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართ.

მოიცავს მხარეებს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი ან მუდმივი ადგილსამყოფელი აქვთ იმ ქვეყნის გარეთ, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.⁶⁹

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვებს მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეების მონაწილეობით მიმდინარე საარბიტრაჟო დავებზე ნიუ-იორკის კონვენციის მოქმედების კუთხით, აშშ-ის სასამართლოებმა ფედერალური საარბიტრაჟო კანონის 202-ე მუხლი განმარტეს იმგვარად, რომ როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს „გარკვეულ უცხოურ ელემენტს“, მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეების მონაწილეობით მიმდინარე საარბიტრაჟო საქმეებიც შეიძლება მოექცეს არაადგილობრივი გადაწყვეტილების ცნების ქვეშ, თუ მხარეთა შორის გარიგება შესრულდა აშშ-ის ფარგლებს გარეთ.⁷⁰

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, 1997 წლის საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საერთოდ არ ითვალისწინებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას⁷¹ და არ ვრცელდებოდა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.⁷²

განსხვავებული, საერთაშორისო სტანდარტებთან ბევრად დაახლოებული პოზიციას 2009 წლის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში. თუმცა, არც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ცნებებს „უცხოური“ და „საერთაშორისო“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი შესასრულებლად სავალდებულოდ აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა ისინი გამოტანილი.⁷³ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი მიჯნავს ერთმანეთისგან „საქართველოში გამოტანილ“ და „საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ“ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კონკრეტული საკითხებიდან გამომდინარე. კერძოდ, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ აცხადებს

⁶⁹ *Bergesen v Joseph Muller Corporation* 710 F2d 928, 931 (2d Cir. 1983); იხ. ასევე Born (სქ. 48) 2960.

⁷⁰ Paulson (სქ. 38) 105.

⁷¹ იხ. ჯაფარიძე (სქ. 28) 193-229, ცერცვაძე (სქ. 28) 226-234.

⁷² გოთუა (სქ. 23) 40.

⁷³ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 44-ე და 45-ე მუხლები.

საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით - საქართველოს უზენაეს სასამართლოს.⁷⁴

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ და საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმის გავრცელებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონმა, ერთი მხრივ, გაითვალისწინა UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიდგომა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ და მეორე მხრივ, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე მოქმედი ხელშემწყობი რეგულაციის ქვეშ მოაქცია ასევე ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები.⁷⁵

ნაშრომის მიზნებისთვის საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოიაზრება ყველა ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც: 1) გამოტანილია სახელმწიფოს მონაწილეობით მიმდინარე საარბიტრაჟო დავაზე, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე საერთაშორისო ელემენტს, როგორცაა, მხარეებს შორის დავის საერთაშორისო ხასიათი, დავაში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობა, ან საარბიტრაჟო დავის განხილვა ქვეყანაში, რომელიც მხარეებისთვის არის უცხო,⁷⁶ და 2) ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული „უცხოური“ და „არაადგილობრივი“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები.

⁷⁴ იქვე, 44(1) მუხლი.

⁷⁵ გოთუა (სქ. 23) 42-43. აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტი აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების ჩამონათვალში მიუთითებს „უცხო ქვეყნის არბიტრაჟის ან საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.“

⁷⁶ ესპანეთი ერთ-ერთია იმ ქვეყანათაგან, რომელმაც მიიღო აღნიშნული ფართო განმარტება 2003 წლის ესპანეთის საარბიტრაჟო აქტში 2011 წელს შეტანილი ცვლილებით. იხ. David JA Cairns and Alejandro Lopez Ortiz (მთარგმნელები), Spain's New Arbitration Act <https://arbitrationlaw.com/sites/default/files/free_pdfs/Spain%20Arbitration%20Act.pdf> [30.09.2022].

II. სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის სათავეები საერთაშორისო სამართალში

1. აბსოლუტური და შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი

როგორც ზემოთაც არის აღნიშნული, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური დოქტრინაა, რომელიც გამომდინარეობს *Par in parem non habet jurisdictionem* პრინციპიდან და კრძალავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას.⁷⁷ შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს სასამართლოების მიერ მეორე სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუვერენული სახელმწიფო თვითონ იტყვის საკუთარ იმუნიტეტზე უარს.⁷⁸

ისტორიულად, სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა აბსოლუტური იმუნიტეტის სახით ჩამოყალიბდა, რომელიც სახელმწიფოს უცხო ქვეყნის იურისდიქციისაგან იმუნიტეტით სარგებლობის შესაძლებლობას ანიჭებს ნებისმიერ შემთხვევაში ყველა სახის ქმედებასთან მიმართებით, მიუხედავად მათი სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო ბუნებისა და მიზნისა.⁷⁹ გავრცელებული შეხედულების თანახმად, აბსოლუტური იმუნიტეტის დოქტრინა სათავეს იღებს 1812 წლის *Schooner Exchange v McFaddo* საქმიდან,⁸⁰ რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მარშალმა-მთავარმა მოსამართლემ განაცხადა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ეფუძნება სახელმწიფოთა თანასწორობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას და სახელმწიფოს იურისდიქცია საკუთარ ტერიტორიაზე „უცილობლად ექსკლუზიური და აბსოლუტურია.“⁸¹ შედეგად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვას სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა საკუთრების აღდგენას ხომალდზე, რომელიც თავდაპირველად ეკუთვნოდა მოსარჩელე კერძო პირს, ხოლო საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა მისი კონფისკაცია

⁷⁷ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 13.

⁷⁸ იან ბრაუნლი, *საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები* (თინათინ ხიდაშელი რედ., გიორგი კუკულავა და სხვები (მთარგმნელები), მე-7 გამოცემა, 2010) 355.

⁷⁹ Malcolm N Shaw, *International Law* (5th edn, Cambridge University Press 2003) 625.

⁸⁰ *Schooner Exchange v McFaddon* 11 US (1812); იხ. ასევე DJ Harris, *Cases and Materials on International Law* (6th edn, Sweet&Maxwell 2004) 307-309.

⁸¹ ბრაუნლი (სქ. 78) 356.

და შემდგომ გადააკეთა სამხედრო ხომალდად.⁸² *Schooner Exchange* საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პრეცედენტი გახდა აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით.⁸³ შედეგად, სხვა ქვეყნების სასამართლოებმაც გამოუცხადეს მხარდაჭერა აბსოლუტური იმუნიტეტის დოქტრინას.⁸⁴

Schooner Exchange-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოყენებულ იქნა ინგლისური სასამართლოების მიერ *The Parlement Belge* საქმეში.⁸⁵ შედეგად, ინგლისურ სამართალში პირველად გაჩნდა სახელმწიფო იმუნიტეტის წესის ფორმულირება, რომლის თანახმადაც, სუვერენული იმუნიტეტი ვრცელდებოდა უცხო სახელმწიფოს საჯარო მიზნებისთვის განკუთვნილ ყველა საჯარო ქონებაზე და არ ითვალისწინებდა გამონაკლისს კომერციულ საქმიანობასთან მიმართებით. აღნიშნული წესი ინგლისურ სამართალში მოქმედებდა შემდგომი 50 წლის განმავლობაში.⁸⁶

კომერციის სფეროში სახელმწიფოს ჩართულობის თანდათანობითმა ზრდამ, რიგ ქვეყნებში აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპის გადახედვის აუცილებლობა წარმოშვა, რადგან აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა სახელმწიფო საწარმოებს კერძო საწარმოებთან შედარებით.⁸⁷ შედეგად, წარმოიშვა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისგან სახელმწიფოს არასახელისუფლებო - *jure gestionis* და სახელისუფლებო - *jure imperii* ქმედებებს და, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ანიჭებს სახელმწიფოებს იმუნიტეტს.⁸⁸

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას საფუძველი ჩაუყარეს ბელგიისა და იტალიის სასამართლოებმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს.⁸⁹ შემდგომ იგი გაიზიარა სხვა, ძირითადად, დასავლეთ ევროპისა და ანგლო-საქსური

⁸² DJ Harris, *Cases and Materials on International Law* (6th edn, Sweet&Maxwell 2004) 307-309.

⁸³ იხ. მაგ., *Oliver American Trading Co v Mexico* 5F 2d 659, 663 (2d Cir. 1924).

⁸⁴ Craig S Miles, 'Sovereign Immunity' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 38.

⁸⁵ *The Parlement Belge* (1879-90) 5 Prob Div 197 (CA); იხ. Fox, *International Law* (სქ. 10) 365-366.

⁸⁶ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 137; Fox, *International Law* (სქ. 10) 366.

⁸⁷ Shaw (სქ. 79) 625.

⁸⁸ ბრაუნლი (სქ. 78) 358.

⁸⁹ Xiaodong Yang, *State Immunity in International Law* (Cambridge University Press 2012) 13.

სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოების სასამართლოებმა.⁹⁰ თუმცა განვითარებადი ქვეყნები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი და სოციალისტურ ბანაკში მყოფი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, არ მოხვდნენ მათ რიცხვში. აღსანიშნავია, რომ მათგან ზოგიერთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, დღემდე აბსოლუტური იმუნიტეტის დოქტრინის მიმდევარია.⁹¹

აშშ-მა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის გამოყენება 1952 წლიდან გადაწყვიტა, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ახსნა კომერციულ საქმიანობაში სახელმწიფოების მზარდი მონაწილეობითა და სხვა სახელმწიფოთა მიერ აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტისადმი მიდგომის შეცვლით.⁹² აღნიშნული მიდგომა აშშ-ის უმეტესმა სასამართლომაც გაიზიარა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია საქმე *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte*,⁹³ რომელზეც საარბიტრაჟო წარმოების წინააღმდეგ სახელმწიფო იმუნიტეტის მოთხოვნის საკითხის განხილვისას სასამართლომ პირველად გამოიყენა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის თეორია.⁹⁴ სასამართლომ უარი თქვა ესპანეთის ვაჭრობის სამინისტროსათვის სახელმწიფო იმუნიტეტის მინიჭებაზე იმ მოტივით, რომ გემის ჩარტერი მარცვლეულის ტრანსპორტირებისათვის შეიცავდა ტიპური კომერციული

⁹⁰ 4th Report on Jurisdictional Immunities of States and their Property (1982) prepared for the International Law Commission (ILC) 1982 by its Special Rapporteur (Sucharitku) (1982) YB ILC II-1199 <http://legal.un.org/ilc/guide/4_1.shtml> [30.09.2020]; იხ. ასევე Materials on Jurisdictional Immunities of States and their Property, UN Legislative Series, UN Doc. ST/LEG/SER.B/20 <<http://legal.un.org/legislativeseries/documents/Book25/Book25.pdf>> [30.09.2020]; შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ასახულია ავსტრალიის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, პაკისტანის, სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობაში. მას ასევე მხარს უჭერს ბარბადოსი, ჩილე, ფინეთი, ისლანდია, მექსიკა, ნორვეგია, კატარი, სურინამი, ტოგო. იხ. ბრაუნლი (სქ. 78) 358-359.

⁹¹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 162; Harris (სქ. 82) 307.

⁹² 'Tate Letter' – 1952 წლის 19 მაისის ჯეკ ბ ტეიტის წერილი (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში) ფილიპ ბ პერლმანთან (გენერალური პროკურორი) ხელახლა დაბეჭდილი 26 DEP'T ST BULL 984 (1952), Tara A O' brien, 'The Validity of the Foreign Sovereign Immunity Defense in Suits under the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards' (1983) 7(2) Fordham International Law Journal 321, 336-338; 1950 წელს ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ აბსოლუტურმა სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში. იხ. Shaw (სქ. 79) 625.

⁹³ *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte* 232 F Supp 294 (SDNY 1963) 35 ILR 110; იხ. ასევე *National City Bank of New York v Republic of China* 22 ILR 210; *Rich v Naviera Vacuba* 32 ILR 127.

⁹⁴ O' brien (სქ. 92) 344.

გარიგების ყველა ნიშანს.⁹⁵ ხოლო საქმეზე *Alfred Dunhill of London v Republic of Congo* საქმეზე შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლის მიერ იქნა მხარდაჭერილი.⁹⁶

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, აქ უფრო გვიან მოხდა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დანერგვა.⁹⁷ 1977 წელს საქმეზე *The Philippine Admiral*⁹⁸ მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილებით სავაჭრო საქმიანობაში მონაწილე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გემზე, *The Philippine Admiral* საქმისგან განსხვავებით, აღარ გავრცელდა სახელმწიფო იმუნიტეტი.⁹⁹ მომდევნო წელს საქმეზე *Trendex v Central Bank of Nigeria*¹⁰⁰ სასამართლომ უარი განაცხადა ნიგერიის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე იურისდიქციისგან იმუნიტეტის გავრცელებაზე იმ მოტივით, რომ ერთი მხრივ, ნიგერიის ცენტრალური ბანკი იყო დამოუკიდებელი ინსტიტუტი და არ იკვეთებოდა იმის ნიშნები, რომ ბანკს გააჩნდა სამთავრობო სტატუსი (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა განხილულიყო სახელმწიფოს ემანაციად ან ალტერ ეგოდ), ხოლო მეორე მხრივ, ინგლისური სამართლის თანახმად იმუნიტეტი არ ვრცელდებოდა ისეთი კომერციული საქმიანობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებულ სარჩელზე, როგორცაა სავაჭრო აკრედიტივის გაცემა.¹⁰¹ ამგვარად, საერთო სამართალში დაინერგა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა, რომელიც შემდგომ განმტკიცებულ იქნა ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებით, როგორცაა *I Congreso del Partido*¹⁰² და *Alcom Ltd v Republic of Colombia*.¹⁰³

სახელმწიფო იმუნიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია 1963 წელს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს

⁹⁵ Shaw (სქ. 79) 628.

⁹⁶ *Alfred Dunhill of London v Republic of Congo* 425 US 682 (1976), 15 ILM (1976) 735, 744, 746-47; 66 ILR 212,221,224.

⁹⁷ Shaw (სქ. 79) 629.

⁹⁸ *The Philippine Admiral* [1977] AC 373.

⁹⁹ Fox, *International Law* (სქ. 10) 366.

¹⁰⁰ *Trendex Trading Corporation v Central Bank of Nigeria* [1977] 1 QB 529, [1977] 1 All ER 88, 64 ILR 111 (CA).

¹⁰¹ Harris (სქ. 82) 325-329.

¹⁰² *I Congreso del Partido* [1978] 1 All ER 1192; [1983] 1 AC 244; [1981] 2 All ER 1064; 64 ILR 307 (HL).

¹⁰³ *Alcom Ltd v Republic of Colombia* [1984] AC 580, [1984] 2 WLR 750, [1984] 2 Lloyd's Rep 24, [1984] 2 All ER 6.

მიერ გადაწყვეტილი *Empire of Iran* საქმე.¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ 1945 წლამდე გერმანია იმ ქვეყანათა რიგში იყო, რომელიც აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტით იცავდა უცხო სახელმწიფოს კერძო-სამართლებრივ დავებშიც კი. *Empire of Iran* საქმეზე გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართალი იძლევა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენების უფლებას და სახელმწიფოს სუვერენული და კერძო ქმედებების გამიჯვნის კრიტერიუმად გამოყენებულ უნდა იქნას ქმედების სამართლებრივი ბუნება და არა მიზანი.¹⁰⁵ აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელესა და გერმანიაში ირანის საელჩოს შორის დადებული ხელშეკრულება საელჩოს შენობაში გათბობის სისტემის სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა უცხო სახელმწიფოს არასახელისუფლებო ქმედებად. შესაბამისად, სასამართლომ არ გაავრცელა იმუნიტეტი აღნიშნულ ქმედებაზე და დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელისათვის შესრულებული სამუშაოს ხარჯების ანაზღაურება.¹⁰⁶

მაშასადამე, გასულ საუკუნეში სახელმწიფოთა მზარდმა ჩართულობამ კომერციულ საქმიანობაში, საფუძველი ჩაუყარა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის წარმოშობასა და განვითარებას, რომელიც გაიზიარა სახელმწიფოთა უმრავლესობამ და რამაც ასახვა ჰპოვა მათ ადგილობრივ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.¹⁰⁷

¹⁰⁴ *Empire of Iran Case* [1977] UN Legal Materials 282; 45 ILR 57, 80 (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (1963)).

¹⁰⁵ Fox, *International Law* (სქ. 10) 367.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ Fox, *International Law* (სქ. 10) 368; Shaw (სქ. 79) 630-31. დღეის მდგომარეობით საერთო სამართლის ქვეყნებიდან შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი კანონმდებლობაში ასახული აქვთ შემდეგ ქვეყნებს: ავსტრალია, კანადა, მალაიზია, პაკისტანი, სამხრეთ აფრიკა, სინგაპური, ისრაელი. ბოცვანას, კენიას, ირლანდიას, ახალ ზელანდიას, ნიგერიასა და ზიმბაბვეს არ აქვს სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობა, მაგრამ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ასახულია მათ სასამართლო პრაქტიკაში. 2007 წელს გაეროს კონვენციის ხელმოწერით, ინდოეთმა მხარი დაუჭირა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას. ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ყველა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის მომხრეა. იაპონია თანდათან უფრო მეტად უჭერს მხარს შეზღუდულ იმუნიტეტს მაშინ, ასევე ჩინეთში თანდათან სუსტდება აბსოლუტური იმუნიტეტის მხარდაჭერა და სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას იმუნიტეტზე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით. 2015 წელს რუსეთის ფედერაციამ მიიღო კანონი „რუსეთის ფედერაციაში უცხო სახელმწიფოს იურისდიქციული იმუნიტეტისა და უცხო სახელმწიფოს ქონების შესახებ“, რომელიც ძირითადად ეფუძნება გაეროს

2. სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნა

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ძირითადად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განვითარდა. თუმცა, თანდათან იგი საკანონმდებლო დონეზეც აისახა როგორც ადგილობრივ კანონმდებლობებში, ისე რეგიონალურ და საერთაშორისო კონვენციებში.¹⁰⁸

საერთო სამართლის ქვეყნების უმრავლესობამ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ადგილობრივი კანონმდებლობით განამტკიცა სუვერენული იმუნიტეტის შესახებ აქტის სახით მაშინ, როცა კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, როგორცაა მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და შვეიცარია, იგი სასამართლო პრაქტიკის შედეგად დაინერგა და განვითარდა.¹⁰⁹

ადგილობრივი კანონმდებლობებიდან აღსანიშნავია „უცხოური სუვერენული იმუნიტეტების შესახებ“ 1976 წლის ამერიკის შეერთებული შტატების აქტი (FSIA), რომლითაც პირველად საერთო სამართლის სისტემაში დაინერგა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა¹¹⁰ და „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ 1978 წლის გაერთიანებული სამეფოს აქტი (SIA).

კონვენციას, მაგრამ ასევე შეიცავს ნაცვალგების პრინციპს. კერძოდ, ახალი კანონი ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სასამართლოს უფლებამოსილებას, შეზღუდოს უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტი იურისდიქციისგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ აღნიშნულმა უცხო სახელმწიფომ შეუზღუდა რუსეთის ფედერაციას იურისდიქციული იმუნიტეტი. იხ. Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и имущества иностранного государства в Российской Федерации (2015) N 297-ФЗ, 4(1) მუხლი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არის პასუხისმგებელი უცხო ქვეყნებში რუსეთის ფედერაციის იურისდიქციული იმუნიტეტის მდგომარეობის შესახებ სასამართლოსათვის რეკომენდაციების გაწევაზე. იხ. Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и имущества иностранного государства в Российской Федерации (2015) N 297-ФЗ, 4(2) მუხლი; 2015 წლამდე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, უცხო სახელმწიფო დაცული იყო აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტით, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან ფედერალური კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებდა. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 149-166.

¹⁰⁸ Yang (სქ. 89) 26.

¹⁰⁹ Joseph W Dellaphenna, *Suing Foreign Governments and Corporations* (2nd edn, Brill Nijhoff 2003) 8. იხ. მაგ., The Singapore State Immunity Act 1979; The Pakistan State Immunity Ordinance 1981; The South African Foreign States Immunities Act 1981; The Canadian State Immunity Act 1982 and the Australian Foreign States Immunities Act 1985.

¹¹⁰ Fox, *International Law* (სქ. 10) 367.

რაც შეეხება რეგიონალურ და საერთაშორისო კანონმდებლობას, 1972 წელს ხელი მოეწერა „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ ევროპულ კონვენციას, ხოლო 2004 წელს მიღებულ იქნა „სახელმწიფოების და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ“ გაერთიანებული ერების კონვენცია.¹¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ კონვენციას ხელი მოაწერა მხოლოდ ცხრა სახელმწიფომ და აქედან მხოლოდ რამდენიმემ მოახდინა მისი რატიფიცირება,¹¹² ევროპულ კონვენციას უდავოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი პირველი მაგალითია აბსოლუტური და შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინებს შორის კომპრომისისა.¹¹³ აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპულმა კონვენციამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში დანერგვასა და შემდგომ - SIA-ს მიღებას,¹¹⁴ რომლითაც, თავის მხრივ, გაერთიანებულ სამეფოში ევროპული კონვენციის რატიფიცირება განხორციელდა.¹¹⁵

რაც შეეხება გაეროს კონვენციას, იგი ეფუძნება 1991 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული „მუხლების პროექტს სახელმწიფოებისა და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ“,¹¹⁶ რომელიც მოგვიანებით გადაიხედა და 2004 წლის 2 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ მომზადებული

¹¹¹ ისტორიულად, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა მხარდაჭერილ იქნა სახელმწიფო ხომალდების იმუნიტეტთან დაკავშირებული გარკვეული წესების უნიფიკაციის შესახებ 1926 წლის ბრიუსელის კონვენციისა (შემდგომ – ბრიუსელის კონვენცია) და მისი 1934 წლის ოქმის მიღებით. ბრიუსელის კონვენცია ითვალისწინებდა იმუნიტეტის მოხსნას იმ სახელმწიფო გემებისთვის, რომლებიც ექსკლუზიურად არასახელისუფლებო კომერციული საქმიანობისთვის გამოიყენებოდნენ, და იმავე სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებებისადმი დაქვემდებარებას, რომლებიც მოქმედებს სავაჭრო დანიშნულების მქონე კერძო საკუთრებაში არსებულ გემებზე. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 101.

¹¹² ხელი მოაწერა ავსტრიამ, ბელგიამ, კვიპროსმა, გერმანიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდების სამეფომ, პორტუგალიამ, შვეიცარიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ხოლო აქედან რატიფიცირება მოახდინა მხოლოდ ავსტრიამ, ბელგიამ, კვიპროსმა, შვეიცარიამ, ლუქსემბურგმა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ.
<<https://treaties.un.org/pages/showDetails.aspx?objid=08000002800c8eb2>> [17.07.2020].

¹¹³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 118-119.

¹¹⁴ Yang (სქ. 89) 18.

¹¹⁵ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 167.

¹¹⁶ ILC Draft Articles on Jurisdictional Immunities of States and their Property (1991) 2 ILC Yrbk 8 (შემდგომ - ILC Draft Articles) <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/4_1_1991.pdf> [16.02.2017].

კონვენციის პროექტის საბოლოო ანგარიში.¹¹⁷ 2005 წლიდან კონვენცია გაიხსნა ხელმოწერისათვის. სამწუხაროდ, გაეროს კონვენცია ჯერ არ არის ძალაში შესული, რადგან ამისათვის საჭიროა, რომ მისი რატიფიცირება სულ მცირე ოცდაათმა სახელმწიფომ მოახდინოს.¹¹⁸ გაეროს კონვენცია კი მხოლოდ ოცდაორი სახელმწიფოს მიერაა რატიფიცირებული და ოცდარვა სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი.¹¹⁹ მიუხედავად ამისა, გაეროს კონვენციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი პირველი უნივერსალური საერთაშორისო კონვენციაა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ.¹²⁰ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა და სახელმწიფო იმუნიტეტის დაცვისგან გამონაკლისები ფართოდაა მიღებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში და გამოხატავს ბალანს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინტერესებსა და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ კერძო მხარეების ინტერესს შორის.¹²¹

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში, აქტუალობიდან გამომდინარე, სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობებიდან დეტალურად განხილული იქნება FSIA-ს და SIA-ს შესაბამისი მუხლები, დაკავშირებული საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან. ამასთან, მიმოხილული იქნება შვეიცარიის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და შესაბამისი მარეგულირებელი წესები.

3. *Acta jure gestionis v acta jure imperii*

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის წარმოშობამ გამოიწვია სახელისუფლებო - *jure imperii* - და არასახელისუფლებო - *jure gestionis* - ქმედებების

¹¹⁷ UN Doc A/RES/59/38 <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/4_1_2004_resolution.pdf> [16.02.2017].

¹¹⁸ გაეროს კონვენცია, 30-ე მუხლი.

¹¹⁹ იხ. <https://treaties.un.org/pages/ShowMTDSGDetails.aspx?src=UNTSOONLINE&tabid=2&mtdsg_no=III-13&chapter=3&lang=en> [17.03.2016].

¹²⁰ Fox, *International Law* (სქ. 10) 367.

¹²¹ იქვე, 368.

გამიჯვნის პრობლემა. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, უცხო სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისგან არასუვერენული, კომერციული, კერძო ან არასახელისუფლებო ქმედებების შემთხვევაში (*acta jure gestionis*) და პირიქით, სახელმწიფო დაცულია იმუნიტეტით სუვერენული, არაკომერციული, საჯარო ან სახელისუფლებო ქმედებებისთვის (*acta jure imperii*).¹²² სამწუხაროდ, ეროვნული სასამართლოები არ არიან შეთანხმებულნი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იქნას მიჩნეული *acta jure imperii* ან *acta jure gestionis*, ასევე, არც იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებით გააჩნიათ საერთო აზრი, რომელთა საფუძველზეც უნდა გადაწყდეს იმუნიტეტის მინიჭება/არმინიჭების საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹²³

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინასთან ერთად წარმოიშვა სამი პოზიცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებათა გამიჯვნა. ესენია: „სამართლებრივი ბუნების“ მიდგომა, „მიზნობრივი“ მიდგომა და „კონტექსტუალური“ მიდგომა.¹²⁴

სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ თანამედროვე სამართალსა და პრაქტიკაში დომინანტური ადგილი უკავია სამართლებრივი ბუნების მიდგომას, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფოს ქმედების სამართლებრივ ბუნებას და არა მიზანს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმუნიტეტით დაცვის საკითხის განხილვისას.¹²⁵ შედეგად, მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, სახელმწიფო სუვერენული უფლებამოსილებას ახორციელებს საჯარო სამართლის შესაბამისად, თუ მოქმედებს როგორც კერძო პირი, კერძო სამართლის შესაბამისად.¹²⁶ ამასთან, რადგანაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, მნიშვნელოვანწილად, ემსახურება სუვერენულ მიზნებს და პირდაპირი კავშირი აქვს ასეთ მიზნებთან, არამართებული იქნება *acta jure*

¹²² Yang (სქ. 89) 460.

¹²³ იქვე, 462.

¹²⁴ იქვე, 85.

¹²⁵ იქვე, იხ. ასევე Report of ILC Jurisdictional Immunities of States and their Property (ILC Report) (1999) A/554/10 (1999) 2 (2) ILC Yrbk 8.

¹²⁶ *Empire of Iran Case* (სქ. 104).

imperii-ისა და *acta jure gestionis-ის* გამიჯვნის კრიტერიუმად მხოლოდ ქმედების მიზნის მიჩნევა.¹²⁷

აღნიშნული მოსაზრება „სამართლებრივი ბუნების“ მიდგომასთან დაკავშირებით გაზიარებული აქვს ბელგიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, ნიგერიის, კენიის, ზიმბაბვეს, პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკის სასამართლოებს.¹²⁸ თუმცა, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქმედების კვალიფიკაციისათვის მხოლოდ სამართლებრივი ბუნების ტესტის გამოყენება სირთულეებთან არის დაკავშირებული და ყოველთვის ვერ პასუხობს დასახულ მიზანს.¹²⁹

FSIA ადგენს, რომ ქმედების კომერციული ხასიათი უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარიგების ან ქმედების სამართლებრივი ბუნებიდან და არა მიზნიდან გამომდინარე.¹³⁰ თუმცა, აღნიშნული პარადიგმა არაპრაქტიკული აღმოჩნდა და გარკვეულ შემთხვევებში, მაშინ, როცა ქმედების არსი მისი მიზნით არის განსაზღვრული, აშშ-ის სასამართლოებმა მიიჩნიეს საჭიროდ ქმედების სამართლებრივი ბუნების დასადგენად ქმედების მიზნის გამოკვლევაც.¹³¹ აღსანიშნავია, რომ ასეთ მოსაზრებას, გარკვეულწილად, ითვალისწინებდნენ FSIA-ს ავტორებიც, რადგანაც მათი აზრით ქმედების კომერციული ბუნება სახეზეა, თუ ქმედება ჩვეულებრივ ხორციელდება *მოგების მიზნით*.¹³²

სახელმწიფო იმუნეტეტის თაობაზე ადრეულ საქმეებში სწორედ ქმედების საჯარო მიზანი წარმოადგენდა იმუნიტეტით დაცვის საფუძველს. თუმცა, ამ მიდგომით სახელმწიფო კერძო პირებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან თავისი ბუნებით სახელმწიფოს ყველა საქმიანობა სახელისუფლებო მიზანს ემსახურება.¹³³

¹²⁷ *Central Bank of Nigeria, Germany* (1975) 65 ILR 131, 135-136. იხ. ასევე *Segni v Commercial US* 835 F2d 160, 164-165 (7th Cir. 1987); 97 ILR 55, 59-60.

¹²⁸ Yang (სქ. 89) 86-87.

¹²⁹ იქვე, 87.

¹³⁰ FSIA, 1603 (d) მუხლი.

¹³¹ *De Sanchez v Banco Central de Nicaragua US* (Court of Appeal 5th Circuit, 1985) 770 F 2d, 1385.

¹³² Yang (სქ. 89) 87.

¹³³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 410.

ამბივალენტურია ფრანგული სამართლის პოზიცია.¹³⁴ ერთი მხრივ, იგი აცხადებს, რომ იმუნიტეტი დამოკიდებულია ქმედების სამართლებრივ ბუნებაზე,¹³⁵ ხოლო მეორე მხრივ, ქმედება მიჩნეულია სახელისუფლებო ქმედებად, თუ მისი მიზანი საჯარო მომსახურების გაწევაა.¹³⁶

გაეროს კონვენცია აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას შეეცადა ქმედების ბუნებისა და მიზნისადმი კომბინირებული მიდგომის შემუშავებით. კერძოდ, გაეროს კონვენციის თანახმად, გასათვალისწინებელია არა მარტო გარიგების სამართლებრივი ბუნება, არამედ მისი მიზანიც, თუკი მხარეები ამაზე შეთანხმდნენ, ან საქმის განმხილველი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გარიგების მიზანი მიიღება მხედველობაში ქმედების არაკომერციული ხასიათის განსასაზღვრად.¹³⁷

ინგლისური სამართალი საერთოდ არ საუბრობს კომერციული საქმიანობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, იქნება ეს ქმედების სამართლებრივი ბუნება თუ მიზანი.¹³⁸ მიუხედავად ამისა, ინგლისური სასამართლო პრაქტიკა თავდაპირველად მეტწილად „სამართლებრივი ბუნების“ მიდგომას ემხრობოდა.¹³⁹ „იმუნიტეტი დამოკიდებულია ქმედების სამართლებრივ ბუნებაზე და არა მის მიზანზე, განზრახვასა თუ მოტივზე“, - აღნიშნა ლორდ დენინგმა საქმეზე *I Congresso Del Partido*.¹⁴⁰ თუმცა, იმავე საქმეზე ლორდმა უილდერფორსმა ხაზი გაუსვა კონტექსტუალური მიდგომის მნიშვნელობას სახელმწიფო იმუნიტეტის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას.¹⁴¹ კერძოდ, მისი თქმით, აუცილებელი იყო სასამართლოს მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელთან მიმართებით „მთლიანი კონტექსტის“ გათვალისწინება „შესაბამისი

¹³⁴ Yang (სქ. 89) 103; იხ. ასევე ნინო რუხაძე, „სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2012) 15 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/nino_ruxaze.pdf> [25.02.2017].

¹³⁵ *Administration v Societe France* (1969) 52 ILR 315, 316. იხ. ასევე *Montefiore v Congo France* (1955) 22 ILR 226, 227; *Societe v Gouvernement Turk France* (1965) 47 ILR 155, 156; *Spanish v Societe France* (1973) 65 ILR 61, 62-63; *Iran v Societe Eurodif France* (1984) 77 ILR 513, 516; *Iran v Societe Eurodif France* (1989) 89 ILR, 31; *Coco v Argentina France* (1996) 113 ILR 491, 492.

¹³⁶ *Clerquet v Banque France* (1969) 52 ILR 310, 313; *Clerquet v Banque France* (1971) 65 ILR 54; იხ. ასევე *Enterprise v Etats-Uni France* (1964) 45 ILR 82, 83; *Mouracade v Centre France* (1991) 113 ILR 462, 463.

¹³⁷ გაეროს კონვენცია, 2(2) მუხლი.

¹³⁸ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 410.

¹³⁹ Yang (სქ. 89) 103.

¹⁴⁰ *I Congresso del Partido* (სქ. 102) (ლორდი დენინგი).

¹⁴¹ იქვე, (ლორდი უილდერფორსი).

ქმედების“ იდენტიფიცირებისათვის, რომელიც გახდა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი. კერძოდ, იყო თუ არა ქმედება *jure gestionis*, ანუ კერძოსამართლებრივი ხასიათის ქმედება, რომლის განხორციელება კერძო პირს შეეძლო.¹⁴² ლორდი უილდერფორსის აზრით, ქმედების მიზანს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ მას შეეძლო გარკვეული სიცხადის შეტანა ქმედების სამართლებრივი ბუნების დასადგენად.¹⁴³

კონტექსტუალური მიდგომის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა ასევე კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *United States of America v The Public Service of Canada and Others*,¹⁴⁴ სადაც კონტექსტუალური მიდგომა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენების ერთადერთ გონივრულ საფუძვლად იქნა გაცხადებული.¹⁴⁵ აღნიშნული საკითხი ასევე განიხილა ავსტრალიაში ვიქტორიის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *Reid v Republic of Nauru*,¹⁴⁶ სადაც დადგენილი იქნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია ქმედების სამართლებრივი ბუნების, მიზნისა და მოტივის განცალკევება, განხორციელებული ქმედების კონტექსტის გათვალისწინება ერთადერთი სწორი გზა არის საკითხის გადასაჭრელად. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული ქვეყნის აღქმასა და მის მიერ ამ კუთხით გატარებულ პოლიტიკაზე.¹⁴⁷

სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებათა გამიჯვნა რთულდება, როდესაც ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით კომერციულია, ხოლო ხელშეკრულების დარღვევის საფუძველს სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელება შეადგენს.¹⁴⁸ მსგავს შემთხვევასთან დაკავშირებით ლორდ

¹⁴² იქვე.

¹⁴³ Shaw (სქ. 79) 634.

¹⁴⁴ *United States of America v The Public Service Alliance of Canada and Others* [1992] 91 DLR (4th) 463; 94 ILR 278.

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ *Reid v Republic of Nauru* [1993] 1 VR 251.

¹⁴⁷ Shaw (სქ. 79) 634-36.

¹⁴⁸ See *I Congresso Del Partido* (სქ. 102), *Holland v Lampen-Wolfe* [2000] 1 WLR 1573 HL; *Littrel v United States of America* (No 2) [1995] 1 WLR 82; *Pan American Tankers Corp v Republic of Vietnam* 296 F Supp 361 (SDNY 1969). აღსანიშნავია, რომ ეს საქმე, რომელიც ეხება უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების საკითხს დიდ

უილდერფორსმა განაცხადა, რომ იმუნიტეტის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, რომ ქმედება თავისთავად იყოს სახელისუფლებო აქტი იმ ქმედების საპირისპიროდ, რომელსაც ნებისმიერი მოქალაქე განახორციელებდა.¹⁴⁹ მაგრამ, აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა ლორდთა პალატის უმრავლესობამ და საქმეზე *I Congresso Del Partido* დაადგინა, რომ გემი, რომლის გამოც კუბამ მოითხოვა სახელმწიფო იმუნიტეტი, ეკუთვნოდა კერძო საწარმოს და, მართალია, მან კუბის სახელმწიფოს მიერ გამოცემული სამთავრობო აქტის საფუძველზე დაცალა ტვირთი ჩრდილოეთ ვიეტნამში, აღნიშნული შეადგენდა არასახელისუფლებო ქმედებას, რადგანაც ერთმა კერძო პირმა კერძო სამართლის თანახმად, მიჰყიდა მეორე კუბურ კერძო საწარმოს ტვირთი, რომელიც შემდეგ იმავე კერძო საწარმომ შემოწირა ვიეტნამელებს.¹⁵⁰ ლორდი უილდერფორსის მტკიცებით კი, სინამდვილეში კუბის სახელმწიფომ აიღო გემსა და მის ტვირთზე კონტროლი და ეს განახორციელა წინასწარ შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე და მხოლოდ ის ფაქტი, რომ გემის მიერ ქმედება განხორციელდა კერძო სამართლის წესების თანახმად და არა მთავრობის პირდაპირი დადგენილებით ან განკარგულებით, საკითხის გადასაწყვეტად არ არის საკმარისი.¹⁵¹ ლორდ უილდერფორსის შეხედულება გაიზიარა ლორდ გოფმა საქმეზე *Kuwait Airways Corporation v. Iraqi Airways Co.*¹⁵² გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ საწყისი ქმედება *jure imperii* არის, არ განსაზღვრავს როგორც ასეთი, საბოლოო ქმედების ხასიათს.¹⁵³

როგორც ჩანს, საკმაოდ რთულია სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებათა გამიჯვნა, რაც შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენებისათვის

ბრიტანეთში, განხილული იქნა არა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ SIA-ს თანახმად, არამედ სხვა საერთო სამართლის თანახმად. იხ. Shaw (სქ. 79) 637.

¹⁴⁹ See *I Congresso Del Partido* (სქ. 102) (ლორდი უილდერფორსი).

¹⁵⁰ See *I Congresso Del Partido* (სქ. 102); Shaw (სქ. 79) 635-36; Harris (სქ. 82) 309-314.

¹⁵¹ Shaw (სქ. 79) 636.

¹⁵² *Kuwait Airways Corporation v Iraqi Airways CO* [1995] 1 MTLR 1147, 1160; 103 ILR 340; შემდგომ ინსტანციებში პროცესებისთვის იხ. 116 ILR 534 (High Court); [2000] 2 All ER (Comm.) 360; [2001] 2 WLR 1117 (Court of Appeal).

¹⁵³ Shaw (სქ. 79) 637-38.

არსებითია.¹⁵⁴ ადგილობრივი სასამართლოების მიერ აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მიდგომის შემუშავების გამო შეიქმნა არაერთგვაროვანი პრაქტიკა და ხშირად ერთი და იგივე შინაარსის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობას ეძლევა სხვადასხვა კვალიფიკაცია სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის საკითხის გადაწყვეტისას.¹⁵⁵

4. იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

ხშირად, სახელმწიფო ნებაყოფლობით აღსრულებს მის წინააღმდეგ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო მხარე იძულებულია მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის ზომების მისაღებად.¹⁵⁶ ასეთ ვითარებაში, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი თავისთავად არ არის იმის გარანტია, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოში მოსარჩელე კერძო მხარის მიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას მოპასუხე სახელმწიფოს აქტივები აუცილებლად მიეცემა აღსასრულებლად.¹⁵⁷ შესაბამისად, განასხვავებენ სახელმწიფო იმუნიტეტს იურისდიქციისგან და სახელმწიფო იმუნიტეტს აღსრულებისგან. აღნიშნული აღიარებულია როგორც სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობებითა და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკით, ისე ევროპული და გაეროს კონვენციებით.¹⁵⁸ ამასთან, ICSID კონვენცია ნათლად განმარტავს,

¹⁵⁴ შეადარე ინგლისის სასამართლოების მიდგომა საფრანგეთის სასამართლოს მიდგომას საქმეზე *Guggenheim v State of Vietnam* [1955] 22 ILR 224 (პარიზის სააპელაციო სასამართლო), სადაც სასამართლომ სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებათა გასამიჯნად ქმედების საჯარო ინტერესი მიიღო მხედველობაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი კერძოსამართლებრივი ქმედება იყო.

¹⁵⁵ Kaj Hober, 'Arbitration Involving States' in Lawrence W Newman and Richard D Hill (eds), *The Leading Arbitrators' Guide to International Arbitration* (3rd edn, Juris Publishing 2014) 144-145. მაგ., ევროპასა და აშშ-ში სასამართლოები ვერ შეთანხმდნენ ბუნებრივი გაზის ან სხვა სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლევა და ექსპლუატაცია სახელისუფლებო, თუ კომერციული საქმიანობაა.იხ. ბრაუნლი (სქ. 78) 336.

¹⁵⁶ Alexis Blane, 'Sovereign immunity as a bar to the execution of international arbitral awards' (2009) 41 *New York University Journal of International Law and Politics* 453, 456.

¹⁵⁷ Miles, 'Sovereign Immunity' (სქ. 84) 42.

¹⁵⁸ Yang (სქ. 89) 361.

რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მოითხოვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.¹⁵⁹

სახელმწიფო იმუნიტეტი იურისდიქციისგან მოიცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს უფლებამოსილებას გაავრცელოს თავისი იურისდიქცია უცხო სახელმწიფოზე მაშინ, როცა სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან შეეხება სასამართლოს უფლებამოსილებას აღსასრულებლად მიაქციოს უცხო სახელმწიფოს კონკრეტული ქონება ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.¹⁶⁰

აღსანიშნავია, რომ თუ უცხო სახელმწიფო არ ექვემდებარება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვას, ან სახელმწიფო თვითონ ამბობს უარს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე, აღნიშნული ავტომატურად არ ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვის უფლებაზე. შედეგად, აღსრულებისგან იმუნიტეტით დაუცველობის საფუძვლები დამოუკიდებლად უნდა იქნას დადგენილი, მათ შორის, ამ უკანასკნელზე უარიც სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად უნდა იქნას გაცხადებული.¹⁶¹

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ადგილის შერჩევისას კრედიტორმა მხედველობაში მიიღოს მოვალე სახელმწიფოს აქტივების განლაგების ადგილი და ასევე, ასეთი აქტივების ხელმისაწვდომობა, აღსრულების მიზნებისთვის მათი განლაგების სახელმწიფოს სამართლის თანახმად, რადგან დროისა და თანხების ხარჯვა არ ღირს ისეთი აქტივების მოძიებისთვის, რომელთა აღსასრულებლად მიქცევა შეუძლებელია.¹⁶² ამ უკანასკნელის დასადგენად კი უნდა გამოირკვეს: ა) არის თუ არა აქტივები დაცული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინით შესაბამისი ქვეყნის სამართლით და ბ) სამართლებრივად მიიჩნევა თუ არა ისინი მოვალე სახელმწიფოს ქონებად. ორივე საკითხთან მიმართებით

¹⁵⁹ ICSID კონვენცია, 55-ე მუხლი.

¹⁶⁰ Miles, 'Sovereign Immunity' (სქ. 84) 42.

¹⁶¹ Yang (სქ. 89) 361-362.

¹⁶² George K Foster, 'Collecting from Sovereigns: The Current Legal Framework for Enforcing Arbitral Awards and Court Judgments against States and Their Instrumentalities, and Some Proposals for its Reform' (2008) 25(3) Arizona Journal of International Law 674, 671.

სახელმწიფოთა კანონმდებლობა ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკა, განსხვავებულია.¹⁶³

¹⁶³ იქვე.

III. სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში FSIA-სა და SIA-ს თანახმად

წინამდებარე თავში განხილულია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესთან მიმართებით შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის განვითარებისა და რეგულირების, ასევე აღსრულებისგან იმუნიტეტთან დაკავშირებული სამართლებრივი წინააღმდეგობების საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებული სამეფოში. საერთო სამართლის ქვეყნებიდან ეროვნული კანონმდებლობების კუთხით აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს სამართალი შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ ერთი მხრივ, ეს ორი ქვეყანა პიონერია ადგილობრივ კანონმდებლობაში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დანერგვის საკითხში, ხოლო მეორე მხრივ, FSIA და SIA საფუძვლად დაედო სხვა ქვეყნების მსგავსი საკანონმდებლო აქტების შემუშავებასა და მიღებას.¹⁶⁴ გარდა ამისა, თანამედროვე ეპოქაში სააღსრულებო პროცესები, ხშირ შემთხვევაში, ამ ორ ქვეყანაში მიმდინარეობს მათი გლობალური ფინანსური ლიდერობისა და კაპიტალის შესანახად კონცენტრაციის გამო. ეს ორი იურისდიქცია ასახავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრობლემას, რომელსაც კერძო მხარე, სხვადასხვა იურისდიქციაში, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში აწყდება.¹⁶⁵

¹⁶⁴ თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობას არ აქვს კოდიფიცირებული კანონი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ და შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას იყენებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ინტერპრეტაციის საფუძველზე. იხ. Brazil (სქ. 1) 249.

¹⁶⁵ Blane (სქ. 156) 456.

1. FSIA

1.1. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

1.1.1. აშშ-ში სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის ევოლუცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში

FSIA-ს მიღებამდე კომერციული დავებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეებზე ორმხრივი ანალიზის საფუძველზე წყდებოდა სახელმწიფოსთვის იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის საკითხი.¹⁶⁶ კერძოდ, ერთი მხრივ, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტისა და მეორე მხრივ, თანხმობის თეორიის საფუძველზე, უცხო სახელმწიფო ექვემდებარებოდა აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციას და მათზე არ ვრცელდებოდა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.¹⁶⁷

თანხმობის თეორია წარმოიშვა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მხარის მიერ არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს არჩევა შეადგენდა ამ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობას.¹⁶⁸ არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებზე იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის განხილვისას სასამართლოები ძირითადად ემყარებოდნენ ორ საქმეს: *Orion Shipping & Trading Co v Eastern States Petroleum Corp of Panama*¹⁶⁹ და *Farr & Co v Cia. International de Navegacion*.¹⁷⁰ ორივე მათგანი შეეხება აშშ-ის ფედერალური საარბიტრაჟო აქტის¹⁷¹ საფუძველზე წარდგენილ სარჩელს საარბიტრაჟო შეთანხმების

¹⁶⁶ *Petrol Shipping Corp v Kingdom of Greece* (1966) 360 F.2d 103, 110 (2d Cir.), სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი 385 US 931 (1966).

¹⁶⁷ 1964 წ. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა იურისდიქციისადმი თანხმობის კონცეფცია საქმეზე *National Equipment Rental Ltd v Szukhent* (1964) 375 US 311, 315-16; იხ. აგრეთვე O'Brien (სქ. 92) 340-341.

¹⁶⁸ იქვე. იხ. ასევე *Orion Shipping & Trading Co v Eastern States Petro Corp of Pan* (1960) 284 F.2d 419, 421 2d Cir; სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი, 373 US 949 (1963); *Farr & Co v The SS Punta Alice* (1956) 144 F Supp 839 SDNY; *SM Wolff Co v Tulkoff* (1961) 9 NY 2d 356, 362, 174 N.E.2d 478.

¹⁶⁹ *Orion Shipping & Trading Co v Eastern States Petro Corp of Pan* (1960) 284 F.2d 419, 421 2d Cir; სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი, 373 US 949 (1963).

¹⁷⁰ *Farr & Co v The SS Punta Alice* (1956) 144 F Supp 839 SDNY.

¹⁷¹ The Federal Arbitration Act 1925 (სქ. 64).

აღსრულების შესახებ.¹⁷² ორივე საქმეზე აშშ-ის მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკში არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემაზე შეთანხმება შეადგენდა აშშ-ის ფედერალური საარბიტრაჟო აქტის შესაბამისად აღსრულების მიზნით ნიუ-იორკის სასამართლოს იურისდიქციაზე სახელმწიფოს თანხმობას.¹⁷³

ზემოხსენებული ორმხრივი ანალიზის სისტემა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის სასამართლომ პირველად გამოიყენა საქმეზე *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte*,¹⁷⁴ სადაც სახელმწიფოს უარი ეთქვა იმუნიტეტით დაცვაზე, ერთი მხრივ, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის საფუძველზე, რადგან დავის წარმომშობ გარიგებას კომერციული გარიგების ყველა ნიშან-თვისება ჰქონდა და მეორე მხრივ, სასამართლომ განაცხადა, რომ ნიუ-იორკში არბიტრაჟზე შეთანხმებით მხარემ ასევე თანხმობა განაცხადა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე, რაც სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას ნიშნავდა.¹⁷⁵ იგივე მოსაზრება გაზიარებული იქნა აშშ-ის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე *Petrol Shipping Corp v Kingdom of Greece*.¹⁷⁶

განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ: 1) სახელმწიფო არ იყო დაცული იურისდიქციისგან იმუნიტეტით ისეთ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა მათი კომერციული ან კერძო საქმიანობიდან და 2) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არბიტრაჟზე შეთანხმება გულისხმობდა იმავე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობას.¹⁷⁷ ამგვარად, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინისა და თანხმობის თეორიის გამოყენებით სასამართლოები მხარს უჭერდნენ უცხო

¹⁷² O'Brien (სქ. 92) 341.

¹⁷³ იქვე.

¹⁷⁴ *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte* (სქ. 93).

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ *Petrol Shipping Corp v Kingdom of Greece* (სქ. 166).

¹⁷⁷ O'Brien (სქ. 92) 344.

სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო შეთანხმებებისა და სააბირტაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ სარჩელებს.¹⁷⁸

FSIA-ს მიღებით კონგრესი შეეცადა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინისა და თანხმობის თეორიის კოდიფიცირებას გამონაკლისების სახით.¹⁷⁹ კერძოდ, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის თეორიამ ასახვა და განვითარება ჰპოვა „კომერციულ გამონაკლისში“,¹⁸⁰ ხოლო თანხმობის თეორიამ – იმუნიტეტზე უარის თქმაში.¹⁸¹

„კომერციული საქმიანობის“ გამონაკლისი შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის თეორიის განვითარების საფუძველია, რომლის თანახმადაც უცხო სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისგან იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი ეფუძნება: 1) უცხო სახელმწიფოს მიერ აშშ-ში განხორციელებულ კომერციულ საქმიანობას, 2) აშშ-ში განხორციელებულ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია უცხო სახელმწიფოს კომერციულ საქმიანობასთან აშშ-ის ტერიტორიის გარეთ, 3) ქმედებას, რომელიც განხორციელდა აშშ-ის ტერიტორიის გარეთ და დაკავშირებულია კომერციულ საქმიანობასთან აშშ-ის ტერიტორიის გარეთ და აქვს პირდაპირი გავლენა აშშ-ში.¹⁸²

FSIA კომერციულ საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც რეგულარულ კომერციულ ქმედებას, ან კონკრეტულ კომერციულ გარიგებას ან აქტს.¹⁸³ ამასთან, საქმიანობის კომერციული ხასიათი უნდა დადგინდეს კომერციული ქმედების ან გარიგების სამართლებრივი ბუნებიდან და არა მიზნიდან გამომდინარე.¹⁸⁴ ხოლო იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფოს კომერციული საქმიანობა აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელებულად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს არსებითი კავშირი აშშ-თან.¹⁸⁵

¹⁷⁸ იქვე.

¹⁷⁹ FSIA, 1605 (a)(1), (a)(2), (a)(6) მუხლი.

¹⁸⁰ იქვე, 1605 (a)(2) მუხლი.

¹⁸¹ იქვე, 1605 (a)(1) მუხლი.

¹⁸² იქვე, 1605 (a)(1) მუხლი.

¹⁸³ იქვე, 1605 (d) მუხლი.

¹⁸⁴ იქვე, 1605-ე მუხლი.

¹⁸⁵ იქვე, 1605 (e) მუხლი.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, FSIA-ს თანახმად უცხო სახელმწიფოს საქმიანობა „კომერციულია“, როდესაც იგი მოქმედებს როგორც ბაზრის კერძო მონაწილე და არა მისი მარეგულირებელი. გარდა ამისა, ქმედების „კომერციულ საქმიანობად“ მისაჩვენად საჭიროა არა იმის გამორკვევა, უცხო სახელმწიფო მოქმედებს მოგების მიღების მოტივით თუ მისი სუვერენული მიზნების მისაღწევად, არამედ დასადგენია უცხო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედება არის თუ არა ისეთი ქმედება, რომელსაც კერძო პირი ახორციელებს „ვაჭრობაში, გადაზიდვასა თუ კომერციაში.“¹⁸⁶

დამატებით, FSIA-ს საკანონმდებლო ისტორია ხაზს უსვამს ხელშეკრულების თანახმად შესყიდული საქონლისა და მომსახურების საჯარო დანიშნულების მნიშვნელობას, რადგან კომერციული საქმიანობის განსასაზღვრად სწორედ საქმიანობის ან გარიგების სამართლებრივი ბუნება, და არა მისი მიზანია, გადამწყვეტი.¹⁸⁷ შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალებისთვის სურსათის ან აღჭურვილობის შექმნა, ან სამთავრობო შენობის აშენება, ან საელჩოს შენობაში სარემონტო სამუშაოების შესრულება არის კომერციული საქმიანობა. აქედან გამომდინარე, მსგავსი ხელშეკრულებები მიჩნეულ უნდა იქნას კომერციულ ხელშეკრულებებად, მიუხედავად იმისა, რომ მათი საბოლოო მიზანი საჯარო დანიშნულებისაა.¹⁸⁸

როგორც FSIA-დან ჩანს, კომერციული საქმიანობის განსაზღვრისათვის, ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ქმედებას ჰქონდეს გარკვეული კავშირი აშშ-თან. ამასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი სირთულე და ბუნდოვანება პრაქტიკაში

¹⁸⁶ *Republic of Argentina v. Weltover Inc* (1992) 504 US 607, 614.

¹⁸⁷ Foster (სქ. 162) 674.

¹⁸⁸ იქვე. შესაბამისად, აშშ-ში კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა, მაგ.: აშშ-ის ინვესტორებისთვის ობლიგაციების გამოცემა, ეროვნული კოსმოსური სააგენტოს მიერ პატენტების მიღება და დამტკიცება, ეროვნული ავიახაზების მიერ აშშ-ის მგზავრებისთვის ბილეთების მიყიდვა, თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო მარაგის შესყიდვა, აშშ-ში სახელმწიფო სამხატვრო გალერეის მიერ წიგნების გამოცემა და გამოფენების რეკლამირება, სახელმწიფო კომისიის მიერ აშშ-ის კომპანიასთან ხელშეკრულების დადება საჰაერო ხომალდის ნასყიდობის თაობაზე. მეორე მხრივ, აშშ-ში კომერციულ საქმიანობად არ არის მიჩნეული შემდეგი ქმედებები: საერთაშორისო მონეტარული ფონდისთვის სახელმწიფოს მიერ სესხის გადახდა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ ადგილობრივ კომპანიაში ფინანსური კომპანიის წილის ექსპროპრიაცია, სახელმწიფოს მიერ ებრაელი ლტოლვილების ქონების ექსპროპრიაცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, სახელმწიფოს მიერ ავიახაზებზე გადასახადების დაწესება. იხ. Foster (სქ. 162) 674-75; Fox, *International Law* (სქ. 10) 94-96.

გამოიწვია კომერციული გამონაკლისის მესამე პირობამ. კერძოდ, გაურკვეველია თუ რა სახის ქმედებაა საჭირო იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს „აშშ-ში პირდაპირი გავლენის“ მოთხოვნა.¹⁸⁹ მაგალითისთვის, საქმეზე *Republic of Argentina v Weltover*¹⁹⁰ უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ გავლენა უნდა იყოს „არსებითი“ და „პროგნოზირებადი“ და განაცხადა, რომ გავლენა პირდაპირია, თუ ის იქნება „უმუალო შედეგი მოპასუხის საქმიანობისა.“¹⁹¹ შესაბამისად, არგენტინის უარი ობლიგაციების მფლობელისათვის კაპიტალისა და პროცენტის ნიუ-იორკში გადახდაზე, სასამართლომ მიიჩნია პირდაპირ გავლენად აშშ-ში და არგენტინაზე არ გაავრცელა სახელმწიფო იმუნიტეტი.¹⁹² ამ საქმის შემდეგ „პირდაპირი გავლენის“ კონცეფცია გაფართოვდა და ისეთ საქმეებზეც კი გავრცელდა, სადაც დავის საგანს მინიმალური კავშირი ჰქონდა აშშ-თან.¹⁹³ შედეგად, მსგავსი მიდგომა სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული, რასაც მოჰყვა აშშ-ის სასამართლოების მიერ „პირდაპირი გავლენის“ კრიტერიუმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია.¹⁹⁴

მაშასადამე, იმისათვის რომ აშშ-ში უცხო სახელმწიფოზე არ გავრცელდეს იურისდიქციისგან იმუნიტეტი FSIA-ს კომერციული გამონაკლისის საფუძველზე, აუცილებელია, რომ კომერციული საქმიანობა წარმოიშვას აშშ-ში ან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული აშშ-ის ტერიტორიასთან.¹⁹⁵ აღნიშნული საფუძვლის დაკმაყოფილება, ხშირ შემთხვევაში, რთულდება უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი

¹⁸⁹ Tom McNamara, 'A Primer of Foreign Sovereign Immunity' (Winter Seminar on International Civil Litigation and the United States of America, February-March/2006) 10 <<https://www.dgslaw.com/images/materials/McNamara1.pdf>> [22.12.2016].

¹⁹⁰ *Republic of Argentina v Weltover Inc* (სქ. 186).

¹⁹¹ McNamara (სქ. 189) 10.

¹⁹² *Republic of Argentina v Weltover Inc* (სქ. 186).

¹⁹³ McNamara (სქ. 189) 11-12; იხ. ასევე David P Stewart, 'The Foreign Sovereign Immunities Act: A Guide for Judges' (Federal Judicial Center 2013) 42 <[http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/\\$file/fsiaguide2013.pdf](http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/$file/fsiaguide2013.pdf)> [23.12.2018].

¹⁹⁴ McNamara (სქ. 189) 11-12; იხ. ასევე *United World Trade Inc v Mangyshlakneft Oil Prod* 33 F3d 1232 (10th Cir 1994); *VoestAlpine Trading USA Corp v Bank of China* 142 F3d 887, 895 (5th Cir 1998); *DRFP LLC v Republica Bolivariana de Venezuela* 622 F3d 513 (6th Cir 2010); *Westfield v Fed Republic of Germany* 633 F3d 409 (6th Cir 2011); *Agrocomplect AD v Republic of Iraq* 524 F Supp 2d 16 (DDC 2007); *Foremost-McKesson Inc v Islamic Republic of Iran* 905 F2d 438 (DC Cir 1990).

¹⁹⁵ Yang (სქ. 89) 130.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას. შესაბამისად, მოსარჩელე კერძო პირები იშვიათად მიმართავენ მას.¹⁹⁶

1.1.2. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისები

FSIA-ს თანახმად, უცხო სახელმწიფო სარგებლობს სახელმწიფო იმუნიტეტით აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისგან,¹⁹⁷ თუმცა საერთო წესიდან დადგენილია გამონაკლისები,¹⁹⁸ რომელთა შემთხვევაში უცხო სახელმწიფო ვერ გამოიყენებს იმუნიტეტით დაცვის უფლებას.¹⁹⁹

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აშშ-ში ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვა არ ხორციელდება ძირითადად, იმუნიტეტზე უარის თქმისა და საარბიტრაჟო გამონაკლისის საფუძველზე.²⁰⁰

FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად, უცხო სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისგან იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პირდაპირ ან ნაგულისხმევად უარს იტყვის სახელმწიფო იმუნიტეტზე.²⁰¹ ხოლო 1605 (a)(6) მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების მოთხოვნისას, თუ: ა) საარბიტრაჟო წარმოება ხორციელდება ან განხორციელდება აშშ-ში, ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებას ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ვრცელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო კონვენცია ან სხვა საერთაშორისო შეთანხმება, რომლის მონაწილეც არის აშშ, გ) სასარჩელო მოთხოვნა, გარდა საარბიტრაჟო

¹⁹⁶ O'Brien (სქ. 92) 348.

¹⁹⁷ FSIA, 1604-ე მუხლი.

¹⁹⁸ იქვე, 1605-ე და 1605(A) მუხლები.

¹⁹⁹ იქვე, 1605-ე მუხლი.

²⁰⁰ Dhisadee Chamlongrasdr, *Foreign State Immunity and Arbitration* (Cameron May 2007) 125-26.

²⁰¹ FSIA, 1605 (a)(1) მუხლი.

შეთანხმებისა, შეიძლება განხილული იყოს აშშ-ის სასამართლოში FSIA-ს 1605(a) მუხლით გათვალისწინებულ იმუნიტეტიდან გამონაკლისს შემთხვევებში და, ასევე, 1607-ე მუხლის²⁰² თანახმად, ან დ) 1605 (a)(1) მუხლით დადგენილი სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისი შეიძლება სხვაგვარად იყოს გამოყენებული.²⁰³

აღსანიშნავია, რომ 1605(a)(6) მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისი FSIA-ს დაემატა 1988 წლის კონგრესის მიერ მიღებული შესწორების²⁰⁴ შედეგად. იგი მიზნად ისახავდა საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმების ხელშეწყობას, რაც გამოიხატებოდა აშშ-ის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით²⁰⁵ აღებული ვალდებულებების შესრულებაში და სიცხადის შეტანაში იმასთან დაკავშირებით, მიიჩნეოდა თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად.²⁰⁶

²⁰² იქვე, 1607-ე მუხლი; აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, უცხო სახელმწიფოს მონაწილეობით აღძრულ სარჩელებზე შეტანილი შეგებებული სარჩელის შემთხვევაში, უცხო სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით, როდესაც: ა) უცხო სახელმწიფო არ იქნებოდა დაცული სახელმწიფო იმუნიტეტით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით აღძრული სარჩელის შემთხვევაში, ბ) შეგებებული სარჩელი გამომდინარეობს იმ გარიგებიდან, რომელიც არის უცხო სახელმწიფოს დავის საგანი, გ) შეგებებული სარჩელით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა არ აღემატება ან არ განსხვავდება უცხო სახელმწიფოს მიერ წამოყენებული სასარჩელო მოთხოვნის ოდენობას/ისგან. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 256-57.

²⁰³ იქვე, 1605 (a)(6) მუხლი.

²⁰⁴ Chamlongrasdr (სქ. 200) 127.

²⁰⁵ ეს ხელშეკრულებებია: ნიუ-იორკის კონვენცია, 1975 წლის ინტერ-ამერიკული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (შემდგომ - პანამის კონვენცია) (მიღების თარიღი: 20.01.1975; ძალაში შესვლის თარიღი: 16.06.1976), OAS Treaty Series N 42; ICSID კონვენცია, 1981 წლის აშშ-ირანის შორის დავების მოგვარების შეთანხმება და ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების დებულებებები. იხ. Chamlongrasdr (სქ. 200) 127.

²⁰⁶ კანონმდებლობის ადრე მიღებული ვერსიის მხარდაჭერის მიზნით, სენატორმა ლუგარმა აღნიშნა იმის განმარტების აუცილებლობა, რომ სახელმწიფოს მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება დავის განხილვის თაობაზე უნდა განხილული ყოფილიყო სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად. იხ. 132 Cong Rec S 14795 (1986).

1.1.3. იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისი

1988 წლის შესწორების მიღებამდე აშშ-ის სასამართლოებში საარბიტრაჟო დავებთან დაკავშირებით ძირითადად მოქმედებდა უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტით დაცვისგან FSIA-ს 1605(a)(1) მუხლით განსაზღვრული გამონაკლისი, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო იმუნიტეტზე უცხო სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ან ნაგულისხმევად უარის თქმას.²⁰⁷

სახელმწიფო იმუნიტეტზე პირდაპირი უარი შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დადებული ხელშეკრულების პირობის ან სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების დებულების სახით.²⁰⁸ თუმცა, იგი შეიძლება გამომდინარეობდეს დამოუკიდებელი განცხადებიდანაც (მაგალითად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო თანამდებობის პირისაგან).²⁰⁹ აღსანიშნავია, რომ ეს გამონაკლისი, ძირითადად, სახელმწიფოების სასარგებლოდ ვიწროდ არის სასამართლოების მიერ ინტერპრეტირებული.²¹⁰ ამასთან, მნიშვნელოვანი პირობაა, რომ სახელმწიფოს განზრახვა, პირდაპირ თქვას უარი სახელმწიფო იმუნიტეტზე, იყოს ცხადი, კონკრეტული და აშკარა.²¹¹

საქმე უფრო რთულადაა სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმასთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ FSIA არ განმარტავს თუ რას მოიაზრებს სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის ქვეშ.²¹² შედეგად, აშშ-ის სასამართლოები გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებენ FSIA-ს საკანონმდებლო ისტორიის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევი უარი შეიძლება გამოვლინდეს მაშინ,

²⁰⁷ Stacie I Strong, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereign States or State Agencies' (2006) 26(2) Northwestern Journal of International Law & Business 335, 349.

²⁰⁸ Yang (სქ. 89) 319.

²⁰⁹ Stewart (სქ. 193) 42.

²¹⁰ *World Wide Minerals Ltd v Republic of Kazakhstan* 296 F3d 1154, 1162 (DC Cir 2002).

²¹¹ *Aquamar SA v Del Monte Fresh Produce NA Inc* 179 F3d 1279, 1292 (11th Cir 1999); იხ. ასევე *Libra Bank Ltd v Banco Nacional de Costa Rica SA* 676 F2d 47,49 (2nd Cir 1982).

²¹² Yang (სქ. 89) 324.

როდესაც: 1) უცხო სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა სხვა ქვეყანაში საარბიტრაჟო განხილვაზე, 2) უცხო სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედ სამართლად კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევის თაობაზე, 3) უცხო სახელმწიფომ წარადგინა შეგებებული სარჩელი სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლების განხორციელების გარეშე.²¹³

საკანონმდებლო ისტორიის განმარტებამ პრობლემები წარმოქმნა აშშ-ის სასამართლოებში უცხო სახელმწიფოს მიერ იმუნიტეტზე ნაგულისხმევი უარის საკითხის განხილვისას. აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, „სხვა სახელმწიფოში არბიტრაჟზე თანხმობასა“ და „სხვა ქვეყნის სამართლის“ არჩევაში იგულისხმება ნებისმიერი სახელმწიფო და ნებისმიერი სახელმწიფოს სამართალი აშშ-ის ჩათვლით, თუ მხოლოდ აშშ და აშშ-ის კანონმდებლობა.²¹⁴

როგორც წესი, აშშ-ის სასამართლოები საკანონმდებლო ისტორიის მიერ შემოთავაზებულ ზემოხსენებულ მაგალითებს ისევე, როგორც FSIA-ს იმუნიტეტზე უარის თქმის ნორმას, ვიწროდ განმარტავენ.²¹⁵ კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ FSIA-ს 1605(a)(1) მუხლით პირდაპირ არ არის მოცემული მოთხოვნა აშშ-თან იურისდიქციულ კავშირზე, აღნიშნული ნორმა სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა აშშ-ში ხორციელდება, ან მხარეებმა მოქმედ სამართლად აირჩიეს აშშ-ის სამართალი.²¹⁶ ნაგულისხმევად უარის თქმისას მნიშვნელოვანია ჩანდეს უცხო სახელმწიფოს განზრახვა, დაექვემდებაროს აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციას.²¹⁷ ამ მხრივ, საინტერესოა საქმე *Libyan American Oil Company (LIAMCO) v Socialist People's*

²¹³ House Report. Rep. No 1487, 941 Cong., 2nd Session 12, ხელახლა დაბეჭდილი 1976 US Code Congo & Admin. News 6615-16; იხ. ასევე Stewart (სქ. 193) 42-43.

²¹⁴ Chamlongrasdr (სქ. 200) 129-142.

²¹⁵ *Frolova v Union of Soviet Socialist Republics* 761 F2d 370, 377 (7th Cir. 1985).

²¹⁶ იხ. *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (1980) 488 F Supp 1284 SDNY, *aff'd* on other grounds, 647 F2d 320 (2nd Cir 1981), *rev'd*, 103 S Ct 1962 (1983); *Ohntrup v Firearms Center Inc* (1981) 516 F Supp 1281 ED Pa; *Chicago Bridge & Iron & Co v Islamic Republic of Iran* 506 F Supp 981 (DC III 1980) 987-88.

²¹⁷ Richard J Oparil, 'Waiver of Sovereign Immunity in the United States and Great Britain by and Arbitration Agreement' (1986) 3 Journal of International Arbitration 61, 75.

*Libyan Arab Jamahiriya*²¹⁸ (შემდგომ – *LIAMCO*), სადაც აშშ-ის საოლქო სასამართლომ არ დაუქვემდებარა ლიბია იმუნიტეტით დაცვას იმ არგუმენტით, რომ ლიბიის თანხმობა, რომ საჭიროების შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილმდებარეობა განისაზღვრებოდა მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრების გადაწყვეტილებით, მოიაზრებდა ლიბიის თანხმობას აშშ-ში შესაძლო საარბიტრაჟო განხილვაზე და შესაბამისად, შეადგენდა იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში, აშშ არ იყო დასახელებული არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოდ და საარბიტრაჟო განხილვა რეალურად განხორციელდა შვეიცარიაში.²¹⁹

აღნიშნული დასაბუთება და საკანონმდებლო ისტორიის ასეთი ინტერპრეტაცია გაკრიტიკებული იქნა აშშ-ის ნაწილი მოსამართლეების მიერ იმ საფუძველით, რომ აშშ-ის ნორმის ასეთი ფართო განმარტება გამოიწვევდა არასასურველ შედეგებს, რადგან არ შეიძლებოდა, რომ უცხო სახელმწიფო, რომელიც დებს ხელშეკრულებას კერძო პირთან აშშ-ის გარეთ სხვა ქვეყანაში და ირჩევს მოქმედ სამართლად სხვა ქვეყნის სამართალს, იყოს პასუხისმგებელი აშშ-ის სასამართლოების წინაშე მასთან რაიმე იურისდიქციული კავშირის გარეშე.²²⁰ *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან, ნიდერლანდურ კორპორაციასა და ნიგერიის სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება რეგულირდებოდა ნიდერლანდების სამეფოს სამართლით და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა მოგვარებულიყო საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის მიერ პარიზში, მხარეები ხელშეკრულების დადებისას წინასწარ ვერ განსაზღვრავდნენ, რომ ისინი შეიძლება აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციას დაქვემდებარებოდნენ.²²¹ შესაბამისად, აღნიშნული

²¹⁸ *Libyan American Oil Company (LIAMCO) v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 482 F Supp 1175 (DC Cir 1980).

²¹⁹ იქვე. საბოლოოდ საქმისწარმოება შეწყდა სახელმწიფო დოქტრინის შესახებ აქტის (US Act of State Doctrine) თანახმად, რადგან სასამართლოს დადგენილებით დავის საგანი – *LIAMCO*-ს აქტივების ნაციონალიზაცია, სახელმწიფო აქტი იყო და შეადგენდა დავის საგანს, რომელიც აღსრულებას არ ექვემდებარებოდა აშშ-ის სამართლის თანახმად, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად. იხ. O' brien (სქ. 92) 355-57.

²²⁰ იხ. *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (სქ. 216); *Ohntrup v Firearms Center Inc* (1981) 516 F Supp 1281 ED Pa (სქ. 216).

²²¹ *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (სქ. 216).

არ მიიჩნეოდა ნიგერიის სახელმწიფოს მიერ აშშ-ის სასამართლოების წინაშე სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად.²²²

ვითარება იცვლება, როდესაც საქმე შეეხება აშშ-ის გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აშშ-ში ცნობასა და აღსრულებას იმ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, რომლის წევრიცაა მოპასუხე უცხო სახელმწიფო. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ საქმეში მონაწილე ყველა სახელმწიფო უნდა იყოს აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო.²²³

*Ipirade International SA v Federal Republic of Nigeria*²²⁴ (შემდგომ – *Ipirade*) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც სასამართლომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება შეაფასა იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად და წარმოებაში მიიღო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმე.²²⁵ სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება: იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო ისტორიის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ან სხვა სახელმწიფოს სამართლის ხელშეკრულების მოქმედ სამართლად არჩევა შეადგენს იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას, ნიგერიის რესპუბლიკის შეთანხმება მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა დავის შვეიცარიის სამართლით საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების შესაბამისად არბიტრაჟში გადაჭრის თაობაზე, FSIA-ს მიხედვით შეადგენს ნიგერიის მიერ სუვერენულ იმუნიტეტზე უარის თქმას.²²⁶ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ნიუ-იორკის კონვენცია, რომლის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ნიგერია, საფრანგეთი, შვეიცარია და აშშ. რადგან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები არ

²²² Chamlongrasdr (სქ. 200) 132. იგივე მიდგომა გაიზიარა სასამართლომ შემდეგ საქმეზე: *Maritime Ventures Intl Inc v Caribbean Trading & Fidelity Ltd* 689 f Supp 1340 (SDNY 1988).

²²³ Yang (სქ. 89) 325.

²²⁴ *Ipirade International SA v Federal Republic of Nigeria* 465 F Supp 824 (DDC 1978)

²²⁵ იქვე.

²²⁶ იქვე. იხ. ასევე O' brien (სქ. 92) 350-53.

არსებობს, მოსარჩელის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.²²⁷

აშშ-ის სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას მოჰყვა მრავალი სპეკულაციური კომენტარი და აშშ-ის სასამართლოების არაერთგვაროვანი ანალიზი იურისდიქციულ იმუნიტეტზე უარის თქმის საკითხის განხილვისას.²²⁸ მართალია, აშშ-ის სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ნიგერია ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფო იყო, მაგრამ არ განუმარტავს, ჰქონდა თუ არა ამ ფაქტს კავშირი აშშ-ის სასამართლოს წინაშე იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის დადგენის საკითხთან.²²⁹ მიუხედავად ამისა, *Ipirtrade* შეიძლება მიჩნეულ იქნას საქმედ, რომელზეც აშშ-ის სასამართლომ საგნობრივი განსჯადობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე სწორედ ნიუ-იორკის კონვენციის საფუძველზე დაადგინა.²³⁰ აშშ-ის სასამართლოს აზრით, ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერით, ნიგერიამ ნათლად გაითვალისწინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერ ქვეყნებში ცნობისა და აღსრულების შესაძლებლობა. შედეგად, ნიგერიამ ნაგულისხმევად უარი თქვა სახელმწიფო იმუნიტეტზე, რაც მოიაზრებდა ასევე ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად ნიგერიის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე ნიუ-იორკის კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნის სასამართლოს საგნობრივი განსჯადობის დადგენას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგიერთი სასამართლოსა და კომენტატორის მოსაზრება. კერძოდ, საქმეზე *Ohntrup v Firearms Center Inc* (შემდგომში – *Ohntrup*) სასამართლომ არ უარყო *Ipirtrade*-ზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება, მაგრამ აღნიშნა, რომ *Ipirtrade*-ის პრეცედენტი ვერ გავრცელდებოდა *Ohntrup*-ზე, რადგან ამ ორ საქმეში ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდებოდა.²³¹ სახელდობრ, საქმეში *Ohntrup* მოსარჩელე მოითხოვდა დავის არსებით განხილვას და

²²⁷ *Ipirtrade* (სქ. 224).

²²⁸ O' brien (სქ. 92) 352.

²²⁹ George Kahale, Arbitration and Choice-of law Clauses as Waivers of Jurisdictional Immunity' (1981) 14 New York University International Law and Policy 29, 40, 46-47.

²³⁰ Chamlongrasdr (სქ. 200) 136.

²³¹ *Ohntrup v Firearms Center Inc* (სქ. 220).

არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას და ამტკიცებდა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, თურქეთის რესპუბლიკამ ნაგულისხმევად უარი თქვა სახელმწიფო იმუნიტეტზე FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის შესაბამისად მაშინ, როცა საქმეში *Ipirtrade* საოლქო სასამართლოს საქმე წარედგინა არა იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად (რადგან დავა უკვე განხილული იყო საარბიტრაჟო წესით), არამედ სასამართლოს უნდა განეხილა უკვე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად აღსრულების საკითხი მაშინ, როცა საქმის ყველა მხარე ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო იყო.²³² შესაბამისად, ისეთი საქმეები როგორცაა *Ohntrup, Verlinden BV v Central Bank of Nigeria*²³³ და *Chicago Bridge & Iron & Co v Islamic Republic of Iran*²³⁴ განსხვავებით ისეთი საქმეებისგან, როგორცაა - *Ipirtrade* და *LIAMCO*, არ უკავშირდებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას და მიმართული იყო მხოლოდ სასამართლოს იურისდიქციის მოპოვებისკენ დავის არსებითად გადაწყვეტის მიზნით. ამიტომაც, ამ საქმეებზე გამოთქმული მოსაზრება იურისდიქციული კავშირის თაობაზე, ვერ გახდებოდა პრეცედენტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.²³⁵

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, საქმეზე *Seetransport Wiking Trader Schiffartgesellschaft MBH & Co v Navimpex Centrala Navala*²³⁶ (შემდგომ – *Seetransport*), სადაც აშშ-ის სასამართლოში გემის გერმანელი მესაკუთრის მიერ შეტანილ იქნა სარჩელი რუმინული გემთმშენებელი კომპანიის წინააღმდეგ საფრანგეთში ფრანგული სამართლის მიხედვით საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით, მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტზე უარი ეთქვა ნიუ-იორკის კონვენციისა და FSIA-ს

²³² Chamlongrasdr (სქ. 200) 132-33.

²³³ *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (სქ. 216).

²³⁴ *Chicago Bridge & Iron & Co v Islamic Republic of Iran* (სქ. 216).

²³⁵ Christoph H Schreuer, *State Immunity: Some Recent Developments* (Cambridge: Grotious Publications Limited 1988) 67.

²³⁶ *Seetransport Wiking Trader Schiffartgesellschaft MBH & Co v Navimpex Centrala Navala* 989 F 2 d 572 (2nd Cir 1993).

1605(a)(1) მუხლის ერთობლივი მოქმედების საფუძველზე.²³⁷ იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რეგულირდებოდა ნიუ-იორკის კონვენციით და საფრანგეთი, რუმინეთი და აშშ იყვნენ ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერით, ნიუ-იორკის კონვენციის პირველი და მე-3 მუხლების თანახმად, სახელმწიფო ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესის წარმართვის შესაძლებლობას ნიუ-იორკის კონვენციის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებში.²³⁸ ცხადია, ნიუ-იორკის კონვენცია მოიაზრებს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების ორმხრივ ვალდებულებას ცნონ და აღასრულონ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები.²³⁹ შესაბამისად, სახეზეა უცხო სახელმწიფოს ნაგულისხმევი განზრახვა უარი თქვას იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნიუ-იორკის კონვენციის წევრი ქვეყნების სასამართლოებში.

ნიუ-იორკის კონვენციის გარდა, ICSID კონვენციის 54-ე მუხლიც, რომელიც ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ცნონ და აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ქონებრივი ვალდებულებები ისე, როგორც აღასრულებდნენ საკუთარ სახელმწიფოში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებს,²⁴⁰ მიიჩნევა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად.²⁴¹ საქმეზე *LETCO v Government of Republic of Liberia*²⁴² (შემდგომ - *LETCO*), ლიბერიამ ფრანგულ კორპორაციასთან დადო კონცესიის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალურ დებულებას, რომ ნებისმიერი დავა გადაწყდებოდა ICSID კონვენციის საარბიტრაჟო ნორმებისა და მისი სააღსრულებო დებულებების შესაბამისად.²⁴³ საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ლიბიამ, როგორც ICSID კონვენციის ხელშემკვრელმა ქვეყანამ, ნაგულისხმევად უარი თქვა იმუნიტეტზე

²³⁷Yang (სქ. 89) 326.

²³⁸ იქვე; იხ. ასევე ნიუ-იორკის კონვენცია, პირველი და მე-3 მუხლები.

²³⁹ George R Delaume, 'Judicial Decisions Related to Sovereign Immunity and Transnational Arbitration' (1987) 2(2) ICSID Review 403, 410.

²⁴⁰ ICSID კონვენცია, 54-ე მუხლი.

²⁴¹ Yang (სქ. 89) 327.

²⁴² *Liberian Eastern Timber Corporation (LETCO) v Republic of Liberia* 650 F Supp 73 (SDNY 1986), 2 ICSID Reports 367/8.

²⁴³ Yang (სქ. 89) 327.

აშშ-ში ICSID კონვენციის თანახმად მიღებული ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რადგანაც აშშ ICSID კონვენციის წევრი ქვეყანაა და ICSID არბიტრაჟზე თანხმობით ლიბია ითვალისწინებდა აშშ-ის სასამართლოების მონაწილეობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.²⁴⁴

აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სასამართლოებმა, რიგ შემთხვევაში, შეიძლება არ მიიჩნიონ იურისდიქციულ იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად ICSID კონვენციის შესაბამისად არბიტრაჟის წარმოების თაობაზე საარბიტრაჟო შეთანხმება. ამ მხრივ, საინტერესოა *MINE v Republic of Guinea*²⁴⁵ (შემდგომ - *MINE*) საქმე, რომელიც ICSID კონვენციის თანახმად განიხილებოდა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში, ვაშინგტონში, აშშ-ში. აღნიშნულ საქმეზე აშშ-ის საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო დათქმა ICSID კონვენციის გამოყენების თაობაზე საკანონმდებლო ისტორიის თანახმად, მიიჩნეოდა იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად.²⁴⁶ თუმცა, აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ უარყო აღნიშნული მოსაზრება იმ მოტივით, რომ ICSID არბიტრაჟზე შეთანხმება თავისთავად არ გულისხმობდა, რომ მხარეები ითვალისწინებდნენ აშშ-ის სასამართლოების მონაწილეობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ სასამართლო წარმოებაში მხოლოდ იმიტომ, რომ საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი ვაშინგტონში მდებარეობს.²⁴⁷ შესაბამისად, აღნიშნული საარბიტრაჟო დათქმა ვერ მიიჩნეოდა იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად.²⁴⁸

აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა გადაწყვეტილება ICSID კონვენციის თანახმად არბიტრაჟის თაობაზე არ წარმოადგენდა „სხვა ქვეყანაში არბიტრაჟის შესახებ შეთანხმებას“, რომელიც არის FSIA-ს შესაბამისად იმუნიტეტზე უარის თქმის საფუძველი.²⁴⁹ აშშ-ის სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას მოჰყვა კრიტიკა ICSID კონვენციის მცდარი

²⁴⁴ *LETCO* (სქ. 242), შუად. *MINE v Republic of Guinea* 693 F2 d 1094 (DC Cir 1982).

²⁴⁵ *MINE v Republic of Guinea* 693 F2 d 1094 (DC Cir 1982).

²⁴⁶ იქვე.

²⁴⁷ *Chamlongrasdr* (სქ. 200) 134.

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ იქვე.

ინტერპრეტაციის არგუმენტით. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა იმ აზრს, რომ მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ უცხო სახელმწიფომ აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად თქვა უარი.²⁵⁰

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის შესაბამისად იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის გამონაკლისის ვიწრო განმარტებით, აუცილებელია, რომ საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს აშშ-ში ან ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად აშშ-ის კანონმდებლობა იყოს განსაზღვრული.²⁵¹ ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას უცხო სახელმწიფო გონივრულად ითვალისწინებდეს, ჭკრეტდეს აშშ-ის სასამართლოების შესაძლო მონაწილეობას არბიტრაჟთან დაკავშირებულ, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმისწარმოებაში.²⁵² უნდა არსებობდეს მტკიცე არგუმენტი იმისა, რომ უცხო სახელმწიფოს განზრახული აქვს დაექვემდებაროს აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.²⁵³ განზრახვა, სიცხადე და კონკრეტულობა არის ის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება იმუნიტეტზე უარი პირდაპირია თუ ნაგულისხმევი.²⁵⁴

რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მართალია, იმუნიტეტზე უარის თქმის ნორმა უნდა ვიწროდ განიმარტოს, მაგრამ აშშ-ის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შეადგენს იმუნიტეტზე ნაგულისხმევ უარს, როდესაც უცხო სახელმწიფო არის იმ საერთაშორისო კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების

²⁵⁰ Joseph W Dellapenna, *Suing Foreign Governments and their Corporations* (2nd edn, Transnational Publishers 2003) 461.

²⁵¹ Yang (ს.კ. 89) 327-29.

²⁵² Chamlongrasdr (ს.კ. 200) 133-35.

²⁵³ Yang (ს.კ. 89) 333.

²⁵⁴ იქვე, 342.

სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში აღსრულებას.²⁵⁵ თუმცა, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე აშშ-ის სასამართლოების მიერ საგნობრივი განსჯადობის დასადგენად აუცილებელია, რომ პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანა იყოს აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო.²⁵⁶

ამის საპირისპიროდ, შემთხვევა, როდესაც მოპასუხე უცხო სახელმწიფო არ არის წევრი იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც ავალდებულებს მხარეებს საარბიტრაჟო შეთანხმების ან გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, არ მიიჩნევა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო მხარის წარმოშობის სახელმწიფო, არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სახელმწიფო და აშშ-იც შეიძლება იყოს ამ საერთაშორისო კონვენციის ხელშემკვრელი მხარე. რადგან არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთ შემთხვევაში უცხო სახელმწიფო საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას ითვალისწინებდა, რომ იგი აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციას დაექვემდებარებოდა.²⁵⁷ შედეგად, FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, მოპასუხე უცხო სახელმწიფო იყოს იმ საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერი მხარე, რომლითაც რეგულირდება არბიტრაჟი ან/და აღსრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.²⁵⁸

²⁵⁵ Andreas A Frischknecht and Gretta Walters, 'Post Recognition Enforcement' in Andreas A Frischknecht, Yasmine Lahlou and others, *Enforcement of Foreign Arbitral Awards and Judgments in New York* (Kluwer Law International 2018) 316.

²⁵⁶ Chamlongrasdr (სქ. 200) 141-42.

²⁵⁷ იქვე, 141.

²⁵⁸ იქვე. საქმეზე *Creighton Limited v Qatar* 181 F 3d 118 (DC Cir 1999) მოპასუხე ითხოვდა აშშ-ის საოქლო სასამართლოში საფრანგეთში საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ ყატარის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლომ უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ ყატარი არ იყო ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო და შესაბამისად, მხოლოდ მისი თანხმობა საარბიტრაჟო წარმოებაზე საფრანგეთში, რომელიც ნიუ-იორკის ხელმომწერი სახელმწიფოა, არ მიიჩნეოდა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევ უარის თქმად. თუმცა, სასამართლომ მაინც დაადგინა ამ საქმეზე საგნობრივი განსჯადობა FSIA-ს 1605(a)(6) მუხლის საფუძველზე, რითაც ხაზი გაუსვა მოსაზრებას, რომ ნიუ-იორკის კონვენცია არის სწორედ ის კონვენცია, რომლის შეტანასაც კონგრესი მიზნად ისახავდა საარბიტრაჟო გამონაკლისის პუნქტში.

1.1.4. საარბიტრაჟო გამონაკლისი

ერთი მხრივ, საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და არაერთგვაროვანი მიდგომის გადასაჭრელად და მეორე მხრივ, აშშ-ის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, 1988 წელს FSIA-ს დამატა საარბიტრაჟო გამონაკლისის ქვეპუნქტი.²⁵⁹ აღნიშნული ნორმით კონგრესმა გამორიცხა სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის შესაძლებლობა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ყველა იმ სასამართლო პროცესიდან, რომელიც ემყარება საარბიტრაჟო შეთანხმებას და მიმართულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებისკენ, საარბიტრაჟო გამონაკლისით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.²⁶⁰ შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს განზრახვასა და იმუნიტეტზე უარის თქმაზე მსჯელობამ აზრი დაკარგა.²⁶¹

FSIA-ს 1605(a)(6) მუხლით განსაზღვრული საარბიტრაჟო გამონაკლისის პირველი ნაწილი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოდ აშშ-ის განსაზღვრა საკმარისია აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციის დასადგენად და რომ საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებასა ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაზე არ გავრცელდება იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი, მიუხედავად იმისა, საარბიტრაჟო განხილვა რეალურად წარიმართება თუ არა აშშ-ში.²⁶² გამონაკლისის მეორე მოთხოვნა შეეხება იმ საარბიტრაჟო შეთანხმებების აღსრულებასა და იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დადასტურებას, რომლებიც რეგულირდება აშშ-ისთვის მოქმედი იმ საერთაშორისო კონვენციებით, რომლებიც მოითხოვენ საარბიტრაჟო

²⁵⁹ იქვე, 127.

²⁶⁰ Dellapenna (სქ. 250) 461.

²⁶¹ იქვე.

²⁶² Andrew Dickinson, Rae Lindsay and James P Loonam, *State Immunity: Selected Materials and Commentary* (Oxford University Press 2004) 270. იხ. ასევე FSIA, 1605 (a)(6)(A) მუხლი.

გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას.²⁶³ ეს კონვენციებია: ნიუ-იორკის კონვენცია, პანამის კონვენცია, ICSID კონვენცია.²⁶⁴ საარბიტრაჟო გამონაკლისი ასევე უტოვებს მოსარჩელეს უფლებამოსილებას მოთხოვნა დააფუძნოს FSIA-ს 1605(a)(1) მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის ზოგად გამონაკლისზე.²⁶⁵

შედეგად, საარბიტრაჟო გამონაკლისის შემოღებით, მოპასუხე უცხო სახელმწიფოს შეიძლება მაინც ეთქვას უარი იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე და აშშ-ის სასამართლოებში მის მიმართ დადგინდეს საგნობრივი განსჯადობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე, თუ უცხო სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა არბიტრაჟზე და საარბიტრაჟო შეთანხმება ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რეგულირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული იმ საერთაშორისო კონვენციით, რომლის მხარეც არის აშშ, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე უცხო სახელმწიფო აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო შეიძლება არ იყოს.²⁶⁶ საქმე *Creighton Ltd v Qatar*²⁶⁷ საინტერესოა სწორედ ამ თვალსაზრისით, რომ ყატარის წინააღმდეგ საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის განხილვისას, აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ყატარზე საგნობრივი განსჯადობა სწორედ FSIA-ს 1605(a)(6)(B) მუხლის

²⁶³ FSIA, 1605(a)(6)(B) მუხლი.

²⁶⁴ Frischeknecht and Walters (სქ. 255) 317. იხ. ასევე *Blue Ridge Invs LLC v Republic of Argentina* (2012) 902 F Supp 2d 367 SDNY, aff'd, 735 F.3d 72 (2d Cir. 2013) (აღნიშნულ საქმეზე aS-s saapelacio სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გამონაკლისით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაა); *S&R Davis International v The Republic of Yemen* 218 F 3d, 1292 at 1301-1302 (II Cir. 2000) (იურისდიქციისგან იმუნიტეტიდან საარბიტრაჟო გამონაკლისის ნიუ-იორკის კონვენციის საფუძველზე დადგენა); *DRC Inc v Republic of Hond* 71 F Supp 3d 201, 208 (DDC 2014) (აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ პანამის კონვენცია მოიაზრებოდა FSIA-ს 1605(a)(6) მუხლის ქვეშ).

²⁶⁵ FSIA, 1605(a)(6)(D) მუხლი. ყურადსაღებია, რომ FSIA-ს 1605(a)(1) მუხლითა და 1605(a)(6) მუხლით განსაზღვრული იმუნიტეტიდან გამონაკლისები უცხო სახელმწიფოსთვის სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის დამოუკიდებელი საფუძველებია. საქმეზე *Creighton Limited v Qatar* 181 F 3d 118 (DC Cir 1999) 126 სასამართლომ დაადგინა, რომ FSIA-ს 1605(a)(1) მუხლი და 1605(a)(6) მუხლი იურისდიქციისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისის სხვადასხვა საფუძველებს წარმოადგენენ. იხ. Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 270.

²⁶⁶ Yang (სქ. 89) 326-27.

²⁶⁷ *Creighton Ltd v Qatar* 181 F 3d 118 (DC Cir 1999).

საფუძველზე იმ მოტივით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება რეგულირდებოდა აშშ-ისთვის მოქმედი საერთაშორისო კონვენციით, კერძოდ, ნიუ-იორკის კონვენციით, და არა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის საფუძველზე, იმ არგუმენტით, რომ ყატარი არ იყო ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო.²⁶⁸

საარბიტრაჟო გამონაკლისი ფართოდ გამოიყენება აშშ-ის სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმის განხილვისას.²⁶⁹ ამ მხრივ, საინტერესოა, საქმეები: *Chevron Corp v Republic of Ecuador*²⁷⁰ (შემდგომ - *Chevron Corp*), *Belize Social Development Ltd v Government of Belize*²⁷¹ (შემდგომ - *Belize*) და *Blue Ridge Investments LLC v Republic of Argentina*²⁷² (შემდგომ - *Blue Ridge*). სამივე საქმეზე აშშ-ის სასამართლომ დაადგინა უცხო სახელმწიფოზე საგნობრივი განსჯადობა და უარი უთხრა მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვაზე FSIA-თ გათვალისწინებული საარბიტრაჟო გამონაკლისის საფუძველზე.²⁷³ საქმეზე *Chevron Corp* აშშ-ის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა აშშ-ეკვადორს შორის ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების საფუძველზე წარმოებული არბიტრაჟის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად აშშ-ში ცნობისა და აღსრულების მოთხოვნა, იმ არგუმენტით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი იყო: ა) ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფდა საარბიტრაჟო განხილვას, ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რეგულირდებოდა ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, და გ) ნიუ-იორკის კონვენცია იყო ზუსტად ის კონვენცია, რომლის ჩართვასაც კონგრესი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო გამონაკლისში.²⁷⁴

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ *Blue Ridge Investments LLC v Republic of Argentina* 735 F3d, 75-76; *Chevron Corp v Republic of Ecuador* 949 F Supp 2d 57, 60 (DDC 2013); *Belize Social Development Ltd v Government of Belize* 5 F Supp 3d 25, 29-30 (DDC 2013), aff'd 794 F 3d 99 (DC Cir 2015).

²⁷⁰ *Chevron Corp v Republic of Ecuador* 949 F Supp 2d 57, 60 (DDC 2013).

²⁷¹ *Belize Social Development Ltd v Government of Belize* 5 F Supp 3d 25, 29-30 (DDC 2013), aff'd 794 F 3d 99 (DC Cir 2015).

²⁷² *Blue Ridge Investments LLC v Republic of Argentina* 735 F3d, 75-76.

²⁷³ *Chevron Corp v Republic of Ecuador* (სქ. 270); *Belize Social Development Ltd v Government of Belize* (სქ. 271).

²⁷⁴ *Chevron Corp v Republic of Ecuador* (სქ. 270).

საქმეზე *Belize* აშშ-ის სასამართლომ ბელიზის სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო არბიტრაჟის ლონდონის სასამართლოს მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ბელიზი ვერ ისარგებლებდა იურისდიქციისგან იმუნიტეტით FSIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისის საფუძველზე, რადგან აშშ და არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სახელმწიფო – ინგლისი, ორივე ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები იყვნენ, შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნიუ-იორკის კონვენციით რეგულირდებოდა და FSIA-ს 1605(a)(6)(b) მუხლის მიზნებისთვის, ბელიზის მიმართებას კონვენციასთან აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.²⁷⁵

საქმეზე *Blue Ridge* აშშ-ის სასამართლომ დაადგინა საგნობრივი განსჯადობა, როგორც FSIA-ს 1605(a)(1), ისე FSIA-ს 1605(a)(6)(B) მუხლის საფუძველზე.²⁷⁶ რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებული იქნა არგენტინის წინააღმდეგ ICSID კონვენციის თანახმად, ხოლო აშშ და არგენტინა ორივე ICSID კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები იყვნენ, არგენტინის თანხმობა, რომ დავა ICSID არბიტრაჟით განხილულიყო, სასამართლომ მიიჩნია როგორც არგენტინის მიერ იმუნიტეტზე უარის თქმად, ისე საარბიტრაჟო გამონაკლისის გამოყენების საფუძველად.²⁷⁷

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის სასამართლოების მიერ აშშ-ისთვის მოქმედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების და განსაკუთრებით, ნიუ-იორკის კონვენციის, ეფექტიან გამოყენებას იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საკითხის განხილვისას უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში.²⁷⁸

²⁷⁵ *Belize Social Development Ltd v Government of Belize* (სქ. 271).

²⁷⁶ *Blue Ridge Investments LLC v Republic of Argentina* (სქ. 272).

²⁷⁷ იქვე.

²⁷⁸ Karen Halverson, 'Is a Foreign State a 'Person'? Does it Matter? Personal Jurisdiction, Due Process, and the Foreign Sovereign Immunities Act' (2001) 34 *New York University Journal of International Law & Policy* 115, 123; Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 318. თუმცა მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისი გამოიყენება მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების მოთხოვნის შემთხვევაში და არა, მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისას. იხ. *Dickinson, Lindsay and Loonam* (სქ. 262) 269.

1.1.5. პირადი განსჯადობა და არბიტრაჟი FSIA-ს მიღების შემდეგ

აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, აშშ-ის სასამართლოებმა განსახილველ საქმეზე საგნობრივ განსჯადობასთან (*ratione materiae*) ერთად უნდა დაადგინონ პიროვნული განსჯადობა (*ratione personae*) მოპასუხეზე.²⁷⁹

პიროვნული განსჯადობა, საგნობრივი განსჯადობისგან განსხვავებით (რომელიც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, განიხილოს განსაზღვრული სახის საქმეები), მოიცავს სასამართლოს უფლებამოსილებას, განიხილოს სარჩელი კონრეტული მოპასუხის წინააღმდეგ და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც აღსრულებადი იქნება მოპასუხისა და მისი ქონების წინააღმდეგ.²⁸⁰

აშშ-ის სასამართლოთა მიერ მოპასუხეზე პიროვნული განსჯადობის დადგენა კონსტიტუციური მოთხოვნაა, გამომდინარეობს სამართლიანი პროცესის

²⁷⁹ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 316.

²⁸⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 242. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი და პიროვნული განსჯადობები გაიმიჯნოს *forum non conveniens*-ის პროცესუალურ დოქტრინისგან, რომელიც მცდარი მსჯელობის საფუძველზე გამოყენებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილებაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების საქმეზე, რაც ბოლო პერიოდში აშშ-ში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ბარიერად იქცა. აღნიშნული დოქტრინა აშშ-ის სასამართლოებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, უარი თქვან საქმის არსებით განხილვაზე, თუ სხვა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უფრო მიზანშეწონილია. ხსენებული დაცვის საშუალება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით აშშ-ში პირველად გამოყენებული იქნა 2002 წელს საქმეზე *Monde Re v NAK Naftogaz and State of Ukraine*, რომელზეც რუსეთის ან უკრაინის სასამართლოების ნაცვლად, რუსეთის ნავთობის კომპანია გაზპრომის სადაზღვევო კომპანიამ Monde Re, უკრაინული უკრგაზპრომის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის მიმართა ნიუ-იორკის საოლქო სასამართლოს და მოპასუხეებად დაასახელა უკრგაზპრომი და უკრაინის სახელმწიფო. თუმცა, აშშ-ის როგორც საოლქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უარი თქვეს მოსკოვის არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმის განხილვაზე იმ საფუძველით, რომ სისწრაფის, ნაკლები ხარჯისა და სიმარტივის გამო, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა უკრაინის სასამართლოებს განეხილა აღნიშნული საკითხი. აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოსარჩელის არგუმენტი, რომ უკრაინის სასამართლო მიკერძოებული იქნებოდა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმის განხილვისას. *Monde Re*-ს პრეცედენტმა გაამყარა აშშ-ში *forum non conveniens*-ის საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის პრაქტიკა. თუმცა ეს არ უნდა იყოს ბარიერი უმრავლესობა კერძო მხარეებისათვის, რომლებიც მიმართავენ აშშ-ის სასამართლოებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მოთხოვნით აშშ-ში უცხო სახელმწიფოს აქტივების მდებარეობის გამო. იხ. *Monde Re v NAK Naftogaz and State of Ukraine* 311 F 3d 488 (2nd Cir 2002), *Termorio SAESP v Elcetrificadora del Atlantico* 421 F Supp 2d 87 (DDC 2006); Edward G Kehoe, 'The Enforcement of Arbitral Awards against Foreign Sovereigns – The United States' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 360-63.

პრინციპიდან²⁸¹ და ითვალისწინებს რა მოპასუხის „მინიმალური კავშირის“ არსებობას სასამართლოს სახელმწიფოსთან, მიზნად ისახავს, არარეზიდენტი მოპასუხის დაცვას უცხო სახელმწიფოს შესაძლო არაგანსჯადი სასამართლოს დაქვემდებარებისგან.²⁸² კერძოდ, აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებებით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის პრინციპის თანახმად, პიროვნული განსჯადობა შეიძლება დადგინდეს, როდესაც გარემოებების ხარისხისა და ბუნების გათვალისწინებით, არარეზიდენტი მოპასუხეს აქვს „მინიმალური კავშირი“ ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ისე, რომ სარჩელის აღძვრა არ დაარღვევს „კეთილსინდისიერებისა და არსებითი მართლმსაჯულების ტრადიციულ გაგებას.“²⁸³

FSIA, თავის მხრივ, უცხო სახელმწიფოზე სასამართლოთა პიროვნულ განსჯადობას ადგენს მაშინ, როცა საგნობრივი განსჯადობაა სახეზე. კერძოდ, როდესაც უცხო სახელმწიფოზე არ ვრცელდება იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი FSIA-ს 1605-1607 მუხლების ან სხვა მოქმედი საერთაშორისო შეთანხმების თანახმად და სასამართლო შეტყობინება განხორციელებულია FSIA-თ დადგენილი წესით.²⁸⁴ აქედან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ მოპასუხე უცხო სახელმწიფოს მიმართ აღარ არის საჭირო აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებებით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის პრინციპის დაცვა.²⁸⁵ სამწუხაროდ, არც FSIA და არც მისი საკანონმდებლო ისტორია ცხადად არ განმარტავს ამ საკითხს, ხოლო

²⁸¹ 'Due Process'. იხ. ბექა ინჯია და ნათია ლაპიაშვილი, *არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი* (ლადო ჭანტურია და სხვები რედ., ზვიად კორძაძის გამომცემლობა 2016) 28.

²⁸² *International Shoe v Washington* 326 US 310 (1945). ამ საქმეზე აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ არ შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო გახდეს მხარეზე, რომელსაც არ აქვს კავშირი ამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან. იხ. *Chamlongrasdr* (სქ. 200) 145-146.

²⁸³ აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებები. მე-5 შესწორების თანახმად, არ შეიძლება არცერთი პირის სიცოცხლის, თავისუფლებისა ან ქონების ხელყოფა სამართლიანი პროცესის პრინციპის გარეშე. მე-14 შესწორების თანახმად, არცერთ შტატს არ აქვს უფლება ხელყოს პირის სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება, ან თავისი იურისდიქციის ფარგლებში უარი უთხრას ამ პირს კანონის წინაშე თანაბარ დაცვაზე. იხ. ასევე *International Shoe v Washington*. თავის მხრივ, პიროვნული განსჯადობა შეიძლება ზოგადი განსჯადობის ან განსაკუთრებული განსჯადობის სახით დადგინდეს. ზოგადი განსჯადობა სახეზეა, როდესაც მოპასუხეს აქვს „განგრძობადი და სისტემატიური“ ურთიერთობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან. იხ. *Perkins v Benguest Consol Mining Co* 342 US 437, 445-46 (1952). ხოლო განსაკუთრებული განსჯადობა არსებობს, როდესაც მოპასუხეს ნაკლები ურთიერთობა აქვს ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან, მაგრამ იგი პირდაპირ დაკავშირებულია დავასთან. იხ. *McGee v International Life Ins Co* 355 US 220, 223 (1957).

²⁸⁴ FSIA, 1330(a)(b) მუხლი.

²⁸⁵ *Fox and Webb, The Law of State Immunity* (სქ. 12) 242.

სასამართლოების მიერ განსხვავებული ინტერპრეტაციის შედეგად დამკვიდრდა საკითხისადმი არაერთგავროვანი მიდგომა.²⁸⁶

მოსამართლეთა ნაწილის აზრით, რადგან FSIA ითვალისწინებს პიროვნული განსჯადობის დადგენის წესს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის განხილვისას აღარ არის საჭირო აშშ-ის კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის პრინციპის საფუძველზე პიროვნული განსჯადობის დადგენა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გარემოებები აკმაყოფილებს FSIA-თ განსაზღვრულ საგნობრივ და პიროვნულ განსჯადობას.²⁸⁷ ეს პოზიცია გამყარებულია საკანონმდებლო ისტორიით, რომლის თანახმადაც იმუნიტეტიდან გამონაკლისებში გათვალისწინებული აშშ-თან იურისდიქციული კავშირის მოთხოვნით, FSIA-ში ინკორპორირებულია კონსტიტუციური მოთხოვნა სამართლიანი პროცესის პრინციპის დაცვისა²⁸⁸ და ეს გამონაკლისები თავიანთ თავში შეიცავენ „მინიმალური კავშირის“ კონცეფციას.²⁸⁹ თუმცა, საკანონმდებლო ისტორიის აღნიშნული განმარტება აშშ-ის რიგმა სასამართლოებმა მიიჩნია არადამაჯერებლად²⁹⁰ და არასაკმარისად ავტორიტეტულად,²⁹¹ რადგან, მათი აზრით, სტატუტის ნორმა ვერ შეცვლის კონსტიტუციით განსაზღვრულ მოთხოვნას.²⁹² შესაბამისად, მხოლოდ საგნობრივი განსჯადობის დადგენისა და სასამართლო შეტყობინების განხორციელების მოთხოვნის შესრულება არ არის საკმარისი პირობა უცხო სახელმწიფოზე პიროვნული განსჯადობის დასადგენად და აუცილებელია ასევე „მინიმალური კავშირის“ შემოწმება.²⁹³

²⁸⁶ იქვე, 245.

²⁸⁷ საქმეზე *Schaffer v Heitner* 433 US 186 (1977) წამოყენებული იყო მოსაზრება, რომ „მინიმალური კავშირის“ ტესტი უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის და არა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების წარმოებაში. ასევე საქმეზე *Creighton* მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ FSIA-თ განსაზღვრული გამონაკლისები აკმაყოფილებდა სამართლიანი პროცესის პრინციპით დადგენილ მოთხოვნებს. იხ. *Flatow v Iran* 999 F Supp 1 (DCDC1998) 253.

²⁸⁸ O' brien (სქ. 92) 346.

²⁸⁹ *Flatow v Iran* 999 F Supp 1 (DCDC1998) 253.

²⁹⁰ *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (სქ. 216).

²⁹¹ Strong (სქ. 207) 340. იხ. ასევე *Texas Trading & Milling Corp v Fed Republic of Nigeria* 647 F 2d 300, 313 (2nd Cir 1981), სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი 454 U.S. 1148 (1982).

²⁹² *Gilson v Ireland* 682 F 2d 1022 (DC Cir 1982)1028.

²⁹³ იქვე. იხ. ასევე *Texas Trading & Milling Corp v Fed Republic of Nigeria* (სქ. 291). იგივე მოსაზრება იყო წამოყენებული სასამართლოების მიერ საქმეებზე: *LIAMCO* (სქ. 218), *Foremost-McKessen Inc v Islamic*

მოსამართლეთა მიერ არაერთგვაროვანი მიდგომა ჩამოყალიბდა იმასთან დაკავშირებითაც, მიიჩნევა თუ არა სახელმწიფო „პირად“ კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისათვის.²⁹⁴ ბოლო პერიოდამდე აშშ-ის სასამართლოთა უმრავლესობა ამ კითხვას დადებითად პასუხობდა.²⁹⁵ თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ის უზენაეს სასამართლოს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ეს „უპირობო ვარაუდი“,²⁹⁶ უცხო სახელმწიფოთა სტატუსი კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში დღემდე ბუნდოვანი რჩება.²⁹⁷

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია რამდენიმე საქმე, რომლებიც მოგვიანებით პრეცედენტული გახდა უცხო სახელმწიფოს სტატუსის განსაზღვრისას. კერძოდ, 1981 წელს საქმეზე *Texas Trading v Federal Republic of Nigeria*²⁹⁸ (შემდგომ - *Texas Trading*) სასამართლომ უცხო სახელმწიფო მიიჩნია „პირად“ და გამოიყენა მინიმალური კავშირის ტესტი.²⁹⁹ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა აშშ-ის ბევრმა სასამართლომ, ნაწილმა სასამართლოებისა სადავო გახდა უცხო სახელმწიფოს აშშ-ის კონსტიტუციით განსაზღვრულ „პირად“ მიჩნევის საკითხი, რაც თავისთავად გამორიცხავდა უცხო სახელმწიფოს სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცვას.³⁰⁰ ეს გამოიწვია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1992 წლის გადაწყვეტილებამ საქმეზე *Republic of Argentina v Weltover Inc*³⁰¹ (შემდგომ - *Weltover*), სადაც უზენაესმა სასამართლომ წამოსწია, თუმცა არ დაუდგენია, უცხო სახელმწიფოს „პირად“ ყოფნის საკითხი სამართლიანი პროცესის პრინციპის ანალიზის მიზნებისთვის.³⁰² თავის

Republic of Iran 759 Supp 855 (DCDC 1991), *S&R Davis International v The Republic of Yemen* 218 F 3d, 1292 at 1301-1302 (II Cir. 2000)

²⁹⁴ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 320.

²⁹⁵ Chamlongrasdr (სქ. 200) 155-56.

²⁹⁶ *Creighton Ltd v Qatar* (სქ. 267) 125; *Republic of Argentina v Weltover Inc* (სქ. 186).

²⁹⁷ Chamlongrasdr (სქ. 200) 155-56.

²⁹⁸ *Texas Trading & Milling Corp v Fed Republic of Nigeria* (სქ. 291) 123-25.

²⁹⁹ Chamlongrasdr (სქ. 200) 156; იხ. ასევე Pauline Whittinghill Klyce Pennoyer, 'A New Frontera: Foreign Sovereign Immunity, Arbitral Awards and Waive Goodbye to Assets' (2010) 49 (1) Columbia Journal of Transnational Law 115, 123-125.

³⁰⁰ *S&R Davis International v The Republic of Yemen* 218 F 3d, 1292 at 1301-1302 (II Cir. 2000) 1303; *Creighton Ltd v Qatar* (სქ. 267) 124-25; იხ. ასევე Strong (სქ. 207) 341.

³⁰¹ *Republic of Argentina v Weltover Inc* (სქ. 186) 619.

³⁰² Christopher F Dugan and others, *Investor-state Arbitration* (Oxford University Press 2008) 100-01.

წინანდელ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ციტირების მიუხედავად, რომლის თანახმადაც აშშ-ის შტატები არ არიან „პირები“ სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის,³⁰³ საქმეზე *Weltover* აშშ-ის აუზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად იმაზე მსჯელობა, მიიჩნეოდა თუ არა უცხო სახელმწიფო „პირად“, რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე „მინიმალური კავშირის“ კონსტიტუციური მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო.³⁰⁴ თუმცა, აშშ-ის აუზენაესი სასამართლო თავისი მოსაზრების ფორმულირებით მიანიშნებდა, რომ უცხო სახელმწიფოზე სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცვა არ უნდა გავრცელებულიყო მომავალში, თუკი ასეთი საკითხი წამოიჭრებოდა.³⁰⁵

Weltover-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ აშშ-ის სასამართლოების ნაწილმა უარყო უცხო სახელმწიფოს „პირად“ მიჩნევის მიდგომა კონსტიტუციური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.³⁰⁶ ერთიანი მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით³⁰⁷ ისევე, როგორც არ არის დადგენილი, მიიჩნევა თუ არა სახელმწიფო ორგანო „პირად“ სამართლიანი პროცესის პრინციპის მოთხოვნის ფარგლებში.³⁰⁸

2002 წელს საქმეზე *Price v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya*³⁰⁹ (შემდგომ - *Price*) აშშ-ის საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ უცხო სახელმწიფო არ იყო „პირი“ კონსტიტუციური სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის.³¹⁰ სასამართლოს მოსაზრებით, ჩვეულებრივ გამოყენებაში „პირი“ არ მოიცავს სუვერენულ სახელმწიფოს

³⁰³ *Republic of Argentina v Weltover Inc* (სქ. 186) 619.

³⁰⁴ იქვე. იხ. ასევე *Pennoyer* (სქ. 299) 125-27.

³⁰⁵ *Strong* (სქ. 207) 341.

³⁰⁶ *Dugan and others* (სქ. 302) 128-29.

³⁰⁷ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 320.

³⁰⁸ *MR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F 3d 296, 302-02 (DC Cir 2005), რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ თუ უკრაინული უწყება რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი იურიდიული პირი, მას ექნებოდა სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცვის უფლება; *Cruz v United States* 387 F Supp 2d 1057, 1067 (ND Cal 2005), რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ უწყებები და ინსტიტუციები არ იყვნენ სამართლიანი პროცესის პრინციპის უფლებით დაცულნი.

³⁰⁹ *Price v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 294 F3d 82 (DC Cir 2002).

³¹⁰ აღნიშნული საქმე დაფუძნებული იყო FSIA-ში 1996 წელს შესული ტერორიზმის გამონაკლისზე (FSIA-ს 1605(a)(7) მუხლი), რომლის ასამოქმედებლად აშშ-თან იურისდიქციული კავშირი მყარდებოდა ერთადერთი მოთხოვნის საფუძველზე: მსხვერპლი აშშ-ის მოქალაქე უნდა ყოფილიყო. აღნიშნული პუნქტი 2008 წელს შეიცვალა 1605 (A) მუხლით რომელიც არსებითად არ ცვლიდა ნორმის შინაარსს, მხოლოდ ავარტოებდა მისი გამოყენების არეალს. იხ. *Chamlongrasdr* (სქ. 200) 163.

და ამიტომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ სამართლიანი პროცესის პრინციპის შესაბამისად უცხო სახელმწიფოზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმი გავრცელებულიყო, ვიდრე „კავშირის შტატებზე.“³¹¹ სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში უცხო სახელმწიფოს დაცვა უზრუნველყოფილია საერთაშორისო სამართლის ნორმებით და შესაბამისად, უცხო სახელმწიფო არ ექვემდებარება აშშ-ის კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცვას.³¹²

საქმეზე *Price* FSIA-თ გათვალისწინებული ტერორიზმის გამონაკლისთან დაკავშირებული მსჯელობა, აშშ-ის საოქლო სასამართლომ გამოიყენა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების განხილვისას საქმეზე *TMR Energy Ltd v State Property of Ukraine*³¹³ (შემდგომ - *TMR Energy*). მოსაზრება, რომ სახელმწიფო არ არის „პირი“ კონსტიტუციური სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის, სასამართლომ გაავრცელა უკრაინის სახელმწიფო საწარმოზე, კერძოდ უკრაინის სახელმწიფო ქონების ფონდზე, იმ არგუმენტით, რომ უკრაინა საკმარის კონტროლს ახორციელებდა ფონდზე იმისათვის, რომ ფონდი მიჩნეული ყოფილიყო უკრაინის წარმომადგენელ ორგანიზაციად.³¹⁴ შესაბამისად, რადგან სახეზე იყო პრინციპალისა და აგენტის სამართალურთიერთობა სახელმწიფოსა და სახელმწიფო საწარმოს შორის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ფედერალური საერთო სამართლის ნორმების თანახმად, ფონდს არ გააჩნდა სახელმწიფო ორგანოს დამოუკიდებელი

³¹¹ ‘States of Union’, იხ. *South Carolina v. Katzenbach* 383 US 301, 323-24 (1966); *Price v Socialist People’s Libyan Arab Jamahiriya* (სქ. 309); *Pennoyer* (სქ. 299) 127-130.

³¹² *Price v Socialist People’s Libyan Arab Jamahiriya* (სქ. 309). ასეთივე მოსაზრება აქვს გლანონსა და ატიკს, რომლებიც მიიჩნევენ, უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტი და მასზე სასამართლოთა განსჯადობა საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანია, შედეგად, გაუგებარია, კონსტიტუციით გათვალისწინებული ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის პუნქტი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკური პირების დაცვას არაგანსჯადი სასამართლოს სახელმწიფოსგან, როგორ შეიძლება გავრცელდეს უცხო სახელმწიფოზე და დაიცვას ის თანაბარი სტატუსი მქონე აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციის. იხ. Joseph W Glannon and Atik Jeffery, ‘Politics and Personal Jurisdiction Suing State Sponsors of Terrorism under the 1996 Amendments to the Foreign State Immunities Act’ (1999) 87 *The Georgetown Law Journal* 675, 692 -93.

³¹³ *TMR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F 3d 296, 303 (DC Cir 2005).

³¹⁴ იქვე. იხ. ასევე Strong (სქ. 207) 345-48.

სტატუსი³¹⁵ და მასზე, ისევე, როგორც უცხო სახელმწიფოზე, არ გავრცელდებოდა „მინიმალური კავშირის“ კონსტიტუციური მოთხოვნა.³¹⁶

სასამართლოს ამ მსჯელობას ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომელთა თანახმად, საქმეზე *Price* გამოტანილი გადაწყვეტილება პრეცედენტული უნდა გახდეს მხოლოდ FSIA-ს 1605(a)(7) მუხლით დადგენილ ტერორიზმიდან გამონაკლისზე, რადგან იგი შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევას და ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის თანახმად, სასამართლოების მიერ ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია მოპასუხე უცხო სახელმწიფოზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა უცხო სახელმწიფოს მინიმალური კავშირი სასამართლოს სახელმწიფოსთან;³¹⁷ ხოლო აშშ-ის კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის პრინციპის ფარგლებში „მინიმალური კავშირის“ ანალიზი ისევ უნდა განხორციელდეს FSIA-თ განსაზღვრული იმუნიტეტიდან სხვა გამონაკლისების, მათ შორის, იმუნიტეტზე უარის თქმისა და საარბიტრაჟო გამონაკლისის შემთხვევებში.³¹⁸ გარდა ამისა, *TMR Energy*-ზე *Price*-ის პრეცედენტის გავრცელებით უცხო სახელმწიფო და მისი ერთეულები (state entity) სარგებლობენ ნაკლები დაცვით, ვიდრე კერძო პირები, როდესაც საქმე შეეხება აშშ-ში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. შედეგად, უცხო სახელმწიფოს ან მისი ერთეულის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება დადასტურდეს უცხო სახელმწიფოს აშშ-თან მინიმალური კავშირის დადგენის გარეშე მაშინაც კი, როდესაც უცხო სახელმწიფო არ ფლობს აქტივებს აშშ-ში.³¹⁹

³¹⁵ აშშ-ის საოლქო სასამართლომ მოიყვანა საქმეზე *First National City Bank v Banco Para el Comercio Exterior de Cuba (Bancec)* (US Supreme Court) 462 US 611 (1983) 626-32 (შემდგომ - *Bancec*), გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფო ორგანიზაციას არ აქვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობა, როდესაც უცხო სახელმწიფო ისეთ კონტროლს ახორციელებს ორგანიზაციაზე, რომ იგი მათ შორის წარმოშობს პრინციპალისა და აგენტის სამართალურთიერთობას.

³¹⁶ *Bancec* (სქ. 315); იხ. ასევე Stewart DP, 'The Foreign Sovereign Immunities Act: A Guide for Judges' (Federal Judicial Center 2013) 42 <[http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/\\$file/fsiaguide2013.pdf](http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/$file/fsiaguide2013.pdf)> [23.02.2017].

³¹⁷ *BPA Intl Inc v Kingdom of Sweden* 281 F Supp 2d 73 (DCDC 2003) 82; იხ. ასევე Chamlongrasdr (სქ. 200) 173-74.

³¹⁸ იქვე.

³¹⁹ Chamlongrasdr (სქ. 200) 172.

საქმეზე *Frontera Res Azerbaijan Corp v State Oil Co of Azerbaijan Republic (SOCAR)*³²⁰ (შემდგომ – *Frontera*) გამოტანილი გადაწყვეტილებები ზემოხსენებული საპირისპირო მოსაზრებების პრაქტიკული ილუსტრაციაა. კაიმანის კუნძულებზე დაფუძნებულმა კომპანიამ *Frontera* მიმართა ნიუ-იორკის საოლქო სასამართლოს შვედეთში გამართული საარბიტრაჟო განხილვის შედეგად აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის (შემდგომ – *SOCAR*) წინააღმდეგ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის.³²¹ აშშ-ის საოლქო სასამართლომ ვერ დაადგინა *SOCAR*-ზე პიროვნული განსჯადობა „მინიმალური კავშირის“ არქონის გამო.³²² თავის მხრივ, მეორე ინსტანციის სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გაავრცელა *Price*-ის პრეცედენტი, მიიჩნია რა *Price*-ზე სასამართლოს მსჯელობა „დამაჯერებლად.“³²³ ამასთან, მეორე ინსტანციის სასამართლომ სადავო გახადა საქმეზე *Texas Trading* მიღებული გადაწყვეტილების პრეცედენტად ყოფნის მიზანშეწონილობა აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობის ზედაპირულობის გამო.³²⁴ საბოლოო ჯამში, მეორე ინსტანციის სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი იმის თაობაზე, მიიჩნეოდა თუ არა უცხო სახელმწიფოს უწყება და ინსტიტუცია „პირად“ სამართლიანი პროცესის პრინციპის კონსტიტუციური მოთხოვნის მიზნებისთვის, თუმცა დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი „ორგანო ან უწყება“ არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი და არ დასტურდება მისი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს *Bancec*-ის³²⁵ გადაწყვეტილების შესაბამისად, მაშინ ასეთი ერთეული ისევე, როგორც თავად უცხო სახელმწიფო, არ იქნება სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცული.³²⁶

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, იმავე მეორე ინსტანციის სასამართლომ ხელახლა განიხილა სახელმწიფო ერთეულების საკითხი და, მართალია, პირდაპირ არ დაუდგენია, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მიანიშნებდა, რომ სახელმწიფო ერთეულები,

³²⁰ *Frontera Res Azerbaijan Corp (Frontera v State Oil Co of Azerbaijan Republic (SOCAR))* 582 F 3d 393 (2nd Cir 2009).

³²¹ Penoyer (სქ. 299) 131.

³²² *Frontera v SOCAR* (სქ. 320).

³²³ იქვე, 132.

³²⁴ იქვე.

³²⁵ *Bancec* (სქ. 315).

³²⁶ იქვე; იხ. ასევე *Frischeknecht and Walters* (სქ. 255) 329.

რომლებიც სარგებლობენ უცხო სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი სტატუსით, ექვემდებარებიან სამართლიანი პროცესის პრინციპით დაცვას.³²⁷

სრულიად განსხვავებული მსჯელობა იქნა შემოთავაზებული აშშ-ის სასამართლოს მიერ 2014 წელს საქმეზე *Sonera Holding BV v Cukurova Holding AS*³²⁸ (შემდგომ – *Sonera*). საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესზე აშშ-ის სასამართლომ გაავრცელა 2011 წელს საქმეზე *Goodyear Dunlop Tires Operations SA v Brown*³²⁹ და 2014 წელს საქმეზე *Daimler AG v Bauman*³³⁰ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელიც ეფუძნებოდნენ ე.წ. „შინ“ სტანდარტს ზოგადი იურისდიქციის საკითხის განხილვისას. აღნიშნულის თანახმად, უცხოური კორპორაციის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ „შინ“, კერძოდ, უცხოური კორპორაციის რეგისტრაციის ან ძირითადი საქმიანობის განხორციელების ქვეყანაში, იმ მოტივით, რომ აქამდე დამკვიდრებული „უწყვეტი და სისტემური ბიზნეს საქმიანობა“ არ არის საკმარისი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პიროვნული განსჯადობის დასადგენად.³³¹ შესაბამისად, საქმეზე *Sonera* სასამართლომ უარი განაცხადა საქმის განხილვაზე იმ მოტივით, რომ ახლად დამკვიდრებული სტანდარტის თანახმად, უცხო სახელმწიფოს არ გააჩნდა საკმარისი იურისდიქციული კავშირი აშშ-თან.³³²

„შინ“ სტანდარტის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე დამკვიდრება მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის, რადგან ამ საქმეებს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება. კერძოდ, „შინ“ სტანდარტი სასამართლომ დაამკვიდრა საქმის არსებითად განხილვის პროცესზე და მისი გამოყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში მიზანშეუწონელია, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმის განხილვისას სასამართლო საქმეს არსებითად არ განიხილავს და მხოლოდ ადასტურებს უკვე

³²⁷ Frischeknecht and Walters (სქ. 255) 329; *Corporation Mexicana de Mantenimiento v Pemex-Exploracion Y Produccion (Pemex)* 13-4022 (2nd Cir 2016).

³²⁸ *Sonera Holding BV v Cukurova Holding AS* 750 F 3d 221 (2014).

³²⁹ *Goodyear Dunlop Tires Operations SA v Brown* 564 US 915, 131 S Ct 2846 (2011).

³³⁰ *Daimler AG v Bauman* 571 US 117, 134 S Ct 746 (2014).

³³¹ იქვე; იხ. ასევე Linda J Silberman and Aaron D Simowitz, 'Recognition and Enforcement of Foreign Judgements and Awards: What Hath Daimler Daimler Wrought?' (2016) 91 New York University Law Review 344, 424-25.

³³² *Sonera Holding BV v Cukurova Holding AS* (სქ. 327).

წარმართული საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას.³³³ შესაბამისად, საქმეზე *Sonera* მიღებული გადაწყვეტილება მასშტაბურად არ იქნა გაზიარებული აშშ-ის სასამართლოების მიერ.³³⁴

პიროვნული განსჯადობის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას ორ შემთხვევაში: როდესაც მოპასუხე უარს ამბობს პიროვნული განსჯადობით დაცვის უფლებაზე ან როდესაც აშშ-თან „მინიმალური კავშირია“ დადგენილი.³³⁵ შესაბამისად, პიროვნულ განსჯადობაზე უარის თქმა შესაძლებელია მოცემული სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობით.³³⁶

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იმ მოსაზრების გაზიარებისას, რომ უცხო სახელმწიფო არის „პირი“ აშშ-ის კონსტიტუციური მოთხოვნის მიზნებისთვის, არბიტრაჟთან დაკავშირებით პიროვნულ განსჯადობაზე უარის თქმისთვის საკმარისია უცხო სახელმწიფოს მიერ აშშ-ში საარბიტრაჟო წარმოებაზე შეთანხმება.³³⁷

განსხვავებული მოსაზრებები ჩამოყალიბდა იმასთან დაკავშირებით, ქმნის თუ არა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად, სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმა ასევე აშშ-ის კონსტიტუციით დაცულ პიროვნულ განსჯადობაზე უარის თქმას. მიიჩნევა, რომ FSIA-ს 1605(a)(1) მუხლის თანახმად სახელმწიფო იმუნიტეტზე პირდაპირი უარი არ არის პიროვნულ განსჯადობაზე უარის თქმის საფუძველი და პირის დამოუკიდებელი თანხმობაა საჭირო პიროვნული განსჯადობის დადგენაზე.³³⁸ მეორე მხრივ, იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის შემთხვევაში, მოპასუხე უცხო სახელმწიფოზე ავტომატურად დგინდება აშშ-ის სასამართლოებში პიროვნული განსჯადობა³³⁹ იმ არგუმენტით, რომ FSIA-ს იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისით კოდიფიცირებულია აშშ-ის სასამართლოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებაზე თანხმობის საფუძველზე პიროვნული განსჯადობის დადგენის წესი.³⁴⁰ შესაბამისად,

³³³ Silberman and Simowitz (სქ. 331) 425-425.

³³⁴ იქვე.

³³⁵ Chamlongrasdr (სქ. 200) 172.

³³⁶ იქვე, 175.

³³⁷ *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte* (სქ. 93).

³³⁸ George Kahale and Manuel A Vega, 'Immunity and Jurisdiction: Toward a Uniform Body of Law in Action Against Foreign States' (1979-1980) 18 Columbia Journal of Transnational Law 211, 231.

³³⁹ იქვე.

³⁴⁰ იქვე, 234-35; იხ. ასევე Kahale (სქ. 229) 39.

აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც უცხო სახელმწიფო აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციაზე განაცხადებს თანხმობას.³⁴¹

საპირისპირო მდგომარეობაა, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა აშშ-ში არ ხორციელდება. აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ამ დროს ყველა შემთხვევაში საჭიროა „მინიმალური კავშირის“ არსებობის შემოწმება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ნიუ-იორკის კონვენციით რეგულირდება.³⁴²

საარბიტრაჟო შეთანხმების ნიუ-იორკის კონვენციით რეგულირების შემთხვევაში, ერთი მხრივ, მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას უცხო სახელმწიფო უარს ამბობს ტერიტორიული კავშირის მოთხოვნასთან დაკავშირებული დაცვის უფლებაზე და მასზე ვრცელდება აშშ-ის სასამართლოს იურისდიქცია.³⁴³ ვინაიდან, ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერით მხარე-სახელმწიფო ითვალისწინებდა, რომ რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული მისი კუთვნილი აქტივები შეიძლება აღსასრულებლად მიქცეულიყო, შესაბამისად, ნიუ-იორკის კონვენცია ათავისუფლებს სასამართლოს მინიმალური კავშირის გამოკვლევისგან პიროვნული განსჯადობის დასადგენად.³⁴⁴ მეორე მოსაზრების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის კონვენცია არ საუბრობს პიროვნულ განსჯადობაზე, იგი არ ათავისუფლებს აშშ-ის სასამართლოებს სამართლიანი პროცესის პრინციპის მოთხოვნისგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში.³⁴⁵ აღნიშნული მოსაზრება მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება უნდა განხორციელდეს იმ ტერიტორიის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.³⁴⁶ ასევე მნიშვნელოვანია, რომ

³⁴¹ Strong (სქ. 207) 349-353.

³⁴² *Creighton Ltd v Qatar* (სქ. 267); *Texas Trading & Milling Corp v Fed Republic of Nigeria* (სქ. 291); *Davis International v Republic of Yemen* (US Court of Appeals) 218 F 3d 1292 (11th Cir 2000). იხ. ასევე Chamlongrasdr (სქ. 200) 170-180.

³⁴³ GB Sullivan, 'Implicit Waiver of Sovereign Immunity by Consent to Arbitration: Territorial Scope and Procedural Limits' (1983) 18 *Texas International Law Journal* 329, 34-345.

³⁴⁴ O' brien (სქ. 92) 356-57.

³⁴⁵ *Seetransport Wiking Trader Schiffartgesellschaft MBH & Co v Navimpex Centrala Navala* (სქ. 236).

³⁴⁶ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-3 მუხლი; იხ. ასევე Chamlongrasdr (სქ. 200) 172.

პიროვნული განსჯადობით დაცვა ვიწროდ იყოს განმარტებული, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთ ქვეყანაში არბიტრაჟზე თანხმობა არ მოიცავს სხვა ქვეყანაში პიროვნულ განსჯადობაზე უარის თქმას.³⁴⁷

ზემოხსენებული მსჯელობა ვრცელდება საარბიტრაჟო გამონაკლისის შემთხვევაშიც, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი არ შეიცავს უცხო სახელმწიფოს საქმიანობასა და აშშ-ს შორის კავშირის არსებობის მოთხოვნას.³⁴⁸ საბოლოო ჯამში, იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ უცხო სახელმწიფო არის „პირი“, პიროვნული განსჯადობის დასადგენად იგი ახორციელებს „მინიმალური კავშირის“ გამოკვლევას აშშ-ის კონსტიტუციით დაცული სამართლიანი პროცესის პრინციპის თანახმად, რადგან პიროვნული განსჯადობის დადგენა და სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საკითხია და იმუნიტეტზე უარის თქმა არ მიიჩნევა პიროვნული განსჯადობით დაცვის უფლებაზე უარის თქმად ისევე, როგორც საარბიტრაჟო გამონაკლისის საფუძველზე საგნობრივი განსჯადობის დადგენა არ მიიჩნევა პიროვნული განსჯადობის დადგენის თაობაზე კონსტიტუციური მოთხოვნის დაკმაყოფილებად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნიუ-იორკის კონვენციით ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება და მოპასუხე სახელმწიფო ნიუ-იორკის კონვენციის წევრია.³⁴⁹ თუმცა, საპირისპირო შედეგი დგება, როდესაც უცხო სახელმწიფო „პირად“ არ მიიჩნევა სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოთა შორის ისევე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება უცხო სახელმწიფოზე პიროვნული განსჯადობის დადგენის საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზოგი სასამართლო პრეცედენტად იყენებს *Texas Trading* - ის საქმეს,³⁵⁰ ზოგიერთი მიჰყვება საქმეზე *Weltover* არსებულ

³⁴⁷ *Creighton Ltd v Qatar* (სქ. 267); იხ. ასევე *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte* (სქ. 93), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკში არბიტრაჟზე თანხმობა გულისხმობს მხოლოდ ნიუ-იორკის სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობას და არ ეხება აშშ-ის სხვა შტატების სასამართლოების იურისდიქციას.

³⁴⁸ Chamlongrasdr (სქ. 200) 182; შეად. Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 319-320.

³⁴⁹ Chamlongrasdr (სქ. 200) 180, 182-83.

³⁵⁰ *BP Chem Ltd v Jiangsu SOPO Corp (Group)* 420 F 3d 810, 818 (8th Cir 2005); *Guevara v Republic of Peru* 468 F 3d 1289, 1306 (11th Cir 2006); *Velidor v L/P/G Benghazi* 653 F 2d 812, 817 (3rd Cir 1981); *Saudi Basic Indus Corp v*

მსჯელობას,³⁵¹ ხოლო ზოგი საქმეებზე *Price* და *Frontera* გამოტანილ გადაწყვეტილებებს³⁵² ემხრობა უცხო ქვეყნის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის გადაწყვეტისას.³⁵³

1.1.6. უცხო სახელმწიფო, უცხო სახელმწიფოს უწყებები ან ინსტიტუციები³⁵⁴

სახელმწიფო იმუნიტეტზე საუბრისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობების მიხედვით, რა იგულისხმება სახელმწიფოსა თუ სხვა სახელმწიფო საწარმოებში, რომლებზეც შეიძლება ან არ შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფო იმუნიტეტი.

FSIA-ს თანახმად, „სახელმწიფო“ განმარტებულია, როგორც უცხო ქვეყნის პოლიტიკური ქვეგანყოფილება, ან უცხო ქვეყნის უწყება ან ინსტიტუცია. ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ნებისმიერი ა) დამოუკიდებელი იურიდიული პირი, კორპორატიული ან სხვა სამართლებრივი ფორმით და, ბ) რომელიც არის უცხო ქვეყნის ორგანო ან პოლიტიკური ქვეგანყოფილება, ან რომლის საკუთრებაშიც წილის უმეტესი ნაწილი უცხო ქვეყნის ან მისი პოლიტიკური ქვეგანყოფილების საკუთრებაშია და გ) რომელსაც არ აქვს აშშ-სადმი კუთვნილება ან არ არის შექმნილი რომელიმე მესამე ქვეყნის სამართლის შესაბამისად.³⁵⁵

ExxonMobil Corp 194 F Supp 2d 378, 409 (DNJ 2002); *Strata Heights International Corporation v Petroleo Brasileiro SA* No 02-20645, 02-20767, 2003 WL 21145663 (5th Cir 2003).

³⁵¹ *S & Davis Int'l Inc v Republic of Yemen* 218 F 3d 1292, 1303-04 (11th Cir 2000); *Altmann v Republic of Austria* 317 F 3d 954, 970 (9th Cir 2002), *qft'd*, 541 US 677 (2004).

³⁵² *IT Consultants Inc v Islamic Republic of Pakistan* 351 F 3d 1184, 1191 (DC Cir 2003);

Rux v Republic of Sudan No Civ A 428, 2005 WL 2086202 (ED Va 2005) *qft'd*, 461 F 3d 461 (4th Cir 2006); *Rubin v Islamic Republic of Iran* No 03 C 9370, 2008 WL 192321 (ND Ill 2008); *International Ins Co v Caja Nacional de Ahorro y Seguro* 293 F 3d 392 397 (7th Cir 2002); *Cassirer v Kingdom of Spain* 461 F Supp 2d 1157, 1167-68 (CD Cal 2006), *aff'd in part, rev'd in part*, 580 F 3d 1048 (9th Cir 2009); *Cruz v United States* 387 F Supp 2d 1057, 1067 (ND Cal 2005); *Capital Ventures Intern. v Republic of Argentina* No 05 Civ 4085 (TPG) 2010 WL 1257611 (SDNY 2010); *Goldberg v. UBS AG* 690 F Supp 2d 92, 106-07 (EDNY 2010).

³⁵³ Pennoyer (სქ. 299) 134-36.

³⁵⁴ 'Agencies or Instrumentalities', - იხ. FSIA, 1603 (b) მუხლი.

³⁵⁵ FSIA, 1603(a)(b) მუხლი.

როგორც FSIA-ს საკანონმდებლო ისტორიიდან არის ცნობილი, FSIA-ზე მუშაობისას კონგრესის მიზანი იყო, რომ ტერმინები „პოლიტიკური ქვეგანყოფილება“, „უწყება“ და „ინსტიტუცია“ ფართოდ ყოფილიყო განმარტებული.³⁵⁶ ხშირ შემთხვევაში, „პოლიტიკური ქვეგანყოფილების“ ქვეშ მოიაზრება თვითონ მთავრობა.³⁵⁷

რაც შეეხება „უწყებასა და ინსტიტუციას“, მათი სტატუსის დასადგენად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ წილს ფლობს სახელმწიფო უწყებასა ან ინსტიტუციაში და ასევე, რამდენად დამოუკიდებელია უწყება ან ინსტიტუცია სახელმწიფოსგან. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორპორაციებთან მიმართებით. წილის ფლობასთან დაკავშირებით, უახლოეს წარსულში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა რომ კომპანიის არაპირდაპირი სახელმწიფო საკუთრება არ წარმოადგენს „უცხო ქვეყნის უწყებას ან ინსტიტუციას“ FSIA-ს თანახმად, რადგან სახელმწიფო უშუალოდ უნდა ფლობდეს აქციათა უმრავლესობას შესაბამის კომპანიაში. შესაბამისად, შვილობილი კომპანია, რომლის დამფუძნებელი კომპანიის 100%-ს ფლობს სახელმწიფო, FSIA-ს თანახმად ვერ ჩაითვლება „უცხო ქვეყნის უწყებად ან ინსტიტუციად.“³⁵⁸ ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ უწყებისა ან ინსტიტუციის წილების უმრავლესობას უცხო სახელმწიფო ფლობდეს არა დავის წარმოშობის მომენტისთვის, არამედ სარჩელის აღძვრის მომენტისთვის.³⁵⁹ აღნიშნული მოსაზრება „მკაცრად შემზღუდავ“ მიდგომად იქნა მიჩნეული, რომელიც უფლებას აძლევს სასამართლოებს არ გაავრცელონ სახელმწიფო იმუნიტეტი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებზე.³⁶⁰ თუმცა აშშ-ის სააკველაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ინსტიტუციის შვილობილი კომპანია თავისთავად არ ქმნის ინსტიტუციის სტატუსის მოპოვების საფუძველს, გამოხატავს კონგრესის

³⁵⁶ McNamara (სქ. 189) 6-7.

³⁵⁷ Stewart (სქ. 193) 6-7.

³⁵⁸ *Dole Food Co v Patrickson* (2003) 538 US 468, 123 S.Ct. 1655.

³⁵⁹ იქვე, იხ. ასევე Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 252.

³⁶⁰ იხ. Mark A Cymrot, 'Welcome to the Jury System: Supreme Court Units Sovereign Immunity for State-Owned Companies' (2005) 6(3) *Business Law International* 1-11.

განზრახვას, „წილის“ საკუთრების ქვეშ იგულისხმებოდეს ოფიციალური კორპორატიული საკუთრება.³⁶¹

რაც შეეხება FSIA-ს მოთხოვნას „უწყებისა ან ინსტიტუციის“ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსის შესახებ, აღსანიშნავია, რომ ამერიკული კორპორატიული სამართლის თანახმად, კორპორაცია და მისი აქციონერები/მეწილეები დამოუკიდებელი პირები არიან, მიუხედავად იმისა, აქციონერი/მეწილე უცხო სახელმწიფოა თუ არა.³⁶² „უწყებისა ან ინსტიტუციის“ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი გულისხმობს იმას, რომ იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული უწყება ან ინსტიტუცია, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლის უფლება, ასევე იგი უნდა ფლობდეს საკუთარი სახელით ქონებას და იყოს უფლებამოსილი დადოს გარიგებები.³⁶³

თუმცა, გამონაკლისს შემთხვევებში შესაძლებელია, სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება კორპორაციასა და მის აქციონერებს/მეწილეებს შორის გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის³⁶⁴ გამოყენების თაობაზე მაშინ, როცა უწყება ან ინსტიტუცია უცხო სახელმწიფოს „ალტერ ეგოს“ წარმოადგენს და უცხო სახელმწიფო ისეთ ინტენსიურ კონტროლს ახორციელებს უწყებასა ან ინსტიტუციაზე, რომ იგი წარმოშობს პრინციპალისა და აგენტის სამართალურთიერთობას მათ შორის.³⁶⁵ შესაბამისად, უწყება ან ინსტიტუცია ვეღარ განიხილება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობის მქონე პირად, რადგან იგი მოქმედებს როგორც უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი ან/და აღნიშნული გამოიწვევს თაღლითურ და არასამართლიან შედეგებს,³⁶⁶ ასევე, როდესაც დამოუკიდებელი კორპორატიული

³⁶¹ Lori Fisler Damrosch and Sean D. Murphy, *International Law: Cases and Materials* (6th edn, West Academic Publishing 2014) 859.

³⁶² *Bancec* (სქ. 315) 325; იხ. ასევე Yaraslau Kryvoi, 'Piercing the Corporate Veil in International Arbitration' (2010) 1 *Global Business Law Review* 169, 171-173.

³⁶³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 254.

³⁶⁴ 'Piercing the corporate veil'. იხ. ბექა ინჯია და ნათია ლაპიაშვილი, *არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი* (ლადო ჭანტურია და სხვები რედ., ზვიად კორძაძის გამომცემლობა 2016) 49.

³⁶⁵ *Bancec* (სქ. 315) 325; იხ. ასევე Damrosch and Murphy (სქ. 361) 861-69.

³⁶⁶ *Bancec* (სქ. 315) 325.

ერთეული შექმნილია მხოლოდ საკანონმდებლო პოლიტიკისათვის გვერდის ავლის მიზნით.³⁶⁷

ნიშანდობლივია, რომ რიგ შემთხვევებში, აშშ-ის სასამართლომ გაიზიარა *Bancec*-ის სტანდარტი³⁶⁸ და არ დაეთანხმა რა უცხო სახელმწიფოს უწყებისა თუ ინსტიტუციის დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსს, მიაკუთვნა მათ წარმოშობის სახელმწიფოს ქმედებები თუ ვალები და პირიქით.³⁶⁹ სხვა შემთხვევებში, აშშ-ის სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფო ერთეულების დამოუკიდებელ სტატუსს.³⁷⁰

ყველა შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ის სასამართლოები გამონაკლისის სახით მიმართავენ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობისას.³⁷¹ შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოებს შეუძლიათ დადონ საარბიტრაჟო შეთანხმება ისე, რომ იგი არ იქნება უცხო სახელმწიფოსათვის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოს

³⁶⁷ იქვე, იხ. ასევე Damrosch and Murphy (სქ. 361) 859. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს FSIA-ს ტერორისტული სახელმწიფოს გამონაკლისის სახით დაემატა უცხო სახელმწიფოს „უწყებისა ან ინსტიტუციის“ დამოუკიდებლობის ზოგადი პრეზუმფციიდან გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებულ სარჩელებზე აღსრულებისგან იმუნიტეტი არ ვრცელდება ტერორისტულ აქტში დამნაშავედ ცნობილი უცხო სახელმწიფოს, მის უწყებას ან ინსტიტუციაზე, მიუხედავად იმისა, ეს უწყება ან ინსტიტუცია დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსის მქონეა, თუ არა, და უცხო სახელმწიფო პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფლობს მასში წილების უმრავლესობას. თუმცა აღნიშნული ნორმა გამოიყენება მხოლოდ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებულ სარჩელებზე. იხ. FSIA, 1610 (g) მუხლი.

³⁶⁸ *Bancec*-ზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციას არ აქვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობა, როდესაც უცხო სახელმწიფო ისეთ კონტროლს ახორციელებს ორგანიზაციაზე, რომ იგი წარმოშობს პრინციპალისა და აგენტის სამართალური თითობას მათ შორის. იხ. *Bancec* (სქ. 315) 326-632.

³⁶⁹ *Bridas SAPIC v Government of Turkmenistan* 447 F.3d 411, 411, 420 (5th Cir 2006) - აღნიშნულ საქმეზე აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნავთობის კომპანია იყო სახელმწიფოს *ალტერ ეგო*, შესაბამისად, სახელმწიფოს დაეკისრა კომპანიის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება; *TMR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* (სქ. 313), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ უკრაინული სახელმწიფო ერთეული იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი, განურჩეველი მთავრობის აღმასრულებელი დეპარტამენტისა, და რომელიც არ უნდა განხილულიყო დამოუკიდებელი იურიდიული პირად; *S & Davis International Inc v Republic of Yemen* 218 F.3d 1292, 1299-1300 (11th Cir 2000); *US Fid & Guar Co v Braspetro Oil Servs Co* 199 F.3d 94, 98 (2nd Cir 1999); *Kalamazoo Spice Extraction Co v Provisional Military Government of Socialist Ethiopia* 616 F. Supp 660, 666 (WD Mich 1985), - აღნიშნულ საქმეებზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ერთეული განუყოფელი იყო სახელმწიფოსგან.

³⁷⁰ იხ. მაგ., *Hercaire International Inc v Argentina* 821 F.2d 559, 563-65 (11th Cir 1987); *Letelier v Republic of Chile* 748 F.2d 790, 792, 799 (2nd Cir 1984); *Bayer & Willis Inc v Republic of Gambia* 283 F. Supp 2nd 1, 4 (DDC 2003), - აღნიშნულ საქმეებზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ერთეული დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობის მქონეა.

³⁷¹ *Brazil* (სქ. 1) 398.

განზრახვა, იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, ცალსახაა, ან ცხადი და აშკარაა, რომ სახელმწიფო ცდილობს „დაიმალოს“ სახელმწიფო საწარმოს უკან.³⁷²

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ FSIA-ს თანახმად უცხო სახელმწიფოს ცნების ქვეშ მოიაზრება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისგან დამოუკიდებელი ერთეულები უცხო სახელმწიფოს „უწყებისა ან ინსტიტუციის“ სახით, ისე სახელმწიფოს ორგანოები. თავის მხრივ, უცხო სახელმწიფოს „უწყება ან ინსტიტუცია“, მიუხედავად იმისა, რომ განცალკევებული იურიდიული პირია, რომელსაც შეუძლია მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოვიდეს სასამართლოში, მაინც ახლო კავშირშია სახელმწიფოსთან, რადგან არის სახელმწიფო ორგანო ან სახელმწიფო ფლობს წილების უმრავლესობას მასში. შესაბამისად, იმის შესაძლებლობა რომ მთლიანად კერძო საკუთრებაში მყოფი საწარმო წარმოადგენდეს „უწყებასა ან ინსტიტუტისა“, როგორც ეს დაშვებულია SIA-თ, შეუძლებელია FSIA-თ.³⁷³ შედეგად, FSIA, SIA-სგან განსხვავებით, ადგენს უცხო სახელმწიფოს „უწყებისა ან ინსტიტუციის“ მიმართ ისეთივე იმუნიტეტის პრეზუმფციას, როგორც თავად უცხო სახელმწიფოს მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი განცალკევებული ერთეული სარგებლობს ისეთივე იმუნიტეტით აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციისგან, როგორც თავად სახელმწიფო ისარგებლებდა იმ შემთხვევაში, თუ არ დადგინდება FSIA-თ გათვალისწინებული იმუნიტეტიდან რომელიმე გამონაკლისი.³⁷⁴

1.1.7. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ FSIA-ს მიღებით, მოხდა რა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის კოდიფიცირება, აშშ-ში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხში. აშშ-ის სასამართლოებს მიეცათ შესაძლებლობა იხელმძღვანელონ იმუნიტეტიდან

³⁷² იქვე.

³⁷³ Yang (სქ. 89) 242.

³⁷⁴ იქვე, 244.

გამონაკლისებით უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების საკითხის განხილვისას.

თუმცა, გამონაკლისების დეტალურმა განხილვამ გამოავლინა რიგი პრობლემებისა, რომლებიც კერძო მხარეს შეიძლება ბარიერად ექცეს აშშ-ში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას. პროცესუალური საკითხებიდან აღსანიშნავია აშშ-ის სასამართლოების მხრიდან აშშ-ის კონსტიტუციით მოთხოვნილი პიროვნული განსჯადობის საკითხის განხილვა და აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, მიჩნეული უნდა იქნას თუ არა უცხო სახელმწიფო „პირად“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. ასევე მნიშვნელოვან პროცესულურ ხარვეზს წარმოადგენს აშშ-ის სასამართლოების მიერ *forum non conveniens*-ისა და „შინ“ სტანდარტის გავრცელება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების მოთხოვნის განხილვისას.³⁷⁵

გარდა ამისა, სიცხადეს მოკლებულია FSIA-თ შემოთავაზებული იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისის მოქმედების ფარგლები, რადგან აღნიშნული ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა.³⁷⁶ აღნიშნულის გადასაჭრელად და მეორე მხრივ, აშშ-ის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, 1988 წელს FSIA-ს დაემატა საარბიტრაჟო გამონაკლისი. საარბიტრაჟო გამონაკლისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ში არბიტრაჟის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაში, კერძოდ, აშშ-ის სასამართლოების მიერ აშშ-ისთვის მოქმედი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების და განსაკუთრებით, ნიუ-იორკის კონვენციის, ეფექტიან გამოყენებას იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საკითხის განხილვისას უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას.³⁷⁷ აღნიშნული ნორმით

³⁷⁵ იხ. სქ. 280; იხ. ასევე Silberman and Simowitz (სქ. 331) 425-425.

³⁷⁶ იხ. Chamlongrasdr (სქ. 200) 129-142.

³⁷⁷ Karen Halverson, 'Is a Foreign State a "Person"? Does it Matter? Personal Jurisdiction, Due Process,

კონგრესმა გამორიცხა იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის შესაძლებლობა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ყველა იმ სასამართლო პროცესიდან, რომელიც ეფუძნება საარბიტრაჟო შეთანხმებას და მიმართულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებისკენ, საარბიტრაჟო გამონაკლისით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.³⁷⁸ შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს განზრახვასა და მის მიერ იმუნიტეტზე უარის თქმაზე მსჯელობამ აზრი დაკარგა.³⁷⁹

1.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

FSIA-ს მიღებამდე აშშ-ში უცხო სახელმწიფოს ქონება დაცული იყო აბსოლუტური იმუნიტეტით აღსრულებისგან. FSIA-ს მიღების შემდეგ აშშ-ის კანონმდებლობამ დაუშვა უცხო სახელმწიფოს გარკვეულ ქონებაზე აღსრულება FSIA-თ ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.³⁸⁰

ზოგადი წესის თანახმად, FSIA იმუნიტეტით იცავს უცხო ქვეყნის საკუთრებას აშშ-ში ყადაღისა და აღსრულებისგან იმ საერთაშორისო შეთანხმებების პირობების გათვალისწინებით, რომლის წევრიც არის აშშ, და აწესებს გამონაკლის შემთხვევებს FSIA-ს 1610-1611 მუხლების სახით.³⁸¹ გარდა ამისა, FSIA არეგულირებს ყადაღის დადების საკითხს როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სააღსრულებო მიზნებისთვის, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით.³⁸²

and the Foreign Sovereign Immunities Act' (2001) 34 New York University Journal of International Law&Policy 115, 123; Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 318. თუმცა მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისი გამოიყენება მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების მოთხოვნის შემთხვევაში და არა, მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისას. იხ. Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 269.

³⁷⁸ Dellapenna (სქ. 250) 461.

³⁷⁹ იქვე.

³⁸⁰ FSIA, 1610 (a), (b) მუხლი.

³⁸¹ იქვე, 1609-ე მუხლი.

³⁸² იქვე, 1610 (d) მუხლი.

როგორც იურისდიქციისგან იმუნიტეტის შემთხვევაში, აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხის გადასაწყვეტადაც, FSIA ადგენს საპროცესო წესებს, რომლებიც ზედმიწევნით უნდა შესრულდეს. კერძოდ, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განხილვისას, პირველ ყოვლისა, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ გონივრული ვადაა გასული გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან და FSIA-ს 1608(d) მუხლით გათვალისწინებული სასამართლო შეტყობინება განხორციელდა.³⁸³

აღსანიშნავია, რომ FSIA განხვავებულ რეჟიმს ადგენს სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებისა ან ინსტიტუციის ქონებაზე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით. სახელდობრ, აღსრულებისგან იმუნიტეტი არ ვრცელდება აშშ-ში არსებულ ქონებაზე, რომელიც გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის აშშ-ში და, რომლის მესაკუთრეა უცხო სახელმწიფო ან მისი უწყება ან ინსტიტუცია, თუ საქმის გარემოებები დააკმაყოფილებს FSIA-ს 1610(a) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისიდან რომელიმეს.³⁸⁴ გარდა ამისა, FSIA უცხო სახელმწიფოს უწყებისა ან ინსტიტუციისთვის ადგენს დამატებით გამონაკლისებს აღსრულებისგან იმუნიტეტზე. კერძოდ, აშშ-ში მდებარე ნებისმიერ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის აშშ-ში კომერციული საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებას ან ინსტიტუციას, არ გავრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტი FSIA-ს 1610(b) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, საკუთრივ ეს ქონება გამოიყენება თუ არა კომერციული საქმიანობისათვის.³⁸⁵

შესაბამისად, FSIA-ს 1610(b) მუხლის მიხედვით გაცილებით მეტი ქონება შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად მაშინ, როცა FSIA-ს 1610(a) მუხლის თანახმად, მხოლოდ აშშ-ში მდებარე კომერციულ საქმიანობაში გამოყენებულ ქონებაზე შეიძლება განხორციელდეს აღსრულება. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი კრიტერიუმი

³⁸³ იქვე, 1610 (c) მუხლი.

³⁸⁴ იქვე, 1610 (a) მუხლი.

³⁸⁵ იქვე, 1610 (b) მუხლი.

ვრცელდება ასევე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღისგან იმუნიტეტთან მიმართებით.³⁸⁶

შედეგად, აშშ-ის კანონმდებლობა ზუსტად ადგენს, თუ რომელ ქონებას შეიძლება დაედოს ყადაღა სააღსრულებო მიზნებისთვის, ან მიექცეს აღსასრულებლად. კერძოდ, ეს არის ქონება, რომელიც: მდებარეობს აშშ-ში და ეკუთვნის ა) უცხო სახელმწიფოს ან ბ) უცხო სახელმწიფოს უწყებას ან ინსტიტუციას და „ა“ შემთხვევაში – გამოიყენება აშშ-ში კომერციული საქმიანობისთვის, ხოლო დამატებით, „ბ“ შემთხვევაში - თავად უცხო სახელმწიფოს უწყება ან ინსტიტუცია ახორციელებს აშშ-ში კომერციულ საქმიანობას.³⁸⁷

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით იმუნიტეტიდან გამონაკლისის სახით შეიძლება განხილულ იქნას FSIA-ს 1610(a)(1) მუხლით განსაზღვრული აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა და FSIA-ს 1610(a)(6) მუხლით დადგენილი საარბიტრაჟო გამონაკლისი,³⁸⁸ რომელიც FSIA-ს 1606(a)(6) მუხლით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო გამონაკლისთან ერთად 1988 წლის ცვლილების შედეგად შევიდა FSIA-ში.³⁸⁹ რაც შეეხება FSIA-ს 10610(b) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებს, აღსანიშნავია, რომ 1610(a) მუხლისგან განსხვავებით, იგი არ შეიცავს საარბიტრაჟო გამონაკლისს. შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მსურველმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ 1) სახელმწიფო უწყებამ თუ ინსტიტუციამ პირდაპირ ან ნაგულისხმევად უარი თქვა იმუნიტეტზე, ან 2) საარბიტრაჟო დავის საგანი

³⁸⁶ იქვე, 1610 (d) მუხლი.

³⁸⁷ იქვე, 1610 (a), (b) მუხლი.

³⁸⁸ იქვე, 1610 (a)(6) მუხლი აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისმა ჩანაცვლა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით მოქმედი FSIA-ს 1610 (a)(2) მუხლით გათვალისწინებული კომერციული საქმიანობის გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, აშშ-ში არსებული სახელმწიფო ქონება, რომელიც კომერციული საქმიანობისთვის გამოიყენებოდა და რომელზეც იყოს დაფუძნებული სარჩელი, არ ექვემდებარებოდა აღსრულებისგან იმუნიტეტს. იხ. Olga Gerlich, 'State Immunity from Execution in the Collection of Awards Rendered in International Investment Arbitration: The Achilles' Heel of the Investor-State Arbitration System?' (2015) 26(1) The American Review of International Arbitration 47, 47-99.

³⁸⁹ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 318.

დაკავშირებული იყო სახელმწიფო უწყებისა თუ ინსტიტუციის კომერციულ საქმიანობასთან აშშ-ში, ან მას ჰქონდა პირდაპირი გავლენა აშშ-ზე.³⁹⁰

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ უცხო სახელმწიფოს ქონებაზე ყადაღის ან სააღსრულებო მიზნებისთვის FSIA-თ დადგენილი მოთხოვნები მკაცრია და შემზღუდავი ხასიათის, რაც ხშირ შემთხვევაში, არა მარტო ქმნის სირთულეებს, არამედ შეუძლებელსაც კი ხდის კერძო მხარის მიერ აშშ-ში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას.

1.2.1. სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან FSIA-ს 1610(a) მუხლის თანახმად

1.2.1.1. ქონების კომერციული საქმიანობისთვის გამოყენება

FSIA-ს 1610(a) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების აუცილებელი პირობაა, რომ აშშ-ში მდებარე უცხო სახელმწიფოს ქონება, რომელზეც არ ვრცელდება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი, აშშ-ში უნდა იყოს „გამოყენებული კომერციული საქმიანობისთვის.“³⁹¹ აღნიშნული ნორმა აშშ-ის სასამართლოების მიერ ვიწროდ არის განმარტებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ აღსრულებას დაქვემდებარებული ქონება უშუალოდ უნდა იყოს „გამოყენებული“ კომერციული საქმიანობისთვის აშშ-ში და ქონების მხოლოდ რაიმე სახით კავშირი კომერციულ საქმიანობასთან აშშ-ში არ არის საკმარისი პირობა FSIA-ს 1610(a) მუხლის მიზნებისთვის.³⁹² შესაბამისად, მნიშვნელობა აქვს არა აღსასრულებლად მისაქცევი ქონების წარმოშობის წყაროს, არამედ მხოლოდ მისი გამოყენების მიზანს და ეს მიზანი უნდა იყოს აშშ-ში კომერციული საქმიანობა.³⁹³ ამგვარად, „მიზნობრივი“ ტესტი,

³⁹⁰ FSIA-ს 1610 (b)(1), (2) მუხლი. FSIA-ს 1610 (b) მუხლი ადგენს ასევე დამატებით გამონაკლისებს, მაგრამ ისინი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან არ არის კავშირში, შესაბამისად, ნაშრომში არ არის განხილული. იხ. FSIA, 1610 (b)(2), (3) მუხლი.

³⁹¹ კომერციული საქმიანობის განმარტება იხ. FSIA-ს 1603 (d) მუხლი.

³⁹² *Af-Cap Inc v Chevron Overseas (Congo) Ltd* 475 F 3d 1080 (9th Cir 2007), 1091.

³⁹³ Yang (სქ. 89) 366.

რომელიც უარყოფილია იურისდიქციისგან იმუნიტეტის დადგენისას, მნიშვნელობას იძენს აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცულ ქონებასთან მიმართებით.³⁹⁴

შედეგად, ქონება, რომელიც გამოყენებულია კომერციული მიზნებისთვის აშშ-ში, ექვემდებარება აღსრულებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი, შესაძლოა, შეძენილია საგადასახადო შემოსავლებიდან ან სახელმწიფოს სხვა არაკომერციული შემოსავლიდან აკუმულირებული თანხებით. ამის საპირისპიროდ, ქონება, რომელიც არ არის „გამოყენებული“ კომერციული საქმიანობისთვის აშშ-ში, არ ექვემდებარება აღსრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება, შესაძლოა სახელმწიფოს კომერციული საქმიანობის შედეგად წარმოიშვა.³⁹⁵

ხშირ შემთხვევაში, რთულია იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის ქონება, რომლის აღსასრულებლად მიქცევაც სურს საარბიტრაჟო დავის კერძო მხარეს, გამოყენებულია აშშ-ში კომერციულ საქმიანობაში უცხო სახელმწიფოს მიერ.³⁹⁶ ეს განსაკუთრებით ეხება არამატერიალურ აქტივებს.³⁹⁷ შედარებით მარტივადაა საქმე უძრავ ქონებასთან მიმართებით. თუმცა ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ ყოველთვის უნდა გაამახვილოს ყურადღება ქონების გამოყენების მიზანზე, რადგან, მაგალითად, სახელმწიფოს კუთვნილი შენობა, რომელიც გამოიყენება ეროვნული ავიახაზების ბიზნეს-საქმიანობისთვის აშშ-ში, ექვემდებარება აღსრულებას, მაშინ, როცა ქონება, რომელიც გამოიყენება უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ მისიაში ქვედა რგოლის დასაქმებულების საცხოვრებლად, ქონების ასეთი გამოყენების კომერციული მიზანი სადავოა.³⁹⁸

იმისათვის, რომ აქტივები მიექცეს აღსასრულებლად, აუცილებელია, რომ უცხო სახელმწიფოს ჰქონდეს საკუთრების უფლება ან ახორციელებდეს კონტროლს ამ აქტივებზე.³⁹⁹ აღსრულებას შეიძლება დაექვემდებაროს ისეთი ქონებაც, რომელიც ეკუთვნის ან რომელსაც აკონტროლებს უცხო სახელმწიფო, მაგრამ მესამე პირის

³⁹⁴ იქვე, 362.

³⁹⁵ *Connecticut Bank of Commerce v Republic of Congo (Af-Cap I)* 309 F 3d 251 (5th Cir 2002).

³⁹⁶ Molly Steele and Michael Heinlen, 'Challenges to Enforcing Arbitral Awards Against Foreign States in the United States' (2008) 42(1) *The International Lawyer* 87, 100-01.

³⁹⁷ იქვე.

³⁹⁸ იქვე, 101.

³⁹⁹ Foster (სქ. 162) 681.

მფლობელობაშია. გადასახადები, როიალტი ან სხვა სახის ვალდებულება, რომლის გადახდაც ეკისრება მესამე პირს უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ, ექვემდებარება აღსრულებას.⁴⁰⁰ თუმცა ამ შემთხვევაში რთული ან სულაც შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ უცხო სახელმწიფომ კომერციულ საქმიანობაში აშშ-ში თვითონ გამოიყენა ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა მესამე პირებისგან.⁴⁰¹ აშშ-ის ზოგიერთმა სასამართლომ აღნიშნული ნორმის განმარტებისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მესამე პირის აღნიშნული ვალდებულება წარმოიშვა აშშ-ში განხორციელებული კომერციული საქმიანობიდან, მიუხედავად იმისა, რომ უცხო სახელმწიფომ თვითონ არ გამოიყენა აღნიშნული აქტივები ასეთ კომერციულ საქმიანობაში.⁴⁰² მეორე მიდგომის თანახმად, სახელმწიფომ უნდა თვითონ გამოიყენოს ასეთი ვალდებულება რაიმე სახით კომერციულ საქმიანობაში, როგორცაა მესამე პირებისგან მიღებული გადახდების გამოყენება სესხის უზრუნველყოფის, დავალიანების დაფარვის ან სხვა მიზნით.⁴⁰³

სასამართლო წარმოება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საქმეზე *Liber E Timber Corp v Liberia*⁴⁰⁴ (შემდგომ - *LETCO*) ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა რთულია უცხო სახელმწიფოს იმ აქტივების მოძიება, რომელიც უნდა მიექცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ფრანგულმა კომპანიამ *LETCO* მიმართა ნიუ-იორკის საოლქო სასამართლოს ლიბერიის რესპუბლიკის წინააღმდეგ

⁴⁰⁰ იქვე.

⁴⁰¹ იქვე, 682.

⁴⁰² იხ. *Alejandro v Republic of Cuba* 42 F Supp 2nd 1317, 1339–1341 (SD Fla 1999), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ის კომპანიების მიერ კუბის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სატელეფონო კონსანიისათვის გადასახდელი თანხები გამოყენებული იყო კომერციულ საქმიანობაში აშშ-ში, თუმცა იყენებდა თუ არა მოპასუხე ამ ქონებას, არ იყო დადგენილი. იხ. ასევე *Alejandro v Telefonica Larga Distancia de Puerto Rico Inc* 183 F 3d 1277, 1283, 1290 (11th Cir 1999).

⁴⁰³ იხ. მაგ., *Af-Cap Inc v Chevron Overseas (Congo) Ltd* (სქ. 392), რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ ქონება „გამოიყენება“ კომერციულ საქმიანობაში აშშ-ში, როდესაც ქონება უშუალოდ მონაწილეობს კომერციულ საქმიანობაში; *Af-Cap I* (სქ. 395) 240, 251, 254; *Trans Commodities Inc v Kaz Trading House SA*, No 96 Civ 9782 (BSJ) 1997 US Dist, 5–6 (SDNY 1997), რომლებზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ ობლიგაციების შეთავაზების პროცედურები არ მიიჩნეოდა ქონების „გამოყენებად“ კომერციულ საქმიანობაში აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ თავად ობლიგაციების შეთავაზება წარმოადგენდა კომერციულ საქმიანობას. შეად. *Af-Cap Inc v Republic of Congo* 383 F 3d 361, 367–68 (5th Cir 2004), რომელზეც აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა აშშ-ის საოლქო სასამართლოს განსაზღვრებას, რომ კონგოს რესპუბლიკისთვის ტექსასის ნავთობის კომპანიის მიერ გადასახდელი როიალტი „გამოიყენებულ იქნა აშშ-ში კომერციულ საქმიანობაში“, რადგან კონგომ ეს ვალდებულება სადაზღვევო კომპანიასთან სასამართლო დავის მოგვარების მიზნით გამოიყენა. იხ. ასევე *Steele and Heinlen* (სქ. 396) 97–101.

⁴⁰⁴ *Liber E Timber Corp v Liberia (LETCO)* 650 F Supp 73, 77 (SDNY 1986), *aff'd* 854 F 2d 1314 (2nd Cir 1987).

გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით ლიბერიის რესპუბლიკის სასარგებლოდ აშშ-ში დარიცხული გადასახადებისა და სარეგისტრაციო საფასურის შედეგად მიღებულ თანხებზე.⁴⁰⁵ თუმცა, სასამართლომ, ლიბერიის რესპუბლიკის შუამდგომლობის საფუძველზე, განაცხადა, რომ აღნიშნული თანხები დაცული იყო სახელმწიფო იმუნიტეტით, რადგან ლიბერიის კანონმდებლობის თანახმად, სარეგისტრაციო საფასური და გადასახადები წარმოადგენდნენ არა კომერციულ, არამედ სუვერენულ, სახელმწიფო ქონებას.⁴⁰⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა აშშ-ის სააპელაციო სასამართლომაც.⁴⁰⁷

კომპანიამ *LETCO* ასევე წარუმატებლობა განიცადა იმავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად აშშ-ში ლიბერიის რესპუბლიკის საბანკო ანგარიშების მიქცევის პროცესშიც, რისთვისაც მან კოლუმბიის საოლქო სასამართლოს მიმართა.⁴⁰⁸ სასამართლომ აღნიშნული ანგარიშები ე.წ. „შერეულ“ ანგარიშებად გამოაცხადა, რადგან ისინი მოიცავდნენ როგორც სუვერენული, ისე კომერციული მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს.⁴⁰⁹ შედეგად, დაეყრდნო რა კომერციული საქმიანობის ვიწრო განმარტებას, სასამართლომ დაადგინა, რომ თუ ანგარიშზე არსებული თანხის ნაწილი გამოიყენება კომერციულ საქმიანობაში, ეს არ გულისხმობს, რომ მთლიანად საბანკო ანგარიში კარგავს იმუნიტეტით დაცვის უფლებას. გარდა ამისა, არასუვერენული მიზნებისთვის არსებული თანხების სააღსრულებო მიზნით გამოყენებამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ანგარიშებზე არსებული დანარჩენი თანხების დაცულობას.⁴¹⁰ შესაბამისად, კომპანიამ სრული წარუმატებლობა განიცადა აშშ-ში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში სახელმწიფო იმუნიტეტისგან თავისუფალი აქტივების მოძიებისას.

შედეგად, FSIA-ს 1610(a) მუხლის პირობა, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფოს მხოლოდ აშშ-ში მდებარე და აშშ-ში კომერციულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად, ხშირ შემთხვევაში, ზღუდავს იმ ქონების

⁴⁰⁵ იქვე.

⁴⁰⁶ იქვე.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ *Liber E Timber Corp v Liberia (LETCO II)* 659 F Supp 606, 610 (DDC 1987).

⁴⁰⁹ იქვე, 606.

⁴¹⁰ იქვე; იხ. ასევე Blane (სქ. 156) 467-68.

ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება არ იყოს დაცული აღსრულებისგან იმუნიტეტით და ამცირებს მოგებული მხარის შესაძლებლობას, აღასრულოს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აშშ-ში.⁴¹¹

1.2.1.2. საარბიტრაჟო გამონაკლისი

იურისდიქციისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისების მსგავსად, აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისებიც მოიცავს საარბიტრაჟო გამონაკლისს, რომელიც FSIA-ს დამატა 1988 წლის ცვლილებების შედეგად⁴¹² და მნიშვნელოვნად გაამარტივა უკვე დამტკიცებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ, იმ პირობით, რომ დაცულია FSIA-ს 1610(a) მუხლით დადგენილი მოთხოვნები აღსასრულებლად მისაქცევ ქონებასთან დაკავშირებით.

საარბიტრაჟო გამონაკლისის თანახმად, FSIA-ს 1610(a) მუხლით გათვალისწინებულ ქონებაზე არ ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ განჩინების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ყადაღა ან აღსრულება არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმების დებულებებს.⁴¹³

ერთი მხრივ, აღნიშნული გამონაკლისი საარბიტრაჟო წარმოებაში მოგებულ კერძო მხარეს აძლევს საშუალებას, აღსასრულებლად მიაქციოს უცხო სახელმწიფოს ნებისმიერი ქონება, მიუხედავად იმისა, იგი დაკავშირებულია თუ არა საარბიტრაჟო დავასთან.⁴¹⁴ მეორე მხრივ, FSIA-ს 1610(a) მუხლით გაწერილი მოთხოვნები აღსასრულებლად მისაქცევ ქონებასთან დაკავშირებით, თავისთავად ზღუდავს უცხო

⁴¹¹ Steele and Heinlen (სქ. 396) 101-02.

⁴¹² FSIA, 1610 (a)(6) მუხლი.

⁴¹³ იქვე.

⁴¹⁴ იმ პირობით, რომ დაცული იქნება FSIA-ს 1610 (a) მუხლის მოთხოვნა ქონების აშშ-ში კომერციულ საქმიანობაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას.⁴¹⁵

1.2.2. სახელმწიფო უწყებისა ან ინსტიტუციის აღსრულებისგან იმუნიტეტი FSIA-ს 1610(b) მუხლის თანახმად

უცხო სახელმწიფო უწყების ან ინსტიტუციის ქონებაზე აღსრულების მიზნით FSIA-ს 1610(b) მუხლი დამატებით ადგენს ალტერნატიულ მექანიზმს, იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო დავის მოგებულ კერძო მხარე ვერ ამტკიცებს, რომ სახელმწიფო უწყების ან ინსტიტუციის ქონება, რომელიც უნდა დაექვემდებაროს აღსრულებას, „გამოყენებულია კომერციულ საქმიანობაში აშშ-ში.“⁴¹⁶ აღნიშნული დებულების თანახმად, სახელმწიფო უწყების ან ინსტიტუციის ქონებაზე არ ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტი, თუ: 1) ქონება მდებარეობს აშშ-ში, 2) სახელმწიფო უწყება ან ინსტიტუცია ახორციელებს კომერციულ საქმიანობას აშშ-ში, 3) FSIA-ს 1610(b) მუხლით გათვალისწინებული ექვსი გამონაკლისიდან რომელიმე სახეზეა.⁴¹⁷

შესაბამისად, აშშ-ში კომერციული საქმიანობით დაკავებული უცხო სახელმწიფოს უწყებისა ან ინსტიტუციის აშშ-ში მდებარე ქონება შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად, მიუხედავად იმისა, ეს ქონება გამოყენებულია თუ არა სახელმწიფო უწყებისა ან ინსტიტუციის მიერ აშშ-ში განხორციელებულ კომერციულ საქმიანობაში. ამრიგად, FSIA-ს 1610(b) მუხლის შემთხვევაში ფოკუსირება ხდება სახელმწიფო უწყების ან ინსტიტუციის კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობაზე და ქონების გამოყენების მიზანი, როგორც ეს სახელმწიფოს ქონებასთან მიმართებით იყო განსაზღვრული, მნიშვნელობას კარგავს.⁴¹⁸

უცხო სახელმწიფოს უწყებისა და ინსტიტუციის ქონების აღსრულებას დაექვემდებარების საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის

⁴¹⁵ Steele and Heinlen (სქ. 396) 101-02.

⁴¹⁶ FSIA, 1610 (b) მუხლი.

⁴¹⁷ იქვე.

⁴¹⁸ Yang (სქ. 89) 396.

გარემოება, რომ სახელმწიფო საწარმო არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქმედებებისთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება აღსრულდეს სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ და პირიქით.⁴¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოს მონაწილეობა საარბიტრაჟო შეთანხმებაში არ გულისხმობს, აპრიორი, რომ აღნიშნული გარიგების მხარე არის სახელმწიფო, კერძო მხარე, ხშირ შემთხვევაში, ცდილობს სახელმწიფო გამოიყვანოს გარიგების მხარედ, რადგან აღსრულებისას სახელმწიფოს უფრო მეტი აქტივი შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად.⁴²⁰

სახელმწიფო საწარმოს დამოუკიდებლობის განსაზღვრებისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სახელმწიფოს მიერ ამ საწარმოზე კონტროლის განხორციელების ხარისხი, ასევე ასეთი დამოუკიდებელი ერთეულის შექმნის მიზანი. შესაბამისად, თუ დადგინდა, რომ სახელმწიფო საწარმო მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს „ალტერ ეგო“, ან მათ შორის, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონტროლის ინტენსიურობიდან გამომდინარე, ყალიბდება პრინციპალისა და აგენტის სამართალურთიერთობა და იგი რეალურად სახელმწიფოს წარმომადგენელია, ან სახელმწიფომ შექმნა ეს იურიდიული პირი მხოლოდ იმისთვის, რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას, მაშინ ექვეყნებოდა სახელმწიფო საწარმოს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი და სახელმწიფო გამოდის გარიგების მხარე.⁴²¹ შესაბამისად, კერძო მხარე უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს აქტივებზეც მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.

FSIA-ს შემთხვევაში „სახელმწიფო“ მოიაზრებს თავის თავში „სახელმწიფო უწყებას ან ინსტიტუციას.“⁴²² შესაბამისად, FSIA-ს ამოსავალი წერტილია, რომ „სახელმწიფო უწყება ან ინსტიტუცია“ იმავე უფლებითაა დაცული, როგორც თავად „სახელმწიფო“ როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე საბოლოო გადაწყვეტილების

⁴¹⁹ იქვე.

⁴²⁰ Edward G Kehoe, 'The Enforcement of Arbitral Awards against Foreign Sovereigns – The United States' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 266-271.

⁴²¹ Damrosch and Murphy (სქ. 361) 859; იხ. ასევე *Bancec* (სქ. 315) და *Brazil* (სქ. 1) 398.

⁴²² FSIA, 1603(a) მუხლი.

აღსრულებასთან დაკავშირებით სუვერენული იმუნიტეტის საკითხის გადაწყვეტისას.⁴²³ რაც შეეხება FSIA-ს 1610 (b) მუხლს, იგი შეეხება მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისას იმუნიტეტის საკითხს მხოლოდ სახელმწიფო უწყებასა ან ინსტიტუციასთან მიმართებით.⁴²⁴ ამ შემთხვევაში, FSIA-ს მიერ შემოთავაზებულია დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია, როდესაც სახელმწიფო საწარმოებზე საპირისპირო რეჟიმს აწესებს და მათ „სახელმწიფოს“ ცნების ქვეშ არ მოიაზრებს.⁴²⁵

იქიდან გამომდინარე, რომ FSIA-ს 1610(b) მუხლი არ შეიცავს საარბიტრაჟო გამონაკლისს, კერძო მხარისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში მთავარი დასაყრდენი დებულება შეიძლება იყოს სახელმწიფო საწარმოს მიერ აღსრულებისგან იმუნიტეტზე პირდაპირ ან ნაგულისხმევად უარის თქმის გამონაკლისი. FSIA-ს 1610-ე მუხლის როგორც (a)(1), ისე (b)(1) პუნქტი ადგენს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისს, პირველი – სახელმწიფოსთვის და მისი საწარმოებისთვის, ხოლო მეორე – მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებისთვის. ნაშრომის მიზნებისთვის ეს ორი ნორმა შემდეგ ქვეთავში ერთად არის განხილული.

1.2.3. აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა

სახელმწიფო უწყება ან ინსტიტუცია უფლებამოსილია პირდაპირ ან ნაგულისხმევად თქვას უარი აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე FSIA-ს 1610 როგორც (a)(1), ისე (b)(1) პუნქტით.⁴²⁶ მართალია, ყადაღასა და აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების მახასიათებლები განსხვავდება ამ ორ შემთხვევაში, თუმცა პირობები, რომლის თანახმადაც სასამართლო ადგენს იმუნიტეტზე პირდაპირ თუ ნაგულისხმევად უარის თქმის ფაქტს, იგივე რჩება.⁴²⁷

⁴²³ Yang (სქ. 89) 395.

⁴²⁴ FSIA, 1603(b) მუხლი.

⁴²⁵ Yang (სქ. 89) 395-96.

⁴²⁶ FSIA, 1603(a)(1), (b)(1) მუხლი.

⁴²⁷ იქვე.

იმუნიტეტზე უარის თქმასთან დაკავშირებით მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა თქვას უარი სახელმწიფო იმუნიტეტზე. ასეთი პირია სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური, ელჩი ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც აღჭურვილია სახელმწიფო წარმომადგენლობის უფლებამოსილებით.⁴²⁸ რიგ შემთხვევაში, კერძო პირმაც შეიძლება თქვას უარი სახელმწიფო იმუნიტეტზე, თუ იგი სახელმწიფოს წარმომადგენელია და შესაბამისი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.⁴²⁹ თუმცა ბუნდოვანია, თუ რომელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით ენიჭება პირს იმუნიტეტზე უარის თქმის უფლებამოსილება. FSIA ამ საკითხთან დაკავშირებით დუმს.⁴³⁰ ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას, კერძო მხარემ გაითვალისწინოს როგორც გარიგების მხარე სახელმწიფოს, ისე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობა.⁴³¹

სახელმწიფო იმუნიტეტზე პირდაპირი უარის შემთხვევაში, სახელმწიფოს და მისი უწყებისა ან ინსტიტუციის განზრახვა იმუნიტეტზე უარის თქმისა უნდა იყოს „ცხადი, სრული, არაბუნდოვანი და არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი.“⁴³² ამასთან, ისევე როგორც იმუნიტეტზე იურისდიქციისგან, აღსრულებისგან იმუნიტეტზე პირდაპირ უარის თქმა უნდა განიმარტოს ვიწროდ და დაექვემდებაროს იმპერატიულ ნორმებს,⁴³³ რაც გულისხმობს იმას, რომ სხვა ქვეყნის სასამართლოს წინაშე იმუნიტეტზე პირდაპირ უარის თქმა ავტომატურად არ იწვევს აშშ-ში იმუნიტეტზე უარის თქმას.⁴³⁴ ზოგადად, რეკომენდებულია, რომ ხელშეკრულებაში ნათლად და ცხადად იყოს განსაზღვრული სახელმწიფოს უარი აღსრულებისგან იმუნიტეტზე იმისათვის, რომ არ გახდეს საჭირო

⁴²⁸ Chamlongrasdr (სქ. 200) 190-91. იხ. ასევე SIA ss 2(7), The Australia Foreign States Immunities Act, No. 196 (Austl. 1985), 25 ILM 715 (1986), (შემდგომ - The Australian FSIA) 10(11) და 31(5) მუხლები. FSIA დუმს ამ საკითხის თაობაზე. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 267-68.

⁴²⁹ *Maritime Ventures Intl Inc v Caribbean Trading & Fidelity Ltd* 722 F Supp 1032 (SDNY 1989) 1038.

⁴³⁰ მაგალითად, SIA და The Australian FSIA იზიარებენ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იყოს ამ საკითხზე მოქმედი კანონმდებლობა, თუმცა არის მოსაზრება, რომ თვითონ იმ სახელმწიფოს სამართალია მოქმედი, რომლის სახელითაც წარმომადგენელმა თქვა უარი იმუნიტეტზე. იხ. Chamlongrasdr (სქ. 200) 192.

⁴³¹ Chamlongrasdr (სქ. 200) 192-94.

⁴³² Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 247.

⁴³³ Chamlongrasdr (სქ. 200) 195.

⁴³⁴ იქვე.

დავის წარმოშობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მხარეთა ნაგულისხმევ განზრახვაზე მსჯელობა.⁴³⁵

უფრო რთულია აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის დადგენა.⁴³⁶ როგორც უკვე გამოვლინდა რიგ საქმეებზე, გარკვეულ შემთხვევებში არბიტრაჟზე თანხმობა გულისხმობს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას, თუმცა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევი უარი არ ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტზე.⁴³⁷ აშშ-ის სასამართლომ განმარტა, რომ FSIA ერთმანეთისგან განასხვავებს იმუნიტეტს იურისდიქციისგან და იმუნიტეტს აღსრულებისგან და იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა არ ნიშნავს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას.⁴³⁸ მაგალითად, აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ, როდესაც გააუქმა აშშ-ის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩილეს ნაციონალური ავიახაზების აქტივების წინააღმდეგ აღსრულების თაობაზე.⁴³⁹ აშშ-ის საოლქო სასამართლომ დაადგინა რა ავიახაზებზე სასამართლოს განსჯადობა, გამოიტანა გადაწყვეტილება ავიახაზების აქტივების წინააღმდეგ აღსრულების თაობაზე იმ საფუძველით, რომ კონგრესი არ შექმნიდა უფლებას სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე.⁴⁴⁰ ამის საპირისპიროდ, აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონგრესმა სწორედაც რომ შექმნა უფლება სამართლებრივი დაცვის გარეშე და თუ არ დამტკიცდა უცხო სახელმწიფოს ან მისი უწყების ან ინსტიტუციის განზრახვა აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმისა, სახელმწიფოს ან მისი საწარმოს ქონება არ ექვემდებარება ყადაღას ან აღსრულებას FSIA-ს 1609-ე მუხლის თანახმად.⁴⁴¹

⁴³⁵ იქვე, 196.

⁴³⁶ იხ. მაგ., *Karaha Bodas Co v Perusahaan Pertambangan Minyak Dan Gas Bumi Negara* 313 F 3d 70, 82 (2nd Cir 2002); *Ferrostaal Metals Corp v SS Lash Pacifico* 652 F Supp 420, 422-23 (SDNY 1987).

⁴³⁷ იხ. მაგ., *Iptrade* (სქ. 224) 826; *Maritime Ventures Int'l Inc v Caribbean Trading & Fid Ltd* 689 F Supp 1340, 1351 (SDNY 1988); *Birch Shipping Corp v Embassy of United Republic of Tanz* 507 F Supp 311, 312 (DDC 1980).

⁴³⁸ *Ministry of Defense and Support for the Armed Forces of the Islamic Republic of Iran v Cubic Defense Sys Inc* 385 F 3d 1206 (2004), სხვა საფუძველებით გაუქმებული, 546 US 450 (2006).

⁴³⁹ *De Letelier v Republic of Chile* 748 F 2d (2nd Cir 1984), 798.

⁴⁴⁰ იქვე.

⁴⁴¹ იქვე.

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, აშშ-ის ზოგიერთმა სასამართლომ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა არა მარტო მიიჩნია ავტომატურად აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად, არამედ დაადგინა, რომ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის შემთხვევაში, იმისათვის, რომ უცხო სახელმწიფომ ან სახელმწიფო საწარმომ შეინარჩუნოს იმუნიტეტი აღსრულებისგან, მათ ამის თაობაზე პირდაპირ უნდა განაცხადონ შესაგებლის ან სხვა ფორმის საშუალებით.⁴⁴²

საქმეზე *Birch Shipping Corp v Embassy of United Republic of Tanzania*⁴⁴³ აშშ-ის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ცალკე აღებული საარბიტრაჟო დათქმის ტექსტი, რომლის თანახმადაც, მოპასუხე უცხო სახელმწიფო თანახმაა, დავა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით, საფუძველია აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმისა.⁴⁴⁴

აღნიშნულ საქმეებზე გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, ერთი შეხედვით დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, თუმცა საფუძველიანად დასაბუთებულმა გადაწყვეტილებებმა⁴⁴⁵ ცხადყო, რომ იურისდიქციისგან და აღსრულებისგან იმუნიტეტებს შორის განსხვავების იგნორირება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება FSIA-ს მოთხოვნებს. შესაბამისად, საარბიტრაჟო წარმოებაზე თანხმობა არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის თაობაზე აშკარა დებულების არარსებობისას, ნაგულისხმევად უარის თქმა უნდა განიმარტოს უცხო სახელმწიფოს ქმედებიდან გამომდინარე, რომელიც ცხადყოფს სახელმწიფოს განზრახვას, უარი თქვას იმუნიტეტზე.⁴⁴⁶ თუმცა, იქიდან გამომდინარე,

⁴⁴² *Hercaire Int'l Inc v Argentina* 642 F Supp 126, 129 (SD Fla 1986).

⁴⁴³ *Birch Shipping Corp v Embassy of United Republic of Tanz* 507 F Supp 311 (DDC 1980).

⁴⁴⁴ იქვე, 205.

⁴⁴⁵ იხ. *Cubic Def Sys* 385 F 3d, 1217-18; *Flota Maritima Browning de Cuba SA* 335 F 2d, 626; *Dexter & Carpenter* 43 F 2nd, 708; *LETCO* (სქ. 242) 75-77, 166; *TRW Inc v Andrews* 534 US 19, 31 (2001).

⁴⁴⁶ *Chamlongrasdr* (სქ. 200) 204. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოში გამოცხადება იმუნიტეტით დაცვის საკითხის წამოჭრის გარეშე, მიიჩნევა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად და არა - აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევ უარის თქმად. იხ. *Foremost-M cKesson Inc v Islamic Republic of Iran* 905 F 2d 438 (DC Cir 1990) 438; *Barragan v Banco BCH* 188 Cal App 3d 283 (4th Cir Div 1 Cal 1986) 294. ასევე სასამართლოში გამოუცხადებლობაც, აპრიორი, არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე ირიბად უარის თქმას. იხ. Rudolf Bernhardt and others, 'Restatement of the Law Third: The Foreign Relations Law of the United States. Vols 1 and 2. St. Paul, MN: American Institute Publishers, 1987. Vol. 1: pp. xxviii, 641; vol. 2: pp.

რომ ყოველთვის არ არის ნათელი, სასამართლოს მიერ რომელი ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნას სახელმწიფოს ნაგულისხმევ უარად აღსრულებისგან იმუნიტეტზე, აღნიშნული უნდა განიხილებოდეს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის ზოგადი წესიდან გამონაკლის შემთხვევად.⁴⁴⁷

1.2.4. ქონება, რომელზეც არ ვრცელდება იმუნიტეტიდან გამონაკლისები

FSIA განსაზღვრავს დამატებითი დაცვის მექანიზმს უცხო სახელმწიფოს გარკვეული კატეგორიის ქონებაზე აღსრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, FSIA-ს 1611-ე მუხლის თანახმად, ა) განსაზღვრული საერთაშორისო ორგანიზაციების ქონება, ბ) უცხო სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის ან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს ქონება, რომელიც განკუთვნილია საკუთარი ანგარიშისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ბანკი, ან ფულად-საკრედიტო ორგანო, ან თავად უცხო სახელმწიფო პირდაპირ განაცხადებს უარს იმუნიტეტზე აღსრულებისგან, გ) ქონება, რომელიც გამოიყენება სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით და რომელიც არის სამხედრო ხასიათის, ან სამხედრო ძალების ან თავდაცვის უწყების დაქვემდებარების ქვეშ, სარგებლობს იმუნიტეტით აღსრულებისგან.⁴⁴⁸

აღსანიშნავია, რომ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული FSIA-ს 1611-ე მუხლით.⁴⁴⁹ დიპლომატიური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება, როგორც წესი, დაცულია საერთაშორისო

xxiv, 561. Index. 150.' (1992) 86 American Journal of International Law 608. Tumca saqmeze *Flota Maritima Browning de Cuba v MV Ciudad de la Habana* 335 F 2d 619 (4th Cir 1964), 622, 626-7 აშშ-ის სასამართლომ დაადგინა აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმა, როდესაც უცხო სახელმწიფომ არ გააპროტესტა გემის დაპატიმრება. სასამართლომ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება იმით, რომ გემის დაპატიმრება სასამართლოში გამოცხადება/გამოუცხადებლობამდე განხორციელდა, შესაბამისად, მისი გაუპროტესტებლობა იმუნიტეტზე ცალსახად ნაგულისხმევ თქმად მიიჩნეოდა. Chamlongrasdr (სქ. 200) 204.

⁴⁴⁷ Chamlongrasdr (სქ. 200) 205.

⁴⁴⁸ FSIA, 1611(a), (b) მუხლი.

⁴⁴⁹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 280.

ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის აშშ.⁴⁵⁰ ამასთან, FSIA-ს 1610(a)(4)(d) მუხლი იცავს უცხო სახელმწიფოს უძრავ ქონებას, რომელიც გამოიყენება დიპლომატიური და საკონსულო მისიების შესასრულებლად ან აღნიშნული მისიების ხელმძღვანელის რეზიდენციად.⁴⁵¹ საკანონმდებლო ისტორია განმარტავს, რომ ასეთი უძრავი ქონება შეიძლება იყოს „საელჩოები და მასთან დაკავშირებული შენობები.“⁴⁵² შესაბამისად, აშშ-ის სასამართლოებიც ასეთ ქონებაზე ავრცელებდნენ აღსრულებისგან იმუნიტეტს.⁴⁵³

რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის აქტივებზე აღსრულებას, აღსანიშნავია, რომ FSIA-თ ასეთი აქტივების მიმართ სამმაგი დაცვაა დადგენილი და სამი პირობა უნდა შესრულდეს მათი აღსასრულებლად მისაქცევად. ესენია: 1) კონკრეტულად ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ არსებული სასარჩელო მოთხოვნა, 2) აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის ფაქტი, 3) ფინანსური სახსრები არ უნდა იყოს გათვალისწინებული ბანკის საკუთარი ანგარიშისთვის.⁴⁵⁴

⁴⁵⁰ დიპლომატიური მისიების უზრუნველსაყოფი თანხები დაცულია აღსრულებისგან იმუნიტეტით ვენის კონვენციების თანახმად. იხ. „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენცია (მიღების თარიღი: 18.04.1961; ძალაში შესვლის თარიღი: 24.04.1961), 22(3) მუხლი; „საკონსულო ურთიერთობის შესახებ“ 1963 წლის ვენის კონვენცია (მიღების თარიღი: 22.04.1963; ძალაში შესვლის თარიღი: 24.04.1963), 31(4) მუხლი.

⁴⁵¹ FSIA, 1610(a)(4)(B) მუხლი.

⁴⁵² Legislative History of the Foreign Sovereign Immunities Act 1976 (შემდგომ - House Report) House Report No 94-1487, 94th Cong, 2nd Sess 12, reproduced in (1976) 15 ILM 1398, 1406, 29.

⁴⁵³ იხ. *City of Englewood v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 773 F 2d 31, 36-37 (3rd Cir 1985), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენცია არ იყო გამოყენებული კომერციული საქმიანობისთვის; *S & S Mach Co v Masinexportimport* 802 F Supp 1109, 1112 (SDNY 1992), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ საკონსულო არ გამოიყენებოდა კომერციული საქმიანობისთვის; *LETCO* (სქ. 242), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ საელჩოს საბანკო ანგარიშები, რომლებიც გამოიყენებოდა დიპლომატიური და საკონსულო ფუნქციების შესასრულებლად, იმუნიტეტით იყო დაცული. იხ. ასევე FSIA, 1610 (a)(4)(B) მუხლი, რომელიც ნებას რთავს აშშ-ში მდებარე უძრავ ქონებაზე აღსრულებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქონება არ გამოიყენება დიპლომატიური ან საკონსულო მისიის უზრუნველყოფის მიზნებისთვის, ან ასეთი მისიის მეთაურის საცხოვრებლად. იხ. *Damrosch and Murphy* (სქ. 361) 868-69.

⁴⁵⁴ Yang (სქ. 89) 414.

1.2.5. იმუნიტეტი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყადაღისგან

FSIA აღსრულებისგან იმუნიტეტთან ერთად არეგულირებს ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ყადაღისგან, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან, იმუნიტეტიდან გამონაკლისს.⁴⁵⁵ კერძოდ, აშშ-ში მდებარე უცხო სახელმწიფოს და მისი უწყებებისა ან ინსტიტუციების ქონებაზე, რომელიც გამოიყენება კომერციულ საქმიანობაში, არ ვრცელდება იმუნიტეტი ყადაღისგან, როდესაც უცხო სახელმწიფო პირდაპირ ამბობს უარს ყადაღისგან იმუნიტეტზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე და ყადაღის მიზანი არის უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი ან შესაძლო გამოსატანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.⁴⁵⁶ ამასთან საყურადღებოა, რომ ასეთ ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია FSIA-ს 1610 (c) მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო შეტყობინების პერიოდის გასვლამდე.⁴⁵⁷ აღნიშნული მნიშვნელოვანი მექანიზმია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის თვალსაზრისით, რადგან მან შეიძლება დაიცვას კერძო მხარე უცხო სახელმწიფოს მიერ ქონების აშშ-დან გატანისგან, ან თანხების ისეთი დაწესებულების ანგარიშებზე (მაგალითად, ცენტრალური ბანკი) გადარიცხვიდან, რაც უცხო სახელმწიფოს ქონებაზე ხელმისაწვდომობას შეუქმნის საფრთხეს.⁴⁵⁸

ნიშანდობლივია, რომ როგორც FSIA-ს 1610(a)(1) მუხლის, ასევე ზემოხსენებულ შემთხვევაშიც, იმუნიტეტზე პირდაპირ უარის თქმა ვიწროდ არის განმარტებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებით წარმოჩენილი უნდა იყოს უცხო სახელმწიფოს განზრახვა, უარი თქვას ყადაღისგან იმუნიტეტზე აშშ-ში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁴⁵⁹ სახელმწიფოს ასეთი განზრახვა აშშ-ის სასამართლომ დაადგინა საქმეზე *Kensington International Ltd v Republic of Congo*,⁴⁶⁰ რომელზეც კონგოს რესპუბლიკამ ხელშეკრულებით განაცხადა თანხმობა, რომ არ გამოიყენებდა მისთვის

⁴⁵⁵ FSIA, 1610 (c) მუხლი.

⁴⁵⁶ იქვე.

⁴⁵⁷ იქვე.

⁴⁵⁸ Steele and Heinlen (სქ. 396) 267-71.

⁴⁵⁹ *Kensington International Ltd v Republic of Congo* 461 F 3d 238, 243 (2nd Cir 2006).

⁴⁶⁰ იქვე.

მინიჭებულ სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლებას არცერთ სასარჩელო, სააღსრულებო თუ სარჩელის უზრუნველყოფის წარმოებაში (იქნებოდა ეს აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ სხვაგვარად), თუ ნებისმიერ სხვა სამართლებრივ პროცესში და აღიარებდა ნიუ-იორკში გამართულ ნებისმიერ სამართალწარმოებაში აღნიშნულ იმუნიტეტზე უარის ქმედითობას და იმუნიტეტზე უარის თქმის განმარტებას FSIA-ს თანახმად.⁴⁶¹

საქმეზე *Libra Bank Ltd v Banco Nacional de Costa Rica*⁴⁶² იმავე სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულებაში არსებული დებულება, რომლის თანახმადაც, უცხო სახელმწიფო უარს ამბობდა „ყველა უფლებაზე იმუნიტეტთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო პროცესში, მათ შორის, სარჩელის აღძვრისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წარმოებაში სახელმწიფო სუვერენიტეტის საფუძველზე“, წარმოადგენდა იმუნიტეტზე უარის თქმას FSIA-ს 1610 (c) მუხლის თანახმად.⁴⁶³ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ მოიცავდა სიტყვებს უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ყადაღისგან იმუნიტეტზე უარის თქმასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნული მაინც მიიჩნია იმუნიტეტზე პირდაპირ უარის თქმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან მიმართებით, რადგან ხელშეკრულების ტექსტი ცხადყოფდა ყველა შესაძლო საპროცესო წარმოებაში სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის განზრახვას.⁴⁶⁴

მეორე მხრივ, საქმეზე *S&S Machinery Co v Masinexportimport*⁴⁶⁵ სავაჭრო შეთანხმებაში არსებული დებულება, რომელიც უკრძალავდა სახელმწიფო საწარმოებს გამოყენებინათ სახელმწიფო იმუნიტეტი სასარჩელო წარმოებაში ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წარმოებაში ან სხვა ვალდებულებასთან დაკავშირებით,⁴⁶⁶ აშშ-ის სასამართლომ არ მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ყადაღისგან იმუნიტეტზე უარის თქმად, რადგან, მისი აზრით, „სხვა

⁴⁶¹ იქვე.

⁴⁶² *Libra Bank Ltd v Banco Nacional de Costa Rica* SA 676 F2d 47,49 (2nd Cir 1982).

⁴⁶³ იქვე.

⁴⁶⁴ იქვე.

⁴⁶⁵ *S & S Machinery Co v Masinexportimport* 706 F 2d 411, 416-17 (2nd Cir 1983).

⁴⁶⁶ იქვე.

ვალდებულება“ არ მოიცავდა FSIA-ს 1610 (c) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს.⁴⁶⁷

განხილული საქმეების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, ხელშეკრულების ტექსტი იყოს ცხადი და აშკარა, იმისათვის, რომ დებულება ყადაღისგან იმუნიტეტზე პირდაპირ უარის თქმად იქნას მიჩნეული.⁴⁶⁸

უცხო სახელმწიფოს კონვენციის საფუძველზეც შეუძლია პირდაპირ თქვას უარი ყადაღისგან იმუნიტეტზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁴⁶⁹ მაგალითად, აშშ-ის სასამართლოებმა ნიუ-იორკის კონვენციის მე-6 მუხლი მიიჩნიეს სწორედ ასეთი შინაარსის დებულებად.⁴⁷⁰ კერძოდ, როდესაც უფლებამოსილ ორგანოში შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების თაობაზე ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ორგანო, რომელსაც მხარემ მიმართა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, უფლება აქვს, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა და ცნობისა და აღსრულების მომთხოვნი მხარის მოთხოვნით, დაავალოს მეორე მხარეს შესაბამისი უზრუნველყოფის წარმოდგენა.⁴⁷¹ შედეგად, ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერით, უცხო სახელმწიფო პირდაპირ ამბობს უარს სასამართლო გადაწყვეტილებამდე ყადაღისგან იმუნიტეტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია სასამართლოსგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან აღსრულების შეჩერება.⁴⁷² შესაბამისად, თუ უცხო სახელმწიფო სადავოს არ გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, კერძო მხარე ვერ მოითხოვს ყადაღისგან იმუნიტეტს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁴⁷³

⁴⁶⁷ იქვე; იხ. ასევე *Steele and Heinlen* (სქ. 396) 267-71; *E-System Inc v Islamic Republic of Iran* 491 F Supp 1294 (DC 1980) 1300-01, 1303-04; *Reading and Bates Corp v NIOC* 478 F Supp 724 (SDNY 1979) 727-29.

⁴⁶⁸ *Chamlongrasdr* (სქ. 200) 202.

⁴⁶⁹ *Steele and Heinlen* (სქ. 396) 110.

⁴⁷⁰ *International Ins Co v Caja Nacional de Ahorro y Seguro* 293 F 3d 392, 399, 13 (7th Cir 2002); *Banco de Seguros del Estado v Mutual Marine Offices Inc* 230 F Supp 2nd 362, 375 (SDNY 2002).

⁴⁷¹ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-6 მუხლი.

⁴⁷² იქვე.

⁴⁷³ *Libancell SAL v Republic of Lebanon* No 06 Civ 2765, 2006 US Dist, 12-13 (SDNY 2006), რომელზეც აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ-იორკის კონვენციის ხელმოწერით, იმუნიტეტზე უარის თქმა იგულისხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო სახელმწიფო გაასაჩივრებს საარბიტრაჟო

საქმეზე *Banco de Seguros del Estado v Mutual Marine Offices Inc*,⁴⁷⁴ რომელიც შეეხება უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, აშშ-ის სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო პანელის მიერ აკრედიტივის გადახდის დავალზე უცხო სახელმწიფოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საშუალების სახით, თავისთავად იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁴⁷⁵ შესაბამისად, აშშ-ის სასამართლომ ბანკის შუამდგომლობა აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების გასაჩივრების შესახებ, მიიჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის თაობაზე შუამდგომლობად. შედეგად, რადგან ბანკი ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელ უცხო სახელმწიფო ინსტიტუციას წარმოადგენდა, აშშ-ის სასამართლომ დაამტკიცა საარბიტრაჟო პანელის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.⁴⁷⁶

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ FSIA-ს 1610 (c) მუხლით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ყადაღისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისი მნიშვნელოვანი მექანიზმია უცხო სახელმწიფოსა და მისი უწყებებისა ან ინსტიტუციების წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით. თუმცა, ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიება არ არის გარანტი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისა, რადგან კერძო მხარემ კვლავ უნდა დაამტკიცოს, რომ უცხო სახელმწიფოსა ან მის უწყებებსა და ინსტიტუციებზე არ ვრცელდება სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან FSIA-ს 1610(a),(b) მუხლის თანახმად.⁴⁷⁷

გადაწყვეტილებას „უფლებამოსილ ორგანოში“, კერძოდ, იმ სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც ან რომლის სამართლის მიხედვითაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

⁴⁷⁴ *Banco de Seguros del Estado v Mutual Marine Offices Inc* 230 F Supp 2nd 362, 375 (SDNY 2002).

⁴⁷⁵ იქვე, 370,374.

⁴⁷⁶ იქვე, იხ. ასევე Steele and Heinlen (სქ. 396) 110.

⁴⁷⁷ იქვე, 110-11.

1.2.6. აქტივების გამოვლენა

უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს უცხო სახელმწიფოს აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში კერძო მხარე შუამდგომლობს სასამართლოში ასეთი აქტივების გამოვლენის თაობაზე. აქტივების იდენტიფიცირების მიზნით აქტივების გამოვლენა შეიძლება დაკისრებულ იქნას როგორც მოვალის, ისე მესამე პირის ქონებაზე უცხო სახელმწიფოს ქონების ხასიათიდან და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.⁴⁷⁸ თუმცა აშშ-ის სასამართლოები მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში აკმაყოფილებენ ასეთ შუამდგომლობებს.⁴⁷⁹ ისევე, როგორც იურისდიქციისგან იმუნიტეტის შემთხვევაში, აქაც მოქმედებს ასეთი აქტივების იმუნიტეტის პრეზუმფციის პირობა მაშინაც კი, როდესაც უცხო სახელმწიფომ უარი თქვა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე.⁴⁸⁰ რა ფარგლებში უნდა მოხდეს უცხო სახელმწიფოს აქტივების გამოვლენის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, სადავოა. ყველა შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს აღსასრულებლად მისაქცევი ქონების იდენტიფიცირება კერძო მხარის მიერ და ეს ქონება ექვეოდეს FSIA-თ განსაზღვრული გამონაკლისების ფარგლებში.⁴⁸¹ ასევე, FSIA-ს თანახმად უცხო სახელმწიფოზე განსჯადობის საკითხის დადგენამდე, აქტივების გამოვლენის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას, სასამართლომ წინდახედულება უნდა გამოიჩინოს და სიფრთხილით მოეკიდოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.⁴⁸² ამასთან, პრობლემურია აქტივების გამოვლენის თაობაზე სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოზე სანქციის დაკისრების საკითხი. საქმეზე *FG Hemisphere Associates LLC v Democratic Republic of Congo*⁴⁸³ აშშ-ის

⁴⁷⁸ Foster (სქ. 162) 714.

⁴⁷⁹ Stewart (სქ. 193) 71.

⁴⁸⁰ იხ. მაგ., *Thai Lao Lignite (Thailand) Co v Government of the Lao People's Democratic Republic* No 10 Civ 5256 (KMU), 2011 WL 4111504, 4–5 (SDNY 2011); *Walters v People's Republic of China* 672 F Supp 2nd 573 (SDNY 2009); *Rubin v Islamic Republic of Iran* 349 F Supp 2nd 1108 (ND Ill 2004).

⁴⁸¹ *Rubin v Islamic Republic of Iran* 2 637 F 3d 783 (7th Cir 2011).

⁴⁸² *EM Ltd v Republic of Argentina* 695 F 3d 201 (2nd Cir 2012).

⁴⁸³ *FG Hemisphere Associates LLC v Democratic Republic of Congo* 637 F 3d 373, 375 (DC Cir 2011).

სასამართლომ დაადგინა, რომ სანქცია უნდა დაეკისროს უცხო სახელმწიფოს, მაგრამ უნდა მოხდეს სანქციის დაკისრების გამიჯვნა სანქციის აღსრულების მცდელობისგან, რაც საკმაოდ პრობლემური შეიძლება იყოს.⁴⁸⁴ შედეგად, აქტივების გამოვლენის მოთხოვნისას კერძო მხარეს შეიძლება შეექმნას სირთულეები, რომელთა დაუძლევლობა აზრს უკარგავს მთლიანად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო პროცესს.

1.2.7. დასკვნა

როგორც გამოჩნდა, უცხო სახელმწიფოს აქტივების წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აშშ-ში აღსრულება მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, FSIA-ს თანახმად, აქტივების გარკვეული კატეგორია, მაგალითად, როგორცაა ცენტრალური ბანკის ანგარიშები და სამხედრო აქტივები და დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონება, აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვის სპეციალურ რეჟიმს ექვემდებარება.⁴⁸⁵

მეორე მხრივ, მართალია FSIA-ში მოხდა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის დანერგვა, მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მსურველმა კერძო მხარემ FSIA-ს 1610(a) მუხლის თანახმად, უნდა დაამტკიცოს, რომ აღსრულებას დასაქვემდებარებელი ქონება გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის აშშ-ში. უცხო სახელმწიფოს უწყებისა ან ინსტიტუციის შემთხვევაში, FSIA-ს 1610(b) მუხლი შედარებით აფართოებს აღსასრულებლად მისაქცევი ქონების მახასიათებლებს, ითვალისწინებს რა არაკომერციული მიზნით გამოყენებულ ქონებაზე აღსრულების შესაძლებლობას. თუმცა, ამ შემთხვევაში, კერძო მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ სახელმწიფო ერთეული ახორციელებს კომერციულ საქმიანობას აშშ-ში და 1) მან უარი თქვა იმუნიტეტზე აღსრულებისგან ან 2) საარბიტრაჟო დავა დაკავშირებული იყო სახელმწიფო ერთეულის კომერციულ საქმიანობასთან აშშ-ში, ან

⁴⁸⁴ იქვე; იხ. ასევე Stewart (სქ. 193) 73.

⁴⁸⁵ FSIA, 1611-ე მუხლი.

მის მიერ განხორციელებული კომერციული საქმიანობა პირდაპირ გავლენას ახდენდა აშშ-ზე.

გარდა ამისა, FSIA-თ დადგენილი პროცესუალური წესები, რომლის თანახმადაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მსურველმა კერძო მხარემ ჯერ უნდა მოიპოვოს აშშ-ის სასამართლოსგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამადასტურებელი გადაწყვეტილება, რომლის ძალაში შესვლიდან მხოლოდ გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ანიჭებს სასამართლოს უფლებას, იმსჯელოს ქონებაზე ყადაღის დადებისა თუ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, აძლევს უცხო სახელმწიფოს საშუალებას, რომ აშშ-ში მდებარე თავისი აქტივები აარიდოს აღსრულებას საბანკო ანგარიშების დახურვის, თანხების ცენტრალური ბანკის ან სხვა დაცულ ანგარიშებზე გადატანით, ან უძრავი ქონების გაყიდვით.⁴⁸⁶ შედეგად, აშშ-ში მომრავლდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმეები, რომლებზეც მხარე შუამდგომლობს უცხო სახელმწიფოს იმ ქონების დაყადაღებაზე, რომელიც მესამე პირების მფლობელობაშია ან უცხო სახელმწიფოს ეკუთვნის მესამე პირებისგან.⁴⁸⁷

FSIA-ს მიერ დადგენილი ზემოხსენებული პროცესუალური ბარიერი შეიძლება დაძლეულ იქნას FSIA-ს 1610 (c) მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე უცხო სახელმწიფოს ქონების დაყადაღების შესაძლებლობით. თუმცა ამ შემთხვევაში, აღსრულების მსურველმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ უცხო სახელმწიფომ პირდაპირ თქვა უარი ყადაღისგან იმუნიტეტზე. გარდა ამისა, აქტივების გამოვლენის საკითხიც შესაძლოა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას იქცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.⁴⁸⁸

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ აშშ ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც თავის კანონმდებლობაში დანერგა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა და მისცა საშუალება კერძო მხარეს აღსრულებინა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თავის ტერიტორიაზე,

⁴⁸⁶ იქვე, 1610 (c) მუხლი.

⁴⁸⁷ Steele and Heinlen (სქ. 396) 111.

⁴⁸⁸ იქვე, 112.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან მაინც რჩება წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო პროცესის წარმატებით დასრულებას.

2. SIA

1978 წელს გაერთიანებულ სამეფოში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა კოდიფიცირებულ იქნა SIA-ს მიღებით, რაც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის მიმდინარე საერთაშორისო პრაქტიკასთან მისადაგებას და მეორე მხრივ, „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ ევროპული კონვენციისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გემების შესახებ 1926 წლის ბრიუსელის კონვენციისა და მისი ოქმის⁴⁸⁹ რატიფიკაციას.⁴⁹⁰ გარდა მცირე გამონაკლისი შემთხვევისა, SIA ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე, მიუხედავად იმისა, ისინი არიან თუ არა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები.⁴⁹¹

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული კონვენცია სახელმწიფოთა მხრიდან შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების პირველ მცდელობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ევროპული კონვენცია ფართოდ არ გამოიყენება, მან დასაბამი დაუდო ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისებს. SIA-ს პირველი პროექტიც ეფუძნებოდა ევროპული კონვენციის დებულებებს.⁴⁹² შესაბამისად, ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესოა SIA-სა და

⁴⁸⁹ 1926 International Convention for the Unification of Certain Rules concerning the Immunity of State-owned Vessels and 1934 Additional Protocol (Brussels Convention and its Protocol) (მიღების თარიღი: 10.05.1926, ძალაში შესვლის თარიღი: 08.01.1937) <<https://cil.nus.edu.sg/rp/il/pdf/1926%201934%20IC%20for%20the%20Concerning%20the%20Immunity%20of%20State-owned%20Vessels%20and%20Additional%20Protocol-pdf.pdf>> [22.11.2016].

⁴⁹⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 167. SIA-ს მეორე ნაწილი (SIA, ss 18, 19) არეგულირებს ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

⁴⁹¹ იქვე, 168.

⁴⁹² SIA, 1(1) მუხლი.

ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების პარალელურად განხილვა და შედარებითი ანალიზი.

SIA, ისევე როგორც ევროპული კონვენცია, მიჯნავს ერთმანეთისგან სახელმწიფო იმუნიტეტს იურისდიქციისგან და სახელმწიფო იმუნიტეტს აღსრულებისგან და განსხვავებულ რეგულირებას ადგენს თითოეული მათგანისთვის.

2.1. სახელმწიფო იმუნიტეტი იურისდიქციისგან

SIA, ისევე როგორც FSIA, ადგენს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის ზოგად პრინციპს⁴⁹³ და შემდეგ ჩამოთვლის აღნიშნული პრინციპიდან გამონაკლისებს.⁴⁹⁴

ასევე მნიშვნელოვანია, რომ SIA-ს თანახმად, სასამართლოს მიერ სახელმწიფო იმუნიტეტის მინიჭების საკითხი არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს სასამართლოში გამოცხადებასთან.⁴⁹⁵ SIA სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას შეამოწმოს, ვრცელდება თუ არა მხარე-სახელმწიფოზე სუვერენული იმუნიტეტი, მიუხედავად იმისა, იშუამდგომლეს თუ არა მხარეებმა სასამართლოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით⁴⁹⁶ და არ აქვს მნიშვნელობა მხარე-სახელმწიფოს სასამართლოში გამოუცხადებლობას.⁴⁹⁷

SIA-თ დადგენილი გამონაკლისებიდან არბიტრაჟთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამონაკლისები, რომლებიც დაკავშირებულია: 1) სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმასთან,⁴⁹⁸ 2) „კომერციულ გარიგებებთან“⁴⁹⁹ და 3) საარბიტრაჟო

⁴⁹³ იქვე, 2-11 მუხლები.

⁴⁹⁴ იქვე, 1(2) მუხლი.

⁴⁹⁵ იქვე.

⁴⁹⁶ იქვე. გაერთიანებული სამეფოსგან განსხვავებით, საქმეზე *CF Yugoslavia v Croatia* [2000] ILR 59 საფრანგეთის სააკასაციო სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო კონვენციის არარსებობის პირობებში, სასამართლო არ არის ვალდებული, საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს სახელმწიფო იმუნიტეტის არსებობის საკითხი, რადგან, იმუნიტეტი არ არის აბსოლუტური და მასზე უფლება უნდა წამოაყენოს დაინტერესებულმა მხარემ.

⁴⁹⁷SIA, მე-2 მუხლი.

⁴⁹⁸ იქვე, მე-3 მუხლი.

⁴⁹⁹ იქვე, მე-9 მუხლი.

შეთანხმებებთან.⁵⁰⁰ აღსანიშნავია, რომ სამივე გამონაკლისი ევროპული კონვენციის შესაბამის დებულებებს ეფუძნება, თუმცა რეგულირების უფრო მოქნილ მექანიზმს წარმოადგენს.⁵⁰¹

2.1.1. იმუნიტეტზე უარის თქმა – იურისდიქციისადმი დაქვემდებარება

SIA-ს 2(1) მუხლის თანახმად, უცხო სახელმწიფო კარგავს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის უფლებას, როდესაც იგი დაექვემდებარება გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციას.⁵⁰² გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარება შესაძლებელია როგორც დავის წარმოშობის შემდეგ, ისე დავის წარმოშობამდე წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.⁵⁰³ მიიჩნევა, რომ უცხო სახელმწიფო დაექვემდებარა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციას, იმ შემთხვევაში, როდესაც მან აღძრა სარჩელი სასამართლოში,⁵⁰⁴ ან როდესაც იგი ჩაება სასამართლო წარმოებაში, ან სხვა ზომები მიიღო სასამართლო საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.⁵⁰⁵ თუმცა ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლების მოთხოვნით სასამართლო პროცესში ჩაბმა,⁵⁰⁶ ან სახელმწიფოს სასამართლო პროცესში მონაწილეობა იმ ფაქტობრივი გარემოებების დასაბუთებული უცოდინრობის გამო, რომელიც მას ანიჭებდა სახელმწიფო იმუნიტეტს, არ აკარგვინებს უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტით დაცვის უფლებას.⁵⁰⁷ SIA-ს მიზნებისთვის გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებად არ მიიჩნევა ასევე სახელმწიფოს მიერ ქონებრივი ინტერესის დაცვა ისეთ გარემოებაში, რომელიც

⁵⁰⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 124.

⁵⁰¹ SIA, 2(1) მუხლი.

⁵⁰² იქვე, 2(2) მუხლი.

⁵⁰³ იქვე, 2(3)(a) მუხლი.

⁵⁰⁴ იქვე, 2(3)(b) მუხლი.

⁵⁰⁵ იქვე, 4(a) მუხლი.

⁵⁰⁶ იქვე, 2(5) მუხლი.

⁵⁰⁷ იქვე, 2(4)(b) მუხლი.

სახელმწიფოს მიანიჭებდა იმუნიტეტს მის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო წარმოებაში.⁵⁰⁸ ნიშანდობლივია ისიც, რომ ინგლისური სამართლის ხელშეკრულების მოქმედ სამართლად არჩევა არ გულისხმობს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებას.⁵⁰⁹

SIA-თ შემოთავაზებული რეგულირება იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის თაობაზე ევროპული კონვენციის პირველი, მე-2 და მე-3 მუხლების ადაპტაციაა, რომლებიც შეეხება სასამართლო წარმოების წამოწყებას ან წარმოებაში ჩაბმას, იურისდიქციისადმი დაქვემდებარებას, სასარჩელო წარმოების არსებით განხილვასთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას.⁵¹⁰ თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული კონვენციის აღნიშნული დებულებების გამოყენებისა და განმარტების შესახებ სასამართლო პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს,⁵¹¹ ნაშრომის მიზნებისთვის გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკის გაცნობა მნიშვნელოვანია აღნიშნული დებულებების გასააზრებლად.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური სასამართლოები ზოგად დებულებას უცხო სახელმწიფოს მიერ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის თაობაზე არ განმარტავენ SIA-ს მე-2 მუხლის მიზნებისთვის გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებისადმი დაქვემდებარებად. ინგლისური სასამართლოების აზრით, დებულება, რომელიც გულისხმობს იმუნიტეტზე უარის თქმას სხვა ქვეყნის სასამართლოების იურისდიქციაზე და მათში არ მოიაზრებს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს, ვერ იქნება უცილობლად განხილული, როგორც ამ უკანასკნელის იურისდიქციისადმი დაქვემდებარებად.⁵¹² საქმეზე *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania*⁵¹³ (შემდგომ - *Svenska*) გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ მხარეებს შორის შეთანხმება, რომლის თანახმადაც მხარე-სახელმწიფო და სახელმწიფო საწარმო უარს ამბობდნენ სახელმწიფო იმუნიტეტთან

⁵⁰⁸ იქვე, 2(2) მუხლი.

⁵⁰⁹ Yang (სქ. 89) 336; იხ. ასევე ევროპული კონვენცია, პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები.

⁵¹⁰ Yang (სქ. 89) 336.

⁵¹¹ იქვე, 336-37.

⁵¹² Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 349-50.

⁵¹³ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* [2006] EWCA Civ 1529, [2006] All ER (D) 156 (Nov).

დაკავშირებულ ყველა უფლებაზე უკან გამოხმობის უფლების გარეშე, მიიჩნია იმუნიტეტზე უარის თქმის თაობაზე ზოგად დებულებად, რაც SIA-ს 2(1) მუხლის მიზნებისთვის არ გულისხმობდა ინგლისისა და უელსის სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებას.⁵¹⁴ აღნიშნული პრეცედენტი მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია, მხარეებს შორის შეთანხმება შეიცავდეს ცხადი და კონკრეტული ნების გამოვლენას უშუალოდ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარების თაობაზე.⁵¹⁵

ზემოხსენებული საქმის საპირისპიროდ, საქმეზე *Donegal International Ltd v Zambia*⁵¹⁶ ზამბიამ უპირობოდ და უკან გამოუხმობლად განაცხადა უარი სახელმწიფო იმუნიტეტზე, რომელიც მას ჰქონდა ან მომავალში შეიძლება მინიჭებოდა.⁵¹⁷ ამასთან, ზამბია აცხადებდა თანხმობას, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის ინგლისის სასამართლოების მიერ გადაწყვეტის თაობაზე,⁵¹⁸ რითაც, განსხვავებით საქმისგან *Svenska*, გამოჩნდა ზამბიის კონკრეტული ნება, ინგლისის სასამართლოებისათვის მიმართვის თაობაზე და ინგლისური სასამართლოს მიერ განიმარტა ინგლისური სასამართლოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებად.⁵¹⁹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარება უნდა განხორციელდეს პირდაპირი, ცხადი, ცალსახა ნების გამოვლენით, რაც გამორიცხავს ასევე იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას.⁵²⁰

ნიშანდობლივია, რომ არც ევროპული კონვენციის და არც SIA-ს თანახმად, ისევე როგორც FSIA-ს შემთხვევაშიც, იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის

⁵¹⁴ იქვე, 128.

⁵¹⁵ Judith Gill, Stephen Jagusch and Anthony Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 297.

⁵¹⁶ *Donegal International Ltd v Zambia* EWHC 197 (Comm); [2007] All ER (D) 184 (Feb); [2007] 1 Lloyds Rep 397.

⁵¹⁷ იქვე.

⁵¹⁸ იქვე.

⁵¹⁹ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 297-98.

⁵²⁰ Yang (სქ. 89) 339.

თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას და საჭიროა, სახელმწიფომ დამოუკიდებლად განაცხადოს უარი აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვის უფლებაზე.⁵²¹

2.1.2. კომერციული გარიგება

SIA-ს კომერციული გარიგების გამონაკლისი დაფუძნებულია ევროპული კონვენციის მე-4 და მე-7 მუხლების დებულებებზე, რომლებიც ასახავს კომერციული ხასიათის საქმიანობის შემთხვევებს.⁵²² თუმცა მათგან განსხვავებით, SIA უფრო ფართო რეგულირებასა და „კომერციული გარიგების“ ცნების მნიშვნელოვან მოდიფიკაციას ახდენს.⁵²³

SIA-ს მე-3 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით ისეთ სასამართლო საქმისწარმოებებზე, რომლებიც დაკავშირებულია:

- ა) სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ კომერციულ გარიგებასთან; ან
- ბ) ხელშეკრულებიდან (მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კომერციული გარიგება) გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებასთან, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შესრულდეს გაერთიანებულ სამეფოში.⁵²⁴

თუმცა ზემოხსენებული წესი არ გამოიყენება, თუ დავის მხარეები არიან სახელმწიფოები, ან თუ მხარეები წერილობით სხვაგვარად შეთანხმდებიან.⁵²⁵

როგორც ჩანს, კომერციული გამონაკლისის ნორმა ფართო მოქმედებისაა. მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული

⁵²¹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 186-87.

⁵²² იქვე, 123-24; იხ. ასევე ევროპული კონვენცია, მე-6 და მე-7 მუხლები; ბრაუნლი (სქ. 78) 369; ევროპული კონვენციის კონვენციის მე-5-მე-11-ე მუხლები შეიცავს კერძოსამართლებრივ და კომერციულ ქმედებებთან დაკავშირებულ გამონაკლისებს და ყველა მათგანი მოითხოვს მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციულ კავშირს გაერთიანებულ სამეფოსთან.

⁵²³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 123-124; იხ. ასევე Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 355.

⁵²⁴ SIA, 3(1) მუხლი. ასევე SIA-ს 3(1)(b) მუხლი არ გამოიყენება თუ ხელშეკრულება, რომელიც არ არის კომერციული გარიგება, დადებულია დავის მხარე-სახელმწიფოს ტერიტორიაზე და სადავო ვალდებულება ადმინისტრაციული სამართლით რეგულირდება.

⁵²⁵ იქვე, 3(2) მუხლი.

კომერციული გარიგებებით და იგი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელ სახელმწიფოს ვალდებულების მიმართაც გამოიყენება.⁵²⁶

ნიშანდობლივია ასევე, რომ FSIA-სგან განსხვავებით, SIA უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ კომერციულ გარიგებას არ ჰქონდეს იურისდიქციული კავშირი გაერთიანებულ სამეფოსთან იმისათვის, რომ მასზე არ გავრცელდეს სახელმწიფო იმუნიტეტი.⁵²⁷

საინტერესოა SIA-ში მოცემული „კომერციული გარიგების“ ცნების განმარტება. კერძოდ, „კომერციული გარიგება“ არის:

ა) საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

ბ) ნებისმიერი სესხი ან სხვა გარიგება ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ და ნებისმიერი გარანტია ან კომპენსაცია დაკავშირებული ნებისმიერ ასეთ გარიგებასთან ან ფინანსურ ვალდებულებასთან; და

გ) ნებისმიერი სხვა გარიგება ან საქმიანობა (კომერციული, სამრეწველო, ფინანსური, პროფესიული ან სხვა მსგავსი ხასიათის), რომელსაც სახელმწიფო დებს ან რომელშიც იგი მონაწილეობს როგორც არასუვერენული ხელისუფლების განმახორციელებელი.⁵²⁸

საქმეზე *I Congreso del Partido*⁵²⁹ ლორდმა უილბერფორსმა აღნიშნა, რომ კომერციული გარიგების გამონაკლისისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოკვლეულ იქნას, სახელმწიფოს ქმედება განეკუთვნება სუვერენული უფლებამოსილების (*jure imperii*), თუ კომერციული საქმიანობის (*jure gestionis*) განხორციელებას.⁵³⁰ აღნიშნული განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, ახორციელებს თუ არა სახელმწიფო სახელისუფლებო ქმედებას საჯარო სამართლის შესაბამისად, თუ მოქმედებს როგორც კერძო პირი კერძო სამართლის თანახმად.⁵³¹

მართალია, SIA არაფერს ამბობს კომერციული საქმიანობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, როგორცაა „სამართლებრივი ბუნების“ ან „მიზნობრივი“ ტესტი, თუმცა

⁵²⁶ ბრაუნლი (სქ. 78) 370.

⁵²⁷ SIA, 3(1) მუხლი, შუად. FSIA-ს 1605 (a)(2) მუხლს.

⁵²⁸ SIA, 3(3) მუხლი.

⁵²⁹ *I Congreso del Partido* [1983] 1 AC 244, 262-265, 64 ILR 307.

⁵³⁰ იქვე.

⁵³¹ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafita and the Republic of Lithuania* (სქ. 513).

საქმიდან *I Congreso del Partido* გამოჩნდა, რომ SIA-ს მე-3 მუხლის მიზნებისთვის, ქმედების კომერციულობა განისაზღვრება მისი სამართლებრივი ბუნების მიხედვით და, ამ შემთხვევაში ქმედების მიზანი არ არის მნიშვნელოვანი.⁵³² აღნიშნულისგან განსხვავებით, SIA-ს მე-13 მუხლი აღსრულებისგან იმუნიტეტის რეგულირებისას, მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ ქონების მიზანს და არა მის სამართლებრივ ბუნებას.⁵³³ თუმცა, იმავე საქმეზე ასევე ხაზი გაესვა კონტექსტუალური მიდგომის მნიშვნელობას, რაც შემდგომ გაზიარებული იქნა სხვა ინგლისური სასამართლოების მიერ.⁵³⁴

სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ყოველთვის არ არის მარტივი იმის დადგენა, არის თუ არა გარიგება კომერციული.⁵³⁵ მაგალითად, საქმეზე *Svenska*⁵³⁶ საქმე შეეხებოდა ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმების საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის თანახმადაც *Svenska* და *Geonafta* (მეორე მოპასუხე) შეთანხმდნენ ლიეტუვის გარკვეულ ტერიტორიაზე ნავთობის საბადოების ექსპლუატაციის თაობაზე.⁵³⁷ ლიეტუვის მთავრობამ დაამტკიცა და ხელი მოაწერა აღნიშნულ შეთანხმებას. შედეგად, *Svenska* ამტკიცებდა, რომ ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმება იყო კომერციული გარიგება SIA-ს 3(3)(a),(b) მუხლის თანახმად, ხოლო ლიეტუვასა და *Geonafta*-ს აზრით, რადგან შეთანხმება შეიცავდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რეგულირებასა და ლიცენზირებას, იგი არ უნდა ყოფილიყო კვალიფიცირებული კომერციულ გარიგებად.⁵³⁸ გაერთიანებული სამეფოს უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ, ფაქტობრივად, ეს იყო კომერციული გარიგება, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმება არის სავარაუდოდ, ჰიბრიდული ტიპის შეთანხმება.⁵³⁹ სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ შეთანხმების თანახმად, ლიეტუვას ჰქონდა უფლება დომინირებული

⁵³² Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 298.

⁵³³ SIA, 13(4) მუხლი.

⁵³⁴ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 298.

⁵³⁵ Harris (სქ. 82) 323.

⁵³⁶ *Svenska v Lithuania* [2005] EWHC 2437.

⁵³⁷ იქვე.

⁵³⁸ იქვე.

⁵³⁹ იქვე.

საბაზრო ფასით შეესყიდა წარმოებული ნავთობი სრულად და მაშინ, როცა ერთობლივ საწარმოს ჰქონდა კონკრეტული აქტივებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენების უფლება, ლიეტუვამ დაიტოვა ფართო უფლებამოსილება შეთანხმების შეწყვეტისა სამართლიანი საბაზრო ღირებულების გადახდის ვალდებულების პირობით *Svenska-სათვის* მიყენებული ზიანისთვის.⁵⁴⁰ აღნიშნულისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ ნაკლები თავდაჯერებულობა გამოავლინა ერთობლივი საწარმოს შესახებ შეთანხმების კომერციულ გარიგებად კვალიფიკაციის საკითხში და თავი შეიკავა ამასთან დაკავშირებით საბოლოო მოსაზრების წარმოდგენისგან.⁵⁴¹

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ პროექტს ან შეთანხმებას შეიძლება „კომერციული გარიგების“ კვალიფიკაცია მიეცეს, პრობლემა შესაძლოა წამოიჭრას იმასთან მიმართებით, თუ რამდენად არის სასამართლო პროცესი „დაკავშირებული“ ამ გარიგებასთან SIA-ს მე-3 მუხლის მოთხოვნის თანახმად.⁵⁴² აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ტერმინის „დაკავშირებული“ როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობა, კონტექსტის გათვალისწინებით.⁵⁴³ მაგალითად, საქმეზე *AIC Ltd v The Federal Government of Nigeria*⁵⁴⁴ სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებული იყო კომერციული გარიგებიდან წარმოშობილ დავაზე, საქმისწარმოება ინგლისურ სასამართლოში ზემოხსენებული სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დაკავშირებულია არა გარიგებასთან, არამედ თავად სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან.⁵⁴⁵ ასეთივე ვიწრო განმარტება გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ საქმეზე *Svenska* და ძალაში დატოვა მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, რომ სასამართლოს გამოეყენებინა SIA-ს მე-3 მუხლით გათვალისწინებული კომერციული გარიგების გამონაკლისი სახელმწიფო

⁵⁴⁰ იქვე, [42]-[46].

⁵⁴¹ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* (სქ. 513) [132].

⁵⁴² Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 299.

⁵⁴³ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* (სქ. 513) [137].

⁵⁴⁴ *AIC Ltd v The Federal Government of Nigeria* [2003] EWHC 1357 (QB).

⁵⁴⁵ იქვე; იხ. ასევე *Holland v Lampen-Wolfe* [2000] 1 WLR 1573, [1587F-H] (ლორდი მილუტი).

იმუნიტეტის წინააღმდეგ.⁵⁴⁶ რა თქმა უნდა, აღნიშნული მხარეს არ ართმევს შესაძლებლობას, მოითხოვოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება SIA-თ დადგენილი სხვა გამონაკლისების საფუძველზე.⁵⁴⁷

2.1.3. საარბიტრაჟო გამონაკლისი

SIA ცალკე გამოყოფს არბიტრაჟთან დაკავშირებულ გამონაკლისს და ადგენს, რომ სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში, როდესაც სახელმწიფო წერილობით თანხმობას განაცხადებს იმ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე, რომელიც უკვე წარმოიშვა ან მომავალში შეიძლება წარმოიშვას.⁵⁴⁸ აქვე SIA მხარეებს აძლევს უფლებას, საარბიტრაჟო შეთანხმებით აღნიშნული ნორმისგან განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ.⁵⁴⁹ აღსანიშნავია, რომ SIA-ს მე-9 მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გამონაკლისი სახელმწიფოებს შორის საარბიტრაჟო წარმოებაზე არ ვრცელდება.⁵⁵⁰

ნიშანდობლივია, რომ SIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისი ადგენს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს იურისდიქციას არა მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ სასამართლო წარმოებაზე, არამედ - არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა სასამართლო წარმოებაზე, რომლის მხარეც არის სახელმწიფო.⁵⁵¹ ამასთან, საარბიტრაჟო გამონაკლისის ამოქმედების საფუძველია არა სახელმწიფოს მიერ სასამართლო წარმოებაზე თანხმობა, არამედ სახელმწიფოს საარბიტრაჟო შეთანხმება,

⁵⁴⁶ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* (სქ. 513) [137].

⁵⁴⁷ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 300.

⁵⁴⁸ SIA, 9(1) მუხლი.

⁵⁴⁹ იქვე, 9(2) მუხლი.

⁵⁵⁰ იქვე.

⁵⁵¹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 204.

რომელთან დაკავშირებითაც შემდგომ სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე.⁵⁵²

SIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისი ეფუძნება ევროპული კონვენციის მე-12 მუხლით განსაზღვრულ საარბიტრაჟო გამონაკლისს, თუმცა უფრო ფართო რეგულირების კუთხით.⁵⁵³ კერძოდ, SIA-ს მე-9 მუხლის მიზნებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს საარბიტრაჟო დავის საგანი „სამოქალაქო ან კომერციულია“ თუ არა, მაშინ, როცა ევროპული კონვენციის საარბიტრაჟო გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ სამოქალაქო ან კომერციული დავის საგანთან დაკავშირებულ არბიტრაჟებზე.⁵⁵⁴ გარდა ამისა, ევროპული კონვენციის საარბიტრაჟო გამონაკლისის მოქმედების სფერო შემოფარგლულია მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმისწარმოებით, როგორცაა საარბიტრაჟო შეთანხმების ინტერპრეტაციისა და კანონიერების დადგენა, საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება და არ მოიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს.⁵⁵⁵ ამის საპირისპირად, SIA-ს მე-9 მუხლი ვრცელდება ისეთ სასამართლო წარმოებაზე, რომელიც „დაკავშირებულია არბიტრაჟთან“, რაც მოიცავს სასამართლო წარმოებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.⁵⁵⁶

დაბოლოს, ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, SIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისი არ ითხოვს საარბიტრაჟო წარმოების გაერთიანებულ სამეფოსთან იურისდიქციულ კავშირს და სახელმწიფო იმუნიტეტს არ ავრცელებს როგორც უცხო, ისე გაერთიანებულ სამეფოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოებულ სასამართლო პროცესებზე.⁵⁵⁷ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული სასამართლო წარმოება გაერთიანებულ სამეფოში წარიმართოს.⁵⁵⁸ ამასთან, ფრაზა „გაერთიანებულ სამეფოში წარმართული სასამართლო წარმოებები“ უნდა განიმარტოს საარბიტრაჟო

⁵⁵² იქვე.

⁵⁵³ Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 378-79.

⁵⁵⁴ ევროპული კონვენცია, მე-12 მუხლი შეად., SIA-ს მე-9 მუხლს.

⁵⁵⁵ ევროპული კონვენცია, მე-12 მუხლი.

⁵⁵⁶ SIA, 9(1) მუხლი; იხ. ასევე Dickinson, Lindsay and Loonam (სქ. 262) 379.

⁵⁵⁷ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 206.

⁵⁵⁸ SIA, 9(1) მუხლი.

გადაწყვეტილებასთან მიმართებით და არა იმ გარიგებასთან მიმართებით, რომლიდან წარმოშობილი დავის მოსაგვარებლად გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁵⁵⁹

საყურადღებოა, რომ SIA-ს 9(1) მუხლის მოქმედების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში ინკორპორირებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების დებულებები ნიუ-იორკისა ან ICSID კონვენციების შესაბამისად, რადგან SIA-ს 9(2) მუხლი მხარეებს აძლევს SIA-ს 9(1) მუხლისგან განსხვავებულ წესზე შეთანხმების უფლებას.⁵⁶⁰

SIA-ს მე-9 მუხლის მართებულად განმარტების პრობლემა წამოიჭრა საქმეზე *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania*.⁵⁶¹ ლიეტუვის მთავრობა ამტკიცებდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე სასამართლო წარმოება არ იყო SIA-ს 9(1) მუხლით გათვალისწინებული „არბიტრაჟთან დაკავშირებული“ სასამართლო წარმოება, განსხვავებით, მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების წარმოებისგან.⁵⁶² გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ უარყო აღნიშნული არგუმენტი და განმარტა, რომ საარბიტრაჟო წარმოებაზე შეთანხმებით სახელმწიფო უქვემდებარებს საკუთარ თავს ყველა იმ

⁵⁵⁹ *AIC Ltd v The Federal Government of Nigeria* (სქ. 544)

⁵⁶⁰ იქვე; იხ. ასევე Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 206. ზოგადი წესის თანახმად, ინგლისში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება რეგულირდება 1996 წლის საარბიტრაჟო აქტით (UK Arbitration Act [1996] c 23) თუმცა, საარბიტრაჟო აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია საერთო სამართლის საფუძველზე. კონკრეტული ტიპის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება სპეციალური სტატუტებით. საარბიტრაჟო აქტის მესამე ნაწილით ნიუ-იორკის კონვენცია ინკორპორირებულია ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამართალში. მისი 101 (2) მუხლი ადგენს, რომ ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე შესაძლებელია აღსრულდეს ისევე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდებოდა. საარბიტრაჟო აქტით ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება განმარტებულია, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე და ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გარდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიისა.

⁵⁶¹ *Svenska v Lithuania* (სქ. 536).

⁵⁶² იქვე, [42]-[46]; იხ. ასევე Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 301; Mayer Brown White Paper, 'Sovereign Immunity and Enforcement of Arbitral Awards: Navigating through Boundaries' 2/2012, 23-24 <<https://www.mayerbrown.com/files/Publication/2e0f7077-9b25-430e-8b70-6a8f8c1a9d76/Presentation/PublicationAttachment/1be4c54c-bfc2-4d78-9403-85e37c560f43/12270.PDF>> [14.10.2016].

წარმოებას, რომელიც არბიტრაჟს გახდის ქმედითს და მათ შორისაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე შუამდგომლობაც.⁵⁶³ თავისი მოსაზრება სასამართლომ დაასაბუთა იმით, რომ SIA-ს მიღებისას პარლამენტის განზრახვა იქნებოდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე შუამდგომლობაზე არ უნდა გავრცელებულიყო სახელმწიფო იმუნიტეტი.⁵⁶⁴ შედეგად, სააპელაციო სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადად გამოაცხადა.⁵⁶⁵

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ SIA-თ გათვალისწინებული საარბიტრაჟო გამონაკლისი ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს ანიჭებს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად ცნობის უფლებამოსილებას, მიუხედავად იმისა, საარბიტრაჟო დავა კომერციული ხასიათის არის თუ არა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შიდაა თუ უცხოური.⁵⁶⁶ SIA ამ მხრივ უფრო ფართოა და მეტ შესაძლებლობას აძლევს კერძო მხარეს დაძლიოს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის ბარიერი და გაერთიანებულ სამეფოში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცესი წარმატებით განახორციელოს.

⁵⁶³ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* (სქ. 513). Ned Beale, 'A recent Court of Appeal ruling underlines the limits of the protection afforded by sovereign state immunity in arbitration proceedings. Ned Beale reports' (2007) *New Law Journal* <<https://www.newlawjournal.co.uk/content/matters-state>> [12.10. 2021].

⁵⁶⁴ *Svenska Petroleum Exploration AB v AB Geonafta and the Republic of Lithuania* (სქ. 513).

⁵⁶⁵ იქვე, [132].

⁵⁶⁶ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 301.

2.1.4. იმუნიტეტით დაცვის უფლების მქონე სახელმწიფო და დამოუკიდებელი ერთეულები

SIA-ს თანახმად, იურისდიქციისგან იმუნიტეტით სარგებლობს ნებისმიერი უცხო ან თანამეგობრობის ქვეყანა, გარდა გაერთიანებული სამეფოსი და იმ პირებისა, რომლებიც SIA-ს მიზნებისთვის მოიაზრება „სახელმწიფოს“ ქვეშ.⁵⁶⁷ ესენია: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა და ნებისმიერი სამთავრობო უწყება.⁵⁶⁸ აღსანიშნავია, რომ SIA სახელმწიფო იმუნიტეტს არ ავრცელებს „დამოუკიდებელ ერთეულზე“, რომელიც არ არის უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო და სასამართლოში შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.⁵⁶⁹

SIA-ს აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს ევროპული კონვენციიდან, რომლის 27-ე მუხლის თანახმად, „ხელშემკვრელი სახელმწიფოს“ ცნება არ მოიაზრებს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც სასამართლოში შეიძლება მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოვიდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი იურიდიული პირი საჯარო ფუნქციებითაა აღჭურვილი. თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას (*acta jure imperii*) ევროპული კონვენცია ასეთ იურიდიულ პირს ანიჭებს სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლებას.⁵⁷⁰ ამასთან, ევროპული კონვენცია ადგენს, რომ იურიდიული პირის წინააღმდეგ შესაძლებელია სასამართლო წარმოების დაწყება ყველა შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ამ სასამართლოს იურისდიქციას შეიძლება დაექვემდებაროს ხელშემკვრელი სახელმწიფო.⁵⁷¹

SIA „დამოუკიდებელ ერთეულს“ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისგან იმუნიტეტს ანიჭებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმისწარმოება დაკავშირებულია „დამოუკიდებელი ერთეულის“ მიერ სუვერენული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებასთან და საქმის

⁵⁶⁷ SIA, 14(1) მუხლი.

⁵⁶⁸ იქვე.

⁵⁶⁹ იქვე.

⁵⁷⁰ ევროპული კონვენცია, 27(2) მუხლი.

⁵⁷¹ იქვე, 27(3) მუხლი.

გარემოებებიდან გამომდინარე სახელმწიფოზე გავრცელდებოდა სახელმწიფო იმუნიტეტი.⁵⁷² „დამოუკიდებელი ერთეულის“ „სახელმწიფოს“ განმარტებიდან ამოღებით SIA ადგენს ე.წ. „არა-იმუნიტეტის პრეზუმფციას“, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი ერთეული არ არის დაცული სახელმწიფო იმუნიტეტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ახორციელებს სუვერენულ უფლებამოსილებას.⁵⁷³ აღნიშნულის შესამოწმებლად ჩამოყალიბდა ე.წ. *'Trendex'*-ის ორსაფეხურიანი ტესტი.⁵⁷⁴ კერძოდ, პირველ ეტაპზე დგინდება ერთეულის სტატუსი, არის თუ არა იგი სახელმწიფოსგან ნამდვილად დამოუკიდებელი, ხოლო შემდგომ ეტაპზე სასამართლო იკვლევს იმ ქმედების ნიშან-თვისებებს, რომელიც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთხოვნას.⁵⁷⁵ აღნიშნული ორსაფეხურიანი ტესტი არ არის მარტივად განსახორციელებელი იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის ერთეული არსებობს, რომელთაც სხვადასხვა სახის სამართალურიერთობა აკავშირებთ სახელმწიფოსთან.⁵⁷⁶ ამასთან სადავოა, თუ რაზეა დამოკიდებული იმუნიტეტის მინიჭება, დამოუკიდებელი ერთეულის მიერ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების შედეგად განხორციელებულ ქმედებაზე თუ იმაზე, რომ დამოუკიდებელი ერთეული ქმედების შესრულებისას სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა.⁵⁷⁷

ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ სასამართლო პრაქტიკიდან საინტერესოა საქმე *Tsavliris Salvage (international) Limited v The Grain Board of Iraq (GBI)*,⁵⁷⁸ სადაც ერაყის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ *GBI* მოითხოვა კერძო სამაშველო კომპანიასთან დადებული სამაშველო ხელშეკრულების საფუძველზე მის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო დამოუკიდებელი ერთეული და ვაჭრობის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა და შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა სახელმწიფო იმუნიტეტი. ინგლისის სასამართლომ

⁵⁷² SIA, 14(2) მუხლი.

⁵⁷³ Yang (სქ. 89) 235.

⁵⁷⁴ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 180-81.

⁵⁷⁵ Yang (სქ. 89) 235.

⁵⁷⁶ იქვე.

⁵⁷⁷ Fox, *International Law* (სქ. 10) 373.

⁵⁷⁸ *Tsavliris Salvage (International) Limited v The Grain Board of Iraq (GBI)* [2008] EWHC 612 (Comm).

დაადგინა, რომ *GBI*-ზე ვერ გავრცელდებოდა სახელმწიფო იმუნიტეტი SIA-ს (9)(1) მუხლის თანახმად, რადგან მან კანონიერი საარბიტრაჟო შეთანხმება დადო კერძო პირთან. მეორე მხრივ, სასამართლომ გააკეთა ვრცელი განმარტება დამოუკიდებელ ერთეულთან დაკავშირებით და ყველა საჭირო შესაბამისი გარემოების ერთობლივად გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ *GBI* არის დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც სარგებლობს ფინანსური და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობით, რომლის მთავარი ფუნქცია და მიზანი არის მარცვლეულის იმპორტი და რომ ის უფლებამოსილი იყო თავისი სახელით დაედო ხელშეკრულებები ვაჭრობის სამინისტროს თანხმობის გარეშე. ამის შემდეგ სასამართლომ ასევე იმსჯელა, თუ რამდენად შეიძლებოდა *GBI*-ზე, როგორც დამოუკიდებელ ერთეულზე, გავრცელებულიყო სახელმწიფო იმუნიტეტი SIA-ს (14)(2) მუხლის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს იმუნიტეტით დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მოქმედების პირობას, და დადგინა, რომ აღნიშნული ნორმა ვერ გავრცელდებოდა *GBI*-ზე, რადგან სამაშველო ხელშეკრულების დადება სამართლებრივი ბუნებით არ იყო სახელისუფლებო აქტი.⁵⁷⁹

„სუვერენული უფლებამოსილების განხორციელების“ კრიტერიუმის დადგენასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ლორდ უილბერფორსის განცხადება საქმეზე *Czarinkow v Rolimpex*,⁵⁸⁰ რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობით, ვაჭრობის უნართა და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობით, მიუხედავად სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ყოფნისა, თანამედროვე კომერციის კარგად ნაცნობი ნიშან-თვისებაა. შესაბამისად, განსხვავება ასეთ კომპანიებსა და მათ მმართველ სახელმწიფოს შორის, მართალია, შესაძლოა ხელოვნურია, მაგრამ აღიარებულია როგორც ინგლისის, ისე სხვა სახელმწიფოების სამართლის მიერ.⁵⁸¹

თუმცა საქმეზე *Kuwait Airways Corporation (KAC) v Iraqi Airways Company (IAC)*⁵⁸² ნათლად გამოჩნდა ის სირთულებები, რომლებთანაც დაკავშირებულია „სუვერენული

⁵⁷⁹ Mayer Brown White Paper (სქ. 562) 25.

⁵⁸⁰ *Czarinkow v Rolimpex* [1979] AC 351, 364.

⁵⁸¹ იქვე, ლორდი უილდერფორსი.

⁵⁸² *Kuwait Airways Corporation (KAC) v Iraqi Airways Company (IAC)* [1995] 3 All ER 694, HL; 103 ILR 340;

უფლებამოსილების განხორციელებისას“ ქმედების კვალიფიკაცია.⁵⁸³ აღნიშნულ საქმეზე მოსამართლეთა ხმები გაიყო იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა IAC-ის ქმედება სუვერენული უფლებამოსილების განხორციელება.⁵⁸⁴ კერძოდ, 1990 წელს, ერაყის კუვეიტში შეჭრის დროს, ერაყმა მიიტაცა KAC-ის კუთვნილი ათი სამოქალაქო თვითმფრინავი, რომლებიც შემდგომ IAC-ის ფლოტის ნაწილად გამოცხადდა და მის შემადგენლობაში ოპერირებდა. მოსამართლეთა ნაწილის აზრით, ცხადი იყო, რომ აღნიშნული ქმედება *jure imperii*-ს წარმოადგენდა, რადგან თვითმფრინავების კონფისკაცია და მათი IAC-სთვის გადაცემა მოხდა კუვეიტში ერაყის ძალადობრივი ქმედების საფუძველზე და შემდგომ IAC-ის მიერ მათი სამოქალაქო ავიაციაში გამოყენებაც განხორციელდა ერაყის მიერ სუვერენული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მიღებული N369 რეზოლუციის საფუძველზე.⁵⁸⁵ მოსამართლეთა აზრით, ამ შემთხვევაში არაარსებითია IAC-ის მიზანი, გამოყენებინა აღნიშნული თვითმფრინავები კომერციული საქმიანობისთვის, რადგან სწორედ ქმედების სამართლებრივ ბუნებას და არა მიზანს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.⁵⁸⁶

მოსამართლეთა მეორე ნაწილის მიერ ექსპროპრიაციის ფაქტი მიჩნეულ იქნა სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებად მაშინ, როცა 1990 წლის შემდეგ IAC-ის მიერ კონფისკირებული თვითმფრინავების სამოქალაქო ავიაციაში ოპერირება ჩაითვალა ჩვეულებრივ კომერციულ საქმიანობად.⁵⁸⁷ მათი აზრით, იმუნიტეტის მოსაპოვებლად დამოუკიდებელი ერთეულის ქმედება დამოუკიდებლად და თავისთავად უნდა წარმოადგენდეს სუვერენულ, სახელისუფლებო ქმედებას.⁵⁸⁸ აღნიშნული მიდგომა სრულიად ეწინააღმდეგება ლორდ უილბერფორსის საქმეზე *I Congreso del Partido* გამოთქმულ მოსაზრებას სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებათა სასარჩელო მოთხოვნის გარემოებების მთლიანი კონტექსტის, მათ შორის, ქმედების მიზნის გათვალისწინებით გამიჯვნის თაობაზე.⁵⁸⁹

⁵⁸³ Fox, *International Law* (სქ. 10) 359.

⁵⁸⁴ Yang (სქ. 89) 238.

⁵⁸⁵ *Kuwait Airways Corporation (KAC) v Iraqi Airways Company (IAC)* (სქ. 582).

⁵⁸⁶ Yang (სქ. 89). 238.

⁵⁸⁷ იქვე, 239.

⁵⁸⁸ იქვე, 239-40.

⁵⁸⁹ *I Congreso del Partido* (სქ. 529).

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქმეზე *Kuwait Airways Corporation (KAC) v Iraqi Airways Company (IAC)* უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აშკარად წინააღმდეგობრივია და ნათლად გამოხატავს იმ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია „სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებისას“ დამოუკიდებელი ერთეულების ქმედების კვალიფიკაციასთან.⁵⁹⁰

ნიმანდობლივია, რომ SIA-თ „დამოუკიდებელი ერთეულის“ თაობაზე იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი ნორმები ვრცელდება ასევე ცენტრალურ ბანკსა და სხვა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოზეც და მათ SIA-ს (14)(2) მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, ენიჭებათ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციისგან იმუნიტეტი იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი „დამოუკიდებელი ერთეულის“ სტატუსით სარგებლობენ.⁵⁹¹

საქმეზე *AIG v Kazakhstan*⁵⁹² გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მონეტარული სისტემის მარეგულირებლის ან მცველის ფუნქციის შესრულებისას, ცენტრალური ბანკი ახორციელებდა სახელისუფლებო უფლებამოსილებას, შესაბამისად, ცენტრალური ბანკის ყველა აქტივი სარგებლობდა სახელმწიფო იმუნიტეტით SIA-ს (14)(2) მუხლის თანახმად.⁵⁹³ ამის საპირისპიროდ, საქმეზე *Cardinal Financial Investment Corp v Central Bank of Yemen*⁵⁹⁴ სააპელაციო სასამართლომ ცენტრალური ბანკის მიერ თამასუქის გაცემა მიიჩნია SIA-ს მე-3 მუხლით განსაზღვრულ კომერციულ საქმიანობად და დაადგინა, რომ ცენტრალური ბანკი ვერ ისარგებლებდა სახელმწიფო იმუნიტეტით SIA-ს (14)(2)(b) მუხლის შესაბამისად.⁵⁹⁵

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მომდინარეობს რა ევროპული კონვენციიდან, SIA-ს თანახმად „დამოუკიდებელი ერთეულების“ ცნება უფრო ვიწროა,

⁵⁹⁰ Yang (სქ. 89).

⁵⁹¹ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 306.

⁵⁹² *AIG v Kazakhstan* [2005] EWHC 2239; [2006] 1 WLR 1420.

⁵⁹³ იქვე.

⁵⁹⁴ *Cardinal Financial Investment Corp v Central Bank of Yemen* [2000] EWCA Civ 266.

⁵⁹⁵ იქვე.

ვიდრე FSIA-თ განსაზღვრული „უწყებებისა ან ინსტიტუციებისა.“⁵⁹⁶ SIA-ს მიხედვით, „დამოუკიდებელი ერთეულები“ განცალკევებულია სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოსგან და ისინი არ მოიაზრებიან „სახელმწიფოს“ ცნების ქვეშ მაშინ, როცა FSIA-თ „უწყებები ან ინსტიტუციები“ მოიცავს უცხო სახელმწიფოს ორგანოს ან პოლიტიკურ ქვედანაყოფს.⁵⁹⁷ შესაბამისად, დიდი განსხვავება არ არის SIA-სა და FSIA-ს მიდგომებს შორის სახელმწიფოს მრავალრიცხოვან უწყებებსა და დეპარტამენტებთან მიმართებით, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ არაკომერციული მიზნებისთვის. ამ ორ აქტს შორის მთავარი განსხვავება დაკავშირებულია არასახელისუფლებო ან კომერციული მიზნით შექმნილ ერთეულებთან, როგორცაა სახელმწიფო საწარმოები და კომპანიები.⁵⁹⁸ თუმცა ორივეს შემთხვევაში აუცილებელი პირობაა კავშირის არსებობა ერთეულსა და უცხო სახელმწიფოს შორის. აშშ-ის შემთხვევაში აღნიშნული კავშირი დგინდება სტრუქტურალისტური, ხოლო გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში – ფუნქციონალისტური ტესტის საფუძველზე.⁵⁹⁹ საბოლოო ჯამში, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ერთეულისა თუ საწარმოსთვის მინიჭებული სახელმწიფო იმუნიტეტი თავად სახელმწიფოს მიეკუთვნება, როგორც გაერთიანებული სამეფოს, ისე აშშ-ის მიდგომა შესაბამისობაშია სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპთან.⁶⁰⁰

2.1.5. პროცესუალური საკითხები

SIA-ს მე-12 მუხლი ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წარმოებასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საკითხებს. SIA-ს თანახმად, სასამართლო უწყების ან სხვა დოკუმენტების მოპასუხე სახელმწიფოსათვის ჩაბარება უნდა განხორციელდეს გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა

⁵⁹⁶ Yang (სქ. 89) 278.

⁵⁹⁷ SIA, 14(2) მუხლი შუად., FSIA-ს 1603(b) მუხლს.

⁵⁹⁸ Yang (სქ. 89) 278.

⁵⁹⁹ იქვე.

⁶⁰⁰ იქვე, 279.

სამინისტროს მიერ მოპასუხე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნით, ხოლო სასამართლო უწყება ან დოკუმენტები ჩაბარებულად მიიჩნევა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მათი მიღების მომენტიდან.⁶⁰¹

აღსანიშნავია, რომ მოპასუხე სახელმწიფო კარგავს საპროცესო წესების დარღვევის საფუძვლით სასამართლო წარმოების დაწყების გასაჩივრების უფლებას, თუ იგი ჩაერთვება სასამართლო პროცესში.⁶⁰² გარდა ამისა, SIA-ს 12(2) მუხლი სახელმწიფოს დამატებით განუსაზღვრავს სასამართლო პროცესზე გამოცხადების ვადას, რომლის თანახმადაც, სასამართლო წარმოებაში ჩართვის ვადის დენა (სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, ან სხვაგვარად) იწყება სასამართლო უწყების ან დოკუმენტების ზემოხსენებული წესით მიღებიდან ორი თვის შემდეგ.⁶⁰³

SIA-ს მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესების დაცვით მხარე-სახელმწიფოს, გამოუცხადებლობის შედეგად სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ეგზავნება SIA-ს 12(1) მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად და სახელმწიფოს ეძლევა ორთვიანი ვადა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნისათვის.⁶⁰⁴

აღსანიშნავია, რომ SIA-ს 12(6) მუხლით მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეთანხმდნენ SIA-ს 12(1) მუხლისგან განსხვავებულ წესებზე და ასეთ შემთხვევაში SIA-ს 12(2) და 12(4) პუნქტები წყვეტენ მოქმედებას.⁶⁰⁵

2.1.6. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ SIA ეფუძნება რა ევროპული კონვენციის დებულებებს, ახდენს გაერთიანებულ სამეფოში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას. იგი, FSIA-სგან

⁶⁰¹ SIA, 12(1) მუხლი.

⁶⁰² იქვე, 12(3) მუხლი.

⁶⁰³ იქვე, 12(2) მუხლი.

⁶⁰⁴ იქვე.

⁶⁰⁵ იქვე, 12(6) მუხლი.

განსხვავებით, შედარებით ხელსაყრელ გარემოს ქმნის ინვესტორისთვის უცხო ქვეყნის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაერთიანებულ სამეფოში ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის კუთხით. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ არც ევროპული კონვენციის და არც SIA-ს თანახმად, იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმას.⁶⁰⁶ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად რეგულირდება SIA-თ და საქმის გარემოებები უნდა აკმაყოფილებდეს აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2. სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან

SIA მკაცრად მიჯნავს რა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტსა და იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტს, განსხვავებულად არეგულირებს მათ.⁶⁰⁷

FSIA-ს მსგავსად, SIA ადგენს აღსრულებისგან და ყადაღისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის ზოგად წესს⁶⁰⁸ და ამასთანავე განსაზღვრავს გამონაკლისებს აღნიშნული ზოგადი წესიდან.⁶⁰⁹

კერძოდ, SIA-ს 13(2) მუხლი აცხადებს, რომ კონკრეტული გამონაკლისების გათვალისწინებით, ა) სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებზე სახელმწიფო დაცულია ნებისმიერი სასამართლო აკრძალვისგან ან ნატურით შესრულების განკარგულებისგან, ან მიწაზე თუ სხვა საკუთრებაზე სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილებისგან და ბ) სახელმწიფოს ქონება არ დაექვემდებარება სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების

⁶⁰⁶ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 186-87.

⁶⁰⁷ Yang (სქ. 89) 356-57.

⁶⁰⁸ SIA, 13(2) მუხლი.

⁶⁰⁹ იქვე, 13(3),(4) მუხლი.

სააღსრულებო წარმოებას, ან ქონებრივ დავასთან დაკავშირებით - დაყადაღებას, დაკავებას ან გაყიდვას.⁶¹⁰

აღსრულებისგან იმუნიტეტიდან პირველი გამონაკლისი შეეხება იმუნიტეტზე უარის თქმას,⁶¹¹ ხოლო მეორე გამონაკლისი დაკავშირებულია კომერციულ საკუთრებასთან.⁶¹²

აღსანიშნავია, რომ SIA-ს 13(2) მუხლი ძირითადად იმეორებს ევროპული კონვენციის 23-ე მუხლის შინაარსს, რომელიც დაუშვებლად აცხადებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქონების მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სახელმწიფოს წერილობითი თანხმობა აღნიშნულის თაობაზე.⁶¹³

2.2.1. იმუნიტეტზე უარის თქმა

SIA-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფო კარგავს SIA-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის 'a' და 'b' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო წერილობით უარს განაცხადებს სუვერენულ იმუნიტეტზე.⁶¹⁴ უარი შეიძლება გამოთქმული იყოს წინასწარ საარბიტრაჟო შეთანხმებით და ასევე, იგი შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც კონკრეტულ საკითხებზე, ისე იყოს ზოგადი მოქმედების.⁶¹⁵ SIA-თ განსაზღვრული აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარი FSIA-ს მსგავსი წესისგან განსხვავდება ორი ნიშნით.⁶¹⁶ პირველი, SIA ითვალისწინებს აღსრულებისგან იმუნიტეტზე მხოლოდ პირდაპირ უარის თქმას მაშინ, როცა FSIA უშვებს ნაგულისხმევად უარის თქმასაც.⁶¹⁷ და მეორე, SIA-ს თანახმად,

⁶¹⁰ იქვე, 13(2) მუხლი.

⁶¹¹ იქვე, 13(3) მუხლი.

⁶¹² იქვე, 13(4) მუხლი.

⁶¹³ ევროპული კონვენცია, მუხლი 23; იხ. ასევე Ernest K Bankas, *The State Immunity Controversy in International Law: Private Suits Against Sovereign States in Domestic Courts* (Springer 2005) 91.

⁶¹⁴ SIA, 13(3) მუხლი.

⁶¹⁵ იქვე.

⁶¹⁶ შეად. FSIA, 1610(a)(1) მუხლი.

⁶¹⁷ იხ. SIA, 13(3) მუხლი შეად. FSIA-ს 1610(a)(1) მუხლს.

სახელმწიფოს ქონება შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას, მიუხედავად იმისა, ეს ქონება არის თუ არა კომერციული მიზნით გამოყენებული.⁶¹⁸

ნიშანდობლივია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხოლოდ ინგლისის სასამართლოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარების თაობაზე დებულება არ მიიჩნევა აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად.⁶¹⁹ ასევე აღსანიშნავია, რომ იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტიდან SIA-ს მე-9 მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გამონაკლისისგან განსხვავებით, აღსრულებისგან იმუნიტეტთან დაკავშირებით SIA არ შეიცავს ისეთ ნორმას, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებას, თავისთავად, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად გამოაცხადებდა.⁶²⁰ თუმცა, სულ ცოტა ერთ საქმეზე ხელშეკრულებაში ისეთი ზოგადი ხასიათის ჩანაწერი, რომლითაც სახელმწიფო უარს ამბობდა ყველა სახის იმუნიტეტზე როგორც საკუთარ თავთან, ისე თავის ქონებასთან დაკავშირებით, ინგლისის სასამართლოებმა მიიჩნიეს საკმარისად სახელმწიფოს ქონებაზე აღსრულებისათვის.⁶²¹ ამ მხრივ საინტერესოა საქმე *Sabah v Pakistan*,⁶²² რომელზეც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგარანტიო ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმაზე შეთანხმებით პაკისტანმა კანონიერად თქვა უარი აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე. კერძოდ, პაკისტანი უარს ამბობდა ყველა სახის იმუნიტეტზე, რომელიც მას ან მის ქონებას მომავალში შეიძლება მინიჭებოდა ნებისმიერ იურისდიქციაში.⁶²³ ამასთან, წინამდებარე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმაში ასევე უნდა მოიაზრებოდეს სახელმწიფოს თანხმობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე. სასამართლოს აზრით, როდესაც საქმე შეეხება ჩვეულებრივ კომერციულ გარიგებას, გარიგებაში სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე დათქმა უნდა განიმარტოს ფართოდ იმ ზოგადი პრინციპების საფუძველზე,

⁶¹⁸ SIA, 13(3) მუხლი; იხ. ასევე Foster (სქ. 162) 674.

⁶¹⁹ SIA, 13(3) მუხლი.

⁶²⁰ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 304.

⁶²¹ A Co Ltd v Republic of X [1990] 2 Lloyd's Rep. 520.

⁶²² *Sabah v Pakistan* [2003] Lloyd's Rep. 571.

⁶²³ იქვე.

რომელიც, ჩვეულებრივ გამოიყენება კომერციული გარიგების განმარტებისას⁶²⁴ და გარიგებაში სახელმწიფოს მხარედ მონაწილეობა არ უნდა გახდეს ამის შემაფერხებელი საფუძველი.⁶²⁵ შედეგად, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა შესაძლებელია გავრცელდეს ასევე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებზეც.⁶²⁶

აღსანიშნავია, რომ SIA ისევე, როგორც FSIA, არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან იმუნიტეტის საკითხს და უცხო სახელმწიფოს ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას უშვებს მხოლოდ უცხო სახელმწიფოს მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია SIA-ს 13(3) მუხლით.⁶²⁷ შესაბამისად, მარევას აკრძალვა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც მოპასუხეს უკრძალავს გაიტანოს თავისი აქტივები გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, შესაძლებელია გამოიცეს სასამართლოს მიერ მხოლოდ უცხო სახელმწიფოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე და არა იმ ქონებასთან მიმართებით, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია კომერციული მიზნით გამოყენებისათვის.⁶²⁸

2.2.2. გამონაკლისი კომერციულ ქონებაზე

SIA-თ გათვალისწინებული აღსრულებისგან იმუნიტეტის მეორე გამონაკლისი შეეხება „ქონებას, რომელიც მოცემულ მომენტში გამოიყენება ან განკუთვნილია

⁶²⁴ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 304.

⁶²⁵ *Sabah v Pakistan* (სქ. 622).

⁶²⁶ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 304.

⁶²⁷ SIA, 13(3) მუხლი.

⁶²⁸ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 215. აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება ასევე შეუძლებელია იმ დამოუკიდებელი ერთეულების ქონების მიმართ, რომლებიც დაექვემდებარნენ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების იურისდიქციას, მაგრამ მათზე ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტი სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელებისას შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, იქნება ეს მარევას აკრძალვა თუ სხვა, შესაძლებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო აქტივებს. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 215.

გამოსაყენებლად კომერციული მიზნებისთვის.⁶²⁹ აღნიშნული გამონაკლისი მსგავსია FSIA-ს 1610(a)(2) მუხლით განსაზღვრული კომერციული გამონაკლისისა იმ განსხვავებით, რომ SIA არ ითხოვს, რომ ქონება დაკავშირებული იყოს იმ კომერციულ საქმიანობასთან, რომელიც საფუძვლად დაედო დავას, როგორც ამას FSIA-ს 1610(a)(2) მუხლი ითხოვს იმუნიტეტზე უარის თქმის არარსებობის შემთხვევაში.⁶³⁰

SIA-თ გათვალისწინებული აღნიშნული გამონაკლისი FSIA-სგან განსხვავდება იმიტაც, რომ იგი აძლევს უცხო სახელმწიფოს შესაძლებლობას გაერთიანებულ სამეფოში აღნიშნული სახელმწიფოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ან მისი მოვალეობის შემსრულებელმა პირმა წარმოადგინოს სერთიფიკატი, რომელიც განმარტავს, რომ ქონება არ გამოიყენება ან არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ და აღნიშნული სასამართლომ მიიჩნიოს საკმარის მტკიცებულებად მანამ, სანამ საპირისპირო დამტკიცდება.⁶³¹ საპირისპიროს მტკიცების ტვირთი კი მოსარჩელე კრედიტორს ეკისრება.⁶³²

ნიშანდობლივია, რომ ასეთი სერთიფიკატის საფუძველზე ქონების არაკომერციულობის პრეზუმფციის ალბათობა მაღალია, როგორც ლორდთა პალატამ აღიშნა საქმეზე *Alcom Ltd v Republic of Colombia*.⁶³³ კომპანიამ Alcom Ltd მოიპოვა სააღსრულებო ფურცელი კოლუმბიის რესპუბლიკის მიმართ მესამე პირების ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო გაერთიანებულ სამეფოში კოლუმბიის საელჩოს საბანკო ანგარიშებთან.⁶³⁴ კოლუმბიის რესპუბლიკამ კი SIA-ს 13(5) მუხლის თანახმად დაამოწმა, რომ აღნიშნული საბანკო ანგარიშები განკუთვნილი იყო დიპლომატიური მისიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვის უზრუნველსაყოფად

⁶²⁹ SIA, 13(3) მუხლი. SIA-ს 17(1) მუხლში მოცემულია „კომერციული მიზნებისთვის“ ცნების განმარტება, რომელიც SIA-ს 3 (3) მუხლით გათვალისწინებული გარიგებებისა და საქმიანობის მიზნებს მოიცავს. იხ. ზემოთ გვ. 116-117.

⁶³⁰ SIA, 13(3) მუხლი, შეად. FSIA-ს 1610 (a)(2) მუხლს; იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 211.

⁶³¹ SIA, 13(5) მუხლი.

⁶³² Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 213.

⁶³³ *Alcom Ltd v Republic of Colombia* (სქ. 103).

⁶³⁴ იქვე.

და შესაბამისად, არ გამოიყენებოდა კომერციული მიზნისთვის.⁶³⁵ შედეგად, კრედიტორ კომპანიას დაეკისრა საპირისპიროს მტკიცების ტვირთი. აღსანიშნავია, რომ ლორდთა პალატამ დიპლომატიური მისიის საქმიანობა მიიჩნია სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში სახელმწიფოს ძირითად სუვერენულ და არაკომერციულ ფუნქციად, შესაბამისად, გააუქმა განკარგულებები მესამე პირების ვალდებულებების თაობაზე.⁶³⁶ ლორდთა პალატამ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მისი მოსაზრების თანახმად, აღნიშნული შემთხვევა არ ჯდება SIA-ს 13(4) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის მოქმედების ფარგლებში და აღნიშნული ნორმა გავრცელდებოდა საქმეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ საბანკო ანგარიში განკუთვნილი იყო მხოლოდ უცხო სახელმწიფოს კომერციული გარიგების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისათვის, მაგალითად, როგორც დოკუმენტალური აკრედიტივის გაცემა სახელმწიფოსათვის მიყიდული საქონლის ფასის გადახდის მიზნით.⁶³⁷

აღსანიშნავია, რომ კომერციული ქონების გამონაკლისი არ ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისს, რაც გულისხმობს იმას, რომ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე შესაძლებელია სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდეს მხოლოდ უცხო სახელმწიფოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე და არა იმ ქონებასთან მიმართებით, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია კომერციული მიზნით გამოყენებისათვის.⁶³⁸

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მართალია, SIA-ს 13(4) მუხლი, FSIA-სგან განსხვავებით, ზრდის კერძო მხარის შესაძლებლობებს ადასრულოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ თვალსაზრისით, რომ აღსრულებას ექვემდებარება გაერთიანებულ სამეფოში არსებული უცხო სახელმწიფოს

⁶³⁵ იქვე; იხ. ასევე Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 305.

⁶³⁶ იქვე.

⁶³⁷ *Alcom Ltd v Republic of Colombia* (სქ. 103).

⁶³⁸ შეად. FSIA, 1610 (a), (b) მუხლი; იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 215.

ნებისმიერი ქონება, მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა იგი დავის საგანთან. მაგრამ, მეორე მხრივ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფოს ქონების მიმართ სახელმწიფოს წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.⁶³⁹

2.2.3. დამოუკიდებელი ერთეულები და ცენტრალური ბანკი

SIA-ს მიზანია, ზოგადად, დამოუკიდებელი ერთეულის ქონება არ იყოს დაცული იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით მაშინ, როცა სახელმწიფო ერთეულები არ ახორციელებენ სახელისუფლებო ქმედებებს ან/და ქონებაზე არ ვრცელდება ცენტრალური ბანკისა და დიპლომატიური აქტივების მარეგულირებელი სპეციალური წესები.⁶⁴⁰

მეორე მხრივ, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით SIA ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დამოუკიდებელი ერთეული (გარდა ცენტრალური ბანკისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოსი) დაექვემდებარება გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს იურისდიქციას იმ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც იგი სარგებლობს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით SIA-ს 14(2) მუხლის თანახმად,⁶⁴¹ მაშინ მასზე გავრცელდება SIA-ს 13(2) მუხლით გათვალისწინებული აღსრულებისგან იმუნიტეტის მარეგულირებელი ნორმები ისევე, როგორც აღნიშნული ნორმები გავრცელდებოდა მის ადგილას მყოფ სახელმწიფოზე.⁶⁴²

⁶³⁹ იქვე.

⁶⁴⁰ Foster (სქ. 162) 685. ცენტრალური ბანკის აქტივები რეგულირდება SIA-ს 14 (4) მუხლით, ხოლო დიპლომატიური აქტივები გაერთიანებულ სამეფოში დაცულია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციით.

⁶⁴¹ SIA-ს (14)(2) მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი ერთეული დაცულია გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში იურისდიქციისგან იმუნიტეტით, როდესაც სასამართლო წარმოება დაკავშირებულია დამოუკიდებელი ერთეულის მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებასთან და ასეთ შემთხვევაში თავად სახელმწიფო დაცული იქნებოდა იმუნიტეტით.

⁶⁴² იქვე; იხ. ასევე SIA, 14(3) მუხლი.

თუმცა, რიგ შემთხვევებში სასამართლო მიმართავს „გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას“, რა დროსაც ხდება ერთეულის სახელმწიფოსგან განცალკევებულობისა და დამოუკიდებლობის უგულებელყოფა.⁶⁴³ ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ერთეული სახელმწიფოს მიერ მხოლოდ პასუხისმგებლობისგან თავის აცილების მიზნით არის შექმნილი.⁶⁴⁴ მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ გონივრულად მიიჩნია, რომ კონგოს რესპუბლიკის ვალის დაკმაყოფილების მიზნით აღსრულებას უნდა დაქვემდებარებოდა „სადავოდ დამოუკიდებელი“ კორპორაციების აქტივები, რადგან მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ აღნიშნული კორპორაციები შექმნილი იყო კონგოს რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოს სახელით სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობისათვის თავისი აქტივების კრედიტორებისგან დაფარვის მიზნით.⁶⁴⁵

შედეგად, გაერთიანებულ სამეფოში პრინციპალი-აგენტის სამართალურთიერთობაც შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ ინსტიტუციის დამოუკიდებელი სტატუსის უგულებელყოფის საფუძველი, კერძოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ისეთ კონტროლს ინსტიტუციაზე, რომ ეს უკანასკნელი გამოდის სახელმწიფოს აგენტის როლში და ახორციელებს ბიზნეს საქმიანობას სახელმწიფოს სახელით.⁶⁴⁶

რაც შეეხება ცენტრალური ბანკის ქონებასთან დაკავშირებით აღსრულებისგან იმუნიტეტის თაობაზე SIA-ს მიდგომას, აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, SIA სრულად იცავს ცენტრალური ბანკის აქტივებს სააღსრულებო ზომებისგან და ამავე დროს, ავრცელებს მათზე იმ დაცვით მექანიზმებს, რითაც სარგებლობენ უცხო სახელმწიფოები აღსრულებისგან იმუნიტეტთან დაკავშირებით SIA-ს მე-13 მუხლის თანახმად.⁶⁴⁷ კერძოდ, ცენტრალური ბანკი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს აქტივები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება დაცული აღსრულებისგან იმუნიტეტით, როდესაც ცენტრალური ბანკი და აღნიშნული ორგანო დამოუკიდებელი

⁶⁴³ Yang (სქ. 89) 287.

⁶⁴⁴ Foster (სქ. 162) 685.

⁶⁴⁵ *Kensington Int'l Ltd v Republic of Congo* [2005] EWHC (Comm) 2684, [193]-[202].

⁶⁴⁶ *Smith Stone & Knight Ltd v Birmingham Corp* [1939] 4 All ER 116 (KB).

⁶⁴⁷ Bankas (სქ. 613) 237.

ერთეულის სტატუსით სარგებლობენ და ამასთანავე, წერილობით უარს იტყვიან აღსრულებისგან იმუნიტეტზე SIA-ს 13(3) მუხლის თანახმად.⁶⁴⁸

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ბანკის ქონებაზე არ ვრცელდება SIA-თ გათვალისწინებული კომერციულ საკუთრებასთან დაკავშირებული აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისი.⁶⁴⁹ კერძოდ, SIA ადგენს, რომ ცენტრალური ბანკისა და სხვა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს აქტივები არ მიიჩნევა კომერციული მიზნით გამოყენებულ ან გამოსაყენებლად განკუთვნილ ქონებად SIA-ს 13(4) მუხლის მიზნებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკის აქტივები, მიუხედავად მათი გამოყენების მიზნისა, ყველა შემთხვევაში დაცულია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით.⁶⁵⁰ ნიშანდობლივია, რომ გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ ცენტრალური ბანკის აქტივებზე SIA-თ მინიჭებული აღნიშნული იმუნიტეტი გამოაცხადა აბსოლუტურად.⁶⁵¹ გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ SIA-ს 14(4) მუხლით გათვალისწინებული ცენტრალური ბანკის ქონება მოიცავდა ყველა უძრავ და მოძრავ ქონებას, აქტივების მიმართ კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო უფლების თუ ინტერესის ჩათვლით, მიუხედავად მათი ფლობის მიზნისა თუ საშუალებისა.⁶⁵²

საყურადღებოა, რომ გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, SIA-თ ცენტრალური ბანკებისადმი მინიჭებული ასეთი დაცვა რამდენად ხელყოფდა კრედიტორთა უფლებებს, აღსრულებინათ მათ სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და შედეგად, SIA-ს 14(4) მუხლი რამდენად ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის⁶⁵³ მე-6 მუხლს.⁶⁵⁴ ინგლისის

⁶⁴⁸ SIA, 14(4) მუხლი.

⁶⁴⁹ იქვე.

⁶⁵⁰ Bankas (სქ. 613) 237.

⁶⁵¹ Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 308.

⁶⁵² იქვე.

⁶⁵³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ETS No. 005 (მიღების თარიღი: 04/11/1950, ძალაში შესვლის თარიღი: 03/09/1953).

⁶⁵⁴ *AIG v Kazakhstan* (სქ. 592) [79]; იხ. ასევე Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 308.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ცენტრალური ბანკის ქონების წინააღმდეგ კერძო მხარის სასარგებლოდ აღსრულების აკრძალვა იყო როგორც ლეგიტიმური, ისე პროპორციული და შესაბამისად, იგი არ არღვევდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს.⁶⁵⁵

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, SIA-ს მიღებამდე გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ საქმეზე *Trendex Trading Corp v Central Bank of Nigeria*⁶⁵⁶ განსხვავებულად გადაწყვიტა სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი და ნიგერიის ცენტრალურ ბანკს უარი უთხრა იმუნიტეტით დაცვაზე სწორედ იმ მიზეზით, რომ ერთი მხრივ, ბანკი იყო დამოუკიდებელი ინსტიტუტი და იგი არ უნდა განხილულიყო ნიგერიის სახელმწიფოს ნაწილად, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლომ სავაჭრო აკრედიტივის გაცემა მიიჩნია კომერციულ საქმიანობად და მასთან დაკავშირებულ დავებზე, ინგლისური სამართლის თანახმად, იმუნიტეტი არ ვრცელდებოდა.⁶⁵⁷

მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ახლა უკვე შეუძლებელია, რადგან SIA-ს 14(4) მუხლი საწინააღმდეგოს ადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით SIA-სა და FSIA-ს მიდგომა მსგავსია,⁶⁵⁸ რაც იმით იქნა გამართლებული, რომ იმუნიტეტზე აშკარა და პირდაპირი უარის არარსებობის პირობებში ცენტრალური ბანკის აქტივების აღსრულებისადმი დაქვემდებარება შეაფერხებდა უცხოური კაპიტალის აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში დაბანდებას და შესაძლოა გამოეწვია საგარეო ურთიერთობებში სერიოზული პრობლემები.⁶⁵⁹

2.2.4. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ SIA ეფუძნება რა ევროპული კონვენციის დებულებებს, განსხვავებულ რეჟიმს ადგენს იურისდიქციისგან და აღსრულებისგან

⁶⁵⁵ იქვე.

⁶⁵⁶ *Trendex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria* (სქ. 100); იხ. ასევე Harris (სქ. 82) 325-29.

⁶⁵⁷ იქვე; იხ. ასევე Shaw (სქ. 79) 630-31.

⁶⁵⁸ FSIA, 1611 (b)(1) მუხლი.

⁶⁵⁹ Harris (სქ. 82) 329.

სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით და იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმას არ მიიჩნევს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად. ამასთან, SIA ისევე, როგორც FSIA, განსაზღვრავს, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა უნდა იყოს, ყველა შემთხვევაში პირდაპირი.⁶⁶⁰ აღნიშნული შეეხება ასევე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან იმუნიტეტსაც.⁶⁶¹

SIA-ს შესაბამისი ნორმების განხილვისას გამოჩნდა, რომ სახელმწიფოებსა და, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო ერთეულებს, ენიჭებათ გარკვეული პრივილეგიები აღსრულებისგან იმუნიტეტთან დაკავშირებით, ასევე ისინი სარგებლობენ განსაზღვრული საპროცესო უპირატესობებით.⁶⁶² ამასთან, ისევე როგორც FSIA, SIA-ც განსაკუთრებით ფართო იმუნიტეტს ანიჭებს ცენტრალური ბანკის ქონებას.⁶⁶³ საბოლოო ჯამში, SIA-ს მიერ უცხო სახელმწიფო ქონების აღსასრულებლად მიქცევაზე დაწესებული შეზღუდვები რჩება უკმაყოფილების საგნად კერძო ინვესტორთა მხრიდან.⁶⁶⁴

⁶⁶⁰ SIA, 13(3) მუხლი; FSIA, 1610 (a)(1) მუხლი.

⁶⁶¹ SIA, 13(2)(a) მუხლი.

⁶⁶² Gill, Jagusch and Sinclair, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' (სქ. 515) 309.

⁶⁶³ SIA, 14(4) მუხლი; FSIA, 1611 (b)(1) მუხლი.

⁶⁶⁴ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 215.

IV. სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის არმქონე ქვეყნებში

1. შესავალი

ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ დამოუკიდებელი კანონმდებლობა არ არის მიღებული და სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი წყდება სასამართლო პრაქტიკისა ან/და სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე სხვადასხვა აქტების ცალკეული დებულებების საფუძველზე, ასევე განასხვავებენ სახელმწიფო იმუნიტეტს იურისდიქციისგან და სახელმწიფო იმუნიტეტს აღსრულებისგან. შესაბამისად, ამ ორი იმუნიტეტისადმი მიდგომაც განსხვავებულია.⁶⁶⁵

ნაშრომის მოცემულ თავში შვეიცარიის, გერმანიისა და საფრანგეთისა და ბელგიის მაგალითებზე, განხილულია სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით. ასევე მიმოხილულია Yukos-ის ყოფილი მსხვილი აქციონერების რთული გზა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში.⁶⁶⁶ დაბოლოს, განხილულია საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირებისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი.

⁶⁶⁵ Yang (სქ. 89) 369-70. ნაშრომში განსახილველ სახელმწიფოებს შორის ამ მხრივ განსხვავებული პოზიცია აქვს შვეიცარიას, რაც განხილულია შემდეგ ქვეთავში.

⁶⁶⁶ იხ. ქვემოთ გვ. 175-89.

2. შვეიცარია

2.1. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი

შვეიცარიაში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა დაინერგა და ვითარდება შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე.⁶⁶⁷ 1918 წლის დრეიფუსის საქმით⁶⁶⁸ შვეიცარია ერთ-ერთი პირველი იურისდიქცია გახდა, რომელმაც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სახელმწიფო იმუნიტეტის მიმართ შეზღუდული მიდგომა გამოიყენა.⁶⁶⁹

შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობად აყენებს ორ მოთხოვნას: 1) სამართლებრივი ურთიერთობა, რომლიდანაც წარმოიშვა სადავო მოთხოვნა, უნდა იყოს *acta jure gestionis*, შესაბამისად, მხარე-სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს არასახელისუფლებო ქმედებას და არ მოქმედებდეს, როგორც სუვერენი (*acta jure imperii*) და 2) 'Binnenbeziehung' - რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთ სამართლებრივ ურთიერთობას უნდა ჰქონდეს საკმარისი კავშირი შვეიცარიის ტერიტორიასთან.⁶⁷⁰

⁶⁶⁷ Schneider and Knoll (სქ. 56) 324. შვეიცარიაში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მარეგულირებელი კონკრეტული სამართლებრივი აქტი არ არსებობს ისევე, როგორც - სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი სისტემური კანონმდებლობა. სუვერენული იმუნიტეტის შესახებ დებულებები რამდენიმე სამართლებრივ აქტშია გაბნეული. იხ. Federal Act of 1889 on Debt Enforcement and Bankruptcy (შემდგომ - DEBA) WIPO Lex NoCH 507 <<https://wipolex.wipo.int/en/legislation/details/19962>> [14.10.2020]; ხოლო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ხდება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის საფუძველზე ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, მიუხედავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის ადგილსამყოფელისა. იხ. Federal Act on Private International Law of 1987, მუხლი 194. WIPO Lex NoCH 487 <<https://wipolex.wipo.int/en/legislation/details/19163>> [14.10.2020]. დეტალური პროცედურული საკითხები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით რეგულირდება DEBA-თი. შვეიცარია ასევე მონაწილეა ევროპული კონვენციისა და ასევე გაეროს კონვენციისა.

⁶⁶⁸ *K u K Österreichisches Finanzministerium v Dreyfus* ATF 44 (1918) I 49.

⁶⁶⁹ Schneider and Knoll (სქ. 56) 324

⁶⁷⁰ იქვე, 338; იხ. ასევე *Republique Arabe d'Egypte v Cinetel ASDI* 1981, 206; 65 ILR 425.

პირველ კრიტერიუმთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების ერთმანეთისგან გამიჯვნა ხდება გარიგების ბუნებიდან გამომდინარე და არ აქვს მნიშვნელობა ქმედების მიზანს.⁶⁷¹

რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, 'Binnenbeziehung'-ის მოთხოვნა უზენაესი სასამართლოს აზრით, შეიძლება დაკმაყოფილდეს შემდეგ შემთხვევებში: ა) როდესაც სასარჩელო მოთხოვნა წარმოიშვა შვეიცარიაში, ბ) როდესაც ვალდებულება უნდა შესრულდეს შვეიცარიაში ან უცხო სახელმწიფომ შვეიცარიაში განახორციელა ისეთი ქმედებები, რაც განაპირობებს, რომ შვეიცარია მიჩნეულ იქნას ვალდებულების შესრულების ადგილად. უზენაესი სასამართლო არ მიიჩნევს საკმარის კავშირად შვეიცარიაში უცხო სახელმწიფოს აქტივების არსებობას ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის შვეიცარიაში მდებარეობას.⁶⁷²

შვეიცარიის უზენაესი სასამართლო 'Binnenbeziehung'-ს მიიჩნევს უცხო სახელმწიფოთა შვეიცარიის სასამართლოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის ელემენტად.⁶⁷³ შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის გარეშე შვეიცარიის სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი განიხილონ სარჩელი. საკმარისი კავშირის მოთხოვნა კვალიფიცირდება „იურისდიქციის შეზღუდვად.“⁶⁷⁴ თავის მხრივ, იურისდიქცია, რომელიც ასევე მოიცავს იმუნიტეტის საკითხს, დასაშვებობის კატეგორიას მიეკუთვნება და მისი გამოკვლევის ვალდებულება სასამართლოს *ex officio* ეკისრება.⁶⁷⁵ შესაბამისად, თუ საქმე არ აკმაყოფილებს 'Binnenbeziehung'-ის მოთხოვნას, შვეიცარიის

⁶⁷¹ აღნიშნული კრიტერიუმი პირველად ჩამოყალიბდა საქმეზე *United Arab Republic v Mrs X* ATF 86 [1960] I 23, ILR 385, რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტი არ გავრცელდება ისეთ სადავო მოთხოვნაზე, რომელიც ეფუძნება არა სუვერენული უფლებამოსილების განმახორციელებელ ქმედებას, არამედ ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც შეიძლება იგივე ან მსგავსი ფორმით დამყარდეს ორ კერძო პირს შორის. იხ. ასევე *Schneider and Knoll* (სქ. 56) 327.

⁶⁷² *Moscow Centre for Automated Air traffic Control v Geneva Supervisory of the Debt Collection Office* [2007] ATF 134 (2007) III, 122 Bulletin 2008 N1 141-151.

⁶⁷³ *A Limited v Republic of Uzbekistan* BGE 5A_942/2017 (2018) (გერმანულად).

⁶⁷⁴ Hansjörg Stutzer, Michael Bösch and Simon M Hohler, 'Arbitration Newsletter Switzerland: Precedence of Foreign State Immunity over the New York Convention?' (ThouveninRechtsanwalte 11 October, 2018) <<https://thouvenin.com/en/publication/arbitration-newsletter-switzerland-precedence-of-foreign-state-immunity-over-the-new-york-convention/>> [22.11.2021].

⁶⁷⁵ იქვე.

სასამართლოებს არ ექნებათ განსჯადობა აღნიშნულ საქმეზე და შესაბამისად, არც ამ საქმის არსებითად განხილვის უფლებამოსილება.⁶⁷⁶

საინტერესოა შვეიცარიაში ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში 'Binnenbeziehung'-ის მოთხოვნის როლი. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ნიუ-იორკის კონვენციასთან მიმართებით შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნული მოთხოვნა დაინერგა შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე და არ არის საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპი.⁶⁷⁷ თავის მხრივ, აიღო რა საერთაშორისო საჯაროსამართლებრივი ვალდებულება, ადასრულოს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, იმავე საერთაშორისო საჯარო სამართლის თანახმად, შვეიცარიას არ აქვს უფლება გაამართლოს საერთაშორისო საჯარო სამართლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა თავის შიდა კანონმდებლობაზე მითითებით.⁶⁷⁸ მართალია, ნიუ-იორკის კონვენცია ადგენს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა ცნონ და ადასრულონ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები იმ ტერიტორიის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება კონვენციით დადგენილი პირობების გათვალისწინებით,⁶⁷⁹ მაგრამ აღნიშნული პროცედურული წესები შეეხება მხოლოდ აღსრულების ფორმებს და ნიუ-იორკის კონვენციით სხვაგვარად აღსრულებადი გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად მათი გამოყენება დაუშვებელია.⁶⁸⁰ ნიუ-იორკის კონვენცია ამომწურავად ჩამოთვლის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველებს, რომელთა შორის 'Binnenbeziehung'-ის მოთხოვნა არ არის.⁶⁸¹ განსხვავებული მდგომარეობაა ICSID კონვენციის შემთხვევაში, რომლის 54-ე მუხლი სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით უთითებს არა საერთაშორისო

⁶⁷⁶ იქვე; იხ. ასევე Xiaodong Yang, 'Immunity from Execution' in Alexander Orakhelashvili (ed), *Research Handbook on Jurisdiction and Immunities in International Law* (Edward Elgar Publishing 2015) 400.

⁶⁷⁷ Schneider and Knoll (სქ. 56) 322.

⁶⁷⁸ იქვე.

⁶⁷⁹ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-3 მუხლი.

⁶⁸⁰ Schneider and Knoll (სქ. 56) 323.

⁶⁸¹ იქვე.

საჯარო სამართალზე, არამედ იმ ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე, რომლის ტერიტორიაზეც უნდა აღსრულდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში შვეიცარიის სასამართლოები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის მოთხოვნა სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით.⁶⁸²

თუმცა, ერთ-ერთ ბოლო გადაწყვეტილებაში ნიუ-იორკის კონვენციასთან დაკავშირებით შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებულისგან საპირისპირო მოსაზრება წამოაყენა.⁶⁸³ აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, მართალია, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, მაგრამ შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის არსებობის მოთხოვნა, როგორც დასაშვებობის ასპექტი, მიჩნეულ იქნა სწორედ იმ პროცედურული საკითხის გამოკვლევად, რომელზეც მსჯელობა წინ უსწრებს საქმის არსებით განხილვას და შესაბამისად, ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით შიდა კანონმდებლობის მიხედვით უნდა გადაწყდეს.⁶⁸⁴ შედეგად, შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს შვეიცარიაში მდებარე უზბეკეთის რესპუბლიკის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებაზე შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის არარსებობის საფუძველით.⁶⁸⁵

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, შვეიცარიასთან საკმარისი კავშირის არსებობა შვეიცარიაში ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებელი წინაპირობაა, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის კრედიტორს, რადგან მან ჯერ უნდა მოიძიოს შვეიცარიაში უცხო სახელმწიფოს *jure gestionis* ქონება და შემდეგ დაადგინოს თავისი მოთხოვნის საკმარისი კავშირი შვეიცარიასთან.⁶⁸⁶

⁶⁸² იქვე, 344.

⁶⁸³ *A Limited v Republic of Uzbekistan* BGE 5A_942/2017 (2018) (გერმანულად).

⁶⁸⁴ იქვე.

⁶⁸⁵ იქვე.

⁶⁸⁶ Stutzer, Bösch and Hohler (სქ. 674).

შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც დადგენილია შვეიცარიასთან არასაკმარისი კავშირი, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ განიხილოს საქმე არსებითად მაშინაც კი, როდესაც მხარე-სახელმწიფოს უარი აქვს ნათქვამი სუვერენულ იმუნიტეტზე.⁶⁸⁷ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის შვეიცარიის უზენაესი სასამართლოს მიდგომასთან საკმარისი კავშირის მოთხოვნის თაობაზე, როგორც უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის წინაპირობასთან.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური ტრიბუნალი 'Binnenbeziehung'-ის მოთხოვნას მიიჩნევს ზოგად მოთხოვნად და ავრცელებს მას როგორც იურისდიქციისგან, ისე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით.⁶⁸⁸

ნიშანდობლივია, რომ შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალი სახელმწიფო იმუნიტეტის ერთიან კონცეფციას აღიარებს და იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ისევე, როგორც სახელმწიფო იმუნიტეტზე აღსრულებისგან, ავრცელებს რეგულირების ერთიან რეჟიმს. ფედერალური ტრიბუნალი ასეთ მიდგომას განმარტავს იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება მოკლებული იქნება თავის ფუნდამენტურ არსს, რაც გამოიხატება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადადობაში წაგებული მხარის ნების საწინააღმდეგოდ და შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი დასკვნის ფორმას მიიღებს.⁶⁸⁹

სახელმწიფო იმუნიტეტისადმი ერთიანი კონცეფცია დადასტურდა ფედერალური ტრიბუნალის მომდევნო გადაწყვეტილებებითაც და დღემდე შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკა სრულიად იზიარებს ამ მიდგომას.⁶⁹⁰

მართალია, ამ მიდგომას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც, რომელთა აზრითაც, ერთი მხრივ, პრინციპის დონეზე იმუნიტეტისადმი ერთიანი მიდგომა მისასაღმებელია, რადგან იგი უზრუნველყოფს ორივე შემთხვევაში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენებას. თუმცა, აღსრულების ეტაპზე გასათვალისწინებელია ის

⁶⁸⁷ იხ. *LIAMCO BGE ATF 106 (1980) I a 142, 149, Consideration 4* ციტირებულია *Schneider and Knoll* (სქ. 56) 342.

⁶⁸⁸ *Fox and Webb, The Law of State Immunity* (სქ. 12) 160.

⁶⁸⁹ *Schneider and Knoll* (სქ. 56) 329.

⁶⁹⁰ იქვე, 330.

გარემოება, რომ კონკრეტული აქტივები შეიძლება არ ექვემდებარებოდეს აღსასრულებლად მიქცევას.⁶⁹¹ შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალს მხედველობიდან არ გამორჩენია ამ ორ იმუნიტეტს შორის აღნიშნული სხვაობა, შესაბამისად სპეციალურ კატეგორიას მიკუთვნებული აქტივების სტატუსის საკითხს იგი განსხვავებულად არეგულირებს.⁶⁹²

2.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული აქტივები

შვეიცარიის კანონმდებლობა სახელმწიფო იმუნიტეტით იცავს მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს სუვერენულ ფუნქციებთან და ადგენს, რომ აღსრულებას არ ექვემდებარება უცხო სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც განკუთვნილია მათი, როგორც ხელისუფლების ორგანოების მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისათვის.⁶⁹³ აღნიშნული ნორმა საინტერესოა იმით, რომ იგი ქონების სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებისათვის განკუთვნილობის მტკიცების ტვირთს აკისრებს სახელმწიფოს.⁶⁹⁴

შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები ფართოდ განმარტა და მასში მოაქცია როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტივები, რომლებიც სრულად არის იმუნიტეტით დაცული „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ 1961 წლის ვენის კონვენციის 22 (3) მუხლის თანახმად, ასევე სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიის

⁶⁹¹ იქვე, 331.

⁶⁹² იქვე.

⁶⁹³ DEBA, 92 (1)(11) მუხლი.

⁶⁹⁴ Schneider and Knoll (სქ. 56) 346-47; იხ. ასევე Sandrine Giroud, 'Enforcement against State Assets and Execution of ICSID Awards in Switzerland: How Swiss Courts Deal with Immunity Defences' ASA Bulletin 4/2012, 764 <[https://www.lalive.law/data/publications/2012-SGI-ASA-Enforcement against State Assets and Execution of ICSID Awards in Switzerland.pdf](https://www.lalive.law/data/publications/2012-SGI-ASA-Enforcement%20against%20State%20Assets%20and%20Execution%20of%20ICSID%20Awards%20in%20Switzerland.pdf)> [09.09.2020]; Matthias Scherer, 'Swiss Federal Supreme Court Provides Guidance on Rules of State Immunity Applicable to Enforcement of ICSID Awards' (Kluwer Arbitration Blog, 13 December 2011) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2011/12/13/swiss-federal-supreme-court-provides-guidance-on-rules-of-state-immunity-applicable-to-enforcement-of-icsid-awards/>> [09.09.2020].

მოდრავი შემადგენლობები და შვეიცარიაში უცხო ქვეყნების საელჩოების მმართველობის ქვეშ მყოფი კულტურული ცენტრები.⁶⁹⁵ ამის საპირისპიროდ, ფული, ნაღდი თუ საბანკო ანგარიშების სახით, არ ექვემდებარება აღსრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი განკუთვნილია უშუალოდ კონკრეტული საჯარო მიზნებისათვის, რაც თავის თავში მოიაზრებს მათ განცალკევებას სხვა აქტივებისგან.⁶⁹⁶

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის უზენაესი სასამართლო არ გამოირჩევა კატეგორიულობით, როდესაც საკითხი შეეხება საელჩოების საბანკო ანგარიშებსა და სხვა ქონებას, რადგან მიიჩნევს, რომ ასეთი ქონების საჯარო მიზანი დამატებითი გამოძიების გარეშეც დგინდება.⁶⁹⁷ თუმცა, ე.წ. „შერეული ანგარიშების“ შემთხვევაში მოითხოვს აქტივების განცალკევებას და საჯარო ფუნქციებისთვის გამოყოფილი თანხების იდენტიფიცირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შერეული ანგარიში არ იქნება დაცული იმუნიტეტით.⁶⁹⁸

3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

3.1. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც მოქმედებს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა, თუმცა არ არსებობს ცალკე კანონი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ.⁶⁹⁹ გერმანული სასამართლო პრაქტიკა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის საფუძვლად მიიჩნევს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს და

⁶⁹⁵ *Moscow Centre for Automated Air traffic Control v Geneva Supervisory Commission of the Debt Collection Office* ATF 134 (2007) III, 122 Bulletin 2008 N1 141-151.

⁶⁹⁶ Giroud (სქ. 694) 760.

⁶⁹⁷ Schneider and Knoll (სქ. 56) 348.

⁶⁹⁸ *Griessen case*, ATF 108 (1982) III 107, 82 ILR 5; იხ. ასევე August Reinisch, 'European Court Practice Concerning State immunity from Enforcement Measures' (2006) 17(4) *European Journal of International Law*, 806-836.

⁶⁹⁹ Alfred Escher and others, 'Selected Areas and Issues of Arbitration in Germany, Investment Arbitration and the Participation of State Parties in Germany' in Patricia Nacimiento and others (eds), *Arbitration in Germany: The Model Law in Practice* (2nd edn, Kluwer Law International 2015) 1043-1044.

განასხვავებს იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის ცნებებს.⁷⁰⁰

1963 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უფლებამოსილია მოითხოვოს იმუნიტეტით დაცვა მხოლოდ სახელისუფლებო ქმედებებთან დაკავშირებით, ხოლო როდესაც უცხო სახელმწიფო მოქმედებს როგორც კერძო პირი, იგი არ არის დაცული იმუნიტეტით.⁷⁰¹ სახელმწიფოს ქმედების ხასიათის დასადგენად სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ქმედების სამართლებრივი ბუნება და არა ქმედების მიზანი, რადგან კომერციული ბუნების ქმედებების მიზანი ასევე შეიძლება იყოს სახელისუფლებო.⁷⁰²

გერმანიაში განსხვავებულად რეგულირდება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი იურისდიქციისგან იმუნიტეტთან შედარებით, თუმცა ისიც ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს.⁷⁰³ აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტივების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აქტივების მიზანს.⁷⁰⁴ კერძოდ, სახელისუფლებო მიზნებისთვის გამოყენებული აქტივები დაცულია აღსრულებისგან იმუნიტეტით მაშინ, როცა კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული აქტივები შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას.⁷⁰⁵

⁷⁰⁰ გერმანიის კონსტიტუციის (Grundgesetz) 25-ე მუხლი საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს ფედერალური სამართლის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და აღიარებს მის უპირატესობას ადგილობრივ კანონმდებლობასთან შედარებით. 1990 წლის 15 მაისს გერმანიამ მოახდინა 1972 წლის ევროპული კონვენციის რატიფიცირება. გერმანია არ არის გაეროს კონვენციის წევრი. დეტალურად გერმანიაში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის განვითარების შესახებ იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 159-60, 489-90.

⁷⁰¹ *Empire of Iran case* (სქ. 104) [81]. იხ. ასევე Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 263-64 და Escher and others (სქ. 699) 1045.

⁷⁰² Escher and others (სქ. 699) 1045.

⁷⁰³ *The Philippine Embassy case* 46 BverfGE 342; 65 ILR 146; [1997] UN Legal Materials, 297.

⁷⁰⁴ Escher and others (სქ. 699) 1047.

⁷⁰⁵ იქვე, 1945.

3.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული აქტივები

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს იმ აქტივების ჩამონათვალი, რომელიც მიიჩნევა სახელმწიფო აქტივებად და არ ექვემდებარება აღსრულებას. უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის აქტივები: მისი უძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები, როგორც წესი, დაცულია აღსრულებისგან იმუნიტეტით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე შეეხება ე.წ. „შერეულ ანგარიშებს.“⁷⁰⁶ *The Philippine Embassy* საქმეზე, რომელიც დიპლომატიური წარმომადგენლობების ე.წ. „შერეული ანგარიშების“ თაობაზე წამყვანი საქმეა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე უცხო სახელმწიფოს საელჩოს საერთო ანგარიში, „რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია გახსნილი და რომლის მიზანია საელჩოს ხარჯების დაფარვა, არ ექვემდებარება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ იძულებით აღსრულებას.“⁷⁰⁷ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება პრეცედენტული გახდა სხვა ქვეყნების სასამართლოებისთვისაც ე.წ. „შერეულ ანგარიშებთან“ დაკავშირებულ საქმეებზე.⁷⁰⁸ თუმცა, ამ მხრივ, გამონაკლისია აშშ, სადაც 1980 წლის გადაწყვეტილებაში საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელი იყო იმ მიზნების განცალკევება, რომელთა განსახორციელებლადაც დიპლომატიური წარმომადგენლობის სახელით იხსნებოდა საბანკო ანგარიში.⁷⁰⁹ წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, ნებისმიერი ქონება იქნებოდა დაცული იმუნიტეტით ამა თუ იმ პერიოდით მცირე საჯარო მიზნით მისი გამოყენების

⁷⁰⁶ *The Philippine Embassy case* (სქ. 703).

⁷⁰⁷ იქვე.

⁷⁰⁸ აღნიშნულ საქმეზე დაყრდნობით, ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ შეცვალა თავისი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, იგი განაცალკევებდა საელჩოს საბანკო ანგარიშის კომერციული და დიპლომატიური მიზნით გამოყენებას და საელჩოს საერთო ანგარიში ხელშეუხებელი გამოაცხადა აღსრულებისგან. იხ. *Republic of 'A' Embassy Account case* (1986) 77 ILR 489; *Leasing West Gulf V People's Democratic Republic of Algeria* (1986) 116 ILR 527. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს სასამართლომაც საქმეზე *Alcom v Republic of Colombia* [1984] AC 580, 74 ILR 170; ნიდერლანდებმა, საფრანგეთმა და ბელგიამაც იგივე მოსაზრებას დაუჭირეს მხარი. იხ. *Netherlands v Azeta BV* (1998) 128 ILR 688; *Dumez v Iraq* (1999) 27 ILR 144.

⁷⁰⁹ *Birch Shipping Corp v Embassy of the United Arab Republic of Tanzania* (სქ. 443).

საფუძველზე.⁷¹⁰ შესაბამისად, თუ საელჩოს სურდა, რომ მისი საერთო საბანკო ანგარიში დაცული ყოფილიყო აღსრულებისგან იმუნიტეტით, საელჩოს უნდა უზრუნველყო საჯარო მიზნით გასაწევი თანხების კომერციული მიზნის მქონე თანხებისგან განცალკევება.⁷¹¹ თუმცა, მოგვიანებით აშშ-ის საოლქო სასამართლომ უარი თქვა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დიპლომატიური წარმომადგენლობის საბანკო ანგარიშის დაყადაღებაზე იმ მოტივით, რომ ყადაღის დადება ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის მიერ „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის 25-ე მუხლით ნაკისრ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყოველგვარი პირობა უნდა შეუქმნას დიპლომატიურ წარმომადგენლობებს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენციის არცერთი დებულება არ ადგენს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ოფიციალური საბანკო ანგარიშების ყადაღისგან დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობის უფლებას.⁷¹² მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო გერმანულმა სასამართლომ გახმაურებულ *Sedlmayer v Russian Federation* საქმეზეც (შემდგომ - *Sedlmayer*), როდესაც ფრანც სედელმაიერმა მოითხოვა გერმანიაში რუსეთის საელჩოსთვის დამატებული ღირებულების გადასახადის ასანაზღაურებელ თანხაზე აღსრულება რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში.⁷¹³ როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ აღნიშნული აქტივები იმუნიტეტით დაცულად ცნო.⁷¹⁴

გერმანული სასამართლოს მიერ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით ასევე დაცულად გამოცხადდა გერმანიაში რუსეთის საჰაერო სივრცის გადაკვეთისათვის

⁷¹⁰ იქვე.

⁷¹¹ იქვე.

⁷¹² *Liber E Timber Corp v Liberia* (1987) 89 ILR 360; *Foxworth v Permanent Mission of the Republic of Uganda to the UN* (1992) 99 ILR 139.

⁷¹³ *Sedlmayer v Russian Federation* Kammergericht Berlin (2003) SchiedsVZ 2004, 99; იხ. ასევე, *Franz Sedlmayer v Russian Federation*, Award, SCC, (1998) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0757.pdf>> [04.05.2021].

⁷¹⁴ *Sedlmayer v Russian Federation* (სქ. 714).

ავიაკომოანია ლუფთჰანზას მიერ რუსეთისთვის გადასახდელი თანხები,⁷¹⁵ გერმანიაში საკუთარი ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის გამოყენებული კულტურული დანიშნულების შენობები და ამ შენობების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავალიც კი ამ უკანასკნელის კულტურული მიზნებისთვის გამოყენების დადასტურების შემთხვევაში.⁷¹⁶

გერმანიის ცენტრალურ ბანკში უცხო სახელმწიფოს სავალუტო რეზერვები⁷¹⁷ ისევე, როგორც ცენტრალური ბანკის აქტივები არ ექვემდებარება აღსრულებას.

საქმე იმაშია, რომ გერმანიის ფედერალური უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტივების მიმართ იყენებდნენ მტკიცების დაბალ სტანდარტს და კრძალავდნენ ნებისმიერ სააღსრულებო წარმოებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციონირებას იმ მოტივით, რომ აქტივებზე აღსრულებამ არ უნდა შეაფერხოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ თავისი სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელება.⁷¹⁸ მაგალითად, 2006 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ისეთი სუვერენული აქტივების მიმართ, როგორცაა საკონსულო წარმომადგენლობების, სახელმწიფო გემების, სახელმწიფო თვითმფრინავებისა და სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების აქტივები, სასამართლოებს უნდა გამოეყენებინათ მტკიცების ისეთივე დაბალი სტანდარტი, როგორსაც იყენებდნენ დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტივების მიმართ.⁷¹⁹ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილებით კი ზემოხსენებული მტკიცების დაბალი სტანდარტი უნდა გავრცელდეს ასევე სუვერენული მიზნით გამოყენებულ ყველა სახის აქტივებზე.⁷²⁰ ასეთი მიდგომა სადავოა, რადგან ზემოხსენებული აქტივების მიმართ მტკიცების დაბალი სტანდარტი თუ

⁷¹⁵ *Sedlmayer v Russian Federation*, Swedish Supreme Court - SSC, (2011), <https://jsumundi.com/en/document/decision/en-mr-franz-sedlmayer-v-the-russian-federation-decision-of-the-swedish-supreme-court-friday-1st-july-2011#decision_1343> [21.07.2021].

⁷¹⁶ *Sedlmayer v Russian Federation* BGH 01.10.2009, NJW 2010, 769 (770) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1516.pdf>> [21.07.2021].

⁷¹⁷ *Escher and others* (სქ. 699) 1047-48.

⁷¹⁸ *The Philippine Embassy case* (სქ. 703).

⁷¹⁹ BVerfG 06.12.2006, NJW 2007, 2605 (2608).

⁷²⁰ BGH 01.10.2009, NJW 2010, 769 (770).

გამართლებულია დიპლომატიურ ურთიერთობებში ჩაურევლობის მიზნით, სხვა სუვერენული აქტივების შემთხვევაში მხოლოდ უცხო სახელმწიფოს განცხადების საფუძველზე, რომ ესა თუ ის ქონება გამოიყენება სუვერენული მიზნით, მათი აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვა ეწინააღმდეგება და აზრს უკარგავს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის იდეას.⁷²¹

თუმცა არსებობს წარმატებული მაგალითებიც, როდესაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონება იმუნიტეტით არ უნდა დაცულიყო. ამ მხრივ საინტერესოა ისევ *Sedlmayer*-ის საქმე,⁷²² რომელზეც რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად რუსეთის ფედერაციის მიერ გაცხადებული უარისა მხოლოდ იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე, შემოსავალი, რომელიც მიიღებოდა უძრავი ქონების იჯარით გაცემის შედეგად რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის სახლის საქმიანობის დასაფინანსებლად, არ იყო იმუნიტეტით დაცული.⁷²³ სასამართლომ წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმადაც საჭირო იყო ორი ტიპის აქტივების ერთმანეთისგან განსხვავება: ერთი მხრივ, აქტივები, რომლებიც მათი უშუალო გამოყენებით პირდაპირ მიმართულია სახელმწიფოს ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშესაწყობად და მეორე მხრივ, აქტივები, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელს უწყობს ირიბად, მათი ნაყოფის გამოყენების გზით. წინამდებარე საქმეში აღსრულებას დაქვემდებარებული აქტივები მიღებული იყო უძრავი ქონების კერძო პირებზე იჯარით გაცემის შედეგად და შესაბამისად, მათ მხოლოდ ირიბად შეიტანეს წვლილი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ საქმიანობაში, თუ შეიტანეს საერთოდ. ამიტომაც, ისინი სასამართლოს აზრით, არ იყო იმუნიტეტით დაცული აქტივები.⁷²⁴

გარდა ამისა, გერმანიაში რუსეთის აქტივებზე აღსრულების პროცესში სედელმაიერმა ასევე მოითხოვა კიოლნში საცხოვრებელი კომპლექსის დაყადაღება,

⁷²¹ Escher and others (სქ. 699) 1049.

⁷²² *Sedlmayer v Russian Federation*, German Federal Supreme Court, Order VII ZB 9/05, 4 October 2005, NJW-RR 2006, 198.

⁷²³ იქვე.

⁷²⁴ იქვე.

რომელიც რუსეთის ფედერაციის სახელზე იყო რეგისტრირებული და მასში თავის დროზე განთავსებული იყო საბჭოთა ვაჭრობის სამინისტრო. 2008 წელს კიოლნის ზემდგომმა რეგიონალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ქონება უნდა გაყიდულიყო სედელმაიერის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რადგან ეს ქონება აღარ ემსახურებოდა სუვერენული ფუნქციების განხორციელებას.⁷²⁵

3.3. იმუნიტეტზე უარის თქმა

გერმანიაში, ზოგადი წესის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება მიჩნეულია იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად.⁷²⁶ მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ფედერალურ უზენაეს სასამართლოს ეს მოსაზრება უპირობოდ ჯერ არ დაუდასტურებია, ბოლო პერიოდში ტაილანდის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განხილვისას აღნიშნა, რომ თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისადაა დადებული და ეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ადგენს, რომ „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად,⁷²⁷ აღნიშნული მიჩნეულ უნდა იქნას იმუნიტეტზე უარის თქმად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების საქმისწარმოებასთან დაკავშირებით.⁷²⁸ აღსანიშნავია, რომ გერმანული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმრავლესობა შეიცავს ზემოხსენებულის იდენტურ ან მსგავს ფრაზებს.⁷²⁹

⁷²⁵ *Sedlmayer v Russian Federation*, Decision of Oberlandesgericht Köln 18 March 2008, 22 U 98/07 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0764.pdf>> [17.10.2020].

⁷²⁶ *Werner Schneider, acting in his capacity as insolvency administrator of Walter Bau Ag (In Liquidation) v THE kingdom of Thailand* BGH 30.01.2013, SchiedsVZ 2013, 110 (111).

⁷²⁷ გერმანია-ტაილანდის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, 10 (2) მუხლი, წინადადება 3, (ძალაში შესვლის თარიღი: 20.10.2004) BGBI 2004 II, 48.

<<https://investmentpolicyhub.unctad.org/IIA/mostRecent/treaty/1766>>[19.07.2020].

⁷²⁸ BGH 30.01.2013, SchiedsVZ 2013, 110 (112).

⁷²⁹ Escher and others (სქ. 699) 1051.

იმავე გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებიდან იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა უპირობოდ არ გამომდინარეობს, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება გამოიყენება საარბიტრაჟო დავის მიმართ.⁷³⁰ შესაბამისად, სასამართლოებმა ჯერ უნდა დაადგინონ, არის თუ არა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების გამოყენების წინაპირობები (ისეთი როგორიცაა, *ratione personae*, *ratione materiae*, *ratione temporis*) და მხოლოდ შემდეგ უთხრან უარი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვაზე.⁷³¹

სახელმწიფოს მიერ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა ავტომატურად არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმასაც.⁷³² ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საჭიროა ცხადი და ცალკე გაცხადებული უარი, იქნება ეს პირდაპირი თუ ნაგულისხმევი.⁷³³ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი აქტივები, როგორიცაა დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტივები, სახელმწიფო გემები და საჰაერო ხომალდები ან შეიარაღებული ძალების აქტივები, ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას მხოლოდ აღსრულებისგან კონკრეტულად აღნიშნულ ქონებასთან მიმართებით უარის შემთხვევაში და ასეთ დროს ზოგადი უარის თქმა აღსრულებისგან იმუნიტეტზე არ არის საკმარისი.⁷³⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღსრულებისაგან იმუნიტეტზე უარის თქმა გულისხმობს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმასაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიზნებისთვის.⁷³⁵

საყურადღებოა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დებულება, რომელიც ადგენს, რომ „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და შესრულება უნდა განხორციელდეს ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად“, გერმანული სასამართლოს

⁷³⁰ იქვე.

⁷³¹ BGH 30.01.2013, SchiedsVZ 2013, 110 (112).

⁷³² BVerfG 06.12.2006, NJW 2007, 2605 (2607).

⁷³³ Escher and others (სქ. 699) 1054.

⁷³⁴ BVerfG 06.12.2006, NJW 2007, 2605 (2608).

⁷³⁵ Ben Juratowitch, 'Waiver of State Immunity and Enforcement of Arbitral Awards' (2016) 6 Asian Journal of International Law 199, 228.

მიერ⁷³⁶ არ მიიჩნევა აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად, რადგან ნიუ-იორკის კონვენცია, ერთი მხრივ, ცალსახად არ გამორიცხავს იმუნიტეტით დაცვის მოთხოვნას მხარე-სახელმწიფოს მიერ და მეორე მხრივ, ნიუ-იორკის კონვენციის მესამე მუხლი ადგენს, რომ კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აღასრულებენ თავიანთი შიდა კანონმდებლობის საპროცესო ნორმების შესაბამისად.⁷³⁷ ხოლო ეს უკანასკნელი კი მოიცავს სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ნორმებსაც.⁷³⁸

4. საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხი

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი ადგილობრივი კანონმდებლობა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ. საქართველო არ არის არც ევროპული კონვენციის და არც გაეროს კონვენციის წევრი. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომ – სსკ) ადგენს, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები.“⁷³⁹ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს შეიძლება იურიდიული პირებიც წარმოადგენდნენ.⁷⁴⁰ ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება იგი, რადგან სსკ-ის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში

⁷³⁶ BGH, 04.10.2004, extracts translated into English in (2005) 31 YCA 707, 709; *Sedlmayer v Russian Federation* (Oberlandesgericht, Cologne, 2003) ამონარიდები თარგმნილია ინგლისურად, იხ. (2005) XXX YCA 541, 544.

⁷³⁷ BGH, 04.10.2004, ამონარიდები თარგმნილია ინგლისურად (2005) 31 YCA 707, 709.

⁷³⁸ იქვე.

⁷³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომ - სსკ), პარლამენტის უწყებანი, №31, 24/07/1994, 24(4) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/31702?publication=121>> [17.08.2021].

⁷⁴⁰ ბაკურ ლილუაშვილი, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2009) 71 <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bakur%20liluashvili.pdf> [29.09.2020].

მონაწილეობენ ისე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.⁷⁴¹ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა აღიარებს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოზე იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში.⁷⁴² თუმცა, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას იურისდიქციისგან იმუნიტეტის საკითხი არ დგება, რადგან კონვენციის ხელმოწერითა და ცენტრისათვის დავის განსახილველად გადაცემაზე თანხმობით სახელმწიფო უარს ამბობს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე.⁷⁴³ რაც შეეხება ნიუ-იორკის კონვენციას, ფართოდ, მაგრამ არა საყოველთაოდ, მიღებულია, რომ სახელმწიფოს შეთანხმება დავის არბიტრაჟის გზით მოგვარების თაობაზე, მიიჩნევა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საფუძვლად ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში.⁷⁴⁴ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხს, დადგენილი არ არის ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ვერ ისარგებლებს იურისდიქციისგან იმუნიტეტით. არ არსებობს კრიტერიუმები, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს საარბიტრაჟო გამონაკლისი, იმუნიტეტზე უარის თქმისა თუ კომერციული გამონაკლისი. შედეგად, ნიუ-იორკის კონვენციის შემთხვევაშიც არ არის დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მიიჩნევა თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში.

რაც შეეხება აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხს, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება

⁷⁴¹ სსკ, 24(3) მუხლი.

⁷⁴² ლილუაშვილი (სქ. 740) 71.

⁷⁴³ George R Delaume, 'Foreign Sovereign Immunity: Impact on Arbitration' (1983) 38 Arbitration Journal, 35.

⁷⁴⁴ Georgios Petrochilos, *Procedural Law in International Arbitration* (Oxford University Press 2004) 291-92; იხ. ასევე Felix J Montero and Paloma Castro, 'Waivers of Sovereign Immunities in Enforcement Proceedings and the 1958 NY Convention' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez-Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019) 372.

ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი“) შესაბამისად სასამართლოს განჩინების საფუძველზე.⁷⁴⁵ თავის მხრივ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი“ განსაზღვრავს იმ აქტივების ჩამონათვალს, რომელიც არ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს,⁷⁴⁶ რომელთა შორის უმრავლესობა საქართველოს ის ქონებაა, რომელიც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არ ექვემდებარება პრივატიზებას.⁷⁴⁷ აღნიშნულ ჩამონათვალშია ისეთი კატეგორიის ქონება, როგორცაა, კულტურული ფასეულობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, არქეოლოგიური დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთი, აგრეთვე კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები,⁷⁴⁸ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები,⁷⁴⁹ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განთავსებისათვის გადაცემული ქონება.⁷⁵⁰

აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში“ ზემოხსენებულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების აკრძალვის დაწესების საფუძველად არ არის მოყვანილი აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ზემოხსენებული ქონება საქართველოს სახელმწიფო ქონებაა და მხოლოდ მასთან მიმართებით შეიძლება აღნიშნული ნორმის გამოყენება. საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება არც ცენტრალური ბანკის აქტივების აღსრულებისგან იმუნიტეტის მარეგულირებელი ნორმები. გამონაკლისის სახით, შეიძლება ითქვას, რომ

⁷⁴⁵ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, სსმ, №13, 02/07/2009, მუხლი 44(4).

⁷⁴⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, №13(20), 01/05/1999, 2¹ მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=107>> [20.03.2021].

⁷⁴⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, სსმ, №48, 09/08/2010, მე-4 მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/112588?publication=51>> [19.03.2021].

⁷⁴⁸ იქვე, 4(1)(ლ) მუხლი.

⁷⁴⁹ იქვე, 4(1)(ნ) მუხლი.

⁷⁵⁰ იქვე, 4(1)(ც) მუხლი.

საქართველოში აღსრულებისგან იმუნიტეტით სარგებლობს დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო წარმომადგენლობების ქონება ვენის კონვენციების შესაბამისად.⁷⁵¹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უცხო სახელმწიფოებთან დადებული აქვს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის წესებს და ადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონედ.⁷⁵² ამ ხელშეკრულებების უმრავლესობა განსაზღვრავს, რომ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თავიანთ ტერიტორიაზე შესრულება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.⁷⁵³ შედეგად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხიც აღსრულების ქვეყნის კანონმდებლობით გადაწყდება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტის მარეგულირებელ ნორმებს, შესაძლებელია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი არ წარმოადგენდეს ბარიერს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს ქონებაზე აღსრულების კუთხით.

საინტერესოა ასევე სახელმწიფოს მხრიდან აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის მიზანშეწონილობის საკითხიც. შეიძლება ითქვას, რომ იმუნიტეტზე უარის თქმის კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს ნებისმიერ ქონებაზე. თუმცა, საგულისხმოა, რომ ამგვარი შეუზღუდავი რეჟიმის გავრცელება გარკვეული კატეგორიის სახელმწიფო

⁷⁵¹იხ. ვენის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“, 22(3) მუხლი; ვენის კონვენცია „საკონსულო ურთიერთობის შესახებ“, 31(4) მუხლი.

⁷⁵²იხ. მაგ., „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 30.10.2008; ძალაში შესვლის თარიღი: 01.04.2001), 8(7) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/1202204?publication=0>> [18.02.2021].

⁷⁵³ იხ. მაგ., „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 24.11.2006, ძალაში შესვლის თარიღი: 30.12.2007) 9(10) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/1204356?publication=0>> [18.02.2021]; „შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 24.11.2009; ძალაში შესვლის თარიღი: 04.12.2009) 9(4) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/3539498?publication=0>> [18.02.2021]; „შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 23.06.1993; ძალაში შესვლის თარიღი: 03.07.1999), 10(6) მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/1215009?publication=0>> [18.02.2021].

აქტივების მიმართ, როგორცაა, მაგალითად, სამხედრო დანიშნულების ქონება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, ასევე ცენტრალური ბანკის აქტივები, არ იქნება მიზანშეწონილი აღნიშნული ობიექტების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ძალიან მწირია სახელმწიფოს წინააღმდეგ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეები.⁷⁵⁴ თავის მხრივ, საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობა მხოლოდ ერთ საქმეზე ფიქსირდება.⁷⁵⁵ ქართული სასამართლო პრაქტიკის ასეთი სიმწირე, მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო პასუხისმგებლობით ეკიდება და კეთილსინდისიერად ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებას ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ნაშრომში განხილული კანონმდებლობების საფუძველზე კონკრეტული, აპრობირებულად დადებითი შედეგის მქონე გამოცდილების გაზიარებითა და კომბინირებით, საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტიდან კონკრეტული გამონაკლისების დადგენით, საქართველოში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მომხრე განწყობის დანერგვას შეუწყობდა ხელს ისე, რომ დაცული იქნებოდა ბალანსი სახელმწიფოს ვალდებულებებსა და კერძო მხარის საინვესტიციო უფლებებს შორის.

⁷⁵⁴იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები <<http://prg.supremecourt.ge/>> [18.12.2022].

⁷⁵⁵*Ares Internationales Srl and MetalGeo Srl v Georgia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-1858-შ-53-09, (შემდგომ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება) <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>> [18.12.2022]. ვრცლად იხ. გვ. 262-63.

5. საფრანგეთი

5.1. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

საფრანგეთში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის დანერგვა და განვითარება, შვეიცარიის მსგავსად, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განხორციელდა.⁷⁵⁶ ფრანგული სამართალი განასხვავებს ერთმანეთისგან იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის ცნებებს და განსხვავებულად არეგულირებს მათ. შესაბამისად, იურისდიქციისგან იმუნიტეტის არარსებობა ავტომატურად არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტის არარსებობას.⁷⁵⁷

საფრანგეთში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესი იწყება კრედიტორის მიერ ე.წ. *exequatur*-ის⁷⁵⁸ მოპოვებით, რომელსაც *ex parte* გასცემს პარიზის პირველი ინსტანციის სასამართლო იმ პირობით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აშკარად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო საჯარო წესრიგს.⁷⁵⁹ *Exequatur*-ით დასტურდება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არსებობს და შეიძლება აღსრულდეს საფრანგეთში ისევე, როგორც ადგილობრივი სასამართლო გადაწყვეტილება.⁷⁶⁰ თუმცა, *exequatur*-ის მოპოვებით აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხი გადაჭრილად არ მიიჩნევა, რადგან

⁷⁵⁶ *USSR v Association France Export Cass Req*, 19 February 1928, D 1929, I, 73, note Savatier, S 1930-31, 49-51 ციტირებულია Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 156-57.

⁷⁵⁷ Jan Paulsson, 'Sovereign Immunity from Jurisdiction: French Caselaw Revisited' (1985) 19 *International Law* 277; საფრანგეთმა გაეროს კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2011 წლის 12 აგვისტოს. საფრანგეთი არ არის ევროპის კონვენციის წევრი. იხ. *Sovereign Immunity-France, GettingTheDealThrough* (2018) <<https://gettingthedealthrough.com/area/113/jurisdiction/28/sovereign-immunity-2018-france/>> [15.10.2020].

⁷⁵⁸ *exequatur* – (ლათ) ნიშნავს სასამართლოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტს (დადგენილება, განჩინება, გადაწყვეტილება), ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს საარბიტრაჟო/სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. ფრანგული სამართლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადი შეიძლება გახდეს მხოლოდ შესაბამისი სასამართლოს მიერ *exequatur*-ის გაცემის შემდეგ. იხ. Aron Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention: Binding Force, Finality, Recognition, Enforcement, Execution' (1987) 2(2) *ICSID Review – Foreign Investment Law Journal* 316-318.

⁷⁵⁹ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1514. *ex parte* გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლის მიერ ისე, რომ არ მოითხოვება დავის ორივე მხარის დასწრება. იხ. Davine (სქ. 1127) 1278.

⁷⁶⁰ Sarah Francois-Poncet, Brenda Horrigan and Lara Karaman, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereign States or State Entities – France' in in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009) 355; იხ. ასევე საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1514-ე და 1516-ე მუხლები.

იგი არ მოიცავს სააღსრულებო ხასიათის ღონისძიებებს, რაც წამოჭრიდა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხს მოპასუხე სახელმწიფოს აქტივებთან მიმართებით.⁷⁶¹

საფრანგეთში იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისი შემთხვევები სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა და დაინერგა *acta jure gestionis* და *acta jure imperiis* გამიჯვნის საფუძველზე. კერძოდ, სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს არასახელისუფლებო ქმედებას, არ შეიძლება სარგებლობდეს იურისდიქციისგან იმუნიტეტით ამ კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებით.⁷⁶² *Acta jure gestionis*-ის განმარტებისას ფრანგული პოზიცია გამოირჩევა ამბივალენტურობით.⁷⁶³ ერთი მხრივ, ფრანგული სასამართლო აცხადებს, რომ იმუნიტეტის საკითხი უნდა გადაწყდეს „საქმიანობის ბუნებიდან“ გამომდინარე და მეორე მხრივ, ქმედება მიიჩნევა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებად, თუ მისი მიზანია სახელისუფლებო საქმიანობის შესრულება.⁷⁶⁴ საბოლოო ჯამში, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ უცხო სახელმწიფო დაცულია სახელმწიფო იმუნიტეტით იურისდიქციისგან, როდესაც ქმედება, რომელიც საფუძველად დაედო მხარეთა შორის სამართლებრივ დავას, თავისი ბუნებით ან მიზნით წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სუვერენული უფლებამოსილების განხორციელებას.⁷⁶⁵ ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განხორციელებული ქმედების ბუნება და მიზანი და არა იმ ერთეულის ბუნება, რომელმაც განახორციელა ქმედება.⁷⁶⁶

⁷⁶¹ Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 356-59; 1 Civ. June 11, 1991, *Societe Ouest-Africaine de Betons Industriels (SOABI) v Senegal* 1992, JDI 1005.

⁷⁶² Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 156-57, 409-10.

⁷⁶³ Yang (სქ. 89) 103.

⁷⁶⁴ იქვე.

⁷⁶⁵ იქვე.

⁷⁶⁶ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 156-57, 409-10.

5.2. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

1984 წლამდე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხზე ფრანგული სასამართლო პრაქტიკა არათანმიმდევრული იყო.⁷⁶⁷ ვითარება შეიცვალა 1984 წელს, როდესაც *Eurodif v Iran* საქმეზე⁷⁶⁸ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტი არ გავრცელდებოდა ისეთ ქონებაზე, რომელიც: 1) განკუთვნილი იყო კერძოსამართლებრივი ხასიათის ეკონომიკური ან კომერციული საქმიანობისთვის და 2) ამ საქმიანობას ეფუძნებოდა სასარჩელო მოთხოვნა.⁷⁶⁹

Eurodif v Iran საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ დაამკვიდრა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტისგან კომერციული გამონაკლისი და იგი პრეცედენტული გახდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ თავისი შემდგომი გადაწყვეტილებით გააფართოვა *Eurodif v Iran* საქმით აღსასრულებლად მისაქცევ ქონებასთან მიმართებით დადგენილი ფარგლები და აღსრულების იმუნიტეტიდან გამონაკლისად გამოაცხადა ასევე ისეთი ქონება, რომელიც „დაკავშირებულია“ (განსხვავებით „განკუთვნილია“, როგორც ეს დადგინდა საქმეზე *Eurodif v Iran*) არა სახელისუფლებო ქმედებასთან, არამედ ეკონომიკურ ან კომერციულ კერძო ხასიათის საქმიანობასთან, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა სასარჩელო დავა.⁷⁷⁰

5.2.1. საპინ II

2016 წლის 8 დეკემბერს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც შეიცვალა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი წესები, რამაც არსებითად გაართულა

⁷⁶⁷ Paulsson (სქ. 757) 278-281; იხ. ასევე *Englander v State Bank of Czechoslovakia*, decision of 11 February, 1969, Cour de Cassation, 1969, 52 ILR 335; *Dame Clerget v Peoples' Republic of Vietnam Trade Mission, et al*, Decision of 2 November 1971, Cour de Cassation, 1972 Rev. Crit. 312.

⁷⁶⁸ *Islamic Republic of Iran v Eurodif* Cour de Cassation 14 March 1984, 77 ILR 513.

⁷⁶⁹ იქვე; იხ. ასევე Paulsson (სქ. 757) 282-85, Foster (სქ. 162) 674.

⁷⁷⁰ Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 361.

კრედიტორისათვის საფრანგეთში უცხო სახელმწიფოს ქონებაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.⁷⁷¹ ნიშანდობლივია, რომ ცვლილებები ძირითადად იმეორებენ გაეროს კონვენციის მე-18 და მე-19 მუხლებს სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.⁷⁷² კერძოდ, ახალი წესების თანახმად, სახელმწიფო ვერ ისარგებლებს აღსრულებისგან იმუნიტეტით იმ შეთხვევებში, როდესაც: 1) იგი პირდაპირ თანხმობას განაცხადებს აღსრულების ღონისძიებებზე, 2) გამოყოფს ქონებას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, 3) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას აღსასრულებლად მისაქცევი ქონება უშუალოდ გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო არაკომერციული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის და დაკავშირებულია იმ ერთეულთან, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სასამართლო საქმისწარმოება.⁷⁷³

დამატებით, ახალი კანონი ჩამოთვლის იმ ქონებას, რომელიც ზემოხსენებული მე-3 პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა სახელისუფლებო არაკომერციული მიზნით გამოყენებულ თუ გამოსაყენებლად განკუთვნილ ქონებად. კერძოდ, ეს ქონებაა სამხედრო ხასიათის ქონება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, მეცნიერული, კულტურული ან ისტორიული ინტერესის მქონე საგამოფენო ობიექტები, სახელმწიფოს საგადასახადო ან სოციალური ვალი, ასევე ქონება, მათ შორის, ნებისმიერი საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან მისი საკონსულო დაწესებულებების, სპეციალური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიების, ან საერთაშორისო

⁷⁷¹ The Law on Transparency, Anti-corruption Measures and the Modernisation of the Economy of France, No. 2016-1691 (მიღების თარიღი: 09.12.2016; ძალაში შესვლის თარიღი: 01.06.2017) წარდგენილი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მიხეილ საპინის მიერ (ხშირად მოხსენიებული, როგორც „საპინის კანონი“). საპინის კანონით L 111-1-1, L 111-1-2 და L 111-1-3 მუხლების სახით საფრანგეთის სამოქალაქო სააღსრულებო წარმოების კოდექსში (შემდგომ - French Code of Civil Enforcement Procedures) შევიდა ცვლილება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით. ცვლილებამდე აღნიშნული კოდექსი შემდეგნაირად არეგულირებდა ამ საკითხს: „სააღსრულებო და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება პირებზე, ვინც სარგებლობს აღსრულებისგან იმუნიტეტით“ L 111-1-3 მუხლი. იხ. Erwan Poisson, 'Creditors Likely to Find it More Difficult to Enforce Against State Assets in France' (*Allen & Overy Publications*, 18 July 2016) <<http://www.allenoverly.com/publications/en-gb/Pages/Creditors-likely-to-find-it-more-difficult-to-enforce-against-foreign-state-assets-in-France.aspx>> [18.10.2020].

⁷⁷² French Code of Civil Enforcement Procedures, L 111-1-2 მუხლი.

⁷⁷³ იქვე.

ორგანიზაციების, ან საერთაშორისო კონფერენციების ორგანოების დელეგაციების ფუნქციების შესასრულებლად.⁷⁷⁴

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონებასა და საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებით საფრანგეთის ახალმა კანონმდებლობამ უფრო მკაცრი მოთხოვნები დააწესა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით ან გაეროს კონვენციით, რომლის თანახმადაც, საჯარო მიზნით გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი დიპლომატიური ქონების აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვაზე უარი სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს პირდაპირი და ამავე დროს, კონკრეტული (განსახვავებით გაეროს კონვენციისგან, რომელიც მხოლოდ პირდაპირ თანხმობას მოითხოვს).⁷⁷⁵

აღსანიშნავია, რომ საპინ II კანონის მიღებამდე საფრანგეთში სასამართლო პრაქტიკა დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონების იმუნიტეტთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო.⁷⁷⁶ ჯერ კიდევ 2000 წელს საქმეზე *Embassy of the Russian Federation et al v Compagnie NOGA d'importation et d'exportation (NOGA)* (შემდგომ - *NOGA*)⁷⁷⁷ პარიზის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ზოგად იმუნიტეტზე აღსრულებისგან უარის თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან დიპლომატიურ იმუნიტეტზე უარის თქმასაც და დაადგინა სახელმწიფოს მიერ უშუალოდ დიპლომატიურ იმუნიტეტზე უარის თქმის აუცილებლობა დიპლომატიური ქონების აღსასრულებლად მისაქცევად.⁷⁷⁸ კერძოდ, სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კომპანიამ *NOGA* მიმართა საფრანგეთის

⁷⁷⁴ იქვე.

⁷⁷⁵ იქვე, L 111-1-3 მუხლი შუად. გაეროს კონვენციის 19 (a) მუხლს.

⁷⁷⁶ იხ. *Embassy of the Russian Federation et. al v Compagnie NOGA d'importation et d'exportation (NOGA)*, Paris Court of Appeal (1st Ch. A), 10 August 2000, Case no. 2000/14157); *NML Capital v Republique Argentine* No.09-72.057 from September 2011, Civ. 1^{re}, 28 September 2011, n°09-72057; *Commisimpex v Republic of Congo* Versailles C.A, 15 November 2012, n° 11-09073; *NML Capital v Republique Argentine* Civ. 1^{re}, 28 March 2013, n°11-13323; *Commisimpex v Congo*, French Supreme Court, First Civil Chamber, 13 May 2015, No 13-17751. Civ. 1^{re}, 13 May 2015, n°13-17751; *Commisimpex v Republic of Congo*, Cour de cassation, Civ. 1, 10 January 2018 no. 16-22494.

⁷⁷⁷ Emmanuel Gaillard 'Effectiveness of Arbitral Awards, State Immunity from Execution and Autonomy of State Entities, three Incompatible Principles', in Emmanuel Gaillard and Jennifer Younan (eds), *State Entities in International Arbitration* (Juris Publishing Inc 2008) 185.

⁷⁷⁸ *NOGA* (სქ. 776).

სასამართლოს და მოითხოვა რამდენიმე საბანკო ანგარიშის დაყადაღება, რომლებიც ეკუთვნოდა საფრანგეთში რუსეთის ფედერაციის საელჩოს, UNESCO-ში რუსეთის მუდმივ დელეგაციასა და რუსეთის ფედერაციის კომერციულ ბიუროს საფრანგეთში.⁷⁷⁹ აღსანიშნავია, რომ კომპანია NOGA-სა და საბჭოთა კავშირს (რომლის უფლებამონაცვლევ გახდა რუსეთის ფედერაცია) შორის დადებულ სესხის ორ ხელშეკრულებაში რუსეთის მთავრობა უარს ამბობდა ყველა უფლებაზე იმუნიტეტთან მიმართებით აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე რუსეთის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით და აცხადებდა თანხმობას, არ გამოეყენებინა იურისდიქციისგან, აღსრულებისგან, ყადაღისგან თუ სხვა სასამართლო წარმოებისგან იმუნიტეტი წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებთან დაკავშირებით.⁷⁸⁰ როგორც ჩანს, ზემოხსენებული რუსეთის ფედერაციამ პირდაპირი უარი განაცხადა როგორც იურისდიქციისგან, ისე აღსრულებისგან იმუნიტეტზე. თუმცა საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების პირობებიდან არ გამომდინარეობდა მსესხებელი მხარის ცალსახა განზრახვა დიპლომატიურ იმუნიტეტზე უარის თქმისა მეორე მხარის, - კერძო კომპანიის სასარგებლოდ აღსრულების მიზნებისთვის.⁷⁸¹

მართალია, ასეთი მოსაზრება იურიდიული თვალსაზრისით შორს არის დამაჯერებლობისგან,⁷⁸² რადგან *NOGA*-ს საქმეში დებულებები რუსეთის მიერ იმუნიტეტზე უარის თქმის თაობაზე საკმარისად ფართოა იმისათვის, რომ მან არ მოიცვას დიპლომატიური იმუნიტეტი.⁷⁸³ მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულებისგან დიპლომატიური იმუნიტეტი დამოუკიდებელი იყო აღსრულებისგან ზოგადი იმუნიტეტისგან და იმუნიტეტზე ზოგადი უარის თქმა არ გულისხმობდა

⁷⁷⁹ Gaillard (სქ. 777) 185.

⁷⁸⁰ Blane (სქ. 156) 470.

⁷⁸¹ Gaillard (სქ. 777) 185.

⁷⁸² იქვე.

⁷⁸³ იქვე.

დიპლომატიურ იმუნიტეტზე უარის თქმას.⁷⁸⁴ თუმცა, იმის გათვალისწინებით თუ რა კატეგორიის აქტივებზე მოითხოვა აღსრულება კომპანიამ, გასაგები ხდება, რატომ ვერ დაადგინა სასამართლომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა მხარე-სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებაში კონკრეტულად დიპლომატიურ იმუნიტეტზე მითითების გარეშე.⁷⁸⁵

2011 წელს საქმეზე *NML Capital v Republique Argentine* საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ, თავის მხრივ, გადაწყვიტა, რომ სახელმწიფო სარგებლობს ავტონომიური იმუნიტეტით აღსრულებისგან, რომელიც მხოლოდ პირდაპირი და კონკრეტული უარის თქმის შემთხვევაში არ იმოქმედებს.⁷⁸⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო 2012 წელს საქმეზე *Commisimpex v Republic of Congo* ვერსალის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლითაც კომპანიას Commisimpex უარი ეთქვა საფრანგეთში კონგოს დიპლომატიური საბანკო ანგარიშების დაყადაღებაზე იმ მოტივით, რომ კონგომ მხოლოდ ზოგადი ხასიათის უარი განაცხადა აღსრულებისგან იმუნიტეტზე კონკრეტულად რომელიმე დიპლომატიურ ქონებაზე მითითების გარეშე, ხოლო დიპლომატიურ ქონებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გამოთქმული უარი აღსრულებისგან იმუნიტეტზე უნდა იყოს პირდაპირი და კონკრეტული.⁷⁸⁷

საყურადღებოა, რომ 2013 წელს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე „პირდაპირი და კონკრეტული“ უარის თქმის მოთხოვნა, დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონების გარდა, ასევე გაავრცელა საფრანგეთში უცხო სახელმწიფოს ნებისმიერ ქონებაზე, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელისუფლებო მიზნებისთვის.⁷⁸⁸

⁷⁸⁴ იქვე; იხ. ასევე Shaparak Saleh and Yann Dehaut-Delville, 'Protection of States' Diplomatic Assets in France' (*Kluwer Arbitration Blog*, 21 February 2018) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2018/02/21/protection-states-diplomatic-assets-france/>> [18.10.2020].

⁷⁸⁵ იქვე.

⁷⁸⁶ *NML Capital v Republique Argentine* No.09-72.057 from September 2011, Civ. 1^{re}, 28 September 2011, n°09-72057; Jurgén Brohmer, 'State Immunity and Sovereign Bonds' in Anne Peters and others (eds), *Immunities in the Age of Global Constitutionalism* edited (Brill Nijhoff 2015) 194.

⁷⁸⁷ *Commisimpex v Republic of Congo* Versailles C.A., 15 November 2012, n° 11-09073.

⁷⁸⁸ *NML Capital v Republique Argentine* Civ. 1^{re}, 28 March 2013, n°11-13323; იხ. ასევე Clément Dupoirier, Laurence Franc-Menget and Andrew Cannon, 'A Law on Immunity from Enforcement in France' (*Public International Law Notes*, 1 December 2016) <<https://hsfnotes.com/publicinternationallaw/2016/12/01/a-law-on->

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის საკაციაო სასამართლომ თავის 2015 წლის გადაწყვეტილებით გააუქმა ვერსალის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება *Commisimpex*-ის საქმეზე იმ მოტივით, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი მოითხოვს მხოლოდ პირდაპირ უარს აღსრულებისგან იმუნიტეტზე და ეს შეეხება ასევე დიპლომატიურ ქონებას.⁷⁸⁹ შესაბამისად, საქმე დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2016 წლის 30 ივნისს, გაითვალისწინა რა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, დაადგინა, რომ დიპლომატიურ ქონებაზე ყადაღის დადება კანონიერი იყო.⁷⁹⁰ დაახლოებით ექვს თვეში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო საპინ II, რომლის თანახმადაც, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონებასთან დაკავშირებით უნდა იყოს პირდაპირი და კონკრეტული.⁷⁹¹ კონგოს რესპუბლიკამ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა ზემოხსენებული უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები და დაადგინა, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონებაზე აღსრულებისგან იმუნიტეტი არ გავრცელდებოდა მხოლოდ პირდაპირი და კონკრეტული უარის თქმის შემთხვევაში.⁷⁹²

მართალია, ამით უზენაესი სასამართლო ეწინააღმდეგებოდა თავის 2015 წლის გადაწყვეტილებას, სამაგიეროდ, იგი თანხვედრაში იყო საჯარო ინტერესთან.⁷⁹³ უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა საპინ II-ის მიდგომა მის კანონიერ ძალაში

immunity-from-enforcement-in-france >[18.10.2020]; Alexander Blumrosen and Fleur Malet-Deraedt, 'NML Capital ltd v Republic of Argentina' (2013) 107(3) *The American Journal of International Law*, 638-644.

⁷⁸⁹ *Commisimpex v Congo*, French Supreme Court, First Civil Chamber, 13 May 2015, No 13-17751. Civ. 1^{re}, 13 May 2015, n°13-17751; იხ. ასევე Laurence Franc-Menget and Peter Archer, 'French Supreme Court Decision in Commisimpex Dispute Heralds Significant Change in Approach to Sovereign Immunity' (*Public International Law Notes*, 4 June 2015) <<https://hsfnotes.com/publicinternationallaw/2015/06/04/french-supreme-court-decision-in-commisimpex-dispute-heralds-significant-change-in-approach-to-sovereign-immunity/>> [18.10.2020]; Poisson (სქ. 731).

⁷⁹⁰ Saleh and Dehaut-Delville (სქ. 784); იხ. ასევე Melissa Ordonez, 'Late Twist to the Commisimpex Saga as French Supreme Court Reverses its Position on State Immunity From Execution' (*Thomson Reuters, Practical Law Arbitration Blog*, 12 March 2018) <<http://arbitrationblog.practicallaw.com/late-twist-to-the-commisimpex-saga-as-french-supreme-court-reverses-its-position-on-state-immunity-from-execution/>> [19.10.2020].

⁷⁹¹ French Code of Civil Enforcement Procedures, L 111-1-3 მუხლი.

⁷⁹² *Commisimpex v Republic of Congo*, Cour de cassation, Civ. 1, 10 January 2018 no. 16-22494; იხ. ასევე Saleh and Dehaut-Delville (სქ. 784); Ordonez (სქ. 790).

⁷⁹³ იქვე.

შესვლამდე არსებულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით, თუმცა სასამართლომ განმარტა, რომ თავის გადაწყვეტილებას იგი აფუძნებს უზენაესი სასამართლოს ადრინდელ პრაქტიკაზე, რომელსაც ამყარებს ახალი კანონმდებლობა.⁷⁹⁴ საპინ II კანონის გარდა, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციასა და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე. სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, რაზეც უდიდეს გავლენას ახდენს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი, სასამართლომ ხაზი გაუსვა გადაწყვეტილებათა თანმიმდევრობის და სამართლებრივი შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.⁷⁹⁵

შედეგად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით კოდიფიცირებული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა შესაბამისობაში მოვიდა, თუმცა ამას შეეწირა კერძო მხარის ინტერესები.⁷⁹⁶

5.2.1.1. სასამართლო ავტორიზაცია

საფრანგეთში ახალი კანონმდებლობის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის თუ სააღსრულებო ღონისძიებების გატარება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი სასამართლო ავტორიზაციის შემდეგ *ex parte* წარმოების შედეგად მოსამართლის მიერ გაცემული განკარგულების საფუძველზე.⁷⁹⁷

აღსანიშნავია, რომ საპინ II კანონის მიღებამდე საფრანგეთი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქვეყანათა შორის, რომლის კანონმდებლობა არ მოითხოვდა წინასწარ სასამართლო ავტორიზაციას სარჩელის უზრუნველყოფისა თუ სააღსრულებო ღონისძიებებისათვის, რაც, ერთი მხრივ, რისკის შემცველი იყო იმ კუთხით, რომ იმ

⁷⁹⁴ იქვე.

⁷⁹⁵ იქვე.

⁷⁹⁶ იქვე.

⁷⁹⁷ French Code of Civil Enforcement Procedures, L 111-1-1 მუხლი.

სახელმწიფო ქონების მიმართ, რომელიც არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გატარდებოდა აღსრულების ღონისძიებები.⁷⁹⁸ კანონპროექტში ავტორიზაციის მოთხოვნის შეტანას, თავდაპირველად, პარლამენტის მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ასეთ მოთხოვნას არ ითვალისწინებდა გაეროს კონვენციის მე-19 მუხლი და იგი ასევე ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას.⁷⁹⁹ თუმცა, საფრანგეთის მთავრობამ ავტორიზაციის მოთხოვნის აუცილებლობა ახსნა იმით, რომ აღნიშნული უზრუნველყოფდა ბალანსს კრედიტორის ინტერესებსა და უცხო სახელმწიფოს ქონების უკანონო აღსრულებისგან დაცვის საჭიროებას შორის. კერძოდ, სახელმწიფო ქონებას წინასწარ დაიცავს უკანონო სააღსრულებო ღონისძიებებისგან და ამავე დროს, *ex parte* წარმოება არ მისცემს უცხო სახელმწიფოს საშუალებას, ხელოვნურად შექმნას გადახდისუნარიობის მდგომარეობა თავისი აქტივების რეორგანიზაციის გზით.⁸⁰⁰ მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად სასამართლო ავტორიზაციის მოპოვება დიდ სირთულესთან შეიძლება არ არის დაკავშირებული, აღნიშნული საკანონმდებლო სიახლე მაინც მიიჩნევა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფრანგეთში აღსრულების პროცესში შექმნილ წინააღმდეგობად.⁸⁰¹

5.2.2. იმუნიტეტზე უარის თქმა

რა თქმა უნდა, სახელმწიფო უფლებამოსილია უარი თქვას როგორც იურისდიქციისგან, ისე აღსრულებისგან იმუნიტეტზე. ფრანგული სამართალი ადგენს, რომ იმუნიტეტზე უარი გამოხატული უნდა იყოს კონკრეტულად, პირდაპირ და ცალსახად.⁸⁰² უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ქმედებითაც.

⁷⁹⁸ Blumrosen and Malet-Deraedt (სქ. 784) 334.

⁷⁹⁹ იქვე.

⁸⁰⁰ იქვე.

⁸⁰¹ Poisson (სქ. 731); იხ. ასევე Dupoirier (სქ. 788).

⁸⁰² *Islamic Republic of Iran v Eurodif* (სქ. 768).

მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, სასამართლო დავაში მოსარჩელედ გამოსვლა ან პროცესში აქტიურად მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ, მიიჩნევა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად.⁸⁰³ როგორც უკვე აღინიშნა, იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმასაც. მეტიც, ახალი კანონმდებლობა გარკვევით ადგენს, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარი უნდა იყოს პირდაპირი, ხოლო დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონებასთან დაკავშირებით, ასევე - კონკრეტული.⁸⁰⁴

ამ მხრივ, საინტერესოა 2000 წელს საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება *Creighton*-ის საქმეზე⁸⁰⁵ საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, სადაც სასამართლომ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესებზე სახელმწიფოს მხრიდან თანხმობა მიიჩნია არა მხოლოდ იურისდიქციისგან, არამედ ასევე აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმად იმ მოტივით, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების თანახმად, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, შეესრულებინათ ტრიბუნალის საბოლოო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ.⁸⁰⁶

აღნიშნული მიდგომა გაკრიტიკებული იქნა იმ საფუძველზე, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის ზემოხსენებული მუხლი არა თუ არ შეიცავდა აღსრულებისგან

⁸⁰³ Sovereign Immunity-France, GettingTheDealThrough (2018) (სქ. 757).

⁸⁰⁴ Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 369; იხ. ასევე French Code of Civil Enforcement Procedures, L 111-1-2 და L 111-1-3 მუხლები.

⁸⁰⁵ *Creighton Limited v Government of the State of Qatar* The French Cour de Cassation (6 July 2000), reported in XXV Yearbook of Commercial Arbitration 458 (2000).

⁸⁰⁶ International Chamber of Commerce's ('ICC') Rules of Conciliation and Arbitration of 2021, 35(6) მუხლი. 2000 წელს აღნიშნული დებულება ფორმულირებული იყო 24(2) მუხლში <<https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/#:~:text=They%20define%20and%20regulate%20the.resolution%20of%20cross%2Dborder%20disputes>> [15.03.2022].

იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას, არამედ საერთოდ არ ახსენებდა არც აღსრულებისგან იმუნიტეტს და არც ცნებას „აღსრულება.“⁸⁰⁷

თავის მხრივ, პარიზის სააპელაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოდან დაბრუნებულ *Creighton*-ის საქმეზე თავისი ხელახალი გადაწყვეტილება, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების საპირისპიროდ, დააფუძნა კეთილსინდისიერების პრინციპსა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ძალაზე, რაც გამომდინარეობდა საარბიტრაჟო შეთანხმებიდან, თუკი მხარე-სახელმწიფო საწინააღმდეგო დათქმას არ გააკეთებდა.⁸⁰⁸

ნიმანდობლივია, რომ პარიზის სააპელაციო სასამართლომ იმავე წელს საქმეზე *NOGA* დაადგინა, რომ აღსრულებისგან ზოგად იმუნიტეტზე უარის თქმა არ მოიცავდა თავის თავში დიპლომატიურ იმუნიტეტზე უარის თქმას.⁸⁰⁹

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საპინ II კანონის მიღების შემდეგ, საეჭვოა, რომ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ პრეცედენტად აქციოს *Creighton*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, მით უფრო, როდესაც საქმე შეეხება დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონებას.⁸¹⁰

როგორც გამოჩნდა, საკანონმდებლო სიახლეებმა გავლენა იქონია ისეთ დავებზეც კი, რომლებიც კანონის ძალაში შესვლამდე წარმოიშვა, და საპინ II ახლა უკვე სამართლის პირველწყაროს წარმოადგენს შესაბამისი სამართლებრივი დავების გადასაჭრელად, რაც საკმაოდ ართულებს უცხო სახელმწიფოს ქონებაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს.

⁸⁰⁷ Nathalie Meyer-Fabre, 'Enforcement of Arbitral Awards Against Sovereign States, A New Milestone: Signing ICC Arbitration Clause Entails Waiver of Immunity from Execution Held French Court of Cassation in *Creighton v Qatar*, July 6, 2000' (2000) 15 Mealey's International Arbitration Report 48, 50.

⁸⁰⁸ *Creighton v. Ministère des Finances de l'Etat du Qatar* CA Paris December 12, 2001, 2003 Arbitration Review, 417. იხ. ასევე Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 371.

⁸⁰⁹ *NOGA* (სქ. 776); იხ. ასევე Nancy B. Turck, 'French and US Courts Define Limits of Sovereign Immunity in Execution and Enforcement of Arbitral Awards' (2001) 17 Arbitration International 327, 330–331.

⁸¹⁰ Blumrosen and Malet-Deraedt (სქ. 784) 350.

5.2.3. სახელმწიფოს „ემანაცია“ და ცენტრული ბანკები

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ხშირად თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფო ორგანოების ან სხვა სახელმწიფო ერთეულების მეშვეობით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისას დგება საკითხი, შესაძლებელია თუ არა, რომ სახელმწიფოს ქონებაზე აღსრულდეს სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება და პირიქით, ან ერთი სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდეს მეორე სახელმწიფო საწარმოს ქონების ხარჯზე.⁸¹¹ ფრანგული სამართალი ამ კითხვას დადებითად პასუხობს იმ პირობით, რომ სახელმწიფო საწარმო უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს „ემანაციას“, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მანიფესტაციას ან გაგრძელებას.⁸¹²

ფრანგული სასამართლოების მიერ სახელმწიფოს ემანაციად მიიჩნევა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობის არმქონე ერთეულები, რომლებიც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, მაგალითად, როგორცაა სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები.⁸¹³

რაც შეეხება დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე სახელმწიფო ერთეულებს, მათი სახელმწიფოს ემანაციად შერაცხვის ზუსტი კრიტერიუმი არ არსებობს,⁸¹⁴ თუმცა, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული აუცილებელი პირობები.⁸¹⁵ კერძოდ, დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სახელმწიფოს ერთეული, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი ქონება, რომელსაც იგი განკარგავს თავის შეხედულებისამებრ და საკუთარი აღრიცხვის სისტემით, არ სარგებლობს ავტონომიურობით სახელმწიფოსგან და/ან სახელმწიფო მნიშვნელოვნად ერევა მის

⁸¹¹ Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 374.

⁸¹² იქვე.

⁸¹³ იქვე.

⁸¹⁴ იქვე.

⁸¹⁵ *Office des Cereales de Tunisie v Societe Bec Freres*, Civ 1 January 4, 1995, Cass. 1e civ., Nov; Cass. 1e civ., Feb. 6, 2007, Bull. civ. I (Fr.) 14, 2007, Bull. civ. I (Fr.); *Societe Nationale des Petroles du Congo v Walker International Holdings Ltd and Republique du Congo* No 2002/03185, გამოუქვეყნებელი, ციტირებულია Emmanuel Gaillard and Jennifer Younan (eds), *State Entities in International Arbitration*, IAI Series on International Arbitration No 4 (Juris Publishing 2008) 190.

მართვაში, მიიჩნევა სახელმწიფოს ემანაციად.⁸¹⁶ ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ერთეულის ქონება შეიძლება მიეცეს აღსასრულებლად მოპასუხე-სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას და პირიქით.⁸¹⁷

რაც შეეხება ცენტრალურ ბანკებს, საფრანგეთში უცხოური ცენტრალური ბანკების ან უცხოური ფულად-საკრედიტო უფლებამოსილების განმახორციელებელი დაწესებულებების აქტივები და ქონება, მართული საკუთარი ან სახელმწიფოს სახელით, ზოგადი წესის თანახმად, დაცულია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკი ან დაწესებულება გამოყოფს ასეთ აქტივებს ან ქონებას კერძოსამართლებრივი ხასიათის საქმიანობისათვის.⁸¹⁸

5.3. *Yukos*-ის საქმის საგა და მისი გავლენა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობაზე საფრანგეთსა და ბელგიაში

საფრანგეთამდე ბელგიის პარლამენტმა მიიღო 2015 წლის 23 აგვისტოს აქტი „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“,⁸¹⁹ რომელსაც ფაქტობრივად იმეორებს საფრანგეთის მიერ 2016 წელს მიღებული საპინ II კანონი.⁸²⁰

საფრანგეთისა და ბელგიის მიერ სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირებაში შეტანილი ცვლილებები მიიჩნევა იმ დიპლომატიური კრიზისის შედეგად, რომელიც გამოიწვია ორივე იურისდიქციაში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწყებულმა

⁸¹⁶ Francois-Poncet, Horrigan and Karaman (სქ. 760) 376.

⁸¹⁷ იქვე, 374-77; იხ. ასევე Foster (სქ. 162) 686.

⁸¹⁸ French Monetary and Finance Code, No. 2005-842 of 26 July 2005 Art. 51 Official Journal of 27 July 2005, L 153-1 მუხლი; იხ. ასევე Fleur Malet-Deraedt, 'The New French Legislation on State Immunities from Enforcement' (2018) 36(2) ASA Bulletin 332-350.

⁸¹⁹ Belgian Act of 23 August 2015 on State Immunity, რომლითაც ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 1412*quinquies* მუხლი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ. იხ. Croisant (სქ. 4).

⁸²⁰ იხ. Catharine TiTi (ed), *Public Actors in International Investment Law* in European Yearbook of International Economic Law (Special Issue, Springer Link 2021) 65-73.

ჰააგის მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების სააღსრულებო წარმოებებმა Yukos-ის ყოფილი აქციონერების სასარგებლოდ.⁸²¹

2005 წელს დაწყებული Yukos-ის საგა, როდესაც Yukos-ის ყოფილმა სამმა მსხვილმა აქციონერმა – *Veteran Petroleum Limited (VPL)*, *Yukos Universal Limited (YUL)* და *Hulley Enterprises Limited (Hulley)*, ჰააგის მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ წამოიწყო საარბიტრაჟო წარმოებები რუსეთის მიერ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების დარღვევისთვის, რაც გამოიხატებოდა კომპანია Yukos-ის უკანონო ექსპროპრიაციაში სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების სასარგებლოდ,⁸²² 2014 წლის 18 ივლისს დასრულდა რუსეთისათვის 50 მილიარდიანი ზიანის ანაზღაურების დაკისრებით Yukos-ის ყოფილი აქციონერების სასარგებლოდ.⁸²³

⁸²¹ *Hulley Enterprises Limited (Hulley) v the Russian Federation, Yukos Universal Limited (YUL) v the Russian Federation, Veteran Petroleum Limited (VPL) v the Russian Federation*, (Final Awards) (სქ. 4).

⁸²² Bucki and Flore Poloni (სქ. 4). ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების მე-13 მუხლი კრძალავს ნებისმიერი სახის ექსპროპრიაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპროპრიაცია ხორციელდება სწრაფი, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გადახდის გზით. იხ. Energy Charter Treaty of 17 December 1994, 13 (1)(d) მუხლი. <https://energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/1994_ECT.pdf> [18.10.2020]. Yukos-ის ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ. Paul B. Stephan, 'Taxation and Expropriation - The Destruction of the Yukos Oil Empire' (2013) 35 Houston Journal of International Law 1.

⁸²³ იხ. *Hulley Enterprises Limited (Hulley) v the Russian Federation, Yukos Universal Limited (YUL) v the Russian Federation, Veteran Petroleum Limited (VPL) v the Russian Federation*, (Final Awards) (სქ. 4); იხ. ასევე Bucki and Flore Poloni (სქ. 4);

2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Yukos v The Russian Federation*, რუსეთის ფედერაციას დააკისრა *Yukos*-ის აქციონერებისათვის ზიანის ანაზღაურება 1.8 მილიარდი ევროს ოდენობით. იხ. *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia*, Application No 14902/04 (ECHR, 31 July 2014). თუმცა 2017 წლის 25 იანვარს, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას. იხ. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება <<http://doc.ksrf.ru/decision/KSRFDecision258613.pdf>> [18.10.2020]. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირველი გადაწყვეტილებაა ევროპის ისტორიაში, რომლითაც სასამართლომ აუკრძალა მთავრობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. იხ. Ivan Philippov, 'Russian Constitutional Court denies Enforcement of ECHR Decision on Yukos' (CIS Arbitration Forum, 25 January 2017) <<http://www.cisarbitration.com/2017/01/25/russian-constitutional-court-denies-enforcement-of-echr-decision-on-yukos/>> [19.11.2020].

5.3.1. Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მცდელობები საფრანგეთსა და ბელგიაში

Yukos-ის ყოფილმა აქციონერებმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით რამდენიმე ქვეყანაში, სადაც რუსეთს ჰქონდა აქტივები, წამოიწიეს სააღსრულებო წარმოება, მათ შორის, საფრანგეთსა და ბელგიაში.⁸²⁴

2014 წლის 1 დეკემბერს პარიზის პირველი ინსტანციის სასამართლოს პრეზიდენტის მიერ სააღსრულებო განკარგულების, *exequatur*-ის გაცემით დაიწყო Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სააღსრულებო პროცესი საფრანგეთში.⁸²⁵ Yukos-ის ყოფილი აქციონერები ცდილობდნენ საფრანგეთში არსებული რუსეთის ყველა შესაძლო აქტივების დაყადაღებას.⁸²⁶ თუმცა რუსეთის ფედერაციამ დაუყოვნებლივ გაასაჩივრა ყველა გადაწყვეტილება, რის შედეგადაც, მაგალითად, 2016 წლის 19 იანვარს ევრის პირველი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა ყადაღა იმ თანხებზე, რომელიც ფრანგული კომპანია Ariespace-ს ემართა რუსეთის კოსმოსური სააგენტოს როსკოსმოსისათვის იმ მოტივით, რომ როსკოსმოსი არ იყო სახელმწიფო ერთეული და არ დადასტურდა, რომ იგი მოქმედებდა რუსეთის ფედერაციის სახელით, როდესაც Ariespace-თან დებდა ხელშეკრულებას.⁸²⁷ ასეთივე ბედი ხვდა წილად ყადაღადადებულ თანხას, რომელიც ფრანგულ კომპანია Eutelsat-ს ემართა რუსული სატელიტური კომუნიკაციების კომპანიისათვის, რადგან სასამართლომ აღნიშნული თანხა არ მიიჩნია რუსეთის ფედერაციის ქონებად.⁸²⁸ გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციამ

⁸²⁴ საფრანგეთსა და ბელგიის გარდა, Yukos-ის ყოფილმა აქციონერებმა ასევე წამოიწიეს სააღსრულებო წარმოება გერმანიაში, ინდოეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში. იხ. Knowls, Moyeed and Lamprou (სქ. 4); Bucki and Flore Poloni (სქ. 4).

⁸²⁵ Bucki and Flore Poloni (სქ. 4).

⁸²⁶ Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბენეფიციარების მიერ რუსეთის დაყადაღებული ქონება მოიცავდა პარიზის შუაგულში მდებარე მიწის ნაკვეთს, რომელზეც განთავსებული იყო რუსეთის სპირიტუალურ-კულტურული ცენტრი; საინფორმაციო არხ Euronews-ის რუსეთის საზოგადოებრივი არხის კუთვნილ წილებს; რუსეთისათვის Air France-ის მიერ გადასახდელ თანხებს და ა.შ. იხ. Bucki and Flore Poloni (სქ. 4); Knowls, Moyeed and Lamprou (სქ. 4).

⁸²⁷ Orsolya Toth, 'The New York Convention and Investment Arbitration: Harmony or Tension?' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019) 422-423.

⁸²⁸ Knowls, Moyeed and Lamprou (სქ. 4). აღსრულებისგან იმუნიტეტის მოტივით გაუქმდა ყადაღა რუსეთის სპირიტუალურ-კულტურული ცენტრის მიწის ნაკვეთზე და რუსეთისათვის Air France-ის მიერ

გაასაჩივრა 2014 წელს Yukos-ის ყოფილი აქციონერების მიერ მოპოვებული ექვსი *exequatur*.⁸²⁹

რაც შეეხება ბელგიაში მიმდინარე Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო წარმოებებს, 2015 წლის 24 ივნისს ბრიუსელის პირველი ინსტანციის სასამართლომ ჰააგის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სცნო აღსრულებად.⁸³⁰ ამავე დროს, *Yukos Universal Ltd*-მ, Yukos-ის ერთ-ერთმა ყოფილმა მსხვილმა აქციონერმა, ჰააგის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვა ბელგიაში განთავსებული რუსეთის ფედერაციის აქტივებზე აღსრულების უფლება, რის შედეგადაც ბელგიაში არსებულ რუსეთის გარკვეულ ქონებას ყადაღა დაედო, როგორცაა, რუსეთის კუთვნილი საბანკო ანგარიშები და კერძო საკუთრება.⁸³¹

რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციამ ბელგიაშიც გაასაჩივრა მის აქტივებზე დადებული ყველა ყადაღა. გარდა ამისა, ბელგიასა და საფრანგეთში რუსეთის ფედერაციის აქტივების წინააღმდეგ განხორციელებული სააღსრულებო წარმოებების საპასუხოდ, 2015 წელს ამ უკანასკნელმა მიიღო ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციაში უცხო სახელმწიფოს იურისდიქციული იმუნიტეტებისა და უცხო სახელმწიფოს ქონების შესახებ“,⁸³² რომელიც ძირითადად ეფუძნება გაეროს კონვენციას,⁸³³ მაგრამ ასევე შეიცავს ნაცვალგების პრინციპს.⁸³⁴ კერძოდ, ახალი კანონი

გადასახდელ თანხებზე. იხ. <<https://www.yukoscase.com/court-actions/attempted-asset-seizures/france/>> [20.10.2020]; Tom Jones, 'French Court Lifts Yukos Freezing Order' (*Global Arbitration Review*, 10 February 2017) <<https://globalarbitrationreview.com/article/french-court-lifts-yukos-freezing-order>> [20.10.2020]; Douglas Thomson, 'French Court Unfreezes Russian Assets in Yukos Battle' (*Global Arbitration Review*, 23 November 2016) <<https://globalarbitrationreview.com/article/french-court-unfreezes-russian-assets-in-yukos-battle>> [21.10.2020].

⁸²⁹ იხ. Court of Appeals of Paris, 1st Division, 1st Chamber, 27 June 2017, No 15/11664, No 15/11665, No 15/11.666, No 15/11.667, No RG 15/11.668, No RG 15/11.669 <<https://www.italaw.com/sites/default/files/casedocuments/italaw9025.pdf>> [20.10.2020].

⁸³⁰ Croisant (სქ. 4).

⁸³¹ იქვე; იხ. ასევე <<https://www.yukoscase.com/court-actions/attempted-asset-seizures/belgium/>> [20.10.2020].

⁸³² Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и имущества иностранного государства в Российской Федерации (მიღების თარიღი: 23.10.2015 ძალაში შესვლის თარიღი: 01.01.2016).

<<http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&nd=102381335&%D0%98%D0%9D%D0%A2%D0%95%D0%9B%D0%A1%D0%95%D0%90%D0%A0%D0%A6%D0%A5>> [20.10.20].

⁸³³ რუსეთის ფედერაციამ გაეროს კონვენციას ხელი მოაწერა 2006 წელს, მაგრამ დღემდე არ მოუხდენია მისი რატიფიცირება.

ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სასამართლოს უფლებამოსილებას, შეზღუდოს უცხო სახელმწიფოს იურისდიქციული იმუნიტეტი, თუ სასამართლო დაადგენს, რომ აღნიშნულმა უცხო სახელმწიფომ შეუზღუდა რუსეთის ფედერაციას იურისდიქციული იმუნიტეტი.⁸³⁵

საფრანგეთში რუსეთის ფედერაციის აღნიშნულ კანონს უწოდეს „რეპრესალიის აქტი.“⁸³⁶

შედეგად, დიპლომატიურ ურთიერთობებში შექმნილი დამაბულობის განმუხტვისა და შესაძლო დიპლომატიური კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, საფრანგეთმა მიიღო საპინ II კანონი,⁸³⁷ ხოლო მანამდე ბელგიამ - 2015 წლის 23 აგვისტოს აქტი „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ.“⁸³⁸

5.3.2. ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია

„სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ ბელგიის 2015 წლის 23 აგვისტოს აქტის თანახმად, ბელგიაში არსებული უცხო სახელმწიფოს აქტივები დაცულია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით და არ ექვემდებარება კრედიტორების მხრიდან სააღსრულებო წარმოებას.⁸³⁹ თუმცა, აღნიშნული აქტი ზოგადი წესიდან ადგენს გამონაკლისს შემთხვევებს. კერძოდ, აღსრულების მსურველმა კრედიტორმა უნდა მოიპოვოს მოსამართლისგან წინასწარი ავტორიზაცია, რომელსაც მოსამართლე გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: 1) უცხო სახელმწიფომ „პირდაპირ“ და

⁸³⁴ იხ. უფრო ვრცლად Peter Roudik, 'Laws Lifting Sovereign Immunity: Russia' (June, 2016) <https://www.loc.gov/law/help/sovereign-immunity/russia.php#_ftn21>[20.10.20].

⁸³⁵ Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и имущества иностранного государства в Российской Федерации, 4(1) მუხლი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არის პასუხისმგებელი უცხო ქვეყნებში რუსეთის ფედერაციის იურისდიქციული იმუნიტეტის მდგომარეობის შესახებ სასამართლოსათვის რეკომენდაციების გაწევაზე. იხ. Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и имущества иностранного государства в Российской Федерации, 4(2) მუხლი.

⁸³⁶ Malet-Deraedt (სქ. 818) 333.

⁸³⁷ იქვე.

⁸³⁸ Croisant (სქ. 4).

⁸³⁹ ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1412*quinquies* (paragraph 1), იხ. ვრცლად Piet Taelman, Claudia van Severen, *Civil Procedure in Belgium* (2nd edn, Kluwer Law International 2021).

„კონკრეტულად“ განაცხადა თანხმობა ასეთი აქტივების აღსასრულებლად მიქცევაზე, 2) უცხო სახელმწიფომ კონკრეტულად გამოყო ასეთი აქტივები იმ სასარჩელო მოთხოვნის აღსასრულებლად, რომელიც საფუძვლად დაედო ყადაღას, 3) აქტივები განთავსებულია ბელგიაში და გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად ეკონომიკური ან კომერციული საქმიანობისთვის და კავშირშია იმ ერთეულთან, რომლის წინააღმდეგაც კრედიტორი ითხოვს აღსრულებას.⁸⁴⁰

აღნიშნული კანონი *Yukos Universal Limited-მა (YUL)* და *NML Capital Limited-მა (NML)*⁸⁴¹ გაასაჩივრა ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოში იმ მოტივით, რომ ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1412*quinquies* მუხლი დისკრიმინაციული და არაპროპორციული იყო და არღვევდა თანასწორობის პრინციპს,⁸⁴² რადგან იგი უკრძალავდა უცხო სახელმწიფოს კრედიტორებს, მოეთხოვათ ბელგიაში ამ სახელმწიფოს აქტივების დაყადაღება მაშინ, როცა ასეთი აკრძალვა არ არსებობდა ნებისმიერი სხვა პირის თუ ერთეულის კრედიტორების მიმართ.⁸⁴³

პასუხად, ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არადისკრიმინაციულობისა და თანასწორობის პრინციპი არ გამორიცხავდა განსხვავებულ მოპყრობას იმდენად, რამდენადაც ასეთი განსხვავებული მიდგომა გამომდინარეობდა ობიექტური კრიტერიუმიდან და იყო კანონიერი და პროპორციული.⁸⁴⁴ შესაბამისად, 1412*quinquies* მუხლი არ იყო დისკრიმინაციული და არ არღვევდა თანასწორობის პრინციპს, რადგან იგი ეფუძნებოდა: 1) ობიექტურ კრიტერიუმს (მოვალის ბუნებას, - იგი არის უცხო სახელმწიფო), 2) კანონიერებას, რაც გამოიხატება მუხლის მიზანში, დაიცვას საერთაშორისო თავაზიანობა, უზრუნველყოს

⁸⁴⁰ ბელგიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1412*quinquies* მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁴¹ ამერიკული ჰეჯ ფონდი, რომელიც ფლობს არგენტინის წინააღმდეგ სავალო ფასიან ქაღალდებს. იხ. 'Constitutional Court Rules on State Immunity from Execution' (3 May 2017) <<https://www.vbb.com/insights/corporate-commercial/corporate-commercial/constitutional-court-rules-on-state-immunity-from-execution>> [15.04.2021].

⁸⁴² რაც ბელგიის კონსტიტუციის მე-10 და მე-11 მუხლებით იყო დაცული. იხ. 'Constitutional Court Rules on State Immunity from Execution' (სქ. 841).

⁸⁴³ იქვე.

⁸⁴⁴ იქვე; იხ. ასევე 'Decision of the Belgian Constitutional Court on the Ability of Creditors to Seize the Assets of the Foreign State' (თარგმანი გერმანულად) (27 April 2017) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8802.pdf>> [20.05.2021]. ფრანგული ორიგინალი ტექსტი იხ. <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8801.pdf>> [20.05.2021].

ბელგიასა და სხვა უცხო სახელმწიფოებს შორის კარგი ურთიერთობა და დიპლომატიური ინციდენტების თავიდან აცილება, და 3) პროპორციულობას, რაც გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკიდან, გაეროს კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით შეზღუდვების დაწესების საშუალებას იძლევიან.⁸⁴⁵

თუმცა, ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლო არ დაეთანხმა მუხლის ჩანაწერს, რომელიც მოითხოვდა რომ აღსრულებაზე თანხმობა უნდა იყოს „პირდაპირი“ და „კონკრეტული.“ სასამართლოს აზრით, სიტყვა „კონკრეტული“ პრობლემატური იყო, რადგან ასეთი სიტყვა არ გვხდება არც გაეროს კონვენციაში და არც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გამოუყენებია იგი ამ კონტექსტში.⁸⁴⁶

საბოლოო ჯამში, ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1412*quinquies* მუხლს, თუმცა, მასში სიტყვა „კონკრეტული“ ძალადაკარგულად გამოაცხადა. შედეგად, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესაძლებლობა ბელგიაში შემცირდა.⁸⁴⁷

5.3.3. *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება და მისი შედეგები

2016 წლის 20 აპრილს ჰააგის საოლქო სასამართლომ რუსეთის ფედერაციის სარჩელის საფუძველზე ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილება გააუქმა იმ მოტივით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ აკმაყოფილებდა ნამდვილობის პირობებს.⁸⁴⁸ ჰააგის საოლქო სასამართლომ დაადგინა,

⁸⁴⁵ 'Constitutional Court Rules on State Immunity from Execution' (სქ. 841).

⁸⁴⁶ იქვე.

⁸⁴⁷ იქვე; იხ. ასევე TiTi (სქ. 820) 70, 71.

⁸⁴⁸ *The Russian Federation v Veteran Petroleum Limited (VPL)*, *The Russian Federation v Yukos Universal Limited (YUL)*, *The Russian Federation v Hulley Enterprises Limited (Hulley)*, The Hague District Court, Case Number: C/09/477160 / HA ZA 15-1, C/09/477162 / HA ZA 15-2 and C/09/481619 / HA ZA 15-112, 20 April 2016 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7258.pdf>> [21.10.2020].

რომ საარბიტრაჟო სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა *Yukos*-ის საარბიტრაჟო დავა ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების საფუძველზე, რადგან რუსეთის ფედერაციას დღემდე არ მოუხდენია 1994 წლის 17 დეკემბერს ხელმოწერილი ქარტიის რატიფიცირება, ხოლო ქარტიის წინასწარი გამოყენება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შიდა კანონმდებლობას.⁸⁴⁹

ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების 26-ე მუხლის თანახმად, ქარტიიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო არბიტრაჟში.⁸⁵⁰ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების 45 (1) მუხლის მიხედვით კი, ქარტიის დებულებები წინასწარ ვრცელდება ხელმომწერ მხარეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ხელმომწერი მხარის შიდა კანონმდებლობას.⁸⁵¹

ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა რა, რომ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების 26-ე მუხლი შესაბამისობაში იყო რუსეთის შიდა კანონმდებლობასთან და ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში რუსეთის მიერ მხოლოდ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების ხელმოწერა საკმარის საფუძველს ქმნიდა საერთაშორისო არბიტრაჟზე რუსეთის თანხმობის ფაქტის დასადგენად, ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების საფუძველზე განიხილა საარბიტრაჟო დავა.⁸⁵²

ჰააგის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა საარბიტრაჟო სასამართლოს მოსაზრებები და განაცხადა, რომ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების 26-ე

⁸⁴⁹ *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague District Court, April 2016 (ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7258.pdf>> [21.10.2020].

⁸⁵⁰ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულება, 26-ე მუხლი.

⁸⁵¹ იქვე, 45(1) მუხლი.

⁸⁵² *Hulley Enterprises Limited (Hulley) v the Russian Federation, Yukos Universal Limited (YUL) v the Russian Federation, Veteran Petroleum Limited (VPL) v the Russian Federation*, (Final Awards) (სქ. 4); იხ. ასევე Matthieu Grégoire, 'The Yukos Saga Continues: The Bold Decision of the Dutch Court to Set Aside the US\$50 Billion Yukos Award' (Henderson Chambers, 21 April 2016) 5-7 <<https://3yf6pp3bqg8c3rycgf1gbn9w-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/2017/11/Alerter-from-Matthieu-Gregoire-Yukos-Saga-Continues-April-21-2016.pdf>> [21.10.2020]. 2009 წლის 30 ნოემბერს ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლომ გამოიტანა შუალედური გადაწყვეტილება იურისდიქციასა და დასაშვებობაზე სამივე ყოფილი აქციონერის სასარგებლოდ. იხ. *Yukos Universal Limited (YUL) v The Russian Federation* PCA Case No. AA 227, 30.11.2009 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0910.pdf>> [21.10.2020].

მუხლი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ადგილობრივ კანონმდებლობას.⁸⁵³ ამასთან, რუსეთის კონსტიტუცია კრძალავდა რატიფიკაციის გარეშე მხოლოდ ხელმოწერილი იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების წინასწარ სავალდებულოდ აღიარებას, რომლებიც ავსებდნენ ადგილობრივ კანონმდებლობას ან მისგან განსხვავებულ წესებს ადგენდნენ. შესაბამისად, ჰააგის საოლქო სასამართლომ გააუქმა *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.⁸⁵⁴

ჰააგის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაიზიარა ჰააგის სააპელაციო სასამართლომაც, სადაც *Yukos*-ის ყოფილმა აქციონერებმა გაასაჩივრეს *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.⁸⁵⁵

Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებამ სააღსრულებო წარმოების შეჩერება გამოიწვია უმეტეს იურისდიქციებში, მათ შორის, ბელგიაშიც.⁸⁵⁶ კერძოდ, ბრიუსელის პირველი ინსტანციის სასამართლომ 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებებით გააუქმა ბელგიაში რუსეთის აქტივებზე დადებული ყადაღა იმ მოტივით, რომ ბელგიის სასამართლო ვალდებულია ცნოს ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ორმხრივი ცნობის შესახებ ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფოებს შორის დადებული 1925 წლის კონვენციის თანახმად.⁸⁵⁷ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე *exequatur*-ის გაცემაზე

⁸⁵³ ჰააგის საოლქო სასამართლომ ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების 26-ე მუხლი შეუსაბამოდ გამოაცხადა უცხოური ინვესტიციების შესახებ რუსეთის 1991 წლის კანონის მე-9 მუხლსა და ინვესტიციების შესახებ რუსეთის 1999 წლის კანონის მე-10 მუხლთან. იხ. ვრცლად Final Awards (სქ. 4) §§ 5.43-5.58.

⁸⁵⁴ Final Awards (სქ. 4) § 5.84.

⁸⁵⁵ *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague Court of Appeal, Case N: 200.197 079/01, 18 February 2018 (არაოფიციალური თარგმანი ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11337.pdf>> [21.10.2021]. იხ. ასევე Jurjen de Korte and Geert Wilts, 'Court allows Russia's unclean hands argument against former Yukos shareholders (Court of Appeal in The Hague)' 3 October 2018 <https://www.vosdk.nl/assets/files/assets/uploads/Court_allows_Russias_unclean_hands_argument_against_former_Yukos_shareholders_1.pdf> [21.10.2020].

⁸⁵⁶ Croisant (სქ. 4).

⁸⁵⁷ Convention between the Kingdom of the Netherlands and the Kingdom of Belgium concerning Territorial Jurisdiction, Bankruptcy and the Authority and Execution of Judgements, Arbitral Awards, and Notarial Acts (მიღების თარიღი: 28.03.1925, ძალაში შესვლის თარიღი: 01.09.1929), <<https://treatydatabase.overheid.nl/en/Treaty/Details/004137.html>> [21.10.2020]. იხ ასევე Croisant (სქ. 4).

Yukos-ის ყოფილ აქციონერს უარი უთხრა ასევე ბრიუსელის სააპელაციო სასამართლომ და შესაბამისად, 2015 წლის 24 ივნისის *exequatur*-ის გაუქმებაც ძალაში დატოვა.⁸⁵⁸

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მუხლი 5(e)-ს თანახმად, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას *შეიძლება უარი ეთქვას* იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც იგი არის მიმართული“ თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდება იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.⁸⁵⁹ ნიშანდობლივია, რომ ფორმულირება „*შეიძლება უარი ეთქვას*“, ინგლისური ტექსტის გარდა, ასევე გვხვდება ნიუ-იორკის კონვენციის ოფიციალურ რუსულ, ესპანურ და ჩინურ ტექსტებში. მხოლოდ ფრანგული ტექსტი ადგენს, რომ ცნობა-აღსრულებაზე „*უარი უნდა ეთქვას*“ – *seront refuses*.⁸⁶⁰

სიტყვა „*შეიძლება*“ დისკრეციულობის გამომხატველია და არ გულისხმობს სავალდებულოდ შესასრულებელს. შესაბამისად, ნიუ-იორკის კონვენცია ადგილობრივ სასამართლოებს უტოვებს დისკრეციულ უფლებამოსილებას თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ, იმოქმედებს თუ არა არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მათ ქვეყანაში მის ცნობასა და აღსრულებაზე.⁸⁶¹

ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის მიდგომა. კერძოდ, საფრანგეთის სააკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის მიზმიული არცერთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე და შესაბამისად, ადგენს, რომ არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება არ ახდენს გავლენას საფრანგეთში მის აღსრულებაზე, თუ სახეზე არ არის საფრანგეთის

⁸⁵⁸ *Yukos Universal Limited v The Russian Federation*, Cour D'appel Bruxells, Order of February 20, 2018, 2016/AR/2095 joint avec 2017/AR/242, 7 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9630.pdf>> [21.10.2020].

⁸⁵⁹ ნიუ-იორკის კონვენცია, 5 (e) მუხლი.

⁸⁶⁰ Paulson (სქ. 38) 157-216, 158. იხ. ასევე „ICCA სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობა მოსამართლეებისთვის“ (რუსუდან ჭკუასელი და სხვები (მთარგნელები), სოფიო ტყემალაძე (რედ), კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, (2013) 113. <https://www.arbitration-icca.org/media/2/13717346017380/georgian_translation_judges_guide_website_with_cover_20june.pdf> [21.10.2020].

⁸⁶¹ Paulson (სქ. 38) 157-216, 158.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1520-ე მუხლით დადგენილი გაუქმების საფუძვლები.⁸⁶²

შედეგად, *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია ფრანგ მოსამართლეებზე რუსეთის აქტივებზე აღსრულების საკითხის განხილვისას.⁸⁶³ თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 27 ივნისს პარიზის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ სამივე გადაწყვეტილებაში მითითება გაკეთდა ჰააგის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის გარეშე, ფრანგმა მოსამართლეებმა მხედველობაში მიიღეს არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტი, რადგან მათ არჩიეს სადავო საკითხი წარედგინათ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის თავიდან აცილების მიზნით.⁸⁶⁴

საბოლოო ჯამში, *Yukos*-ის ყოფილმა აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება, უარი ეთქვათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე საფრანგეთსა და ბელგიაში და მთელი ძალები მიემართათ ჰააგის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.⁸⁶⁵ *Yukos*-ის ყოფილი აქციონერების გადაწყვეტილება განაპირობა, ერთი მხრივ, ჰააგის საოლქო სასამართლოს მიერ *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებამ და მეორე მხრივ, საფრანგეთსა და ბელგიაში

⁸⁶² Court of Cassation, 1st Civil Division, 23 March 1994, No 92-15.137, *OTV c/ Hilmarton case*; Court of Cassation, 1st Civil Division, 29 June 2007, No 05-18.053, *Putrabali case*, ციტირებულია Bucki and Flore Poloni (სქ. 4). იხ. ასევე Michael McIlwrath and John Savage, *International Arbitration and Mediation: A Practical Guide* (Kluwer Law International 2010) 347-348.

⁸⁶³ Bucki and Flore Poloni (სქ. 4).

⁸⁶⁴ პარიზის სააპელაციო სასამართლომ ურჩია მხარეებს ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულების დებულებების განმარტების თაობაზე მიემართათ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსათვის. იხ. Bucki and Flore Poloni (სქ. 4).

⁸⁶⁵ *Yukos*-ის ყოფილმა აქციონერებმა ასევე უარი თქვეს სააღსრულებო წარმოებაზე გერმანიასა და ინდოეთში. იხ. Bucki and Flore Poloni (სქ. 4); იხ. ასევე ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებები <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9630.pdf>> [21.10.2021] და <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9631_0.pdf> [21.10.2021]. 'Former Yukos majority shareholders focus on The Hague to secure justice after illegal expropriation by Russian Federation' statement of 10 October 2017 by GML (the holding company of the former majority shareholders) <<http://www.gmlimited.com/content/media/pressrelease/item-59dc9ece695fa/file/file.pdf>> [21.10.2021]; Press Release from Russian Federation's International Center for Legal Protection of 20 March 2018 <<https://www.yukoscase.com/wp-content/uploads/2018/03/20180320-Brussels-Court-of-Appeal-puts-an-end-to-YUL%E2%80%99s-attempts-to-enforce-the-YUL-Awards-in-Belgium.pdf>> [21.10.2021].

განხორციელებულმა საკანონმდებლო სიახლეებმა, რამაც უფრო მეტად გაართულა ამ ქვეყნებში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება და რუსეთის აქტივებზე აღსრულება Yukos-ის ყოფილი აქციონერებისათვის ეკონომიკურად არაეფექტიანი გახდა.⁸⁶⁶

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 18 თებერვალს ჰააგის სააპელაციო სასამართლომ Yukos-ის ყოფილი აქციონერების მიერ გასაჩივრებული ჰააგის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა აპელანტების სასარგებლოდ.⁸⁶⁷ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციამ გაასაჩივრა ნიდერლანდების უზენაეს სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო წარმოებისას Yukos-ის ყოფილი აქციონერების მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითობას.⁸⁶⁸ ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული არგუმენტი რუსეთის ფედერაციამ პირველად წარადგინა სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, რაზეც სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოცემული საქმისწარმოება არ ითვალისწინებდა აღნიშნული საკითხის განხილვას ნიდერლანდების საპროცესო ნორმების თანახმად.⁸⁶⁹ 2021 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა და მიიჩნია რა, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა რუსეთის ფედერაციის მიერ დასმული საკითხი საარბიტრაჟო წარმოებისას Yukos-ის აქციონერების მიერ თაღლითური ქმედებების თაობაზე, დააბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოში „შემდგომი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.“⁸⁷⁰ მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს მითითება „შემდგომი განხილვის“ თაობაზე შეეხება მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მიერ წამოყენებული საარბიტრაჟო

⁸⁶⁶ იქვე.

⁸⁶⁷ *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague Court of Appeal (სქ. 855).

⁸⁶⁸ იქვე, §§ 41, 42 [16-18].

⁸⁶⁹ იქვე; §9.7.2 [123]; იხ. ასევე *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, Court of Appeal in Hague, Case N: 200.197 079/01, 25 September 2018 (თარგმანი ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw10081.pdf>> [21.10.2021].

⁸⁷⁰ *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague Court of Appeal (სქ. 866) §§ 44 [18].

გადაწყვეტილების გაუქმების ახალ საფუძველს თაღლითურ ქმედებასთან დაკავშირებით.⁸⁷¹ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რუსეთის ფედერაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნის ყველა სხვა საფუძველთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გახდა საბოლოო და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.⁸⁷²

ზემოხსენებული მოვლენების კვალდაკვალ საინტერესოდ წარიმართა 2014 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესი ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად აშშ-ში. კერძოდ, 2014 წელს Yukos-ის ყოფილმა აქციონერებმა კოლუმბიის ფედერალურ რაიონულ სასამართლოში წამოიწიეს 2014 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესი. თუმცა, აღნიშნული პროცესი ნიდერლანდების სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების საკითხის განხილვის გამო კოლუმბიის ფედერალურ რაიონულ სასამართლოში რვა წლის განმავლობაში შეჩერებული იყო, თავდაპირველად აქციონერების, შემდეგ ორივე მხარის ერთობლივი შუამდგომლობებისა, დაბოლოს, რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობის საფუძველზე.⁸⁷³ 2021 წელს ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ ისევ მიმართა კოლუმბიის ფედერალურ რაიონულ სასამართლოს აღნიშნული პროცესის შეჩერების შუამდგომლობით იმ არგუმენტით, რომ ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე ჰააგის სააპელაციო სასამართლოს გადაეცა ხელახლა განსახილველად Yukos-ის აქციონერების მიერ საარბიტრაჟო წარმოებისას თაღლითური ქმედებების საფუძველით. შესაბამისად, რუსეთის

⁸⁷¹ იქვე.

⁸⁷² იქვე, შუად. Seventh Declaration of Professor Albert Jan Van den Berg of December 10, 2021 <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw16582_1.pdf> [18.01.2022].

⁸⁷³ კოლუმბიის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ 2020 წლის 20 ნოემბერს ძალაში დატოვა 2014 წლის განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აშშ-ში ცნობისა და აღსრულების საქმის შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე საკასაციო საჩივარი განხილვის პროცესში იყო და ჰააგის უზენაეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა გამოტანილი. იხ. *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation*, US District Court of Columbia Order of November 20, 2020 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11918.pdf>> [25.01.2021]; *Hulley Enterprises Ltd, et al., v The Russian Federation*, US District Court of Columbia, Memorandum of Opinion of November 20, 2020 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11917.pdf>> [25.01.2021].

ფედერაციის მოსაზრებით, კოლუმბიის ფედერალური რაიონული სასამართლო უნდა დალოდებოდა ჰააგის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან თუ დადასტურდებოდა თაღლითობის ფაქტი, მაშინ აღარც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები იარსებებდა და შესაბამისად, მათი აღსრულების პროცესიც იქნებოდა აზრს მოკლებული.⁸⁷⁴ კოლუმბიის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის ფედერაციის არგუმენტები და არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა.

სასამართლოს მოსაზრებით, უცხოური სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვას არ ჰქონდა კავშირი აშშ-ის სასამართლოს იურისდიქციის შეფასებასთან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამტკიცების მოთხოვნისას.⁸⁷⁵ ამასთან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერებისა და აღსრულებადობის გამოკვლევა მიეკუთვნება საქმის არსებითად განხილვის ეტაპს და არა რაიონული სასამართლოს მიერ იურისდიქციული საკითხის გამოკვლევას.⁸⁷⁶ შესაბამისად, რაიონული სასამართლოს იურისდიქციის შეფასების ეტაპზე მნიშვნელობა არ აქვს უცხოური სასამართლო გააუქმებს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.⁸⁷⁷

მეორე მხრივ, კოლუმბიის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა Yukos-ის ყოფილი აქციონერების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინაში დაწყებული ომის საპასუხოდ რუსეთის ფედერაციისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების პირობებში, საქმის განხილვის უკვე მერამდენედ შეჩერება საფრთხის ქვეშ დააყენებდა აშშ-ში რუსეთის ფედერაციის აქტივებზე სააღსრულებო წარმოებას ყოფილი აქციონერების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.⁸⁷⁸

შედეგად, კოლუმბიის ფედერალურმა რაიონულმა სასამართლომ განაახლა 2014 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აშშ-ში დამტკიცების პროცესი, რაც უთუოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მხარდამჭერ გადაწყვეტილებად

⁸⁷⁴ *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation*, (Civ 14-1996 (BAH) DCC) Momerandum of Opinion of April 13, 2022, 16 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw16557.pdf>> [06.02.2021].

⁸⁷⁵ იქვე.

⁸⁷⁶ *Process & Indus Dev (P&ID) v Fed Republic of Nigeria* 27 F4th 776 (DC Cir 2022).

⁸⁷⁷ *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation*, (Civ 14-1996 (BAH) DCC) Momerandum of Opinion of April 13, 2022 (სქ. 877) 17.

⁸⁷⁸ იქვე, 19-20.

შეიძლება იქნას მიჩნეული და ამავე დროს, წინადადებულ ნაბიჯად *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მრავალწლიანი პროცესში.

Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გარშემო მიმდინარე მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რა რთულია უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება. საფრანგეთისა და ბელგიის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ დიპლომატიური თავაზიანობის დაცვისა და სახელმწიფოთა შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფოთა კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო მეტად იხრება აღსრულების მხარდამჭერი განწყობის წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში, შესაძლოა საერთოდ აზრს უკარგავდეს სააღსრულებო წარმოებების დაწყებას, რადგან ეს პროცესები ეკონომიკურად არაეფექტიანი ხდება და მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება მოპასუხე სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერი ან/და არაჯეროვანი ქმედების შედეგად ისედაც უკვე დაზარალებულ კრედიტორს.⁸⁷⁹ თუმცა აშშ-ში კოლუმბიის ფედერალური რაიონული სასამართლოს ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებამ *Yukos*-ის ყოფილი აქციონერების სასარგებლოდ გამოტანილი 2014 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დამტკიცების საქმისწარმოების განახლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის სააპელაციო სასამართლოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს აღნიშნული გადაწყვეტილებების გარშემო საქმისწარმოება, მნიშვნელოვან სასიკეთო ფაქტად უნდა იქნას მიჩნეული.

6. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ განხილულ სახელმწიფოებში შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ძირითადად ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე და დამოუკიდებელი

⁸⁷⁹ Sheila AS Gunther and Samuel P Gunther, 'The Russian Spin on the Yukos Decision' <http://www.samuelgunther.com/images/1Dispute_Resolution_Journal_Vol_70_No_1.pdf> [21.10.2021]; იხ. ასევე Marine de Bailleul, 'The Three hottest Energy Arbitrations of 2017' (*Kluwer Arbitration Blog*, 4 January 2017) <<http://arbitrationblog.kluwarbitration.com.ezproxy.library.qmul.ac.uk/2018/01/04/three-hottest-energy-arbitrations-2017/>> [21.10.2021].

სამართლებრივი აქტით არ არის რეგულირებული სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას სახელმწიფო იმუნიტეტი იურისდიქციისგან და სახელმწიფო იმუნიტეტი აღსრულებისგან განსხვავებულად რეგულირდება. საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, როგორც წესი, მიიჩნევა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად, მაგრამ ეს უკანასკნელი არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმასაც. განსხვავებული მდგომარეობაა შვეიცარიაში, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტის ერთიან კონცეფციას აღიარებს და იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ისევე, როგორც სახელმწიფო იმუნიტეტზე აღსრულებისგან, ავრცელებს რეგულირების ერთიან რეჟიმს.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა საფრანგეთსა და ბელგიაში სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც მიმდინარეობდა Yukos-ის ყოფილი მსხვილი აქციონერების სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესის კვალდაკვალ, ცხადყოფს რამდენად რთული შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი ისევე, როგორც ნიდერლანდების სასამართლოში თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე საქმისწარმოება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ამ პროცესებზე დაკვირვება კიდევ უფრო მეტ საინტერესო ფაქტორებს გამოკვეთს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კუთხით. უდავოდ სასიკეთო ფაქტორად შეიძლება იქნას მიჩნეული აშშ-ში კოლუმბიის ფედერალური რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება Yukos-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დამტკიცების პროცესის განახლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით საქმე ისევ დაუბრუნდა ჰააგის სააპელაციო სასამართლოს.

V. გაეროს კონვენცია

1. შესავალი

სახელმწიფო იმუნიტეტის საერთაშორისო დოქტრინის მიმართ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული პრაქტიკის აღმოფხვრის ერთ-ერთი გზა სამართლებრივად მბოჭავი წესების შემუშავება და კოდიფიკაციაა, რომელიც ინკორპორირებული იქნება ადგილობრივ კანონმდებლობაში ან პირდაპირ გამოიყენება ადგილობრივი სასამართლოების მიერ, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობა.⁸⁸⁰ გაეროს კონვენცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ არ არის ძალაში შესული, სწორედ ასეთი მცდელობის მაგალითია და მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ საერთაშორისო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისას ეყრდნობიან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებს.⁸⁸¹

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გაეროს კონვენცია, მისი შესაბამისი რაოდენობის რატიფიცირებისა და ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება გავრცელდეს ყველა სახელმწიფოზე, მიუხედავად იმისა, იგი გაეროს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოა თუ არა.⁸⁸² თუმცა, 1991 წლის საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული მუხლების პროექტის კომენტარების (შემდგომ - საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარები) თანახმად, კონვენციის მოქმედება მაინც შემოიფარგლება მონაწილე სახელმწიფოებით.⁸⁸³

გაეროს კონვენციაც, მისდევს რა უნივერსალურ პრაქტიკას სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების კუთხით, მოწესრიგების განსხვავებულ რეჟიმს ადგენს

⁸⁸⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 287.

⁸⁸¹ იქვე, 293-295; იხ. ასევე 59th Session GA, Sixth Legal Committee: Summary of work (4 March 2005) 7 <<https://www.un.org/law/cod/sixth/59/docs.htm>> [24.10.21].

⁸⁸² Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 312; გაეროს კონვენცია, მე-5 მუხლი; იხ. ასევე *Oleykinov v Russia* (2013) 36703/04, § 66. შეად. ევროპულ კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც იყენებს ტერმინს - „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ მაშინ, როცა გაეროს კონვენციის მე-5 მუხლი იყენებს ტერმინს - „სხვა სახელმწიფო.“

⁸⁸³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 312.

იურისდიქციისგან და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით.⁸⁸⁴ წინამდებარე თავში განხილულია აღნიშნული რეგულაციები და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა.

2. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

FSIA-სა და SIA-ს მსგავსად, გაეროს კონვენციაც განსაზღვრავს იურისდიქციისგან იმუნიტეტის ზოგად წესს⁸⁸⁵ და შემდეგ ჩამოთვლის ამ ზოგადი წესიდან კონკრეტულ გამონაკლისებსა და შეზღუდვებს.⁸⁸⁶

უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით გაეროს კონვენცია ადგენს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის, კომერციულ გარიგებასთან დაკავშირებულ და საარბიტრაჟო გამონაკლისებს.

2.1. იმუნიტეტზე უარის თქმა (თანხმობა იურისდიქციაზე)

გაეროს კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით რომელიმე საქმესთან ან საკითხთან დაკავშირებით, რომელთა მიმართებითაც იგი პირდაპირ თანხმობას განაცხადებს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.⁸⁸⁷ პირდაპირი თანხმობა შეიძლება გამოხატული იყოს: ა) საერთაშორისო შეთანხმებით, ბ) წერილობითი ხელშეკრულებით ან გ) სასამართლოს

⁸⁸⁴ კონვენციის მესამე ნაწილი ეთმობა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირებას, ხოლო მეოთხე ნაწილი – აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტს.

⁸⁸⁵ გაეროს კონვენცია, მე-5 მუხლი; იხ. ასევე Robert K Reed, 'A Comparative Analysis of the British State Immunity Act 1978' (1979) 3(1) Boston College International and Comparative Law Review 175 <<http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1600&context=iclr>> [23.06.2020].

⁸⁸⁶ გაეროს კონვენცია, 10-17 მუხლები.

⁸⁸⁷ იქვე, 7(1) მუხლი.

წინაშე ზეპირი განცხადების გაკეთებით ან სასამართლოსთან წერილობითი კომუნიკაციით კონკრეტული საქმისწარმოების ფარგლებში.⁸⁸⁸ აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც FSIA-სა და SIA-ს შემთხვევაში, გაეროს კონვენციაც ხელშეკრულების მოქმედ სამართლად სხვა სახელმწიფოს სამართალზე შეთანხმებას არ მიიჩნევს სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებაზე თანხმობად.⁸⁸⁹

გაეროს კონვენციის მე-7 მუხლის განმარტებისას საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარებში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებით თუ წერილობითი ხელშეკრულებით ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სასამართლო, რომლის იურისდიქციაზეც მოპასუხე სახელმწიფო აცხადებს თანხმობას და ასევე - დავის საგანი და საქმისწარმოება, რომელთან დაკავშირებითაც ცხადდება თანხმობა.⁸⁹⁰ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო შეთანხმება შეიცავს მხოლოდ სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის ზოგად ნორმას, ზემოხსენებული კონკრეტული მონაცემების გარეშე გაეროს კონვენციის მე-7 მუხლი ვერ გახდება სხვა სახელმწიფოს სასამართლოსათვის მოპასუხე სახელმწიფოსათვის იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საფუძველი.⁸⁹¹ საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარების თანახმად, გაეროს კონვენციის მე-7 მუხლი არის დისკრეციული ხასიათის და არ ავალდებულებს სასამართლოებს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე სახელმწიფოთა თანხმობა, გამოხატული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან კერძო პირთან დადებული ხელშეკრულების დებულებით, მიიჩნიონ იმუნიტეტზე უარის თქმად.⁸⁹² აღნიშნულს საფუძველად უდევს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, რომელიც აღიარებს სასამართლოს მიერ იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოს მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სახელმწიფო პირდაპირ თანხმობას განაცხადებს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე კონკრეტული მოთხოვნების დაცვით, თუმცა, სასამართლო უფლებამოსილია, იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ და

⁸⁸⁸ იქვე.

⁸⁸⁹ იქვე, 7(2) მუხლი, შეად. SIA-ს 2(2)მუხლსა და FSIA-ს 1605 (a)(1) მუხლს.

⁸⁹⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 384.

⁸⁹¹ იქვე.

⁸⁹² ILC Draft Articles (სქ. 116) § 11, 27-28.

უფრო მკაცრი მოთხოვნები წაუყენოს სახელმწიფოებს პირდაპირ თანხმობასთან დაკავშირებით.⁸⁹³

ასევე ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოს თანხმობა, რომ დავა განიხილოს კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლომ, შესაძლოა განიმარტოს, როგორც ამ კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას სხვა სახელმწიფოების სასამართლოების წინაშე.⁸⁹⁴ მსგავსად ამისა, დავის წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერი სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე ზოგადი თანხმობა არ მიიჩნევა ყველა შემთხვევაში სახელმწიფო იმუნიტეტზე ზოგად უარის თქმად.⁸⁹⁵ იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნდოვანია იმუნიტეტზე ზოგადი უარის თქმის მოქმედების ფარგლები, მიზანშეწონილია, სხვა მითითებების არაარსებობისას, დებულება განიმარტოს იმ იურისდიქციის სასარგებლოდ, რომელთანაც არსებობს ტერიტორიული კავშირი.⁸⁹⁶

გაეროს კონვენცია წევრი სახელმწიფოს იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის შესაძლებლობასაც აძლევს.⁸⁹⁷ კერძოდ, გაეროს კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ვერ ისარგებლებს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე სხვა სახელმწიფოს სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოებაში, როდესაც: ა) მან თვითონ წამოიწყო საქმისწარმოება, ან ბ) მიიღო საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა, ან სხვაგვარი ქმედება განახორციელა საქმის არსთან დაკავშირებით.⁸⁹⁸ თუმცა, თუ სახელმწიფო დაამტკიცებს, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას სცოდნოდა იმ გარემოებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მას შეეძლო იმუნიტეტით დაცვაზე შუამდგომლობა მანამ, სანამ ზემოხსენებულ ქმედებებს განახორციელებდა, სახელმწიფოს უნარჩუნდება უფლება აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით მოითხოვოს სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვა და მან ეს უნდა გააკეთოს შესაძლო

⁸⁹³ იქვე.

⁸⁹⁴ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 389.

⁸⁹⁵ იქვე.

⁸⁹⁶ იქვე.

⁸⁹⁷ იქვე, 385.

⁸⁹⁸ გაეროს კონვენცია, 8(1) მუხლი.

უახლოეს პერიოდში.⁸⁹⁹ გაეროს კონვენცია სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობად არ მიიჩნევს ასევე სახელმწიფოს მიერ სასამართლო საქმისწარმოებაში ჩაბმას ან სხვა ზომების მიღებას ამ კუთხით, რომლის მიზანია სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის მოთხოვნა, ან უფლების ან ინტერესის დაცვა იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს მოცემულ საქმისწარმოებაში.⁹⁰⁰ სახელმწიფოს წარმომადგენლის მოწმის სახით სასამართლოში გამოცხადებაც არ გულისხმობს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობას⁹⁰¹ ისევე, როგორც სახელმწიფოს გამოუცხადებლობა სასამართლოში.⁹⁰²

შესაბამისად, სახელმწიფოს თანხმობა სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებაზე, იქნება ეს გაეროს კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წერილობით გამოხატული თუ მე-8 მუხლით დადგენილი ქმედებით განხორციელებული, უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს თავისუფალ ნებას, სურვილსა და მზაობას მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფოს სასამართლოს საქმისწარმოებაში.⁹⁰³ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს გადაწყვეტილება, გამოვიდეს სასამართლოს საქმისწარმოებაში მოსარჩელედ ან მოპასუხედ, გულისხმობს მის ნაგულისხმევ თანხმობას ამ სასამართლოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებაზე.⁹⁰⁴ ამას გარდა, სახელმწიფომ შეიძლება სასამართლოს მიმართოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რაც ასევე მიიჩნევა იურისდიქციაზე თანხმობად.⁹⁰⁵

გაეროს კონვენციის თანახმად, საქმისწარმოების დაწყებით იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის გამოუყენებლობაზე თანხმობა გულისხმობს სასამართლოს საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპს, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების გარდა.

⁸⁹⁹ იქვე.

⁹⁰⁰ იქვე, 8(2) მუხლი.

⁹⁰¹ იქვე, 8(3) მუხლი.

⁹⁰² იქვე, 8(4) მუხლი.

⁹⁰³ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-8 მუხლი, კომენტარი (1), 30-31.

⁹⁰⁴ იქვე, 29.

⁹⁰⁵ იქვე, მე-8 მუხლი, კომენტარი (6), 29.

შესაბამისად, თანხმობა ვრცელდება ასევე შეგებებულ სარჩელზეც იმ პირობით, რომ შეგებებული სარჩელი გამომდინარეობს ძირითადი სარჩელიდან.⁹⁰⁶

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გაეროს კონვენციის მე-9 მუხლი არის მე-7 და მე-8 მუხლების ლოგიკური გაგრძელება იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის თვალსაზრისით, რადგან მე-7 მუხლი ადგენს ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებაზე თანხმობის გაცხადების შედეგს, მე-8 მუხლი განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს საქმისწარმოებაში სახელმწიფოს რა სახის მონაწილეობა მიიჩნევა იურისდიქციაზე თანხმობად, ხოლო მე-9 მუხლი ასრულებს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციაზე თანხმობის განმსაზღვრელი ნორმების ტრილოგიას სახელმწიფოს მიერ და მის წინააღმდეგ შეტანილი შეგებებული სარჩელის შედეგების რეგულირებით.⁹⁰⁷

2.2. კომერციული გამონაკლისი

გაეროს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, როდესაც სახელმწიფო დებს კომერციულ გარიგებას უცხო ქვეყნის იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან და საერთაშორისო კერძო სამართლის გამოსაყენებელი ნორმების მიხედვით, კომერციულ გარიგებასთან დაკავშირებული დავა სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, მოითხოვოს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი აღნიშნული კომერციული გარიგებიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებულ სასამართლო საქმისწარმოებაზე,⁹⁰⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარიგების მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.⁹⁰⁹ შედეგად, გაეროს კონვენცია კომერციული გარიგების მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიონ გარიგებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესისგან

⁹⁰⁶ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 392.

⁹⁰⁷ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-9 მუხლი, კომენტარი (1), 30-31.

⁹⁰⁸ გაეროს კონვენცია, 10(1) მუხლი.

⁹⁰⁹ იქვე, 10(2)(b) მუხლი.

განსხვავებული მეთოდები, იქნება ეს არბიტრაჟი, მედიაცია, მორიგება თუ დავის გადაწყვეტის სხვა მშვიდობიანი მეთოდები.⁹¹⁰

საინტერესოა, გაეროს კონვენციის მიერ შემოთავაზებული კომერციული გარიგების ცნების განმარტება. კერძოდ, გაეროს კონვენცია კომერციულ გარიგებად მიიჩნევს შემდეგი სახის საქმიანობას: ა) ნებისმიერ ხელშეკრულებას ან გარიგებას დადებულს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ან მომსახურების მიწოდების მიზნით, ბ) ნებისმიერი სესხის ხელშეკრულებას ან ფინანსური ხასიათის სხვა გარიგებას, მათ შორის, ასეთ სესხთან ან გარიგებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარანტიის ან კომპენსაციის ვალდებულებას, გ) ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებას ან გარიგებას კომერციული, ინდუსტრიული, სავაჭრო ან პროფესიული ხასიათის, გარდა შრომითი ხელშეკრულებებისა.⁹¹¹

აღსანიშნავია, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგება კომერციული გაეროს კონვენციის 2(1)(c) მუხლის თანახმად, პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გარიგების სამართლებრივი ბუნება.⁹¹² თუმცა, მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე გარიგება მიიჩნევა კომერციულად, ასევე გასათვალისწინებელი შეიძლება გახდეს გარიგების მიზანი, თუ გარიგების მხარეები ამაზე შეთანხმდნენ ან თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს პრაქტიკის თანახმად, გარიგების არაკომერციულობის დადგენისათვის მიზანს ენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა.⁹¹³ აღნიშნული ორმხრივი ტესტი საშუალებას აძლევს მხარე-სახელმწიფოს სადავო გახადოს გარიგების კომერციულობა მისი სახელმწიფოებრივი მიზნის საფუძველზე.⁹¹⁴ მაგალითად, საგარანტიო ხელშეკრულება შიმშილის დასამლევადად საკვების შესასყიდად აღებული სესხისთვის იქნება არაკომერციული მისი სახელმწიფოებრივი მიზნების გათვალისწინებით.⁹¹⁵ აღსანიშნავია, რომ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტიდან კომერციულ გამონაკლისში, გაეროს კონვენცია

⁹¹⁰ იქვე; იხ. ასევე ILC Draft Articles (სქ. 116) მე-10 მუხლი, კომენტარი (8), 35.

⁹¹¹ გაეროს კონვენცია, 2(1)(c) მუხლი.

⁹¹² იქვე, 2(2) მუხლი.

⁹¹³ იქვე.

⁹¹⁴ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-2 მუხლი, კომენტარი (28), 20.

⁹¹⁵ იქვე.

ყურადღებას ამახვილებს ქონების გამოყენების კომერციულ მიზანზე და არ საუბრობს საერთოდ ქმედების კომერციულ თუ არაკომერციულ ბუნებაზე.⁹¹⁶

კომერციული გამონაკლისის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა იგულისხმება გაეროს კონვენციის თანახმად სახელმწიფოს ცნების ქვეშ. გაეროს კონვენცია „სახელმწიფოს“ განსაზღვრავს როგორც: ა) სახელმწიფოსა და მისი მმართველობის ორგანოებს, ბ) ფედერალური სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს ან სახელმწიფოს პოლიტიკურ ქვედანაყოფებს, ასევე სახელმწიფო უწყებებსა ან ინსტიტუციებს, ან სხვა ერთეულებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სუვერენული ხელისუფლების განხორციელების ფარგლებში შეასრულონ ქმედებები და რეალურად მოქმედებენ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, გ) სახელმწიფოს წარმომადგენლებს, რომლებიც მოქმედებენ აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში.⁹¹⁷ როგორც გამოჩნდა, გაეროს კონვენციის თანახმადაც „უწყებები ან ინსტიტუციები“ შეყვანილია „სახელმწიფოს“ ცნების ქვეშ, რითაც გაეროს კონვენცია ჰგავს FSIA-ს, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული „უწყებები ან ინსტიტუციები“ არ მოქმედებენ სუვერენული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, მაშინ ისინი ამოღებულია „სახელმწიფოს“ ცნებიდან, რითაც გაეროს კონვენცია ემსგავსება SIA-ს.⁹¹⁸ გარდა ამისა, გაეროს კონვენცია არც „უწყებისა ან ინსტიტუციის“ და არც „ერთეულების“ ცნებას არ განმარტავს, რაც დამატებით გაურკვევლობას ქმნის კომერციულ გამონაკლისთან დაკავშირებით.⁹¹⁹ კერძოდ, გაეროს კონვენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ როდესაც სახელმწიფო საწარმო ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სხვა ერთეული მონაწილეობს სასამართლო საქმისწარმოებაში, რომელიც დაკავშირებულია ამ

⁹¹⁶ გაეროს კონვენცია, 19(c) მუხლი.

⁹¹⁷ იქვე, 2(1)(b) მუხლი.

⁹¹⁸ Yang (სქ. 89) 282.

⁹¹⁹ იქვე. აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენციის მე-19 მუხლის მიზნებისთვის გაეროს კონვენციის დანართში „კონვენციის ზოგიერთი დებულების განმარტების შესახებ“ (Annex to the UN Convention Understandings with respect to certain Provisions of the Convention, შემდგომ - გაეროს კონვენციის დანართი), მოცემულია „ერთეულის“ განმარტება, რომლის თანახმადაც, ერთეულის ცნების ქვეშ მოიაზრება სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი, ფედერალური სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, სახელმწიფოს ქვედანაყოფი, სახელმწიფოს უწყება ან ინსტიტუცია, ან სხვა ერთეული, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობა.

ერთეულის მიერ დადებულ კომერციულ გარიგებასთან, სახელმწიფო იმუნიტეტი, რომლითაც სარგებლობს ეს სახელმწიფო, ხელშეუხებელია იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფო საწარმოს ან სახელმწიფო ერთეულს აქვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობა და უფლებამოსილია ა) გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპუსუბედ და ბ) შეიძინოს, იქონიოს საკუთრებაში, ფლობდეს ან განკარგავდეს ქონებას, მათ შორის, ქონებას, რომელიც ამ სახელმწიფომ გადასცა მას სარგებლობაში ან მმართველობაში.⁹²⁰

აღნიშნულმა დებულებამ გამოიწვია რიგი პრობლემებისა, რადგან დაუდგენელი დარჩა გაეროს კონვენციის 2(1)(b) მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ქვედანაყოფების, სახელმწიფო უწყებებისა და ინსტიტუციების და 10(3) მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო საწარმოს ან სხვა სახელმწიფო ერთეულს შორის ურთიერთკავშირი.⁹²¹ შედეგად, დგება არა მარტო ტერმინოლოგიის, არამედ კონცეფციის დონეზე სახელმწიფოთა მიერ აღნიშნულ ცნებათა განსხვავებულად განმარტების საშიშროება.⁹²²

აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენციით დადგენილი კომერციული გამონაკლისი ისევე, როგორც საარბიტრაჟო გამონაკლისი,⁹²³ შეეხება მხოლოდ სახელმწიფოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის დადებულ კომერციულ გარიგებას.⁹²⁴ ასეთი შეზღუდვა მხოლოდ გაეროს კონვენციისთვის არის დამახასიათებელი და არ გვხვდება სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებულ არცერთ სხვა კანონმდებლობაში.⁹²⁵

გაეროს კონვენციის ეს მიდგომა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ნაწილი წამყვანი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მიერ.⁹²⁶ მათი აზრით, ალოგიკური და დისკრიმინაციულია ასეთი მიდგომა, რადგან იგი ზღუდავს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებას საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ უცხო ქვეყანაში გამოტანილი

⁹²⁰ გაეროს კონვენცია, 10(3) მუხლი.

⁹²¹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 425-26.

⁹²² იქვე.

⁹²³ გაეროს კონვენცია, მე-17 მუხლი.

⁹²⁴ იქვე, 10(2)(a) მუხლი.

⁹²⁵ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 424.

⁹²⁶ იქვე.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულოს გაეროს კონვენციის წევრ სახელმწიფოში.⁹²⁷ აღნიშნული ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს კომერციულ გარიგებებში და იწვევს ზედმეტ, არასაჭირო სირთულეებს.⁹²⁸

2.3. საარბიტრაჟო გამონაკლისი

გაეროს კონვენციის მე-17 მუხლი ადგენს საარბიტრაჟო გამონაკლისს, რომლის თანახმად, როდესაც სახელმწიფო უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან დადებს წერილობით შეთანხმებას კომერციულ გარიგებასთან დაკავშირებული დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე, სახელმწიფოს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს სახელმწიფო იმუნიტეტი იმ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქციისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, კომპეტენტურია განიხილოს საქმეები ა) საარბიტრაჟო შეთანხმების კანონიერებასთან, ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, ბ) საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით, ან გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებასა ან გაუქმებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.⁹²⁹

როგორც ჩანს, გაეროს კონვენციით განსაზღვრული საარბიტრაჟო გამონაკლისით დაწესებულია მთელი რიგი შეზღუდვებისა, რაც არ გვხდება მაგალითად, FSIA-სა, SIA-ში გათვალისწინებულ საარბიტრაჟო გამონაკლისში.⁹³⁰

საარბიტრაჟო გამონაკლისით დადგენილი პირველი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული მუხლი შეეხება მხოლოდ იმ არბიტრაჟებს, რომლებიც დაკავშირებულია „კომერციული გარიგებიდან გამომდინარე დავებთან.“ მსგავსი შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული არც FSIA-თ და არც SIA-თ.⁹³¹ თუმცა, გაეროს

⁹²⁷ იქვე. მაგ., ირანის მოქალაქესა და ირანს შორის პარიზში დადებული ხელშეკრულება ვერ უნდა აღსრულდეს ირანის წინააღმდეგ საფრანგეთში.

⁹²⁸ იქვე.

⁹²⁹ გაეროს კონვენცია, მე-17 მუხლი.

⁹³⁰ იხ. SIA, 9(1) მუხლი; FSIA, 1605 (a)(6) მუხლი.

⁹³¹ იქვე.

კონვენციის დანართი „კონვენციის ზოგიერთი დებულების განმარტების შესახებ“ ადგენს, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისით განსაზღვრული „კომერციული გარიგება“ ასევე მოიცავს საინვესტიციო საკითხებსაც.⁹³² შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვა, თავისთავად, კარგავს ძალას.⁹³³

გარდა ამისა, გაეროს კონვენცია აწესებს ადგილობრივი სასამართლოს საზედამხედველო უფლებამოსილებების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებისას იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი არ გავრცელდება სახელმწიფოზე.⁹³⁴ მათ შორისაა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამტკიცება და გაუქმებაც.⁹³⁵

საარბიტრაჟო გამონაკლისით დადგენილი მესამე შეზღუდვა შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების გარკვეულ იურისდიქციულ კავშირს საარბიტრაჟო შეთანხმებასა და იმ ადგილობრივ სასამართლოსთან, რომელსაც ენიჭება საარბიტრაჟო გამონაკლისით განსაზღვრული უფლებამოსილებები.⁹³⁶ ის ფაქტი, რომ გაეროს კონვენცია არ ადგენს კონკრეტული იურისდიქციული კავშირის მოთხოვნას და მხოლოდ სასამართლოს ავალდებულებს იყოს „ჩვეულებრივ, კომპეტენტური“, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას იურისდიქციული კავშირის არსებობასთან და მისი მასშტაბის თაობაზე.⁹³⁷ აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისის სიტყვები: „სასამართლო, რომელიც, ჩვეულებრივ, კომპეტენტურია“, ამ შემთხვევაში შეეხება სასამართლოს უფლებამოსილებას, განახორციელოს საზედამხედველო იურისდიქცია სასამართლოს სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის, მათ შორის, საერთაშორისო კერძო სამართლის წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში.⁹³⁸ ზოგადად, სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა აქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საარბიტრაჟო წარმოების ადგილი ადგილსამყოფელ სახელმწიფოშია ან როდესაც საარბიტრაჟო

⁹³² იხ. გაეროს კონვენციის დანართი (სქ. 919), მე-17 მუხლთან დაკავშირებით.

⁹³³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 395.

⁹³⁴ იქვე.

⁹³⁵ გაეროს კონვენცია, 17(c) მუხლი.

⁹³⁶ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 395.

⁹³⁷ იქვე; იხ. ასევე Hassan Elsheshtawy, 'Issues of State Sovereign and State Entities in International Arbitration: A look into Investor-State Arbitration' 3/2010, 20 <<https://ssrn.com/abstract=1581466>> [24.12. 2020]; Gaillard (სქ. 777).

⁹³⁸ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-17 მუხლი, კომენტარი (3), 54.

შეთანხმების მოქმედ სამართლად არჩეულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობა, ასევე, თუ ყადაღადადებული ან აღსასრულებლად მისაქცევი ქონება მდებარეობს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.⁹³⁹

აქვე საკითხავია, სახელმწიფოს მიერ არბიტრაჟზე თანხმობა მიიჩნევა თუ არა ავტომატურად იმ სასამართლოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებად, რომელიც, ჩვეულებრივ, კომპეტენტურია წარმოებაში მიიღოს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმე.⁹⁴⁰ ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარები აღნიშნავს, რომ არბიტრაჟზე თანხმობა, თავისთავად, არ გულისხმობს იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმას.⁹⁴¹ თუმცა, კომერციულ არბიტრაჟზე თანხმობა, ყველა შემთხვევაში მოიაზრებს სახელმწიფოს მხრიდან კომერციული არბიტრაჟის ყველა ბუნებრივ და ლოგიკურ შედეგზე თანხმობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს თანხმობა კომერციულ არბიტრაჟზე მოიცავს სახელმწიფოს თანხმობასაც სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მიერ (რომელიც უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულებას) საზედამხედველო იურისდიქციის განხორციელებაზე.⁹⁴²

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გაეროს კონვენციის მე-17 მუხლით განსაზღვრული საარბიტრაჟო გამონაკლისის მოქმედებისათვის საჭიროა დაცული იყოს შემდეგი პირობები: საარბიტრაჟო შეთანხმება აუცილებლად უნდა იყოს დადებული წერილობით უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ საკუთარ მოქალაქეებსა ან იურიდიულ პირებთან და ასევე სახელმწიფოებს შორის, ან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის საარბიტრაჟო შეთანხმების დადების შესაძლებლობას; ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს დაკავშირებული კომერციული გარიგებიდან წარმოშობილ დავასთან (რაც ასევე ითვალისწინებს საინვესტიციო საკითხებსაც); და სასამართლო, რომელიც განიხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების საკითხს, უნდა

⁹³⁹ იქვე.

⁹⁴⁰ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 396.

⁹⁴¹ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-17 მუხლი, კომენტარი (6), 55.

⁹⁴² იქვე.

იყოს ამ საკითხში „ჩვეულებრივ კომპეტენტური“, რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული იურისდიქციული კავშირის მოთხოვნა უნდა იყოს დაკმაყოფილებული.⁹⁴³

3. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

გაეროს კონვენცია იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტსა და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დაწესებით, პირდაპირ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვაზე სახელმწიფოს მიერ უარის თქმა არ გულისხმობს მის თანხმობას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან/და გამოტანის შემდეგ გამოსაყენებელ იძულებით ღონისძიებებზე.⁹⁴⁴

აღსანიშნავია, რომ გაეროს კონვენციაში „იძულებითი ღონისძიებების“ ცნება მოცემულია ზოგადი ტერმინის სახით და მის ქვეშ არ მოიაზრება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაში გამოყენებადი კონკრეტული იძულებითი ღონისძიება.⁹⁴⁵ ვინაიდან, იძულებითი ღონისძიებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან სახელმწიფოთა პრაქტიკის მიხედვით, რთული, თუ არა შეუძლებელი, იქნებოდა ისეთი განსაზღვრების მოძებნა, რომელიც მოიცავდა ყველა სამართლებრივ სისტემაში არსებულ იძულებით ღონისძიებებს. შესაბამისად, გაეროს კონვენციის ავტორებმა საკმარისად მიიჩნიეს ყველაზე ადვილად გასაგები და პრაქტიკაში დამკვიდრებული იძულებითი ღონისძიებების ისეთი სახეები მოეყვანათ მაგალითის სახით, როგორცაა, ყადაღა, დაპატიმრება/დაკავება და გადაწყვეტილების, მათ შორის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აღსრულება.⁹⁴⁶

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირებისას გაეროს კონვენცია ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, არცერთი ზემოხსენებული იძულებითი

⁹⁴³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 394.

⁹⁴⁴ გაეროს კონვენცია, მე-20 მუხლი.

⁹⁴⁵ ILC Draft Articles (სქ. 116) კომენტარი (2), 55.

⁹⁴⁶ იქვე, 55-56.

ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს ქონების მიმართ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს საქმისწარმოებასთან დაკავშირებით როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ისე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.⁹⁴⁷ აქვე გაეროს კონვენცია ჩამოთვლის აღნიშნული ზოგადი წესიდან გამონაკლისებს, რომლებიც დაკავშირებულია: ა) აღნიშნული ღონისძიებების გამოყენებაზე სახელმწიფოს პირდაპირი ფორმით გამოხატულ თანხმობასთან,⁹⁴⁸ ბ) სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სასამართლოს საქმისწარმოებაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ქონების გამოყოფას ან მიკუთვნებასთან⁹⁴⁹ და გ) როცა დადგენილია, რომ ქონება უშუალოდ გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოებრივი არაკომერციული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის და ქონება იმყოფება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.⁹⁵⁰ პირველი ორი გამონაკლისი საერთოა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე და გამოტანის შემდგომ გამოყენებადი იძულებითი ღონისძიებებისათვის, ხოლო მესამე გამონაკლისი შეეხება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ აღსრულების ღონისძიებებს.⁹⁵¹

3.1. იმუნიტეტზე უარი

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი ისევე, როგორც იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი, არ არის აბსოლუტური და სახელმწიფოს შეუძლია მასზე უარი განაცხადოს.⁹⁵² გაეროს კონვენცია წევრ სახელმწიფოს აძლევს უფლებას მხოლოდ პირდაპირი ფორმით გამოხატოს თანხმობა იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებით მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც დადგენილი იქნება: ა) საერთაშორისო შეთანხმებით, ბ)

⁹⁴⁷ გაეროს კონვენცია, მე-18 და მე-19 მუხლები.

⁹⁴⁸ იქვე, 18(a), 19(a) მუხლები.

⁹⁴⁹ იქვე, 18(b), 19(b) მუხლები.

⁹⁵⁰ იქვე, 19(c) მუხლი.

⁹⁵¹ იქვე, მე-18 და მე-19 მუხლები.

⁹⁵² Gerlich (სქ. 388) 65.

საარბიტრაჟო შეთანხმებით ან წერილობითი კონტრაქტით, ან გ) მხარის მიერ სასამართლოს წინაშე ზეპირი განცხადების გაკეთებისას, ან წერილობითი კომუნიკაციით, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემდეგ.⁹⁵³ აღნიშნული შეეხება როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ისე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოყენებად იძულებით ღონისძიებებს.⁹⁵⁴

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი ფორმით თანხმობა შეიძლება გაცხადებულ იქნას სახელმწიფოს მიერ როგორც იძულებით ღონისძიებებთან, ისე ქონებასთან დაკავშირებით, ან ორივესთან ერთად. ამასთან, თანხმობა შეიძლება იყოს როგორც ზოგადი ხასიათის, ისე კონკრეტულ იძულებით ღონისძიებებთან ან/და ქონებასთან მიმართებით გაკეთებული.⁹⁵⁵

სახელმწიფოს შეუძლია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე თანხმობის გამოხმობა მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებით ან საარბიტრაჟო შეთანხმებით ან წერილობითი კონტრაქტით.⁹⁵⁶ რაც შეეხება დავის წარმოშობის შემდეგ სასამართლოს წინაშე განცხადების გაკეთებას ან წერილობით შეტყობინებას, საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც სასამართლოში საქმისწარმოება დაიწყება, სახელმწიფო იმუნიტეტზე თანხმობის გამოხმობა დაუშვებელია.⁹⁵⁷

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გაეროს კონვენცია აღსრულებისგან, ისევე როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან იმუნიტეტთან დაკავშირებით რეგულირებით უფრო ახლოსაა SIA-სა და ევროპულ კონვენციასთან, ვიდრე FSIA-სთან. კერძოდ, SIA-ს მსგავსად, გაეროს კონვენციით თანხმობა პირდაპირი ფორმით უნდა იყოს გამოხატული, თუმცა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვება წერილობითი ფორმა, SIA-სა და ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, რომელთათვის თანხმობის წერილობითი ფორმა აუცილებელი მოთხოვნაა.⁹⁵⁸ ამასთან სამივე აქტის თანახმად, ქონება, რომელიც უნდა მიეცეს აღსასრულებლად, არ არის აუცილებელი, კომერციული

⁹⁵³ გაეროს კონვენცია, 18(a), 19 (a) მუხლები.

⁹⁵⁴ იქვე.

⁹⁵⁵ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-18 მუხლი, კომენტარი (8), 58.

⁹⁵⁶ იქვე.

⁹⁵⁷ იქვე, კომენტარი (9), 58.

⁹⁵⁸ გაეროს კონვენცია, 18(a) და 19(a) მუხლები შეად. SIA, 13(3) მუხლი, ევროპული კონვენცია, 23-ე მუხლი.

მიზნით იყოს გამოყენებული⁹⁵⁹ მაშინ, როცა FSIA-თ აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვაზე სახელმწიფოს პირდაპირი ან ნაგულისხმევი (გარდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან იმუნიტეტის შემთხვევაში, როცა თანხმობა მხოლოდ პირდაპირი ფორმით უნდა იყოს გამოხატული)⁹⁶⁰ უარის შემთხვევაში, აღსრულება დასაშვებია მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც კომერციულ საქმიანობაშია გამოყენებული.⁹⁶¹

3.2. სახელმწიფოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო ქონების გამოყოფა

გაეროს კონვენცია აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვას გამორიცხავს ასევე სახელმწიფოს მიერ სასამართლოს საქმისწარმოებაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ქონების გამოყოფისა ან მიკუთვნების შემთხვევაში.⁹⁶² ქონების გამოყოფა ან მიკუთვნება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ვალების გადახდის მიზნით მოახდინა ქონების იდენტიფიცირება.⁹⁶³ აღნიშნული შეიძლება მიჩნეულ იქნას სახელმწიფო აქტივების წინააღმდეგ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის ერთ-ერთ ფორმად, რომელიც გამოხატულია ქმედებით და არა განცხადებით.⁹⁶⁴

მსგავსი ნორმა არ არის გათვალისწინებული არც FSIA-თ და არც SIA-თა და ევროპული კონვენციით. თუმცა, FSIA-ს 1610(a)(1) მუხლის თანახმად კონკრეტულ ქონებაზე აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ქონების გამოყოფად, იმ პირობით, რომ აღნიშნული ქონება გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის.⁹⁶⁵ რაც შეეხება SIA-ს, მართალია, არც იგი შეიცავს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ქონების გამოყოფასთან დაკავშირებით

⁹⁵⁹ იქვე.

⁹⁶⁰ FSIA, 1610 (d)(1) მუხლი.

⁹⁶¹ FSIA, 1610 (a)(1) მუხლი.

⁹⁶² გაეროს კონვენცია, 19(b) მუხლი.

⁹⁶³ Gerlich (სქ. 388) 70.

⁹⁶⁴ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 631.

⁹⁶⁵ Gerlich (სქ. 388) 70.

აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისს ისევე, როგორც იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმას აღიარებს, თუმცა, საქმეზე *Alcom*⁹⁶⁶ ლორდთა პალატამ განაცხადა, რომ კომერციული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დაკმაყოფილების მიზნით აქტივების გამოყოფა შეიძლება მიუთითებდეს, რომ ქონება „გამოიყენება ან განკუთვნილია კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად“ SIA-ს 13(4) მუხლით გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისის თანახმად.⁹⁶⁷

კომერციულ აქტივებსა და გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებულ გამონაკლისებთან მიმართებით მსგავსი მიდგომა ბუნდოვანს ხდის ამ ორ გამონაკლისს შორის განსხვავებას და მათი დამოუკიდებლად არსებობის მიზანშეწონილობის საკითხს სვამს.⁹⁶⁸

3.3. კომერციული გამონაკლისი

გაეროს კონვენცია ახდენს რა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის კოდიფიცირებას, ადგენს სახელმწიფო იმუნიტეტიდან კომერციულ გამონაკლისს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოყენებად იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებით. კერძოდ, გაეროს კონვენციის 19 (c) მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომი არცერთი იძულებითი ღონისძიება ისეთი, როგორცაა ყადაღის დადება, დაკავება/დაპატიმრება და გადაწყვეტილების აღსრულება, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს ქონების მიმართ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონება უშუალოდ გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო არაკომერციული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის და ქონება იმყოფება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების

⁹⁶⁶ *Alcom Limited v Colombia* [1984] 74 ILR 170, 185 (HL).

⁹⁶⁷ იქვე.

⁹⁶⁸ Gerlich (სქ. 388) 70.

გამოტანის შემდგომი იძულებითი ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მხოლოდ იმ ქონებასთან მიმართებით, რომელსაც კავშირი აქვს იმ ერთეულთან, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობდა საქმისწარმოება.⁹⁶⁹

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტთან მიმართებით კომერციული გამონაკლისი ადგენს მიზანზე ორიენტირებულ ტექსტს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია ქონება, რომელიც „უშუალოდ გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო არაკომერციული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის.“⁹⁷⁰ ამ კუთხით გაეროს კონვენცია არ განსხვავდება FSIA-სგან და SIA-სგან, რომლებიც აღსრულებისგან კომერციული გამონაკლისის შემთხვევაში ასევე უსვამენ ხაზს ქონების გამოყენების მიზანს და ადგენენ, რომ აღსრულება დასაშვებია იმ ქონების მიმართ, რომელიც ერთ შემთხვევაში - „გამოყენებულია კომერციული საქმიანობისთვის“,⁹⁷¹ ხოლო მეორე შემთხვევაში - „გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად კომერციული მიზნისთვის.“⁹⁷² შესაბამისად, აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა ქონების მიღების წყარო, არამედ მისი გამოყენების მიზანი.⁹⁷³

ქონების გამოყენების მიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ასევე გაირკვეს ფრაზაში - „გამოიყენება, ან განკუთვნილია გამოსაყენებლად“, წარსული, აწმყო თუ მომავალი გამოყენება იგულისხმება.⁹⁷⁴ საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარები განმარტავს, რომ ქონება უნდა გამოიყენებოდეს ან უნდა იყოს განკუთვნილი კომერციული მიზნით გამოსაყენებლად იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო აღსრულების პროცესი.⁹⁷⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებითი ღონისძიებების საქმისწარმოების უშუალო დაწყებამდე ვადის ათვლით სახელმწიფოები უსაფუძვლოდ შეიზღუდებოდნენ თავიანთი ქონების განკარგვაში.⁹⁷⁶ აღნიშნული განმარტება ეფუძნება

⁹⁶⁹ გაეროს კონვენცია, 19(c) მუხლი.

⁹⁷⁰ იქვე.

⁹⁷¹ FSIA, 1610(a), (a)(2) მუხლი.

⁹⁷² SIA, 13(4) მუხლი.

⁹⁷³ Yang (სქ. 89) 365.

⁹⁷⁴ Gerlich (სქ. 388) 72.

⁹⁷⁵ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-18 მუხლი, კომენტარი (11), 58.

⁹⁷⁶ იქვე.

საერთაშორისო სამართლის კომისიის მოლოდინს, რომ სახელმწიფოები ბოროტად არ გამოიყენებენ ზემოხსენებულ ნორმას, მაგალითად, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით თავიანთი ქონებისთვის სტატუსის შეცვლის სახით.⁹⁷⁷ გაეროს კონვენციისგან განსხვავებით, FSIA ფრაზით „კომერციული საქმიანობისთვის გამოყენებული“, გულისხმობს იმას, რომ ქონების მიმდინარე სტატუსი არ არის განმსაზღვრელი და ქონება დაექვემდებარება აღსრულებას, თუ იგი ოდესმე წარსულში გამოიყენებოდა კომერციულ საქმიანობაში.⁹⁷⁸ თუმცა, აქაც ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წარსულში ქონების ერთჯერადად კომერციული მიზნით გამოყენება არასაკმარისია FSIA-ს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.⁹⁷⁹ რაც შეეხება SIA-ს, იგი ადგენს გაეროს კონვენციის მსგავს მიდგომას.⁹⁸⁰

ნიშანდობლივია, რომ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისი შეიცავს ქონების იმ საწარმოსთან კავშირის მოთხოვნას, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.⁹⁸¹ ყურადსაღებია, რომ გაეროს კონვენცია დანართით განმარტავს, რომ მე-19 მუხლი წინასწარ არ წყვეტს „გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის“ გამოყენების საკითხს იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც სახელმწიფო საწარმო განზრახ არასწორად წარმოაჩენს თავის ფინანსურ მდგომარეობას, ან შემდგომ შეამცირებს თავისი აქტივების მოცულობას მოთხოვნათა დაკმაყოფილებისგან თავის არიდების მიზნით ან ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.⁹⁸² სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ გაეროს კონვენცია აღიარებს სახელმწიფოს კრედიტორების შესაძლებლობას, ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო საწარმოს კუთვნილ ქონებაზე „გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის“ თუ სხვა თეორიის საფუძველზე, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებას უტოვებს ადგილობრივ კანონმდებლობას.⁹⁸³

⁹⁷⁷ იქვე.

⁹⁷⁸ Yang (სქ. 89) 364.

⁹⁷⁹ იქვე, 365-66.

⁹⁸⁰ 'for the time being in use or intended for use.' იხ. SIA, 13(4) მუხლი.

⁹⁸¹ Gerlich (სქ. 388) 81.

⁹⁸² გაეროს კონვენციის დანართი (სქ. 919) მე-19 მუხლთან დაკავშირებით.

⁹⁸³ Foster (სქ. 162) 689.

3.4. სახელმწიფო იმუნიტეტით დაცული სახელმწიფო ქონება

კომერციული თუ საჯარო ხასიათის მიუხედავად, გარკვეული კატეგორიის ქონება ყოველთვის მიიჩნევა სუვერენული მიზნებისთვის განკუთვნილ ქონებად და, შესაბამისად, მათზე ყოველთვის გავრცელდება სახელმწიფო იმუნიტეტი.⁹⁸⁴ გაეროს კონვენციის 21-ე მუხლი ადგენს არაამომწურავ ჩამონათვალს იმ სახელმწიფო ქონებისა, რომელიც „არ იქნება მიჩნეული ქონებად, რომელიც უშუალოდ გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო არაკომერციული მიზნებისგან განსხვავებული მიზნებისთვის“ გაეროს კონვენციის 19(c) მუხლით გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისის თანახმად. კერძოდ, ამ ჩამონათვალში მოცემულია შემდეგი კატეგორიის ქონება:

ა) ქონება, მათ შორის, ნებისმიერი საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია გამოსაყენებლად სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან მისი საკონსულო დაწესებულებების, სპეციალური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების, ან საერთაშორისო კონფერენციების ორგანოების დელეგაციების ფუნქციების შესასრულებლად;

ბ) სამხედრო ხასიათის ქონება, ან ქონება რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია სამხედრო ფუნქციების შესასრულებლად;

გ) ცენტრალური ბანკის, ან სახელმწიფოს სხვა ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოს ქონება;

დ) ქონება, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს, ან მისი არქივის ნაწილს და, რომელიც არ არის გასაყიდად განთავსებული, ან არ არის განკუთვნილი გასაყიდად განთავსებისთვის;

ე) ქონება, რომელიც შეადგენს იმ ობიექტების ექსპოზიციის ნაწილს, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, კულტურული ან ისტორიული ინტერესი და, რომელიც არ არის გასაყიდად განთავსებული, ან არ არის განკუთვნილი გასაყიდად განთავსებისთვის.⁹⁸⁵

⁹⁸⁴ Gerlich (სქ. 388) 73.

⁹⁸⁵ გაეროს კონვენცია, 21-ე მუხლი.

ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ქონებაზე სახელმწიფო იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ გაეროს კონვენციის 19(c) მუხლით გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ზემოხსენებული კატეგორიის ქონება ან მათი ნაწილი შეიძლება დაექვემდებაროს როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ გათვალისწინებულ იძულებით ღონისძიებას სახელმწიფოს მიერ აღნიშნულზე თანხმობის გაცხადების ან სახელმწიფო ქონების გამოყოფის საფუძველზე გაეროს კონვენციის 18(a), (b) და 19(a), (b) მუხლების შესაბამისად.⁹⁸⁶

თავიდანვე უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავი მოიყარა ისეთი კატეგორიის სახელმწიფო ქონებამ, როგორცაა, სამხედრო ხომალდები და დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონება, რომლებიც, ექვგარეშა, ყველა შემთხვევაში საჯარო მიზნებისთვის ან სუვენერული ხელისუფლების განსახორციელებლად გამოიყენებოდა.⁹⁸⁷ შესაბამისად, ადრეული კანონმდებლობა სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ სწორედ ასეთი კატეგორიის ქონებას აცხადებდა სახელმწიფო იმუნიტეტით დაცულად კომერციული ფულადი ვალდებულებების აღსრულების მიზნებისთვის, რაც დღესაც უცვლელი რჩება და რასაც თანდათან დაემატა სახელმწიფოთა მხრიდან სხვა კატეგორიის სახელმწიფო ქონების იმუნიტეტით დაცვის სურვილიც.⁹⁸⁸ მაგალითად, სიახლეს წარმოადგენს გაეროს კონვენციის მიერ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის ქვეშ ისეთი კატეგორიის ქონება შემოტანა, როგორცაა, ქონება, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის და არქივის ნაწილს და არ არის განკუთვნილი გასაყიდად.⁹⁸⁹ ასევე ბოლო დროს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ სახელმწიფო ქონების იმუნიტეტით დაცვა, რომელიც შეადგენს კულტურული, მეცნიერული ან ისტორიული ინტერესის მქონე სახელმწიფოს ექსპოზიციის ნაწილს.⁹⁹⁰ ასეთი კატეგორიის ქონების დაცვით გაეროს კონვენცია ეხმიანება ადგილობრივი სასამართლოების ბოლოდროინდელ პრაქტიკას, რომელიც

⁹⁸⁶ იქვე, 21(2) მუხლი.

⁹⁸⁷ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 519.

⁹⁸⁸ იქვე.

⁹⁸⁹ იქვე, 532-33.

⁹⁹⁰ იქვე, 533.

სახელმწიფო ქონების სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის საკითხის დასაბუთებისას სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმ საჯარო გამოყენებასა და მიზანს, რომელსაც სახელმწიფო საკუთრება ემსახურება, ვიდრე ამ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების ფაქტს.⁹⁹¹ ამ მხრივ, საინტერესოა შვეიცარიის მაგალითი *NOGA*-ს გახმაურებულ საქმეზე.⁹⁹² 2005 წელს შვეიცარიულმა კომპანია *NOGA*-მ რუსეთის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოითხოვა შვეიცარიაში გამოსაფენად გაგზავნილი მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმის 54 ფერწერის ნიმუშის დაყადაღება, რაც შვეიცარიის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაითვალისწინა შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ, რომლის განკარგულებითაც ფერწერის ნიმუშებზე ყადაღა მოიხსნა და ნიმუშები დაბრუნდა რუსეთში.⁹⁹³ შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოიშველია საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელთა თანახმადაც, ეროვნული კულტურული საგანძური საჯარო საკუთრებაა და არ ექვემდებარება კონფისკაციას.⁹⁹⁴

აღსანიშნავია, რომ სწორედ *NOGA*-ს საქმის შემდეგ და იმ შექმნილი სირთულეების ფონზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმებს შეექმნათ შესაბამისი კანონმდებლობის არქონის გამო, რომელიც დიდ ბრიტანეთში დაიცავდა საგამოფენოდ გაგზავნილ უცხო ქვეყნის კულტურის ობიექტებს, 2007 წელს გაერთიანებულმა სამეფომ სააღსრულებო კანონმდებლობაში შეიტანა ყადაღისგან იმუნიტეტით დაცვის მუხლი უცხო ქვეყნის იმ კულტურის ობიექტებისთვის, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოს ნებისმიერ მუზეუმსა თუ გალერეაში დროებით საჯარო საგამოფენო მიზნით იქნებოდა გაგზავნილი.⁹⁹⁵ შედეგად, აღნიშნული საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება და შესაბამის სამართლებრივ რეგულირებასაც მოითხოვს. გაეროს კონვენციით აღნიშნული კატეგორიის ქონების იმუნიტეტით დაცვა საერთაშორისო სამართლის სწორედ იმ აღიარებული პრინციპის დადასტურებაა, რომ უცხო ქვეყნის კულტურის ობიექტები

⁹⁹¹ იქვე, 519.

⁹⁹² Nout van Woudenberg, 'State Immunity and Cultural Objects on Loan' (Martinus Nijhoff Publishers 2012) 310-314.

⁹⁹³ იქვე.

⁹⁹⁴ იქვე, 314.

⁹⁹⁵ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 534-35.

საჯარო დანიშნულებისაა და არ ექვემდებარება დაყადაღებას.⁹⁹⁶ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კონვენცია არ არის ჯერ ძალაში შესული, მისი გავლენით რამდენიმე სახელმწიფომ მაინც მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა საგამოფენოდ გაგზავნილი უცხო ქვეყნის კულტურის ობიექტების ყადაღისგან იმუნიტეტით დაცვის შესახებ.⁹⁹⁷

რაც შეეხება გაეროს კონვენციით დაცულ სამხედრო ქონებას, საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარები სამხედრო ქონების ქვეშ მოიაზრებს საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებულ ძალებს.⁹⁹⁸ სამხედრო ქონების შემთხვევაში მათი სუვერენული მიზანი ცხადია.⁹⁹⁹ მიუხედავად ამისა, გაეროს კონვენცია ცალსახად ხაზს უსვამს ასეთი ქონების სახელმწიფოებრივ დანიშნულებას.¹⁰⁰⁰ აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში სამხედრო ქონების კატეგორიამ შეიძინა უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე მას ჰქონდა წინა საუკუნეებში.¹⁰⁰¹ მაგალითად, FSIA-ს მიხედვით, სამხედრო ქონებაში მოიაზრება არა მხოლოდ შეიარაღება და მათი მიწოდების საშუალებები, არამედ სამხედრო ძალების ფუნქციონირებისათვის საჭირო ისეთი ძირითადი საქონელი, როგორცაა, საკვები, ტანსაცმელი და საწვავი.¹⁰⁰² შესაბამისად, FSIA-ს თანახმად, სამხედრო აღჭურვილობის ნასყიდობა მოექცევა სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის ქვეშ,¹⁰⁰³ განსხვავებით SIA-სგან, რომელიც ადგენს სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვას ისეთ საქმისწარმოებასთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებთან ან მათ რაიმე ქმედებასთან გაერთიანებულ სამეფოში ყოფნის დროს.¹⁰⁰⁴ შესაბამისად, სამხედრო აღჭურვილობის ნასყიდობა მოექცევა SIA-ს მე-3 მუხლით გათვალისწინებული კომერციული გარიგების ქვეშ იმ

⁹⁹⁶ Woudenberg (სქ. 992) 314.

⁹⁹⁷ საფრანგეთმა (1994), გერმანიამ (1999), ავსტრიამ (2003), ბელგიამ (2004), შვეიცარიამ (2005), აშშ-ის გარკვეულ შტატებში (ნიუ იორკი, ტექსასი). იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 535.

⁹⁹⁸ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-19 მუხლი, კომენტარი (4), 59.

⁹⁹⁹ Gerlich (სქ. 388) 75.

¹⁰⁰⁰ გაეროს კონვენცია, 21(1)(b) მუხლი.

¹⁰⁰¹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 526.

¹⁰⁰² FSIA, 1611 (b)(2) მუხლი; იხ. ასევე *State Marine Corp'n and Currence v USA*, Spain Provincial Ct of Cadiz (1999) 128 ILR 701, რომელზეც გემის მიერ ტრანსპორტირებადი აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფებისთვის სამხედრო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონელი არ დაექვემდებარა დაყადაღებას ჩარტერის შეთანხმების თანახმად გადასახდელი ფრახტის გადასახადთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ აღნიშნული საქონელი სამხედროების საკვებით მოსამარაგებლად იყო განკუთვნილი.

¹⁰⁰³ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 527.

¹⁰⁰⁴ SIA, 16(2) მუხლი.

პირობით, რომ აღნიშნული ნასყიდობა ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივი გარიგებაა და არ ხორციელდება სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე.¹⁰⁰⁵

3.4.1. დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონება

კრედიტორებისათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში პოპულარული სამიზნეა დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ცენტრალური ბანკების ქონება.¹⁰⁰⁶

დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობების და სხვა ქონების იმუნიტეტით დაცვა, სახელმწიფო იმუნიტეტის ეს ზოგადი პრინციპი, ფართოდ არის აღიარებული და დაცული საკანონმდებლო და სასამართლო დონეზე სახელმწიფოების მიერ.¹⁰⁰⁷ გაეროს კონვენცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დიპლომატიური ქონება უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს დიპლომატიური უფლებამოსილების განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმუნიტეტით დაცვას არ ექვემდებარება.¹⁰⁰⁸

პრაქტიკაში სირთულე იქმნება ე.წ. „შერეულ ანგარიშებთან“ მიმართებით, როდესაც დიპლომატიური წარმომადგენლობის საერთო ანგარიშიდან ხდება როგორც სახელისუფლებო, ისე კომერციული მიზნის მქონე ხარჯების დაფინანსება.¹⁰⁰⁹ ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკა მხარს უჭერს პრეზუმფციას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ქონება გამოიყენება სახელისუფლებო მიზნების შესასრულებლად მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.¹⁰¹⁰ შედეგად, საელჩოების საბანკო ანგარიშები განიხილება, როგორც ერთიანი განუყოფელი სუვერენული აქტივი, რომელზეც ვრცელდება აღსრულებისგან იმუნიტეტი.¹⁰¹¹

¹⁰⁰⁵ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 527.

¹⁰⁰⁶ იხ. *Liber E Timber Corp v Liberia (LETCO II)* 659 F Supp 606, 610 (DDC 1987); *Sedlmayer v. Russian Federation* (სქ. 713, 715, 716, 722); *NOGA* (სქ. 776).

¹⁰⁰⁷ ILC Draft Articles (სქ. 116) მე-19 მუხლი, კომენტარი (3), 59.

¹⁰⁰⁸ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 524.

¹⁰⁰⁹ იქვე, 526.

¹⁰¹⁰ Yang (სქ. 89) 84.

¹⁰¹¹ იხ. *The Philippine Embassy case* (სქ. 703).

დიპლომატიურ ქონებაზე აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხი აქტუალური გახდა *Sedlmayer*-ის საქმეზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების დროსაც.¹⁰¹² ნიშანდობლივია, რომ მრავალწლიანი წარუმატებელი სააღსრულებო პროცესების მიუხედავად, 2011 წელს შვედეთის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ქონებისა და მისი იჯარით გაცემისგან მიღებული შემოსავლის დაყადაღების თაობაზე, იმ მოტივით, რომ სასამართლომ არ მიიჩნია დამაჯერებლად რუსეთის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები აღნიშნული ქონების „საჯარო მიზნებისთვის“ გამოყენებასთან დაკავშირებით.¹⁰¹³ აღსანიშნავია, რომ სადავო ქონება 1976 წლამდე რუსეთის ფედერაციის სავაჭრო დელეგაციის საკუთრებაში იყო, ხოლო შემდეგ, როგორც სასამართლომ დაადგინა, კერძო კომერციული მიზნით გაიცემოდა იჯარით და არ გამოიყენებოდა რუსი დიპლომატების ან მაღალჩინოსნების მიერ სუვერენული ფუნქციების განსახორციელებლად, როგორც ამას რუსული მხარე ამტკიცებდა.¹⁰¹⁴

შვედეთის უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანი გაეროს კონვენციასთან მიმართებით. კერძოდ, *Sedlmayer*-ის გადაწყვეტილება იყო პირველი გადაწყვეტილება, რომელზეც აღიარებულ იქნა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი უზენაესი სასამართლოს მიერ სააღსრულებო სასამართლო საქმისწარმოებაში შვედეთში¹⁰¹⁵ და ამ გადაწყვეტილების მიღებისას უზენაესი სასამართლო დაეყრდნო სწორედ გაეროს კონვენციას, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კონვენცია არ არის ძალაში შესული. სახელდობრ, შვედეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა კომერციული გამონაკლისი გაეროს კონვენციით

¹⁰¹² *Sedlmayer v Russian Federation*, SSC, (2011) (სქ. 715).

¹⁰¹³ იქვე.

¹⁰¹⁴ იქვე.

¹⁰¹⁵ თუმცა, ეს არ იყო პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, შეზღუდულ სახელმწიფო იმუნიტეტზე. 1999 წელს საქმეზე *Vasteras Municipality v Iceland* სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფო იმუნიტეტზე იურისდიქციისგან და *Sedelmayer*-ის საქმეზე გამოიყენა კიდევ აღნიშნული მსჯელობა. იხ. Dan Ergnstrom and Kornel Marian, 'Restrictive Absolutives: Using Party Autonomy to Reconcile Absolute Immunity with the Liberal Standard for Restrictive Immunity Adopted by the Swedish Supreme Court in the Sedelmayer Decision' ციტირებულია Alexander J Belohlavek and Nadejda Rozehnalova (eds), *Czech and Central European Yearbook of Arbitration - 2012: Party Autonomy versus Autonomy of Arbitrators* (Jurisnet LLC 2012) 69-73.

გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისის დებულების საფუძველზე,¹⁰¹⁶ რა დროსაც გამოყო ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1) სადავო ქონება არ იყო „გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი სახელმწიფოს მიერ არაკომერციული მიზნებისთვის“ და 2) ქონება კომერციული მიზნით გამოიყენებოდა სწორედ სარჩელის განხილვის პერიოდში.¹⁰¹⁷ სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო ქონება რუსეთის ფედერაციის მიერ დიპლომატიური მისიის თუ სხვა სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის არ გამოიყენებოდა და, ასევე, გააკეთა რა აქცენტი ქონების გამოყენების პერიოდულობაზე, არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ შენობებში მომავალში განთავსდებოდნენ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირები, რადგან გაეროს კონვენციისთვის მნიშვნელოვანია, ქონება სარჩელის განხილვის პერიოდში გამოიყენებოდეს არაკომერციული მიზნებისთვის.¹⁰¹⁸

3.4.2. ცენტრალური ბანკის ქონება

ნიშანდობლივია, რომ გაეროს კონვენცია ცენტრალური ბანკის ქონებას ანიჭებს აღსრულებისგან იმუნიტეტით მეტ დაცვას, ვიდრე სხვა დაწესებულებებს, ინსტიტუციებსა თუ დამოუკიდებელ ერთეულებს.¹⁰¹⁹ კერძოდ, გაეროს კონვენციის 21(1)(c) მუხლის ფორმულირება ცხადყოფს, რომ ცენტრალური ბანკის ქონება, მიუხედავად იმისა, გამოიყენება იგი კომერციული თუ არაკომერციული მიზნებისთვის, მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ მხოლოდ სახელისუფლებო არაკომერციული მიზნებისთვის გამოყენებულ თუ გამოსაყენებლად განკუთვნილ ქონებად.¹⁰²⁰ ცენტრალური ბანკის ქონების მიმართ იმუნიტეტის უდავო პრეზუმფციის გამოყენება, რომელსაც ასევე იზიარებენ SIA და FSIA, მომდინარეობს 1970 წლიდან, როდესაც აშშ-მა და გაერთიანებულმა სამეფომ, როგორც უცხო სახელმწიფოთა რეზერვების

¹⁰¹⁶ იქვე.

¹⁰¹⁷ იქვე, 69.

¹⁰¹⁸ იქვე, 72-73.

¹⁰¹⁹ Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 528.

¹⁰²⁰ იქვე.

საინვესტიციო ცენტრებმა, აღიარეს ცენტრალური ბანკის ქონების მიმართ იმუნიტეტის საჭიროების აუცილებლობა.¹⁰²¹ ეს აღიარებული აუცილებლობა აისახა შესაბამის კანონმდებლობაში ცენტრალური ბანკის ქონებაზე იმუნიტეტის შესახებ სპეციალური დებულებების სახით, რომელიც ასევე გაზიარებული იქნა გაეროს კონვენციის მიერ.¹⁰²²

ცენტრალური ბანკის ქონების იმუნიტეტით დაცვის კუთხით განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა ძირითადად უფრო მიიჩნევა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად, ვიდრე საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებად, რაც მოიაზრებდა უცხო სახელმწიფოების წახალისებას, რათა თავიანთი უცხოური რეზერვები უცხო ქვეყნებში განეთავსებინათ.¹⁰²³ აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა, ცენტრალურ ბანკში არსებული სახელმწიფო რეზერვების გაზრდის მიზნით მათი საინვესტიციო თუ სხვა კომერციული საშუალებების გზით გამოყენებაზე რამდენად უნდა გავრცელდეს აღსრულებისგან იმუნიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანხები არ „გამოიყენება“ სუვერენული მიზნებისთვის, ინგლისურმა სასამართლომ ყაზახეთის საწინააღმდეგოდ გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმის განხილვისას¹⁰²⁴ მაინც დაადგინა, რომ ცენტრალური ბანკის აქტივების ასეთი სახით გამოყენება, საბოლოო ჯამში, ემსახურება მომავალი თაობებისათვის სუვერენული მიზნების განხორციელებას, შესაბამისად, ასეთი ტიპის ოპერაციები ექვემდებარება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვას.¹⁰²⁵

ასევე, საყურადღებოა, რომ სულ უფრო მზარდია სახელმწიფოთა სუვერენული ფულადი სახსრების უცხოურ კომერციულ აქტივებში ინვესტირება და, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალი და მოგება ისევე, როგორც მათი ინვესტირების, ფლობისა და რეალიზაციის პროფესიული მომსახურება კომერციული გარიგებების გზით ხორციელდება, სახელმწიფო ფულადი სახსრებისგან მიღებული შემოსავალი

¹⁰²¹ იქვე, 529.

¹⁰²² იქვე.

¹⁰²³ William Blair, 'The Legal Status of Central Bank Investments under English Law' (1998) 57(2) Cambridge Law Journal 378.

¹⁰²⁴ *AIG Capital Partners Inc and Anr v Republic of Kazakhstan* [2005] EWHC 2239 (Comm), [2006] 1 WLR 1420, 129 ILR 589, § 92.

¹⁰²⁵ იქვე.

სარგებლობს აღსრულებისგან იმუნიტეტით.¹⁰²⁶ ამ მხრივ, საინტერესოა შვეიცარიის სასამართლოს მიდგომა, რომელმაც განაცხადა, რომ როდესაც სახელმწიფო აქტივებში კერძო კომპანიის სახელით მოქმედებს და ეს აქტივები ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივ გარიგებაში მონაწილეობს, ისინი ექვემდებარება სააღსრულებო დონისძიებებს.¹⁰²⁷ თუმცა, აღნიშნულმა მოსაზრებამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ინგლისის უზენაეს სასამართლოში იმ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ერაყის კონტროლირებადი კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შედეგად განაწილებულ აქტივებზე აღსრულებას.¹⁰²⁸ სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ ერაყის ბანკში კუთვნილი 10 პროცენტის წილიდან მიღებული დივიდენტი განკუთვნილი იყო ერაყის განვითარების ფონდში გადასარიცხად და არ იყო დაკავშირებული კომერციული მიზნით მოგების მიღებასთან, თუმცა მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ფულადი სახსრები კომერციული მიზნით გამოყენებისთვის იყო განკუთვნილი და ექცეოდა SIA-ს 13(4) მუხლით დადგენილი იმუნიტეტიდან გამონაკლისის ფარგლებში.¹⁰²⁹

თუმცა, არსებობს სახელმწიფოთა განსხვავებული მიდგომა, რომელიც არ აღიარებს ცენტრალური ბანკის ქონების იმუნიტეტის პრეზუმფციას.¹⁰³⁰ მაგალითად, საფრანგეთის სასამართლოები ცენტრალურ ბანკებზე ავრცელებენ ისეთივე სამართლებრივ რეჟიმს, როგორც სხვა სახელმწიფო ერთეულებზე.¹⁰³¹ შესაბამისად, თუ ცენტრალური ბანკი სამართლებრივად დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან, მაშინ მისი აქტივები დაექვემდებარება აღსრულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათზე წვდომა ექნებათ მხოლოდ საკუთრივ ბანკის კრედიტორებს და არა სახელმწიფოს კრედიტორებს.¹⁰³²

¹⁰²⁶ მაგ., სუვერენული საინვესტიციო ფონდები (Sovereign Wealth Funds - SWF) თავიანთ თანხებს განათავსებენ არა მხოლოდ სხვადასხვა გაცვლით ვალუტაში, ობლიგაციებსა ან გრძელვადიან კომერციულ აქტივებში, არამედ მათ ინვესტირებას ახდენენ აქციებში, დერივატივებში და მოკლევადიან კომერციულ აქტივებში. აქედან მიღებული შემოსავალი კი, მაგალითად, გაეროს კონვენციის, SIA-სა და FSIA-ს თანახმად, სარგებლობენ აღსრულებისგან იმუნიტეტით. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 530.

¹⁰²⁷ იქვე.

¹⁰²⁸ *SerVaas Inc v Rafidain Bank & Ors* [2012] UKSC 40.

¹⁰²⁹ იქვე.

¹⁰³⁰ Gerlich (სქ. 388) 73.

¹⁰³¹ Foster (სქ. 162) 686.

¹⁰³² Gerlich (სქ. 388) 74.

იმუნიტეტის პრეზუმფციის საკითხი ასევე არ წამოიჭრება შვეიცარიაში, სადაც ერთ-ერთ საქმეზე შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ უარყო პრეზუმფცია, რომ ლიბიის ცენტრალური ბანკის ყველა ფულადი სახსრები განკუთვნილი იყო სუვერენული მიზნებისთვის.¹⁰³³ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმუნიტეტით შეიძლება სარგებლობდეს მხოლოდ ის სადავო აქტივები, რომლებიც განსაზღვრულია მხოლოდ სუვერენული ფუნქციების შესასრულებლად, და სადავო აქტივებზე აღსრულების გადაწყვეტილება გამოიტანა.¹⁰³⁴

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაეროს კონვენცია იძლევა გარკვეული სახის ერთიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნის შესაძლებლობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციას.¹⁰³⁵

გაეროს კონვენცია მოიცავს სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე დღესდღეობით აღიარებულ ყველა ძირითად პრინციპს, რომლებიც შესაბამისობაშია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან.¹⁰³⁶ კერძოდ, ეს პრინციპებია შემდეგი:

ა) სახელმწიფო დაცულია სახელმწიფო იმუნიტეტით საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპის თანახმად.¹⁰³⁷

ბ) ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოთა სასამართლოს მართლმსაჯულებისგან, ხოლო მათი აქტივები სააღსრულებო წარმოებისგან დაცული

¹⁰³³ *Libyan Arab Socialist People's Jamahiriya v Actimon SA* (1985), 82 ILR 30, 31 (ინგლისურად).

¹⁰³⁴ იქვე, 30-31.

¹⁰³⁵ ნინო ბეგალიშვილი, „აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი „სახელმწიფოებისა და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ“ გაეროს კონვენციის (გაეროს კონვენცია) თანახმად სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში“ (2022) 2 სამართლის ჟურნალი 321.

¹⁰³⁶ Yang (სქ. 89) 455.

¹⁰³⁷ გაეროს კონვენცია, პრეამბულა, §1.

არიან იმუნიტეტით,¹⁰³⁸ გარდა გაეროს კონვენციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.¹⁰³⁹

გ) გაეროს კონვენცია განასხვავებს იურისდიქციისგან და აღსრულებისგან იმუნიტეტს და ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას და ამ უკანასკნელთან მიმართებით საჭიროა ცალკე თანხმობის გაცხადება.¹⁰⁴⁰ შესაბამისად, გაეროს კონვენციით აღსრულების საკითხი მართლმსაჯულების განხორციელების საკითხისგან დამოუკიდებლად რეგულირდება.¹⁰⁴¹

დ) გაეროს კონვენციის მე-19 მუხლი შეიცავს ტერიტორიული კავშირის მოთხოვნას, კერძოდ, აღსრულებისგან იმუნიტეტის კომერციული გამონაკლისის შემთხვევაში, აღსასრულებლად მისაქცევი ქონება უნდა იმყოფებოდეს „ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“¹⁰⁴²

გაეროს კონვენციის მიზანი იყო სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებული სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის არსებითი ჰარმონიზაცია.¹⁰⁴³ იქიდან გამომდინარე, რომ გაეროს კონვენცია არ არის ჯერ ძალაში შესული, ხელმომწერი ქვეყნები არ არიან ვალდებული სრულად დაიცვან მისი მოთხოვნები, თუმცა ეკისრებათ ვალდებულება, არ ხელყონ კონვენციის საგანი და მიზანი მის ძალაში შესვლამდე.¹⁰⁴⁴ გაეროს კონვენციის პრეამბულაში გამოხატულია კონვენციის ავტორების რწმენა, რომ გაეროს კონვენცია ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციასა და განვითარებას.¹⁰⁴⁵ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კონვენცია არ არის სრულყოფილი მექანიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო

¹⁰³⁸ იქვე, მე-5 მუხლი.

¹⁰³⁹ იქვე, 7-21 მუხლები.

¹⁰⁴⁰ იქვე, მე-20 მუხლი.

¹⁰⁴¹ Yang (სქ. 89) 455.

¹⁰⁴² გაეროს კონვენცია, 19 (c) მუხლი.

¹⁰⁴³ იქვე, პრეამბულა. აღნიშნული მოსაზრების დადასტურებად შეიძლება მიჩნეულ იქნას 2005 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონი, რომელიც ასევე ცენტრალური ბანკის ქონებას ანიჭებს აღსრულებისგან იმუნიტეტს და კრძალავს მის მიმართ როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ისე გამოტანის შემდეგ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. იხ. Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 529-30.

¹⁰⁴⁴ „ვენის კონვენცია სახელმწიფოებო სამართლის შესახებ“, მე-18 მუხლი.

¹⁰⁴⁵ გაეროს კონვენცია, პრეამბულა.

გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში სახელმწიფო იმუნიტეტის დაძლევის კუთხით, მისი ავტორიტეტულობის ყველაზე კარგი განმსაზღვრელი როგორც შიდა,¹⁰⁴⁶ ისე საერთაშორისო სასამართლოების¹⁰⁴⁷ მიერ მისი დებულებების გამოყენებაა.¹⁰⁴⁸

¹⁰⁴⁶ Gerlich (სქ. 388) 64.

¹⁰⁴⁷ იქვე, იხ. ასევე *Jurisdictional Immunities of the State (Germany v Italy: Greece intervening)*, [2012] ICJ 99, 123 <<https://www.icj-cij.org/en/case/143>> [15.03.2021].

¹⁰⁴⁸ იქვე.

VI. სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID კონვენციითა და ნიუ-იორკის კონვენციით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში

1. ICSID გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება

1.1. შესავალი

ICSID კონვენცია „სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ“ შემუშავებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის ჯგუფი) აღმასრულებელი დირექტორების მიერ და არეგულირებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ხელშემკველი სახელმწიფოების მოქალაქეებს – კერძო ინვესტორებს, შორის წამოჭრილი საინვესტიციო დავების გადაჭრას კონსილიაციისა და არბიტრაჟის წესით სპეციალურ საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტში – საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში (შემდგომ – ცენტრი).¹⁰⁴⁹ ICSID კონვენცია ძალაში შევიდა 1966 წლის 14 ოქტომბერს და 154 სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული.¹⁰⁵⁰ ICSID კონვენციის მიზანია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და კერძო უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.¹⁰⁵¹ ამ მხრივ, იგი გამორჩეული საერთაშორისო მექანიზმია, რადგან ქმნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ყოვლისმომცველ და თვითკმარ რეჟიმს, რომელიც ავტონომიურია და დელოკალიზებული ადგილობრივი სასამართლო განხილვისგან, რითაც განსხვავდება ნიუ-იორკის კონვენციისგან.¹⁰⁵²

¹⁰⁴⁹ ICSID კონვენცია, შესავალი, 1(1) მუხლი. ICSID კონვენციით დაფუძნდა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი. საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 1978 წლის 28 სექტემბერს შეიქმნა დამატებითი საშუალებების წესები (ICSID Additional Facility Rules), რომელიც არეგულირებს ისეთ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებს, რომლის მხოლოდ ერთი მხარეა ICSID კონვენციის წევრი. ნიშანდობლივია, რომ საარბიტრაჟო წარმოებაზე, რომელიც წარმართება ICSID Additional Facility Rules-ის თანახმად, არ ვრცელდება ICSID კონვენციის დებულებები, მათ შორის, არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მარეგულირებელი დებულებები. შედეგად, ICSID Additional Facility Rules-ის თანახმად წარმართული საარბიტრაჟო წარმოება არ არის დამოუკიდებელი ადგილობრივი კანონმდებლობისგან და შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხორციელდება ნიუ-იორკის კონვენციის საფუძველზე. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1098.

¹⁰⁵⁰ იხ. <<https://icsid.worldbank.org/en/Pages/icsiddocs/ICSID-Convention.aspx>> [31.10.2020].

¹⁰⁵¹ ICSID კონვენცია, პრეამბულა.

¹⁰⁵² Lucy Reed, Jan Paulsson and Nigel Blackaby, *Guide to ICSID Arbitration* (Kluwer Law International 2010) 181.

მიუხედავად იმისა, რომ ICSID კონვენციის თანახმად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი გადაჭრილია და ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ცენტრის იურისდიქციაზე თანხმობა გულისხმობს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლოებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებად ისევ და ისევ რჩება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი.¹⁰⁵³

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების რეგულირებას ეთმობა კონვენციის 53-ე, 54-ე და 55-ე მუხლები, რომლებიც ნაშრომის მოცემულ ქვეთავში დეტალურად არის განხილული.

1.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობა და შესასრულებლად სავალდებულო ძალა

ICSID კონვენციის თანახმად, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება წარმოიშობა მისი გამოტანის მომენტიდან.¹⁰⁵⁴ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თვითშესრულებადია და მოგებულ მხარეს არ სჭირდება დამატებით სხვა მოქმედებების განხორციელება ამ მიზნით.¹⁰⁵⁵ აღნიშნულს უზრუნველყოფს კონვენციის 53-ე მუხლი, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მხარეებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ აცხადებს და თითოეულ მხარეს აკისრებს მისი შესრულების ვალდებულებას.¹⁰⁵⁶

¹⁰⁵³ Schreuer and others (სქ. 16) 1154.

¹⁰⁵⁴ იქვე, 1111.

¹⁰⁵⁵ Stanimir A Alexandrov, 'Enforcement of ICSID Awards: Articles 53 and 54 of the ICSID Convention' in Christina Binder and others (eds), *International Investment Law for the 21st Century: Essays in Honour of Christoph Schreuer* (Oxford Public International Law 2009) 325.

¹⁰⁵⁶ ICSID კონვენცია, 53(1) მუხლი.

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დამოუკიდებელია არბიტრაჟის ადგილსამყოფელი ქვეყნის სასამართლო კონტროლისგან,¹⁰⁵⁷ იგი არ ექვემდებარება ადგილობრივ სასამართლოებში გასაჩივრებას ან სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებას, გარდა კონვენციით დადგენილი წესისა.¹⁰⁵⁸ აღნიშნული ხაზს უსვამს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობასა და ICSID არბიტრაჟის დელოკალიზებულობას, ასევე ICSID კონვენციის ამომწურავ და ავტონომიურ ხასიათს, რაც აქცევს მას გამორჩეულ და ჭეშმარიტად საერთაშორისო მექანიზმად საინვესტიციო არბიტრაჟში.¹⁰⁵⁹

მხარეების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება დამოუკიდებელია ნებისმიერი სააღსრულებო წარმოებისგან.¹⁰⁶⁰ მეტიც, ICSID კონვენციის 54(1) მუხლით დადგენილი სააღსრულებო ღონისძიებების გატარების მოთხოვნის აუცილებლობა მხარის მიერ წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე მხარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას არ ასრულებს ნებაყოფლობით.¹⁰⁶¹

მხარის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, თუნდაც სააღსრულებო წარმოებისას წარმოშობილი წინააღმდეგობის შედეგად, ICSID კონვენციით ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა.¹⁰⁶² შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარე-სახელმწიფო ICSID კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით სარგებლობს, იგი არ თავისუფლდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

¹⁰⁵⁷ Schreuer and others (სქ. 16) 1103.

¹⁰⁵⁸ ICSID კონვენცია, 53(1) მუხლი. ICSID კონვენცია ითვალისწინებს მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტებას, გადასინჯვას და გაუქმებას კონვენციის 49 (2), 50-ე, 51-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად. იხ. ICSID კონვენციის 53(1) მუხლი. აღსანიშნავია, რომ ICSID კონვენციის 53-ე მუხლის მიზნებისთვის, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად“ მიიჩნევა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც განმარტავს, შეცვლის ან გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას კონვენციის 50-ე, 51-ე და 52-ე მუხლების თანახმად. იხ. ICSID კონვენციის 53(2) მუხლი.

¹⁰⁵⁹ Schreuer and others (სქ. 16) 1103.

¹⁰⁶⁰ იქვე, 1106.

¹⁰⁶¹ იქვე.

¹⁰⁶² იქვე, 1106-07.

შედეგად, სახელმწიფო იმუნიტეტის საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა მიიჩნევა მხარე-სახელმწიფოს მიერ ICSID კონვენციის დარღვევად.¹⁰⁶³

მხარის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესრულების უზრუნველსაყოფად კონვენციით განსაზღვრულია ორი გზა.¹⁰⁶⁴ პირველი გზა გულისხმობს ICSID კონვენციის 54-ე მუხლით დადგენილი ცნობისა და აღსრულების წარმოების წამოწყებას ინვესტორის ან მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ.¹⁰⁶⁵ ხოლო მეორე გზა ითვალისწინებს ინვესტორის სახელმწიფოს მიერ მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ კონვენციის 27-ე და 64-ე მუხლებით დადგენილი დიპლომატიური დაცვის ზომებისადმი ან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის მიმართვას.¹⁰⁶⁶

ICSID კონვენციის 27-ე მუხლით აკრძალულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური დაცვით უზრუნველყოფა ან საერთაშორისო სარჩელის აღძვრა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ თავის ინვესტორსა და სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით, რომლის ICSID კონვენციის თანახმად განხილვაზეც შეთანხმდნენ მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშემკვრელი მხარე-სახელმწიფო არ შეასრულებს ასეთი საარბიტრაჟო წარმოების შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებას.¹⁰⁶⁷ ICSID კონვენციის 64-ე მუხლი კი ითვალისწინებს დავის მხარე-სახელმწიფოს მიერ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის კონვენციის განმარტების ან გამოყენების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში.¹⁰⁶⁸

მხარე-სახელმწიფოს მიერ ICSID კონვენციის 53-ე მუხლით დადგენილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება, მიუხედავად სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის შესაძლებლობისა, აღიარა და დაადასტურა *ad hoc*

¹⁰⁶³ იქვე.

¹⁰⁶⁴ იქვე, 1108.

¹⁰⁶⁵ იქვე.

¹⁰⁶⁶ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 294.

¹⁰⁶⁷ ICSID კონვენციის მუხლი 27(1).

¹⁰⁶⁸ იქვე, 64-ე მუხლი.

კომიტეტმა ისეთ საქმეებზე, როგორცაა *MINE v Guinea*¹⁰⁶⁹ და *Mitchell v DR Congo*.¹⁰⁷⁰ *Ad hoc* კომიტეტის აზრით, სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსრულებლობამ, გარდა იმისა, რომ შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ICSID კონვენციის 27-ე და 64-ე მუხლებით განსაზღვრული შედეგები, ასევე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ამ სახელმწიფოს მდგომარეობაზე საერთაშორისო დაფინანსების გაგრძელების, ან სხვა ინვესტიციების შემოდინების კუთხით.¹⁰⁷¹ მართალია, ზემოხსნებული საშუალებები მხოლოდ მხარე-სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დიპლომატიური დაცვის უფლება, მათ შორის, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, ასევე წარმოადგენს ICSID კონვენციის 55-ე მუხლით დაცული სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენების საპირწონეს ინვესტორისათვის.¹⁰⁷²

1.3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო, როგორც დავის მხარე

ICSID კონვენციის 25 (1) მუხლის თანახმად, ცენტრის იურისდიქცია ვრცელდება ხელშემკრელი სახელმწიფოს ინვესტორსა და სხვა ხელშემკრელ სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ნებისმიერ საინვესტიციო დავაზე, რომლის ICSID ცენტრის მეშვეობით

¹⁰⁶⁹ იხ. *MINE v Guinea*, ICSID Case №ARB/84/4, Interim Order №1 of 12 August 1988, § 25, <<https://jsumundi.com/en/document/other/en-maritime-international-nominees-establishment-v-republic-of-guinea-interim-order-1-friday-12th-august-1988>> [07.02.2020]; *Mitchell v DR Congo*, ICSID Case №ARB/99/7, Decision on the Stay of Enforcement of the Award of 30 November 2004, (2005) 20 ICSID Review – Foreign Investment Law Journal 598. *ad hoc* - მხოლოდ ამისთვის, მხოლოდ ამ შემთხვევისთვის (სპეციალური). თარგმანი ლათინურიდან, იხ. კაპანაძე და კვაჭაძე (სქ. 8) 5.

¹⁰⁷⁰ *Mitchell v DR Congo*, Interim Order No. 1, 12 August 1988, § 25.

¹⁰⁷¹ *Mitchell v DR Congo*, Decision on the Stay of Enforcement of the Award, 30 November 2004, § 41.

¹⁰⁷² Schreuer and others (სქ. 16) 427. აღსანიშნავია, რომ აღსრულება და დიპლომატიური დაცვის უფლება შეიძლება ერთდროულად იქნას გამოყენებული. ცხადია, მას შემდეგ რაც ერთ-ერთი საშუალების შედეგად წარმატება იქნება მიღწეული, მეორე საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1120.

გადაჭრის თაობაზე მხარეები წერილობით შეთანხმდებიან.¹⁰⁷³ თუმცა, ICSID კონვენცია ასევე ითვალისწინებს დავაში ინვესტორის ოპონენტად სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს ყოფნის შესაძლებლობასაც, იმ პირობით, რომ ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს თანხმობა ცენტრის იურისდიქციაზე აღიარებული იქნება ამ სახელმწიფოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო აცნობებს ცენტრს, რომ ასეთი აღიარება არ არის საჭირო.¹⁰⁷⁴

შედეგად, ICSID კონვენცია იძლევა შესაძლებლობას, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო იყოს ICSID დავის მხარე დამოუკიდებლად ან მასპინძელ სახელმწიფოსთან ერთად.¹⁰⁷⁵ აღნიშნული პრაქტიკული და მნიშვნელოვანია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, საინვესტიციო საარბიტრაჟო საქმეები მიმდინარეობს არა ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის, არამედ ინვესტორსა და სახელმწიფო ერთეულს შორის, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, მაგრამ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია იურიდიულად, ან ინვესტორსა და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს შორის.¹⁰⁷⁶

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს“ ცენტრისთვის წარდგენა თავად ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ხდება, ხელშემკვრელი სახელმწიფოს „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს“ ცენტრის¹⁰⁷⁷ ზუსტ

¹⁰⁷³ ICSID კონვენცია, 25(1) მუხლი. იხ. ასევე Aron Broches, 'Convention on the Settlement of Investment Disputes: Some Observations on Jurisdiction', (1966) 5 Columbia Journal of Transnational Law 263, 263-280.

¹⁰⁷⁴ ICSID კონვენცია, 25(3) მუხლი. ICSID კონვენციაში ასეთი ჩანაწერის გაკეთება განაპირობა იმან, რომ ასეთი მოწონება შეიძლება არ შეესაბამებოდეს ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციას. მაგალითად, როდესაც რომელიმე კონკრეტული საკითხის გადაჭრა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, არაკონსტიტუციური იქნებოდა ცენტრალური მთავრობის მიერ აღიარების მოთხოვნა. იხ. Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 298.

¹⁰⁷⁵ Schreuer and others (სქ. 16) 149.

¹⁰⁷⁶ იქვე.

¹⁰⁷⁷ „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის“ ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ტერიტორიული ერთეული, რომელიც სახელმწიფოს სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო „დაწესებულების“ განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ერთეულის ფუნქციური დანიშნულება და არა მისი სტრუქტურული კუთვნილება (სტატუსი). შესაბამისად, ეს „დაწესებულება“ არის თუ არა კორპორაცია, არის თუ არა სახელმწიფოს კუთვნილებაში და გააჩნია თუ არა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტურობა, მეორადი მნიშვნელობისაა. მთავარია, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს „დაწესებულება“ ახორციელებდეს

განმარტებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან წარდგენა ქმნის პრეზუმფციას, რომ ნომინირებული ერთეული, სწორედაც რომ ICSID კონვენციით გათვალისწინებული „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო.“¹⁰⁷⁸

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს თანხმობა ცენტრის იურისდიქციაზე არ გულისხმობს მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობასაც,¹⁰⁷⁹ მიუხედავად იმისა, რომ თანხმობა საჭიროებს მასპინძელი სახელმწიფოს აღიარებას.¹⁰⁸⁰ შესაბამისად, ICSID კონვენციის 53 (1) მუხლის თანახმად, შესრულების ვალდებულება ეკისრება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ან სააგენტოს, როგორც დავის მხარეს, და არა მასპინძელ სახელმწიფოს.¹⁰⁸¹ იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ შემთხვევაში მასპინძელი სახელმწიფო არ არის დავის მხარე, იგი ვერც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებაზე იქნება პასუხისმგებელი და პირიქით, არც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ან სააგენტოს დაეკისრება მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება.¹⁰⁸²

თუმცა, ICSID კონვენციის მოსამზადებელ მასალებში არის გარკვეული მინიშნება იმაზე, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო იქნება პასუხისმგებელი მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებაზე.¹⁰⁸³

საგულდაგულო ანალიზის შედეგად, არონ ბროშე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო

საჯარო უფლებამოსილებას და მოქმედებდეს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელით. Schreuer and others (სქ. 16) 153. პრაქტიკაში ასეთი ერთეულების ქვეშ მოიაზრება პოლიტიკური ქვედანაყოფები, სახელმწიფო კორპორაციები და მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებები. იხ. Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 296.

¹⁰⁷⁸Schreuer and others (სქ. 16) 154. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი წყვეტს ასეთი ერთეულის შესაბამისობას ICSID კონვენციის მოთხოვნებთან ცენტრის იურისდიქციაზე მსჯელობისას ICSID კონვენციის 32-ე და 42-ე მუხლების თანახმად. იხ. Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 295-98.

¹⁰⁷⁹ იქვე, 1100.

¹⁰⁸⁰ შესაბამისად, არც თანხმობის აღიარება მიიჩნევა მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობად ცენტრის იურისდიქციაზე. იქვე, 1100-01.

¹⁰⁸¹ Schreuer and others (სქ. 16) 1100.

¹⁰⁸² იქვე, 110-01.

¹⁰⁸³ იხ. ვრცლად, Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 295-98.

აკმაყოფილებს ICSID კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს წარდგენასა და აღიარებასთან დაკავშირებით და აღნიშნულმა სახელმწიფო ერთეულმა განაცხადა თანხმობა სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ინვესტორთან დავის ცენტრში განხილვის თაობაზე, მასპინძელი ხელშემკვრელი სახელმწიფო პასუხისმგებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო მოქმედებს თუ არა მასპინძელი სახელმწიფოსთვის ან გამოდის თუ არა იგი მასპინძელი სახელმწიფოს სახელით.¹⁰⁸⁴

ამასთან დაკავშირებით პროფესორი შროიერი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული შესრულების პასუხისმგებლობა მასპინძელ სახელმწიფოს ეკისრება არა როგორც დავის მხარეს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოვალეს, არამედ, როგორც ICSID კონვენციის 25-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, წარდგენისა და აღიარების უფლებამოსილების მქონე ორგანოს, ასევე, ICSID კონვენციის 54 (1) მუხლის მიხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ვალდებულებიდან და ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.¹⁰⁸⁵ მდგომარეობა იცვლება, როდესაც, ამა თუ იმ მიზეზით, მასპინძელი სახელმწიფო აუქმებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს ICSID კონვენციით განსაზღვრულ საპროცესო ქმედუნარიანობას თანხმობის მოწონების შემდეგ.¹⁰⁸⁶ ასეთ შემთხვევაში, საფუძვლიანია, რომ ICSID კონვენციის მიზნებისთვის მასპინძელი ქვეყანა გახდეს აღნიშნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს სამართალმემკვიდრე.¹⁰⁸⁷ თუმცა, გართულებების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, ინვესტორმა ასევე უზრუნველყოს ცენტრის იურისდიქციაზე მასპინძელი სახელმწიფოს დამოუკიდებელი თანხმობა იმ შემთხვევისთვის, თუ მასპინძელი სახელმწიფო ჩაერთვება საინვესტიციო ურთიერთობაში ზემოხსენებული სახით.¹⁰⁸⁸

¹⁰⁸⁴ იქვე, 298.

¹⁰⁸⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1101.

¹⁰⁸⁶ მაგ., აღნიშნული სახელმწიფო ერთეულის ადმინისტრაციული სტრუქტურა შეიცვალა, გაუქმდა ან მისი პრივატიზება განხორციელდა. იხ. იქვე, 170-71.

¹⁰⁸⁷ იქვე, 341.

¹⁰⁸⁸ იქვე, 170.

თუმცა, იმის გამო, რომ მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ გაუკეთა წარდგენა იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს თუ სახელმწიფო დაწესებულებას, რომლებიც სახელმწიფოს სახელით შეიძლება გამოვიდნენ მხარედ ICSID დავაში, ინვესტორი იძულებულია საარბიტრაჟო დავა წამოიწიოს მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედების სახელმწიფოსადმი მიკუთვნებადობის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია „საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ“ საერთაშორისო სამართლის კომისიის მუხლებით.¹⁰⁸⁹

შედეგად, წარდგენა არ უნდა გაიგივდეს მიკუთვნებადობასთან.¹⁰⁹⁰ ICSID ტრიბუნალმა თავის გადაწყვეტილებებში ცნო განსხვავება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან სააგენტოს ქმედებისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობასა და იმ შემთხვევას შორის, როდესაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ან სააგენტო დავის მხარედ გამოდის.¹⁰⁹¹ სახელმწიფო ერთეულების ქმედებების მიკუთვნება შესაბამისი სახელმწიფოსათვის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში აისახა.¹⁰⁹² ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა ან სააგენტოს წარდგენა პროცედურული ხასიათის ქმედებაა და იგი არ ახდენს გავლენას

¹⁰⁸⁹ International Law Commission Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts of 2001, General Assembly resolution 56/83 of 12 December 2001, A/56/49(Vol. I)/Corr.4, მუხლები 4-11 <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/9_6_2001.pdf> [31.10.2020]; ვრცლად იხ. Csaba Kovacs, *Attribution in International Investment Law, International Arbitration Law Library* (Kluwer Law International 2018) 55-234; Luca Schicho, 'The Relationship between a State and State Entities: A Matter of Jurisdiction or of the Merits?' in Nikolaus Pitkowitz and others (eds), *Austrian Yearbook on International Arbitration 2011*, (Manzsche Verlags- und Universitätsbuchhandlung 2011) 367-383.

¹⁰⁹⁰ Schreuer and others (სქ. 16) 150.

¹⁰⁹¹ მაგ., იხ. *Vivendi v Argentina*, Decision on Annulment, 3 July 2002, para. 96; *Generation Ukraine v Ukraine*, Award, 16 September 2003, paras. 10.2-10.7; *Impregilo v Pakistan*, Decision on Jurisdiction, 22 April 2005, para. 107.

¹⁰⁹² მაგ. იხ. *Maffezini v Spain*, Decision on Jurisdiction, 25 January 2000, paras. 71-89; *Maffezini v Spain*, Award, 13 November 2000, paras. 44-64, 72-83; *Wena Hotels v Egypt*, Award, 8 December 2000, paras. 65-69, 82, 84, 110; *Wena Hotels v Egypt*, Decision on Annulment, 5 February 2002, paras. 30, 33, 35; *Genin v Estonia*, Award, 25 June 2001, para. 327; *Tanzania Electric v IPTL*, Award, 12 July 2001, para. 13; *Salini v Morocco*, Decision on Jurisdiction, 23 July 2001, paras. 28-35; *Generation Ukraine v Ukraine*, Award, 16 September 2003, paras. 8.12, 10.1-10.7; *Autopista v Venezuela*, Award, 23 September 2003, paras. 125-128; *Salini v Jordan*, Decision on Jurisdiction, 29 November 2004, paras. 80-92, 157; *Impregilo v Pakistan*, Decision on Jurisdiction, 22 April 2005, para. 210; *Jan de Nul v Egypt*, Decision on Jurisdiction, 16 June 2006, paras. 83-89; *Helnan v Egypt*, Decision on Jurisdiction, 17 October 2006, paras. 82-95; *Saipem v Bangladesh*, Decision on Jurisdiction, 21 March 2007, paras. 146-149; *Kardassopoulos v. Georgia*, Decision on Jurisdiction, 6 July 2007, paras. 189-191. იხ. ასევე Covacs (სქ. 1089) 367-383.

მასპინძელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხზე და სახელმწიფო ერთეულის, როგორც დავის მხარის სტატუსი არ არის დამოკიდებული სახელმწიფოსათვის სახელმწიფო ერთეულის ქმედების მიკუთვნებადობასთან.¹⁰⁹³ იმ შემთხვევაში, როდესაც მიკუთვნებადობა დგინდება, სახელმწიფო ალტერნატიულ ან დამატებით მოპასუხედ გამოდის, მიუხედავად წარდგენის არსებობისა.¹⁰⁹⁴

1.4. ცნობა და აღსრულება¹⁰⁹⁵ 54-ე მუხლის თანახმად

1.4.1. ზოგადი მიმოხილვა

ICSID კონვენციის 54 (1) მუხლი კონვენციით დადგენილი ცნობისა და აღსრულების ავტომატური მექანიზმის საფუძველს წარმოადგენს.¹⁰⁹⁶ თუ კონვენციის 53-ე მუხლი მხოლოდ დავის მხარეთა ვალდებულებას შეეხება, 54-ე მუხლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ვალდებულებას აკისრებს კონვენციის ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს.¹⁰⁹⁷ კერძოდ, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია ICSID კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნოს შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ამ გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება თავის ტერიტორიაზე ისე, როგორც ამ სახელმწიფოში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹⁰⁹⁸

¹⁰⁹³ Schreuer and others (სქ. 16) 152.

¹⁰⁹⁴ იქვე.

¹⁰⁹⁵ ICSID კონვენციის ოფიციალურ ინგლისურ ტექსტში 54-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში გამოყენებულია სიტყვა 'enforce', ხოლო მე-3 პუნქტში - სიტყვა 'execution' მაშინ, როცა ტერმინოლოგიური განსხვავება არ გვხვდება ასევე ოფიციალური ფრანგული და ესპანური ტექსტების 54-ე მუხლში. პროფესორ შროიერის აზრით, ტექსტებს შორის ტერმინოლოგიური შეუსაბამობა მიზანშეწონილია სახელმკვრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 33(4) მუხლის საფუძველზე გადაიჭრას და ტერმინები 'enforcement' და 'execution' ერთი და იგივე მნიშვნელობით იქნას გამოყენებული. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1100) 1136. ქართულად 'enforcement' და 'execution' ითარგმნება როგორც „აღსრულება“. შესაბამისად, ტერმინების გასამიჯნად წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის 'enforcement' თარგმნილი იქნება როგორც - „აღსრულება“, ხოლო 'execution', როგორც - „იძულებითი აღსრულება“. ტერმინოლოგიურ შეუსაბამობაზე ვრცლად იხ. გვ. 242-45.

¹⁰⁹⁶ Reed, Paulsson and Blackaby (სქ. 1052) 182.

¹⁰⁹⁷ იქვე.

¹⁰⁹⁸ ICSID კონვენცია, 54(1) მუხლი.

შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოს აკისრია ორი ვალდებულება: ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოდ და აღსრულოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გათანაბრებულია ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ორივე შემთხვევაში, რაც წარმოადგენს ICSID კონვენციის ძირეულ აზრს და გულისხმობს იმას, რომ თუ ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება აღსრულებადია, ამ სახელმწიფოში ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც ექვემდებარება აღსრულებას.¹⁰⁹⁹

ICSID კონვენციით მხოლოდ ფულადი ვალდებულების აღსრულების დაკისრება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული არაფულადი ვალდებულების რომელიმე ფორმა შესაძლოა გათვალისწინებული არ იყოს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც აღსრულება მოითხოვება, ხოლო ფულადი ვალდებულების აღსრულებას, სავარაუდოდ, ყველა სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს.¹¹⁰⁰

¹⁰⁹⁹ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 316-17; The History of the ICSID Convention, Documents Concerning the Origin and the Formulation of the Convention, Vol. 2, Part 2, 1968, 889, <<https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/History%20of%20ICSID%20Convention%20%20VOLUME%20II-2.pdf>> [15.03.2020]. აღნიშნულთან დაკავშირებით ICSID კონვენციაზე მომუშავე აღმასრულებელი დირექტორების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ დებულების მიზანია ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან გათანაბრება მხოლოდ და არ აიძულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს განახორციელონ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება იმ შემთხვევაში, როდესაც საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. შესაბამისად, თუ ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება აღსრულებადია, ამ სახელმწიფოში ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც ექვემდებარება აღსრულებას. ამგვარი გაიგივება თავისთავში მოიცავს შესაძლებლობას, წარმოშვას ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი კანონმდებლობა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის გამონაკლის საფუძვლებს უშვებს. თუმცა, პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტია. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1142-1143.

¹¹⁰⁰ Giuliana Cane, 'The enforcement of ICSID Awards: Revolutionary or Ineffective' (2004) 15 The American Review of International Arbitration 456; იხ. ასევე Sergia Carias-Borjas, 'Recognition and Enforcement of ICSID Awards: The Decision of the French Cour de Cassacion in SOABI v Senegal' (1991) 2 The American Review of International Arbitration 359; Aron Broches, 'Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States of 1965, Explanatory Notes and Survey of its Application' (1993) 18 Yearbook of Commercial Arbitration 703-704.

ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს მხარისათვის არაფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრების უფლებას, თუმცა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ამ უკანასკნელის შესრულების შეუძლებლობა კონკრეტულ შემთხვევაში და უზრუნველყოს მისი ფულადი ალტერნატივით ჩანაცვლება, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში.¹¹⁰¹

1.4.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის დაუშვებლობა

მხარე, რომელსაც სურს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოითხოვოს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა ან აღსრულება, ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ სასამართლოში ან ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ დასახელებულ სხვა უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს გენერალური მდივნის მიერ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლი.¹¹⁰² მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენტურ სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს ევალება მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობის შემოწმება, რაც გამორიცხავს სასამართლო კონტროლის განხორციელებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესზე. შესაბამისად, ადგილობრივ ორგანოებს არ აქვთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსებითად გადასინჯვის ან ტრიბუნალის იურისდიქციის და საარბიტრაჟო წარმოების სამართლიანად და კანონის შესაბამისად ჩატარების შემოწმების უფლებამოსილება.¹¹⁰³ ამით ICSID კონვენცია

¹¹⁰¹ Christopher H Schreuer, 'Non-Pecuniary Remedies in ICSID Arbitration' (2004) 20 *Arbitration International* 332.

¹¹⁰² ICSID კონვენცია, 54(2) მუხლი.

¹¹⁰³ იხ. *MTD Equity Sdn Bhd & MTD Chile SA v Republic of Chile*, ICSID Case №ARB/01/7, Decision on the Respondent's Request for a Continued Stay of Execution of 1 June 2005, para 31, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0545.pdf>> [07.04.2020]; *CMS Gas Transmission Company v Argentine Republic*, ICSID Case №ARB/01/8, Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award of 1 September 2006, para 40, <http://icsidfiles.worldbank.org/icsid/ICSIDBLOBS/OnlineAwards/C4/DC505_En.pdf> [07.04.2020]; Antonio P Parra, The Enforcement of ICSID Arbitral Awards, 24th Colloquium on International Arbitration, Paris, November 2007, <https://www.arbitration-icca.org/media/4/39889320043113/media012144885278400enforcement_of_icsid_awards.pdf> [19.03.2020].

განსხვავდება არა-ICSID-კონვენციური გადაწყვეტილებებისგან, რომლებიც შეიძლება გადაისინჯოს ადგილობრივი კანონმდებლობის ან შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, მაგალითად, ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს.¹¹⁰⁴

აღსანიშნავია, რომ ICSID კონვენციის თანახმად გამორიცხულია ადგილობრივი სასამართლოების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა იმ სახელმწიფოს საჯარო წესრიგთან გადაწყვეტილების შეუსაბამობის შემთხვევაშიც კი, სადაც მოითხოვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ასევე საერთაშორისო საჯარო წესრიგთან ან ზოგადად საერთაშორისო სამართალთან შეუსაბამობის საფუძველით.¹¹⁰⁵

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის დაუშვებლობა ICSID კონვენციის გამორჩეული თავისებურებაა, თუმცა, როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, სასამართლოებმა ბოლომდე ვერ გააცნობიერეს ამგვარი უფლებამოსილების არქონა.¹¹⁰⁶ მაგალითად, საქმეზე *Benvenuti & Bonfant v Congo*¹¹⁰⁷ პარიზის პირველი ინსტანციის სასამართლომ *exequatur*-ის გაცემისას გამოიკვლია ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობა ფრანგულ სამართალსა და საჯარო წესრიგთან ICSID კონვენციის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.¹¹⁰⁸ ასევე, საქმეზე *SOABI v Senegal*¹¹⁰⁹ საფრანგეთის საკასაციო სასამართლო იძულებული გახდა შეეხსენებინა სააკველიციო

¹¹⁰⁴ ICSID კონვენციის 52-ე მუხლი ჩამოთვლის ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ცენტრის ფარგლებში სპეციალურად შექმნილი *ad hoc* კომისიის მიერ. აღსანიშნავია, რომ 52-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე საფუძველი ემთხვევა ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლით განსაზღვრულ აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს. იხ. ნიუ-იორკის კონვენცია, მუხლი 5; *Sempra Energy International v Argentine Republic*, ICSID Case №ARB/02/16, Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award of 5 March 2009, 7, <http://icsidfiles.worldbank.org/icsid/ICSIDBLOBS/OnlineAwards/C8/DC991_En.pdf> [09.04.2020]; Josefa Sicard-Mirabal and Yves Derains, *Introduction to Investor-State Arbitration* (Kluwer Law International 2018) 243-245.

¹¹⁰⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1124, 1141.

¹¹⁰⁶ იქვე, 1141.

¹¹⁰⁷ *Benvenuti & Bonfant v Congo*, ICSID Case №ARB/77/2, Decisions of Tribunal de Grande Instance, Paris of 23/12/1980, 13/01/1981, 1 ICSID Reports, 1993, 368.

¹¹⁰⁸ George R Delaume, 'France: Court of Appeals of Paris Judgement Concerning Recognition and Enforcement of Award in Context of ICSID Convention' (1981) 20(4) International Legal Materials 877-882.

¹¹⁰⁹ *SOABI v Senegal*, ICSID Case №ARB/82/1, Decision of Cour de Cassation, Paris, 11 June 1991, 2 ICSID Reports, 1994, 341.

სასამართლოსთვის, რომ ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლებით გათვალისწინებული რეჟიმი გამორიცხავდა საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცედურების გამოყენებას ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.¹¹¹⁰ არგენტინაში კი ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მიერ შემოთავაზებული იქნა, რომ ადგილობრივ სასამართლოებს მინიჭებოდათ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლებამოსილება არგენტინაში მათი ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში.¹¹¹¹ ასეთი მიდგომა შესაძლოა გამართლებული იყოს ადგილობრივი კონსტიტუციური სამართლის საფუძველზე, თუმცა იგი ეწინააღმდეგება არგენტინის მიერ ICSID კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს.¹¹¹²

1.4.3. ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ფედერალური მოწყობის ხელშემკვრელ სახელმწიფოში

ICSID კონვენციის 54 (1) მუხლი ცალკე არეგულირებს ფედერალური მოწყობის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას და ადგენს, რომ ფედერალური მოწყობის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მიეკუთვნოს ფედერალური სასამართლოების განსჯადობას და უზრუნველყოფილ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ისეთივე რეჟიმისადმი დაქვემდებარება, როგორსაც ექვემდებარება შემადგენელი შტატის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹¹¹³ შედეგად, ცნობისა და აღსრულების მიზნით, სათანადო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო

¹¹¹⁰ Schreuer and others (სქ. 16) 1124, 1141.

¹¹¹¹ Inna Uchkunova and Oleg Temnikov, 'Enforcement of Awards Under the ICSID Convention – What Solutions to the Problem of State Immunity?' (2014) 29(1) ICSID Review- Foreign Investment Law Journal 191-192.

¹¹¹² Osvaldo J Marzorati, 'Enforcement of Treaty Awards and National Constitutions (The Argentinian Cases)' (2006) 7 Business Law International 239. იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-1858-შ-53-09.

¹¹¹³ ICSID კონვენცია, 54(1) მუხლი.

გადაწყვეტილების ასლით მხარემ უნდა მიმართოს კომპეტენტურ ფედერალურ სასამართლოს ICSID კონვენციის 54(2) მუხლის თანახმად.¹¹¹⁴

აღსანიშნავია, რომ ICSID კონვენცია არ იძლევა რაიმე ინსტრუქციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროცედურა უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სასამართლომ ან უფლებამოსილმა ორგანომ მას შემდეგ, რაც მხარე წარადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებულ ასლს ICSID კონვენციის 54(2) მუხლის თანახმად, გარდა იმისა, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ICSID კონვენციის საიმპლემენტაციო კანონმდებლობის მიღება,¹¹¹⁵ რაც განახორციელა კიდევ რიგმა სახელმწიფოებმა, თუმცა არა ყველამ.¹¹¹⁶

საყურადღებოა ICSID კონვენციის საიმპლემენტაციო კანონმდებლობა აშშ-ში (შემდგომ - 1966 წლის აქტი),¹¹¹⁷ რომელიც ადგენს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების აღსრულებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისათვის ისეთივე აღიარებისა და ნდობის (in full faith and credit) მინიჭების ვალდებულებას, როგორც ეს რომ ყოფილიყო რომელიმე შტატის საერთო განსჯადობის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹¹¹⁸ ექსკლუზიური განსჯადობა კი 1966 წლის აქტით მიენიჭა აშშ-ის ფედერალურ რაიონულ სასამართლოებს.¹¹¹⁹

1966 წლის აქტით ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სასამართლო გადაწყვეტილებასთან გათანაბრება და მათზე აღიარებისა და ნდობის კონსტიტუციური მოთხოვნის გავრცელება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აშშ-ის ფედერალურ სასამართლოებს ეძლევათ უფლებამოსილება შეამოწმონ ტრიბუნალის იურისდიქციის საკითხი და გამოიკვლიონ საარბიტრაჟო წარმოებისას სამართლიანი პროცესის

¹¹¹⁴ იქვე, 54(2) მუხლი.

¹¹¹⁵ იქვე, 69-ე მუხლი.

¹¹¹⁶ 'Contracting States and Measures taken by them for the Purpose of the Convention' ICSID/8 (February 2019) <<https://icsid.worldbank.org/en/Documents/icsiddocs/ICSID%208Contracting%20States%20and%20Measures%20Taken%20by%20Them%20for%20the%20Purpose%20of%20the%20Convention.pdf>> [01.11.2020].

¹¹¹⁷ The Convention on the Settlement of Investment Disputes Act of 1966, (შემდგომ - 22 USC) 1650-ე და 1650(a) მუხლები.

¹¹¹⁸ 22 USC, 1650(a)(a) მუხლი.

¹¹¹⁹ იქვე, 1650(a)(b) მუხლი.

პრინციპის დაცვის საკითხი,¹¹²⁰ რაც გამოიწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე შტატებში დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის მექანიზმის გავრცელებას, თუმცა აღნიშნული ეწინააღმდეგება ICSID კონვენციის მოთხოვნებს.¹¹²¹

აშშ-ის სასამართლოების მიერ 1966 წლის აქტის შეფარდებასთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ საქმეზე *LETCO v Liberia* გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების გადაწყვეტილებაში ნიუ-იორკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ 1966 წლის აქტის ციტირების შემდეგ მიუთითა, რომ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მიენიჭა „იგივე ძალა, როგორც ეს რომ ყოფილიყო *იმავე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება*“, ნაცვლად „რომელიმე შტატის საერთო განსჯადობის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისა“, როგორც ამას ითხოვს 1966 წლის აქტი.¹¹²² ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება არ გაამახვილა არც აღნიშნული გადაწყვეტილების გამსაჩივრებელმა ლიბერიამ და არც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ რაიონული სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილების გადასინჯვისას.¹¹²³

1966 წლის აქტი ასევე ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის საჭირო პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საფუძველს¹¹²⁴ და ეჭვქვეშ დააყენა ICSID კონვენციით დადგენილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაციისა და აღსრულების მარტივი პროცედურის საკითხი.¹¹²⁵ ამ მხრივ, აშშ-ის სასამართლოების პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რაც გამოიხატება,

¹¹²⁰ Thus Coli, 'United States Enforcement of Arbitral Awards Against Sovereign States: Implications of the ICSID Convention' (1976) 17 Harvard International Law Journal 410-13.

¹¹²¹ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 322.

¹¹²² *LETCO v Liberia* (USDC, SDNY, Order of 5 September 1986), (1986) 2 ICSID Reports 384.

¹¹²³ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 325.

¹¹²⁴ Sophie Davin, 'Enforcement of ICSID Awards in the United States: Should the ICSID Convention be Read as Allowing a 'Second Bite at the Apple'?' (2016) 44 New York University Journal of International Law and Politics 1274, 1287, 1290, 1292. იხ. ასევე *Micula v Government of Romania (Micula I)* 104 F Supp 3rd 42, 51 (D.D.C. 2015) 48.

¹¹²⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1124, 1144.

ერთი მხრივ, სასამართლოების მიერ *ex parte* პროცედურისთვის მხარდაჭერით¹¹²⁶ და მეორე მხრივ, საერთო საფუძველზე სასარჩელო წარმოების მოთხოვნით.¹¹²⁷

მართალია, ამ მხრივ დეტალებს არც ICSID კონვენცია შეიცავს. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ICSID კონვენციის 54(3) მუხლის თანახმად, იძულებითი აღსრულება (execution) რეგულირდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მარეგულირებელი ადგილობრივი კანონმდებლობით და შესაბამისად, ეს ნორმები განსხვავებულია ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით, უშუალოდ იძულებითი სააღსრულებო წარმოების ღონისძიებების განხორციელებამდე ICSID კონვენცია ადგენს გამარტივებულ პროცედურას ცნობისა და აღსრულებისათვის (recognition and enforcement), რაც გამოიხატება კომპეტენტურ ორგანოში მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლის წარდგენაში. აღნიშნული, ბროშეს აზრით, ასევე გამორიცხავს ამ მიზნით საერთო საფუძველით სასარჩელო წარმოების დაწყებას.¹¹²⁸ ეს მოსაზრება გაიზიარა არა მარტო აშშ-ის რიგმა რაიონულმა სასამართლოებმა,¹¹²⁹ არამედ ასევე ფრანგულმა სასამართლოებმაც.¹¹³⁰

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ICSID კონვენციამ შექმნა ხელშემკვრელ სახელმწიფოებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების გამარტივებული რეჟიმი, რომელიც მოიცავს *ex parte* პროცედურას და ითვალისწინებს ადგილობრივი სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ნამდვილობის შემოწმების უფლებამოსილებას და ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან

¹¹²⁶ See *LETCO v Liberia*, No. M-68 (SDNY 1986); *Enron Corp & Ponderosa Assets LP v Argentine Republic*, No. M-82, Dkt 26, Ex. 3 (SDNY 2007) (order recognizing ICSID award and entering as a judgment); *Sempra Energy Int'l v Argentine Republic* No. M-82, Dkt. 26, Ex. 3 (SDNY 2007) (order recognizing ICSID award and entering as a judgment); *Siag v Arab Republic of Egypt* No. M-82 (SDNY 2009); *Mobil Cerro Negro Ltd v Bolivarian Republic of Venezuela* 87 F Supp 3rd 573, 580 (SDNY 2015); *Mimincó v Democratic Republic of the Congo* 79 F Supp 3rd 213, 216 (DDC 2015); *Micula v Government of Romania (Micula II)*, No. 15 Misc. 107 (Part I) (SDNY 2015). იხ. ასევე Davin (სქ. 1124) 1264-1292.

¹¹²⁷ იხ. *Blue Ridge Invs LLC v Republic of Argentina* 735 F3d 72 (2nd Cir 2013); *Micula v Gov'ernment of Romania (Micula I)* 104 F Supp 3rd 42 (DDC 2015); *Continental Casualty Co v Argentine Republic* 893 F Supp 2nd 7 752 (ED Va 2012); *Ioan Micula et al v Government of Romania* (United States Court of Appeals, 2nd Cir 2018), (2018) 43 Yearbook Commercial Arbitration 43. იხ. ასევე Davin (სქ. 1124) 1264-1292.

¹¹²⁸ Schreuer and others (სქ. 16) 1124, 1147.

¹¹²⁹ იქვე.

¹¹³⁰ იხ. *SOABI v Senegal* (სქ. 1109), *Benvenuti & Bonfant v Congo* (სქ. 1107).

გათანაბრებას, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხელშემკვრელ სახელმწიფოებში მაინც არაერთგვაროვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, ICSID კონვენციის საიმპლემენტაციო კანონმდებლობის შეუსაბამობაში კონვენციის მიზნებთან და, მეორე მხრივ, სასამართლოების მიერ ამ კანონმდებლობის განსხვავებულ ინტერპრეტაციაში.

1.4.4. ცნობა, აღსრულება და იძულებითი აღსრულება

ICSID კონვენციის 54-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები საუბრობენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, ხოლო 54-ე მუხლის მესამე პუნქტი ადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას არეგულირებს იმ ქვეყნის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით, რომლის ტერიტორიაზეც მოითხოვება აღსრულება.¹¹³¹ შედეგად, შესაძლოა რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში შეუძლებელი გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება ამ სახელმწიფოში მოქმედი სააღსრულებო წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის თავისებურებათა გამო, თუმცა ეს არ ახდენს გავლენას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობასა და მისი გადასინჯვის დაუშვებლობაზე და არც 53-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მხარეთა ვალდებულებაზე, შეასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.¹¹³²

1.4.4.1. ცნობა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს გადაწყვეტილების ავთენტურობისა და მისი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების

¹¹³¹ ICSID კონვენცია, 54-ე მუხლი.

¹¹³² Schreuer and others (სქ. 16) 1149.

ოფიციალურ დადასტურებას.¹¹³³ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცედურა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, იგი შეიძლება მოითხოვდეს გარკვეულ სამართლებრივ პროცედურას ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვას, რაც გამორიცხულია ICSID კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში.¹¹³⁴ ამ მხრივ, ადგილობრივი სასამართლოს ან ამისათვის სპეციალურად განსაზღვრული ორგანოს უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნამდვილობის შემოწმებით.¹¹³⁵

ცნობის შედეგად ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იძენს პრეიუდიციულ - *res judicata* - ძალას¹¹³⁶ და ქმნის აღსრულების კანონიერ საფუძველს.¹¹³⁷

აღსანიშნავია, რომ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ვალდებულება ვრცელდება მთლიანად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, განსხვავებით აღსრულების ვალდებულებისგან, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების აღსრულებით.¹¹³⁸ შესაბამისად, რეალური (ნატურით) შესრულების ვალდებულება, როგორცაა რესტიტუცია, ან რაიმე ქმედების შესრულების ან მისი შესრულებისგან თავის შეკავების ვალდებულება, ექვემდებარება ცნობას და სარგებლობს *res judicata* ძალით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღნიშნული ვალდებულებები არ ექვემდებარება აღსრულებას.¹¹³⁹

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა ექვემდებარება მხოლოდ ICSID კონვენციის მოთხოვნებს და ცნობაზე უარის თქმა დაუშვებელია ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე, განსხვავებით იძულებითი აღსრულებისგან, რომელიც ხორციელდება იმ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მოითხოვება

¹¹³³ იქვე, 1128.

¹¹³⁴ Cane (სქ. 1100) 445-46.

¹¹³⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1128.

¹¹³⁶ იქვე.

¹¹³⁷ George R Delaume, 'ICSID Arbitration in Practice' (1984) 2 International Tax and Business Law 74.

¹¹³⁸ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 316.

¹¹³⁹ Schreuer and others (სქ. 16) 1129.

გადაწყვეტილების აღსრულება.¹¹⁴⁰ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ცნობისა და იძულებითი აღსრულების ეტაპები, რაც გამორიცხავს ცნობის პროცედურაში ICSID კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენებას. შესაბამისად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი არ შეიძლება გახდეს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებად და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება პრეიუდიციულ ძალას იძენს მიუხედავად აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის არსებობისა.¹¹⁴¹ აღნიშნული დაადასტურა *ad hoc* კომიტეტმა *The Kardassopoulos & Fuchs v Georgia* საქმეზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეჩერების გადაწყვეტილებაში,¹¹⁴² რომლის თანახმადაც, ICSID კონვენციის 54(1) მუხლით დადგენილი აღსრულების გამარტივებული და ავტომატური სისტემა არ არის დაკავშირებული სასამართლოს მიერ ICSID კონვენციის 54(2) მუხლის თანახმად სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოტანილი განჩინებით განსაზღვრულ სააღსრულებო ღონისძიებებთან.¹¹⁴³ თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება ცნობისადმი 54(1) მუხლით გათვალისწინებული ავტომატური რეჟიმის დარღვევა და აღნიშნული ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია.¹¹⁴⁴ მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთის სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა დაადგინეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შორის განსხვავება და ცნობის ეტაპზე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის გამოყენების დაუშვებლობა ისევე, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით ცნობის საფუძვლების შემოწმების

¹¹⁴⁰ ICSID კონვენცია, 54(3) მუხლი. იხ. ასევე Cane (სქ. 1100) 446.

¹¹⁴¹ იქვე.

¹¹⁴² *Ioannis Kardassopoulos and Ron Fuchs v Georgia*, ICSID Case №ARB/05/18 and ARB/07/15, Decision of the ad hoc Committee on the Stay of Enforcement of the Award of 12 November 2010, para 30 <http://icsidfiles.worldbank.org/icsid/ICSIDBLOBS/OnlineAwards/C63/DC3354_En.pdf> [16.06.2020].

¹¹⁴³ იქვე.

¹¹⁴⁴ Schreuer and others (სქ. 16) 1129; იხ. ასევე Davin (სქ. 1124) 1274-75; *Benvenuti & Bonfant v Congo* (სქ. 1107) 369; *Benvenuti & Bonfant v Congo*, Cour d'appel, Paris, 26/06/1981, 1 ICSID Reports, 369.

გამორიცხვა.¹¹⁴⁵ აქვე აღსანიშნავია, რომ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ეტაპზე არც იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტი შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელ გარემოებად, რადგან ცენტრისათვის საარბიტრაჟო დავის განსახილველად გადაცემაზე თანხმობა მიიჩნევა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად ცნობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.¹¹⁴⁶

სასამართლო პრაქტიკაში ცნობისა და აღსრულების ეტაპზე როგორც აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე მსჯელობის, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობისადმი შესაბამისობის დადგენის შემთხვევები ნაწილობრივ განპირობებულია ICSID კონვენციის 54-ე მუხლში არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობით, რაც განხილულია მომდევნო ქვეთავში.

1.4.4.2. აღსრულება და იძულებითი აღსრულება

აღსანიშნავია, რომ ICSID კონვენციის ოფიციალურ ინგლისურ ტექსტში 54-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტში გამოყენებულია სიტყვა ‘enforce’, ხოლო მესამე პუნქტში - სიტყვა ‘execution’ მაშინ, როცა ტერმინოლოგიური განსხვავება არ გვხვდება ასევე ოფიციალური ფრანგული და ესპანური ტექსტების 54-ე მუხლში.¹¹⁴⁷

ავტორების ერთი ჯგუფი, მათ შორის ICSID კონვენციაზე მომუშავე წამყვანი ავტორები, ICSID კონვენციის 54-ე მუხლში გამოყენებულ ტერმინებს ‘enforcement’ და ‘execution’ განასხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.¹¹⁴⁸ ზოგიერთი მათგანი ტერმინს ‘enforcement’ აიგივებს ცნობასთან და სინონიმებად გამოიყენებს მათ 54-ე მუხლთან

¹¹⁴⁵ იხ. *SOABI v Senegal*, Cour d’appel, Paris, 05/12/1989, 2 ICSID Reports, 1994, 337; *SOABI v Senegal* (სქ. 1109) 341; *Benvenuti & Bonfant v Congo* (სქ. 1144); Nassib G Ziade, ‘Some Recent Decisions in ICSID Cases’ (1991) 6(2) ICSID Review – Foreign Investment Law Journal 21-24.

¹¹⁴⁶ Delaume, ‘Foreign Sovereign Immunity: Impact on Arbitration’ (სქ. 743) 45; George R Delaume, ‘State Contracts and Transnational Arbitration’ (1981) 75 American Journal of International Law 784, 816; George R Delaume, ‘ICSID and the Transnational Financial Community’ (1986) 1 ICSID Review – Foreign Investment Law Journal 237, 250; Delaume, ‘Judicial Decisions Related to Sovereign Immunity and Transnational Arbitration’ (სქ. 239) 405-06.

¹¹⁴⁷ ICSID კონვენციის ფრანგულ ვერსიაში 54-ე მუხლის სამივე პუნქტში ნახსენებია სიტყვა: ‘*l’exécution*’, ხოლო ესპანურ ვერსიაში - ‘*ejecutar*’, ‘*ejecuten*’, ‘*ejecucio’n*’, ‘*ejecutara*’. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1134.

¹¹⁴⁸ Schreuer and others (სქ. 16) 1136.

მიმართებით.¹¹⁴⁹ ავტორთა მეორე ნაწილი, მიიჩნევს, რომ ‘recognition’, ‘enforcement’ და ‘execution’ სამი დამოუკიდებელი ეტაპია სააღსრულებო წარმოებისა, რომელთაგან, პირველის - „ცნობის“ - შედეგად საარბიტრაჟო გადაწყვეტილება *res judicata* ძალას იძენს. თავის მხრივ, ‘execution’ სააღსრულებო წარმოების ბოლო ეტაპია, რომელიც მოიცავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, ხოლო ‘enforcement’ მიჩნეულია შუალედურ ეტაპად ცნობასა და იძულებით აღსრულებას შორის, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ეროვნულ სააღსრულებო განკარგულებად აქცევს.¹¹⁵⁰

ბროშეც კი, რომელიც მონაწილეობდა ICSID კონვენციის შექმნაში და მიიჩნევა კონვენციის ისტორიის ყველაზე კარგად მცოდნე ავტორად, მისი მოსაზრებაც ბუნდოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ ტერმინი ‘enforcement’ უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ცნობას (recognition), ისე იძულებით აღსრულებას (execution), თუმცა ამ აზრს არ იზიარებს სხვა კონტექსტში.¹¹⁵¹

არონ ბროშე აღნიშნავს, რომ როდესაც 54-ე მუხლს დაემატა მესამე პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „იძულებითი აღსრულება“ (execution) უნდა განხორციელდეს იმ მოქმედი კანონების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილებების „იძულებით აღსრულებაზე“ (execution) იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთი „იძულებითი აღსრულება“, მაშინ მიზანშეწონილი იყო, 54-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა ‘enforce’ შეცვლილიყო სიტყვით ‘enforceable’, რაც ქართულად ნიშნავს „აღსრულებადი.“¹¹⁵² შედეგად, 54-ე მუხლის პირველი პუნქტი მიიღებდა შემდეგ სახეს:

„კონვენციის თანახმად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა იქნას ცნობილი შესასრულებლად სავალდებულოდ თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება უნდა გახდეს „აღსრულებადი“ (enforceable) თითოეული ასეთი

¹¹⁴⁹ Reed, Paulsson and Blackaby (სქ. 1052) 179-180.

¹¹⁵⁰ Flavio S Barbosa, ‘The Enforcement of International Investment Arbitral Awards: Is there a better way?’ (2009) 6(21) *Revista Brasileira de Arbitragem* 32-34.

¹¹⁵¹ Schreuer and others (სქ. 16) 1136.

¹¹⁵² Broches, ‘Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention’ (სქ. 758) 318.

სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისევე, როგორც ეს რომ ყოფილიყო ამ სახელმწიფოს რომელიმე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹¹⁵³

ბროშეს აზრით, ასეთი ფორმულირება ნათლად გამოაჩენდა განსხვავებას „აღსრულებადობას“ (enforceability), რომელიც რეგულირდება კონვენციით, და „იძულებით აღსრულებას“ (execution) შორის, რომელიც რეგულირდება ადგილობრივი კანონმდებლობით და რომელიც უზრუნველყოფს „აღსრულებადობის“ განხორციელებას.¹¹⁵⁴

შედეგად, ბროშეს აზრით, კონვენციის 54 (1) მუხლი ადგენს აღსრულებადობას, 54 (2) მუხლი განსაზღვრავს აღსრულებადობის განხორციელების წესს, ხოლო 54 (3) მუხლი შეეხება იძულებითი აღსრულების (execution) ეტაპს. სამივე წარმოადგენს აღსრულების (enforcement) სხვადასხვა ეტაპს.¹¹⁵⁵

ტერმინოლოგიურ შეუსაბამობას ხელი შეუწყო ასევე ადგილობრივი სასამართლოების მიერ ცნებების არაერთგვაროვანმა და არათანმიმდევრულმა გამოყენებამ. თუმცა, მიუხედავად ტერმინოლოგიური შეუსაბამობისა, ადგილობრივი სასამართლოები მაინც ძირითადად მიჯნავენ ერთმანეთისგან ცნობისა და იძულებითი აღსრულების ეტაპებს და აღნიშნავენ, რომ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის განხილვა მხოლოდ უშუალოდ სააღსრულებო ღონისძიებების გატარების ნებართვის მიცემის ეტაპზე დგება. რაც შეეხება ტერმინს ‘enforcement’ სასამართლოებიც, სხვადასხვა ავტორთა მსგავსად, მას სხვადასხვაგვარად იყენებენ: ცნობის სინონიმად, ან იძულებითი აღსრულების სინონიმად, ან ფართო მნიშვნელობით, რომელიც თავის თავში მოიცავს 54-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობისა და აღსრულების ყველა ეტაპს.¹¹⁵⁶

შროიერის აზრით, ტერმინის ‘enforcement’ ნებისმიერი ზემოხსენებული მნიშვნელობით გამოყენება, არსებითად, არც მართებულია და არც უმართებულო,

¹¹⁵³ იქვე.

¹¹⁵⁴ იქვე.

¹¹⁵⁵ იქვე, 320-21.

¹¹⁵⁶ Schreuer and others (სქ. 16) 1136.

მაგრამ ერთი და იგივე სიტყვის ერთსა და იმავე კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება გაუგებრობას გამოიწვევს, ამიტომ თავიდან უნდა იქნას აცილებული.¹¹⁵⁷

შროიერი გამოსავალს ვერც ‘enforcement’-ის „ცნობასთან“ გაიგივებაში ხედავს. თავად ICSID კონვენციის ინგლისური ტექსტის 54(1) მუხლის ფორმულირება მიუთითებს ამ ორ ცნებას შორის განსხვავებაზე, კერძოდ, შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ „ცნობის“ ვალდებულება ვრცელდება მთლიანად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე (როგორც ფულად, ისე რეალური შესრულების ვალდებულებაზე), ხოლო „აღსრულების“ (enforce) ვალდებულება – მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ფულად ვალდებულებაზე.¹¹⁵⁸ შროიერს უშედეგოდ მიაჩნია ასევე ტერმინების ‘recognition’, ‘enforcement’ და ‘execution’ სამ სხვადასხვა ცნებად დაყოფა, რადგან ასეთი მიდგომა არ არის მხარდაჭერილი ICSID კონვენციის ფრანგული და ესპანური ტექსტებით და არც ICSID კონვენციის საკანონმდებლო ისტორია იძლევა ამის საფუძველს.¹¹⁵⁹

შესაბამისად, შროიერის აზრით, 54-ე მუხლის კონტექსტში დიდი სიფრთხილეა საჭირო ტერმინთან ‘enforcement’ მიმართებით და ICSID კონვენციის სამენოვანი ბუნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ 1969 წლის ვენის კონვენციის 33(4) მუხლზე დაყრდნობით,¹¹⁶⁰ ტერმინების ‘enforcement’ და ‘execution’ ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოყენება.¹¹⁶¹

¹¹⁵⁷ იქვე.

¹¹⁵⁸ იქვე.

¹¹⁵⁹ იქვე.

¹¹⁶⁰ პროფესორი შროიერი აღნიშნავს, რომ 1969 წლის ვენის კონვენცია „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ტექნიკურად არ გამოიყენება ICSID კონვენციასთან მიმართებით, მაგრამ იგი გამოხატავს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს ამ საკითხთან დაკავშირებით. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1135.

¹¹⁶¹ იქვე, 1136.

1.4.4.3. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ადგილობრივ სასამართლოებში ICSID კონვენციის 54-ე მუხლის მოქმედებაზე მსჯელობა პირველად გაიმართა, როდესაც ICSID არბიტრაჟში მოგებულმა მხარემ საფრანგეთში წამოიწყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი.¹¹⁶²

Benvenuti & Bonfant v Congo საქმეზე გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას, პარიზის პირველი ინსტანციის სასამართლომ გასცა *exequatur* იმ პირობით, რომ Benvenuti-ის უნდა მოეპოვებინა წინასწარი ნებართვა იძულებითი სააღსრულებო ღონისძიების განსახორციელებლად, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სუვერენული საჯარო აქტივების იმუნიტეტით დაცვა მათზე აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში.¹¹⁶³ Benvenuti-მ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვა შემზღუდავი ნაწილის ამოღება იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ICSID კონვენციით დადგენილი ცნობისა და აღსრულების გამარტივებული წარმოების მოთხოვნებს და აღრევას იწვევდა ცნებებისა „ცნობა“ (recognition) და „აღსრულება“ (enforcement) „იძულებით აღსრულებასთან“ (execution).¹¹⁶⁴ პარიზის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ ICSID კონვენციის 54-ე მუხლი აწესებდა *exequatur*-ის გაცემის გამარტივებულ პროცედურას, ხოლო *exequatur*, თავის მხრივ, არ წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებას, არამედ - იძულებითი აღსრულების წინა ღონისძიებას.¹¹⁶⁵ შედეგად, სასამართლომ აღიარა განსხვავება *exequatur*-ის გაცემასა და იძულებით სააღსრულებო წარმოებას შორის, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხზე.¹¹⁶⁶ ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, როდესაც განიხილა აღსრულებისგან სახელმწიფო

¹¹⁶² Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 318.

¹¹⁶³ იქვე, 319. იხ. ასევე Davine (სქ. 1124) 1274-75. აღნიშნული 1980 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება გამოუქვეყნებელია. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1130.

¹¹⁶⁴ Davine (სქ. 1124) 1274-75.

¹¹⁶⁵ Cour d'appel, Paris, 26 June 1981, 1 ICSID Reports 369, 371; ინგლისური თარგმანი იხ. (1982) 20 International Legal Materials 878 და (1982) 7 Yearbook of Commercial Arbitration 159.

¹¹⁶⁶ Davine (სქ. 1124) 1275.

იმუნიტეტის საკითხიც 54-ე მუხლით განსაზღვრული ცნობისა და აღსრულების ეტაპზე.¹¹⁶⁷

საქმეზე *SOABI v Senegal* ფრანგული სასამართლოები იგივე შედეგებამდე მივიდნენ.¹¹⁶⁸ კერძოდ, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე გაიცა *exequatur*, რომელიც სენეგალის საჩივრის საფუძველზე პარიზის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა იმ მოტივით, რომ მართალია, საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმოწერითა და ICSID ტრიბუნალის მიერ საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობით სენეგალმა აიღო ვალდებულება ICSID კონვენციის 54-ე მუხლის თანახმად თავის ტერიტორიაზე აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება, მაგრამ სენეგალს ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ უთქვამს უარი აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ICSID კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად.¹¹⁶⁹ სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთში უცხო სახელმწიფო აღსრულებისგან იმუნიტეტით არ არის დაცული მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაშინ, როდესაც სადავო აქტივები განკუთვნილია კერძო სამართლით გათვალისწინებული ეკონომიკური ან კომერციული საქმიანობისთვის და, რადგანაც *exequatur*-ის მოთხოვნისას არ გამოიკვეთა, რომ აღსრულება მოითხოვებოდა სწორედ ასეთ აქტივებზე, შესაბამისად, საფრანგეთში აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საჯარო წესრიგს, რადგანაც იგი გამოიწვევდა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დარღვევას.¹¹⁷⁰ შედეგად *exequatur* უნდა გაუქმებულიყო საფრანგეთის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების თანახმად.¹¹⁷¹

¹¹⁶⁷ George R Delaume, 'State Contracts and Transnational Arbitration' (1981) 75 American Journal of International Law 784, 816-17.

¹¹⁶⁸ Schreuer and others (სქ. 16) 1131.

¹¹⁶⁹ *SOABI v Senegal*, Cour d'appel, Paris, 05/12/1989, 2 ICSID Reports, 1994, 337; (1990) 117 Journal du Droit International 141, ინგლისური თარგმანი იხ. (1990) 5 ICSID Review - Foreign International Law Journal 135. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ფრანგული სასამართლოების გადაწყვეტილებების ინგლისური თარგმანები გარკვეული სიფრთხილით უნდა იქნას განხილული, რადგან გადაწყვეტილებები განიხილავენ *exequatur*-ის გაცემისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს შორის განსხვავების საკითხს, ხოლო ინგლისურ თარგმანებში გამოყენებულია სიტყვა 'enforcement' ორივე ცნების აღსანიშნავად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს აღრევა. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1131.

¹¹⁷⁰ *SOABI v Senegal*, Cour d'appel, Paris, 05/12/1989 (სქ. 1169).

¹¹⁷¹ იქვე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში წარმატებით გასაჩივრდა.¹¹⁷² კერძოდ, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობით უცხო სახელმწიფომ ასევე თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე შესაძლოა გაიცეს *exequatur*. თუმცა, *exequatur*, თავისთავად, არ გულისხმობს სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებას, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი. სასამართლომ ასევე დასძინა, რომ ICSID კონვენციამ 53-ე და 54-ე მუხლებით დაადგინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ავტონომიური და გამარტივებული რეჟიმი, რომელიც გამორიცხავდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვა შემთხვევაში გამოსაყენებელი ნორმების შეფარდებას.¹¹⁷³ შედეგად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.¹¹⁷⁴

საქმეზე *AIG v Kazakhstan* ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოგებული კერძო მხარის მიერ მოთხოვნილ იქნა გაერთიანებულ სამეფოში.¹¹⁷⁵ მოსარჩელემ მოიპოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაციის უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში ICSID კონვენციის საიმპლემენტაციო კანონმდებლობის თანახმად.¹¹⁷⁶ შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა უპრობლემოდ განხორციელდა.¹¹⁷⁷ თუმცა, მოსარჩელის მცდელობა, აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და ყადაღის დადების განკარგულება ყაზახეთის ცენტრალური ბანკის აქტივებზე,

¹¹⁷² იქვე.

¹¹⁷³ იქვე.

¹¹⁷⁴ იხ. Nassib G Ziade, 'Some Recent Decisions in ICSID Cases' (1991) 6(2) ICSID Review – Foreign Investment Law Journal 514, 521-524.

¹¹⁷⁵ *AIG Capital Partners Inc and another v Republic of Kazakhstan (National Bank of Kazakhstan Intervening)*, High Court, Queen's Bench Division (Commercial Court), 20 October 2005, [2005] EWHC 2239 (Comm), 11 ICSID Reports 118. იხ. ასევე *AIG v Kazakhstan*, Award, ICSID Case No. ARB/01/6, Award, 118-119 (Oct. 7, 2003).

¹¹⁷⁶ *AIG Capital Partners Inc and another v Republic of Kazakhstan (National Bank of Kazakhstan Intervening)*, High Court, Queen's Bench Division (Commercial Court), 20 October 2005, [2005] EWHC 2239 (Comm), 11 ICSID Reports 118.

¹¹⁷⁷ Schreuer and others (სქ. 16) 1134.

რომლებსაც ფლობდა ლონდონში კერძო ბანკი, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან SIA-ს თანახმად, ეს აქტივები დაცულია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით.¹¹⁷⁸

ზემოხსენებული საქმე საინტერესოა იმ კუთხით, რომ იგი განსხვავდება განხილული *Benvenuti & Bonfant* და *SOABI v Senegal* საქმეებისგან.¹¹⁷⁹ კერძოდ, ფრანგულ საქმეებზე საფრანგეთის სასამართლოებმა აშკარად ხაზი გაუსვეს განსხვავებას, ერთი მხრივ, ცნობისა და აღსრულების და მეორე მხრივ, იძულებითი აღსრულების ეტაპებს შორის, ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლების განმარტების საფუძველზე.¹¹⁸⁰ *AIG Partners v Kazakhstan* საქმეზე კი, სადაც მოსარჩელემ მოიპოვა მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ავტომატური“ რეგისტრაციის უფლება, ინგლისურმა სასამართლოებმა ხაზი გაუსვეს ნაგულისხმევ განსხვავებას ცნობასა და აღსრულებას, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაციით შემოიფარგლება, და იძულებით აღსრულებას შორის, რომლის მიმართაც გამოიყენება SIA.¹¹⁸¹ ICSID კონვენციის ასეთი განმარტება შესაბამისობაშია ფრანგული სასამართლოების მიდგომასთან როგორც *Benvenuti & Bonfant*, ისე *SOABI v Senegal* საქმეებთან დაკავშირებით.¹¹⁸²

LETCO v Liberia პირველი საქმეა, რომელზეც აშშ-ის სასამართლოებს მოუწიათ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხზე მსჯელობა.¹¹⁸³ აღნიშნულ საქმეზე ნიუ-იორკის სამხრეთ რაიონის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა ლიბერიის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გადაწყვეტილება.¹¹⁸⁴ ხოლო მოგვიანებით გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელიც ლიბერიის მთავრობის კუთვნილი სარეგისტრაციო მოსაკრებლებსა და გადასახადებზე აღსრულების მიზნით, რაც გაასაჩივრა ლიბერიის მთავრობამ და მოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებული *ex parte*

¹¹⁷⁸ *AIG Capital Partners Inc and another v Republic of Kazakhstan (National Bank of Kazakhstan Intervening)* (სქ. 1175).

¹¹⁷⁹ Davine (სქ. 1124) 1277.

¹¹⁸⁰ იქვე, 1278.

¹¹⁸¹ იქვე.

¹¹⁸² იქვე.

¹¹⁸³ იქვე.

¹¹⁸⁴ *LETCO v Liberia* (USDC, SDNY 1986)2 ICSID Reports 384.

გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ აღნიშნული აქტივები სუვერენული იყო და სარგებლობდა აღსრულებისგან იმუნიტეტით FSIA-ს თანახმად.¹¹⁸⁵ სასამართლომ გაითვალისწინა ლიბერიის არგუმენტი და გააუქმა სააღსრულებო ფურცელი, თუმცა განუმარტა LETCO-ს, რომ იგი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა აღსრულება ლიბერიის კუთვნილ კომერციულ აქტივებზე, რომლებიც არ იყო დაცული აღსრულებისგან იმუნიტეტით FSIA-თ გათვალისწინებული კომერციული გამონაკლისის თანახმად.¹¹⁸⁶ ამის შემდეგ LETCO შეეცადა, მოეპოვებინა აღსრულების უფლება კოლუმბიის ოლქის აშშ-ის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ ნიუ-იორკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის საფუძველზე გასცა სააღსრულებო ფურცლები რამდენიმე ბანკის აქტივებზე აღსასრულებლად.¹¹⁸⁷ თუმცა ამ შემთხვევაშიც, კოლუმბიის ოლქის რაიონულმა სასამართლომ ლიბერიის მთავრობის სარჩელის საფუძველზე, დაადგინა, რომ აღნიშნული აქტივები ლიბერიის საელჩოს კუთვნილება იყო და FSIA-ს თანახმად, დაცული იყო აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით.¹¹⁸⁸ შესაბამისად, LETCO -ს უარი ეთქვა აღნიშნულ აქტივებზე აღსრულებაზე.¹¹⁸⁹

LETCO v Liberia საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია განსხვავება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და მის ფაქტობრივ აღსრულებას შორის და, შესაბამისად,¹¹⁹⁰ - იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტსა და აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტს შორის ICSID კონვენციასთან

¹¹⁸⁵ Reed, Paulsson and Blackaby (სქ. 1052) 188.

¹¹⁸⁶ *LETCO v Liberia* (სქ. 1184) 387-88.

¹¹⁸⁷ *LETCO v Liberia* (USDC DC 1987) 2 ICSID Reports 390.

¹¹⁸⁸ *LETCO v Liberia* (სქ. 1184) 390. ამ გადაწყვეტილებების თაობაზე ვრცლად იხ. Albert Jan Van den Berg, 'Recent Enforcement Problems under The New-York and ICSID Conventions' (1989) 5(1) *Arbitration International* 2, 12-13; Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 324 და შემდგომი; Susan Choi, 'Judicial Enforcement of Arbitration Awards Under the ICSID and New York Conventions' (1995-1996) 28 *New York University Journal of International Law&Politics* 175, 184 და შემდგომი; Dorothy B Franzoni, 'Enforcement of ICSID Awards in the United States' (1988) 18 *Georgia Journal of International and Comparative Law* 101; George Kahale, 'Enforcing an ICSID Arbitral Award' (1987) 6 *International Financial Law Review* 40.

¹¹⁸⁹ Vincent O Orlu Nmehielle, 'Enforcing Arbitration Awards Under the International Convention for the Settlement of Investment Disputes (ICSID Convention)' (2001) 7(21) *Annual Survey of International and Comparative Law* 31.

¹¹⁹⁰ Schreuer and others (სქ. 16) 1133.

მიმართებით.¹¹⁹¹ კერძოდ, ლიბერიის საჩივრის განხილვისას, ნიუ-იორკის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლიბერიამ, როგორც ICSID კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, LETCO-სთან საკონცესიო ხელშეკრულების დადებით, რომელიც განსაზღვრავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ICSID კონვენციით დადგენილი საარბიტრაჟო წესით, უარი თქვა სახელმწიფო იმუნიტეტზე აშშ-ში ICSID კონვენციის თანახმად გამოტანილი ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით ICSID კონვენციის 54-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე.¹¹⁹² სასამართლომ თავისი მოსაზრება დაასაბუთა შემდეგით:

1) ICSID კონვენციის 54-ე მუხლი ავალდებულებს აშშ-ს, როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ცნოს და აღსრულოს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულება ისე, როგორც აშშ-ის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹¹⁹³

2) ICSID კონვენციის ხელმოწერითა და საკონცესიო ხელშეკრულების დადებით, ლიბერიამ უარი თქვა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე, რაც FSIA-ს თანახმად, აშშ-ის სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილებას განიხილონ ლიბერიის წინააღმდეგ გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმე.¹¹⁹⁴

3) ლიბერია ნათლად ითვალისწინებდა კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების, მათ შორის, აშშ-ის სასამართლოების ჩართულობას ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების აღსრულების პროცესში.¹¹⁹⁵

შემდეგ, სასამართლომ იმსჯელა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ICSID კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად და დაადგინა, რომ აღსასრულებლად მოთხოვნილი აქტივები სარგებლობდნენ აღსრულებისგან იმუნიტეტით, შესაბამისად,

¹¹⁹¹ Orlu Nmehielle (სქ. 1189) 34.

¹¹⁹² *LETCO v Liberia* (სქ. 1184) 387-88.

¹¹⁹³ იქვე. იხ. ასევე Davine (სქ. 1124) 1278.

¹¹⁹⁴ იქვე.

¹¹⁹⁵ იქვე.

გააუქმა სააღსრულებო ფურცლები, თუმცა ძალაში დატოვა *ex parte* გადაწყვეტილება.¹¹⁹⁶

ნიუ-იორკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გაკრიტიკებულ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ეტაპზე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე მსჯელობის გამო.¹¹⁹⁷ თუმცა, თავისი მსჯელობით, რომ ICSID კონვენციის წევრობა ICSID არბიტრაჟზე თანხმობასთან ერთად, გულისხმობდა იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადასტურა ICSID კონვენციის 54-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.¹¹⁹⁸ მაგრამ, ბროშეს აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა ICSID კონვენციის საფუძველზე, რომელიც ადგენს, რომ მხარე-სახელმწიფომ უარი თქვა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე, და შემდეგ უნდა განეცხადებინა, რომ იგივე შედეგი დადგებოდა FSIA-ს საფუძველზე.¹¹⁹⁹ თავის მხრივ, შროიერი აღნიშნავს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსამართლე ცნება „აღსრულებას“ იყენებს „ცნობის“ კონტექსტში, რაც, მართალია, მხოლოდ ტერმინოლოგიური საკითხია, თუმცა შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა.¹²⁰⁰

1.5. 53-ე და 54-ე მუხლების ურთიერთმიმართება

ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლების ურთიერთკავშირის საკითხი დაისვა არგენტინის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საქმეებზე, როდესაც არგენტინა დაობდა, რომ მის მიერ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ICSID კონვენციის 53-ე მუხლის შესაბამისად შესრულების ვალდებულება არ წარმოიშობა მანამ, სანამ კრედიტორი არ წამოიწყებდა კონვენციის 54-

¹¹⁹⁶ იქვე.

¹¹⁹⁷ Schreuer and others (სქ. 16) 1133.

¹¹⁹⁸ იქვე.

¹¹⁹⁹ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 325-26.

¹²⁰⁰ Schreuer and others (სქ. 16) 1134.

ე მუხლით გათვალისწინებულ სააღსრულებო წარმოებას.¹²⁰¹ არგენტინის მტკიცებით, ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლებს შორის ასეთი ურთიერთკავშირი გამომდინარეობდა 54-ე მუხლით დადგენილი ვალდებულებიდან, რომლის თანახმადაც, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს ისე, როგორც ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.¹²⁰² არგენტინის პოზიციის მიხედვით, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას უნდა გაევიდოთ იგივე სააღსრულებო წარმოების პროცედურა, რაც გათვალისწინებული იყო ადგილობრივი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის არგენტინაში და მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ წარმოიშობოდა არგენტინისათვის ICSID კონვენციის 53-ე მუხლის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება.¹²⁰³

არგენტინის აღნიშნული მოსაზრება ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით უარყო *Enron*-ის საქმეზე *ad hoc* კომისიამ, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და არ გამომდინარეობს ერთი მეორისგან.¹²⁰⁴ კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, შეასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, უპირობოა და იგი წარმოიშობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან და არ არის დამოკიდებული რაიმე სახით ადგილობრივ სააღსრულებო პროცედურაზე.¹²⁰⁵ კომისიამ დეტალურად იმსჯელა

¹²⁰¹ Alexandrov (სქ. 1055) 330. იხ. ასევე *CMS Gas Transmission Company v Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/8 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award, 1 September 2006, para 46; *Azurix v Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/12 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 28 December 2007, para 15; *Siemens AG v Argentina*, ICSID Case No. ARB/02/8, Argentina's Response to the Submission by the United States of America to the *ad hoc* Annulment Committee (June 2, 2008); *Enron Corporation and Ponderosa Assets LP v Argentina*, ICSID Case No. ARB/01/3 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 7 October 2008; *Compania de Aguas del Aconquija and Vivendi Universal SA v Argentine Republic*, ICSID Case No. ARB 97/3 (Second Annulment Proceeding), Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award Rendered on the 20 August 2007 (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 4 November 2008 (შემდგომ - *Vivendi II*).

¹²⁰² *Enron Corporation and Ponderosa Assets LP v Argentina* (შემდგომ - *Enron v Argentina*) ICSID Case No. ARB/01/3 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 7 October 2008, para 56.

¹²⁰³ იქვე.

¹²⁰⁴ იქვე, para 74-77.

¹²⁰⁵ იქვე, para 67-69.

აღნიშნულ საკითხზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არგენტინის არგუმენტაცია საფუძველს მოკლებულია შემდეგ მიზეზთა გამო: 1) 53-ე და 54-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების ადრესატები, ერთ შემთხვევაში, არიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხარეები, ხოლო მეორე შემთხვევაში – ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო,¹²⁰⁶ 2) 54-ე მუხლი მოითხოვს მხოლოდ ფულადი ვალდებულებების აღსრულებას მაშინ, როცა 53-ე მუხლი შესრულების ვალდებულებას ავრცელებს მთლიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, არგენტინის პოზიციის გათვალისწინებით, მხარე არ იქნება ვალდებული შეასრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული არაფულადი ვალდებულება,¹²⁰⁷ 3) იქიდან გამომდინარე, რომ უმრავლეს შემთხვევაში, კრედიტორი ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მესამე ქვეყანაში აღსრულებას, არგენტინის მოთხოვნა, რომ ICSID კონვენციის 54-ე მუხლი ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, პირველ რიგში, მოპასუხე სახელმწიფოში აღსრულების პირობას, საფუძველს მოკლებულია,¹²⁰⁸ 4) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების წინაპირობად კონვენცია რომ ადგენდეს 54-ე მუხლით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურის წამოწყებას, ICSID კონვენციის 27 (1) მუხლიც გაიმეორებდა 54-ე მუხლის ტექსტს და არა 53-ე მუხლის ტექსტს. 27(1) მუხლი კი ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა კონვენციის დარღვევაა და იწვევს დიპლომატიური დაცვის გამოყენების ან საერთაშორისო სარჩელის აღძვრის უფლებას.¹²⁰⁹

იგივე განმარტება ICSID კონვენციის 53-ე და 54-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით მხარდაჭერილ იქნა *ad hoc* კომისიის მიერ *Vivendi II* საქმეზე.¹²¹⁰

არგენტინის პოზიცია ძირეულად ეწინააღმდეგება ICSID კონვენციის მიზნებს, რაც ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ნიუ-

¹²⁰⁶ იქვე, para 62.

¹²⁰⁷ იქვე, para 66.

¹²⁰⁸ იქვე, para 67-68.

¹²⁰⁹ იქვე, para 65.

¹²¹⁰ *Vivendi II* (სქ. 1201) para 31-36.

იორკის კონვენციისგან განსხვავებული მექანიზმის შექმნას, რომელიც გამორიცხავს ადგილობრივი სასამართლოების ჩარევას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვისა და აღსრულების პროცესში.¹²¹¹

1.6. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი

1.6.1. ICSID კონვენციის აქილევსის ქუსლი

ICSID კონვენციის 54(3) მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულება რეგულირდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით იმ ქვეყნის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მოითხოვება აღსრულება.¹²¹² ICSID კონვენციის 55-ე მუხლი კი ადგენს, რომ 54-ე მუხლი არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც გადახვევა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობიდან, რომელიც ეხება ამ ან სხვა უცხო სახელმწიფოს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტს.¹²¹³

ხაზგასმით, ICSID კონვენციის 55-ე მუხლი შეეხება მხოლოდ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტს. იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი კი არ დგება ICSID კონვენციასთან მიმართებით.¹²¹⁴

მნიშვნელოვანია, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტი არ ახდენს გავლენას ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და მისთვის *res judicata* ძალის მინიჭებაზე.¹²¹⁵ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საფუძვლით იძულებითი აღსრულების

¹²¹¹ Alexandrov (სქ. 1055) 335-37; იხ. ასევე Gerlich (სქ. 388) 54.

¹²¹² ICSID კონვენცია, 54(3) მუხლი.

¹²¹³ იქვე, 55-ე მუხლი.

¹²¹⁴ იხ. George R Delaume, 'Judicial Decisions Related to Sovereign Immunity and Transnational Arbitration' (სქ. 239) 404; George R Delaume, 'Contractual Waivers of Sovereign Immunity: Some Practical Considerations' (1990) 5 ICSID Review – Foreign Investment Law Journal 232, 250, 252. იურისდიქცია რეგულირდება ICSID კონვენციის 25-ე მუხლით და განისაზღვრება ტრიბუნალის მიერ ICSID კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად. შესაბამისად, ადგილობრივი სასამართლოები მონაწილეობას არ იღებენ იურისდიქციის დადგენაში. იხ. Schreuer and others (სქ. 16) 1153, Delaume, 'Foreign Sovereign Immunity: Impact on Arbitration' (სქ. 743) 37-40.

¹²¹⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1153. იხ. ასევე P F Sutherland, 'The World Bank Convention on the Settlement of Investment Disputes' (1979) 28 International and Comparative Law Quarterly 367, 398.

განხორციელების შეუძლებლობა ასევე არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ICSID კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაა.¹²¹⁶ სახელმწიფო იმუნიტეტი ურჩი მხარის წინააღმდეგ გასატარებელი იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებების მიმართ გამოყენებული პროცედურული ბარიერია მხოლოდ. შედეგად, იგი არ ახდენს გავლენას ICSID კონვენციის 53-ე მუხლით დაკისრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულაზე.¹²¹⁷

55-ე მუხლი ICSID კონვენციის აქილევსის ქუსლად მიიჩნევა.¹²¹⁸ სხვა მხრივ საარბიტრაჟო წარმოების ეფექტიანი მექანიზმი თავის სუსტ მხარეს ავლენს, როდესაც საქმე შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულების უშუალო აღსრულებას,¹²¹⁹ რადგან ადგილობრივი სასამართლოების ჩარევის გამომრიცხავი პროცედურის თვითკმარი ბუნება არ ვრცელდება იძულებითი აღსრულების ეტაპზე¹²²⁰ და ICSID კონვენცია არ ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, თუ ეს ეწინააღმდეგება სასამართლო გადაწყვეტილებებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივ კანონმდებლობას.¹²²¹ ამიტომაც, სახელმწიფო, რომლის სასამართლო უარს იტყვის ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე სახელმწიფო იმუნიტეტის საფუძველით, არ არღვევს ICSID კონვენციის 54-ე მუხლს.¹²²²

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულია, მაინც შესაძლებელია საერთო საფუძვლების გამოყოფა სახელმწიფოთა მიდგომაში.¹²²³

¹²¹⁶ Schreuer and others (სქ. 16) 1153.

¹²¹⁷ იქვე.

¹²¹⁸ იქვე.

¹²¹⁹ იქვე, 1154.

¹²²⁰ იქვე.

¹²²¹ ICSID კონვენცია, 55-ე მუხლი.

¹²²² Schreuer and others (სქ. 16) 1154.

¹²²³ იქვე, 1156. იხ. ასევე Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 333-34.

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობები ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკა იმ ქვეყნებისა, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური კანონი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ, ძირითადად მხოლოდ კომერციული მიზნით გამოყენებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე არ ავრცელებენ იმუნიტეტს.¹²²⁴ ამასთან, ხშირია, როდესაც მოითხოვება იურისდიქციული კავშირის არსებობა აღსასრულებლად მისაქცევ ქონებასა და იმ დავის საგანს შორის, რომელიც საფუძვლად დაედო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.¹²²⁵ ასეთი კავშირის მოთხოვნა მნიშვნელოვნად აფერხებს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას, რადგან ნაკლებ სავარაუდოა, რომ მასპინძელმა ქვეყანამ კომერციული ქონება განათავსოს სხვა ქვეყანაში, რომელიც შეიძლება თავის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან იყოს დაკავშირებული.¹²²⁶

აღსანიშნავია, რომ FSIA-ში 1988 წელს საარბიტრაჟო გამონაკლისის დამატებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აშშ-ში აღსრულებას.¹²²⁷ მართალია, საარბიტრაჟო გამონაკლისიც ადგენს, რომ აღსასრულებლად მისაქცევი ქონება აშშ-ში გამოყენებული უნდა იყოს კომერციულ საქმიანობაში, მაგრამ აღნიშნული ნორმა არ მოითხოვს იურისდიქციული კავშირის არსებობას ქონებასა და იმ დავის საგანს შორის, რომელიც საფუძვლად დაედო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში, FSIA უფრო ხელსაყრელ გარემოს

¹²²⁴ Cane (სქ. 1100) 445-46.

¹²²⁵ Giorgio Bernini and Albert Jan van den Berg, 'The Enforcement of Arbitral Awards Against a State: The Problem of Immunity from Execution' in JDM Lew (ed), *Contemporary Problems in International Arbitration* (Springer 1986) 364 და შემდგომი; A van Blankenstein, 'Enforcement of an Arbitral Award against a State: With Whom Are We Dealing?' (1993) 6(2) *Leiden Journal of International Law* 357-374. ასეთი მოთხოვნა არ აქვს გაერთიანებული სამეფოს კანონს. იხ. Christoph H Schreuer, *State Immunity: Some Recent Developments VIII Hersh Lauterpacht Memorial Lecture Series*, (Grotius Publications Limited 1988) 134. ფრანგული სასამართლოები ტრადიციულად მისდევდნენ დავის საგანთან კავშირის მოთხოვნის მიდგომას. იხ. *Societe Sonatrach v Migeon* (1985) Cass Civ 1 re, 77 ILR 525, 527 (ინგლისურად თარგმანი). თუმცა, ბოლო პერიოდში შესამჩნევია აღნიშნული პრაქტიკის შეცვლის ტენდენცია. იხ. August Reinisch, 'European Court Practice Concerning State Immunity from Enforcement Measures' (2006) 17 (4) *European Journal of International Law* 803, 818.

¹²²⁶ Schreuer and others (სქ. 16) 1166.

¹²²⁷ George R Delaume, 'Enforcement of State Contract Awards: Jurisdictional Pitfalls and Remedies' (1993) 8(1) *ICSID Review – Foreign Investment Law Journal* 29, 42.

ქმნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებებთან შედარებით.¹²²⁸

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი ჩიხში შედის, როდესაც საქმე შეეხება სპეციალურად დაცულ ქონებას, მათ შორის, ბანკების აქტივებსა და დიპლომატიურ ქონებას.¹²²⁹ ამის კარგი მაგალითია, *AIG v Kazakhstan* საქმეზე გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესი, რომლის დროსაც მოსარჩელის მცდელობა აღსრულებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და ყადაღის დადების განკარგულება ყაზახეთის ცენტრალური ბანკის აქტივებზე, რომლებსაც ფლობდა ლონდონში კერძო ბანკი, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან SIA-ს თანახმად, ეს აქტივები სარგებლობენ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით.¹²³⁰

1.6.2 აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა

პრობლემა, რომელსაც ინვესტორი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას აწყდება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის სახით, შეიძლება გადაიჭრას საარბიტრაჟო შეთანხმებით სახელმწიფოს მიერ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმით.¹²³¹ ნიშანდობლივია, რომ ICSID კონვენციის წევრობა არ განიმარტება, როგორც აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმა.¹²³² სასამართლოების მიერ, როგორც წესი, არც იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა და არც საარბიტრაჟო შეთანხმების დადება არ მიიჩნევა აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად.¹²³³

¹²²⁸ იქვე.

¹²²⁹ Schreuer and others (სქ. 16) 1168.

¹²³⁰ *AIG Capital Partners Inc and another v Republic of Kazakhstan (National Bank of Kazakhstan Intervening)* (სქ. 1175) 118.

¹²³¹ Barbosa (სქ. 1150) 32-34.

¹²³² Schreuer and others (სქ. 16) 1173. შეად., Turck (სქ. 809) 327-343.

¹²³³ იხ. M Sornarajah, *The Settlement of Foreign Investment Disputes* (Kluwer Law International 2010) 298-299; Schreuer and others (სქ. 16) 1175; Bernini and Van den Berg (სქ. 1225) 364.

სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობა ისევე, როგორც ევროპული კონვენცია და გაეროს კონვენცია, განსხვავებულად არეგულირებენ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას. როგორც FSIA-თ, ისე SIA-თ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა აღსრულებისგან იმუნიტეტის ერთ-ერთი გამონაკლისია.¹²³⁴ თუმცა, FSIA-ში საარბიტრაჟო გამონაკლისის დამატების შემდეგ, ბუნდოვანია უარის თქმის გამონაკლისის როლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით.¹²³⁵ FSIA ასევე უნიკალურია იმით, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა შესაძლებელია აშშ-ში კომერციულ საქმიანობაში გამოყენებულ სახელმწიფო ქონებასთან მიმართებით,¹²³⁶ თუმცა აშშ-ში კომერციული საქმიანობით დაკავებული უცხო სახელმწიფოს უწყების ან ინსტიტუციის ქონების შემთხვევაში, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა ნებადართულია მის ნებისმიერ ქონებაზე.¹²³⁷ ყველა შემთხვევაში, კომერციული საქმიანობით შეზღუდვა ავიწროებს აშშ-ში აღსასრულებლად მისაქცევი უცხო სახელმწიფოს ქონების მოძიების შესაძლებლობას.¹²³⁸

FSIA-სგან განსხვავებით, SIA არ აკეთებს აპელირებას ქონების კომერციულ დანიშნულებაზე და ადგენს, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა უნდა იყოს წერილობითი ფორმით გამოხატული, კონკრეტული ან ზოგადი ხასიათის.¹²³⁹ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა არ არის დამოკიდებული აღსასრულებლად მისაქცევი სახელმწიფო ქონების კომერციულ თუ არაკომერციულ ბუნებაზე ასევე ევროპული კონვენციითა და გაეროს კონვენციით, რაც ქმნის იმის თქმის შესაძლებლობას, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტზე ზოგადი უარის თქმა უნდა განიმარტოს, როგორც არაკომერციულ ქონებაზე გავრცელებადი.¹²⁴⁰

¹²³⁴ FSIA 1610(a)(1) მუხლი, SIA 13(4) მუხლი.

¹²³⁵ Schreuer and others (სქ. 16) 1174.

¹²³⁶ იქვე; იხ. ასევე *Af-Cap Inc v Chevron Overseas (Congo) Ltd* 475 F3d 1080, 1087 (9th Cir 2007); აღნიშნულ საქმეზე აშშ-ის მე-9 ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს უარი იმუნიტეტზე, რომელიც შეეხება მთელს მის კუთვნილ ქონებას, არ არის ნამდვილი.

¹²³⁷ FSIA 1610(b)(1) მუხლი.

¹²³⁸ Schreuer and others (სქ. 16) 1184.

¹²³⁹ SIA 13(4) მუხლი.

¹²⁴⁰ ევროპული კონვენცია, 23-ე მუხლი; გაეროს კონვენცია, 19(a) მუხლი.

აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის ეფექტიანობა სპეციალურად დაცულ ქონებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო სადავოა.¹²⁴¹ მაგალითად, FSIA-თ აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის წესი არ ვრცელდება სამხედრო და დიპლომატიური ქონების მიმართ.¹²⁴² ასევე განსაკუთრებული დაცვის ქვეშაა ცენტრალური ბანკების ქონება, თუმცა უცხო სახელმწიფო უფლებამოსილია პირდაპირი უარი თქვას აღსრულებისგან იმუნიტეტზე აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებით.¹²⁴³ მსგავსი რეგულირება აქვს SIA-საც ცენტრალური ბანკის ქონების მიმართ.¹²⁴⁴ რაც შეეხება დიპლომატიურ ან სამხედრო ქონებას, სადავოა, მათთან მიმართებით შესაძლებელია თუ არა აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმა.¹²⁴⁵ მხოლოდ ავსტრალიის კანონი ადგენს ცალსახად, რომ სამხედრო და დიპლომატიურ ქონებაზე შეიძლება გავრცელდეს იმუნიტეტზე უარის თქმა.¹²⁴⁶ ნიშანდობლივია, რომ გაეროს კონვენცია სამხედრო, დიპლომატიურ და ცენტრალური ბანკის ქონებაზე უშვებს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ მიიჩნევს კომერციულ ქონებად და სპეციალური დაცვის რეჟიმის ქვეშ აქცევს.¹²⁴⁷ აღნიშნული აღსრულების მხარდამჭერ გარემოებად შეიძლება იქნას მიჩნეული, რადგან სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული კანონმდებლობები აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თაობაზე, რომელიც შეეხება მხოლოდ კომერციულ ქონებას, ნაკლები შედეგის მომტანია.¹²⁴⁸ კანონმდებლობათა უმრავლესობა კომერციულ ქონებას ისედაც არ იცავს სახელმწიფო იმუნიტეტით.¹²⁴⁹

სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკა ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ სასამართლოები, ძირითადად, ითვალისწინებენ აღსრულებისგან იმუნიტეტზე

¹²⁴¹ Schreuer and others (სქ. 16) 1174.

¹²⁴² FSIA 1610(b)(2) მუხლი.

¹²⁴³ FSIA 1610(b)(1) მუხლი.

¹²⁴⁴ SIA 14(3) მუხლი.

¹²⁴⁵ იქვე, 16(1),(2) მუხლი.

¹²⁴⁶ The Australian Foreign States Immunity Act of 1985, 25 ILM 722 (1986), 31(4) მუხლი.

¹²⁴⁷ გაეროს კონვენცია, 21-ე მუხლი.

¹²⁴⁸ Schreuer and others (სქ. 16) 1177.

¹²⁴⁹ იქვე.

პირდაპირი უარის თქმის შემთხვევებს.¹²⁵⁰ აღსრულებისგან იმუნიტეტზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირდაპირ უარის თქმის მოთხოვნას ადგენს ევროპული კონვენცია კომერციული ქონების მიმართაც კი.¹²⁵¹ თუმცა აღსრულებისგან იმუნიტეტზე პირდაპირი უარი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. არადა, კარგად ფორმულირებული პირდაპირი უარი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით აღსრულებას.¹²⁵² მნიშვნელოვანია, რომ დებულება უარის თქმის შესახებ იყოს ზოგადი და არ იყოს გამიზნული მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში აღსრულებაზე.¹²⁵³ უარის თქმის დებულების ვიწროდ განმარტების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, იგი შეიცავდეს ჩანაწერს ყველა ტიპის ქონების, მათ შორის, ცენტრალური ბანკის ქონების და სახელმწიფოს კუთვნილი საბანკო ანგარიშების შესახებ, მიუხედავად იმისა, ეს ანგარიშები დიპლომატიური წარმომადგენლობების სახელზეა თუ არა.¹²⁵⁴

რა თქმა უნდა, უარის თქმის დებულების შინაარსზე მოლაპარაკების შედეგად უნდა შეჯერდნენ მხარეები, თუმცა, სადავოა, რამდენად იქნება სახელმწიფო თანახმა თავის აქტივებზე იმუნიტეტის მოხსნაზე.¹²⁵⁵

1.7. ICSID კონვენცია და საქართველო

საქართველოსთვის ICSID კონვენცია 1992 წლის 6 სექტემბრიდან შევიდა ძალაში, მაგრამ საქართველოს პარლამენტს დღეის მდგომარეობით არ აქვს მიღებული ICSID კონვენციის საიმპლემენტაციო კანონმდებლობა. შესაბამისად, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართ გამოიყენება „არბიტრაჟის შესახებ“

¹²⁵⁰ August Reinisch, 'European Court Practice Concerning State Immunity from Enforcement Measures' (2006) 17 (4) European Journal of International Law 803, 817 და შემდგომი.

¹²⁵¹ იქვე.

¹²⁵² Schreuer and others (სქ. 16) 1179.

¹²⁵³ იქვე, 1170-80.

¹²⁵⁴ იქვე, 1180-81.

¹²⁵⁵ იქვე.

საქართველოს კანონით დადგენილი წესი.¹²⁵⁶ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ჩამოთვლის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს,¹²⁵⁷ რომლებიც ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლების იდენტურია¹²⁵⁸ მაშინ, როცა ICSID კონვენცია ადგენს ცნობისა და აღსრულების ავტომატურ რეჟიმს, რომელიც გამორიცხავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.¹²⁵⁹ შედეგად, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ICSID კონვენციის მოთხოვნებით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ გადაწყვეტილების ნამდვილობის შემოწმებით შემოიფარგლოს. აღნიშნული დათქმის მიუხედავად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომლის პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი გადაწყვეტილებაა, დაარღვია ICSID კონვენციის ფუნდამენტური მოთხოვნა.¹²⁶⁰

კერძოდ, 2009 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლითაც ცნო და აღსრულებას დაუქვემდებარა საქართველოს ტერიტორიაზე *Ares Internationales S.r.l. and MetalGeo S.r.l. v Georgia* საქმეზე 2008 წლის 28 თებერვალს ICSID ტრიბუნალის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება,¹²⁶¹ რომლითაც საქართველოს დაეკისრა შპს „არეს ინტერნაციონალისა“ და შპს „მეტალჯეოსათვის“ მიყენებული ზიანის ფულადი კომპენსაცია.¹²⁶² აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ მოქმედებდა საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც არ ითვალისწინებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას საქართველოს

¹²⁵⁶ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 29/04/1998, 73¹ მუხლი <<https://www.matsne.gov.ge/document/view/93712?publication=4>> [17.09.2021].

¹²⁵⁷ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 45(1) მუხლი.

¹²⁵⁸ ნიუ იორკის კონვენცია, მე-5 მუხლი.

¹²⁵⁹ ICSID კონვენცია, 54(2) მუხლი.

¹²⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (სქ. 755).

¹²⁶¹ *Ares Internationales Srl and MetalGeo Srl v Georgia*, ICSID case ARB/05/23, Award of 28 February 2008. აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის გასაჯაროებული მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე. ტრიბუნალის სამართლებრივი დასაბუთებიდან ამონარიდები იხ. Katia Yannaca-Small, 'Case Excerpts, Ares Internationales S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, (ICSID case ARB/05/23): Introductory Note' (2008) 23(1) ICSID Review – Foreign Investment Law Journal 186-188.

¹²⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (სქ. 755).

ტერიტორიაზე.¹²⁶³ შესაბამისად, განჩინების გამოტანისას, სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლებით, რომელთაგან 68-ე მუხლი შეეხება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობას და ჩამოთვლის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლებს.¹²⁶⁴ შედეგად, უზენაესმა სასამართლომ ICSID კონვენციის 54-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, შეამოწმა ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობის საფუძვლებთან, რაც სასამართლოს მიერ ICSID კონვენციით განსაზღვრული უფლებამოსილების ამკარა გადამეტებაა.¹²⁶⁵

საბოლოოდ, სასამართლომ განჩინებით დაადგინა: „ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.¹²⁶⁶ მნიშვნელოვანია, რომ განჩინებაში სასამართლო არ მსჯელობს არც იძულებითი სააღსრულებო წარმოების თაობაზე და არც აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე, რაც შესაბამისობაშია ICSID კონვენციის 54-ე მუხლთან.¹²⁶⁷ შესაბამისად, სასამართლო მიჯნავს ერთმანეთისგან ICSID კონვენციის 54-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ ცნობისა და აღსრულების პროცედურას 54-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების პროცედურისგან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პრაქტიკა ძალიან მწირია და სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი საერთოდ არ ფიგურირებს მასში.¹²⁶⁸ საქართველოს წინააღმდეგ დღემდე

¹²⁶³ გიორგი ცერცვაძე, *საერთაშორისო არბიტრაჟი* (მერიდიანი 2012) 42; საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №17-18, 05/05/1997, ძალადაკარგულია, 19/06/2009 <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29830?publication=1>> [24.12.2021].

¹²⁶⁴ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 73¹ მუხლი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (სქ. 755).

¹²⁶⁵ ნინო ბეგალიშვილი, „სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში“ (2020) 1 სამართლის ჟურნალი 128.

¹²⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (სქ. 755).

¹²⁶⁷ იქვე.

¹²⁶⁸ ბეგალიშვილი, „სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში“ (სქ. 1265) 128. მიუხედავად იმისა, რომ განჩინების გამოტანიდან, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღსრულებული *Ares Internationales Srl and MetalGeo Srl v Georgia* ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საქართველოს განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას არასდროს უთქვამს უარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი

ცენტრში რეგისტრირებულ საარბიტრაჟო საქმეთაგან ხუთ საქმეზე მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება,¹²⁶⁹ ხოლო რვა დასრულებულია.¹²⁷⁰ უმეტეს შემთხვევაში საარბიტრაჟო წარმოება შეწყვეტილია და საქმე მორიგებითაა დასრულებული, ან დავაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი ასევე მორიგებითაა დასრულებული.¹²⁷¹

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კეთილსინდისიერად ეკიდება ICSID კონვენციით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, ცნოს და აღასრულოს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ დრომდე საქართველოს მხრიდან არც სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხი წამოჭრილა ამ პროცესში.

უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საქმეს ქართული სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს.¹²⁷²

ვალდებულების გადახდაზე და გადახდის შეყოვნების მიზეზად სახელდებოდა სპეციალური საბიუჯეტო პროცედურების გავლა, რადგანაც გადახდების განხორციელება აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. აღსანიშნავია ისიც, გადაუხდელობის მიზეზად საქართველოს არ დაუყენებია აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის საკითხი. იხ. *Ioannis Kardassopoulos & Ron Fuchs v The Republic of Georgia*, Decision of the Ad Hoc Committee on the Stay of Enforcement of the Award, ICSID Case No. ARB/05/18, ICSID Case No. ARB/07/15, 12 November 2010, para 36, 37.

¹²⁶⁹ იხ. *Gardabani Holdings BV, Inter RAO UES PJSC, Telasi JSC v Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, State Service Bureau Ltd* (ICSID Case №ADM/18/1 and SCC Case №V2018/039); *Gardabani Holdings BV and Silk Road Holdings BV v Georgia* (ICSID Case №ARB/17/29); *Telcell Wireless, LLC and International Telcell Cellular, LLC v Georgia* (ICSID Case No. ARB/20/5); *Bob Meijer v Georgia* (ICSID Case No. ARB/20/28); *Nasib Hasanov v Georgia* (ICSID Case No. ARB/20/44).

¹²⁷⁰ იხ. *Ioannis Kardassopoulos v Georgia* (ICSID Case №ARB/05/18); *Ares International Srl and MetalGeo Srl v Georgia* (ICSID Case №ARB/05/23); *Ron Fuchs v Georgia* (ICSID Case №ARB/07/15); *Zhinvali Development Ltd v Republic of Georgia* (ICSID Case №ARB/00/1); *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia* (ICSID Case №ARB/08/7); *Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v Georgia* (ICSID Case №ARB/08/19); *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia* (ICSID Case №ARB/09/22); *Bidzina Ivanishvili v Georgia* (ICSID Case №ARB/12/27).

¹²⁷¹ იხ. *Ioannis Kardassopoulos v Georgia* (ICSID Case №ARB/05/18); *Ron Fuchs v Georgia* (ICSID Case №ARB/07/15); *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia* (ICSID Case №ARB/08/7); *Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v Georgia* (ICSID Case №ARB/08/19); *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia* (ICSID Case №ARB/09/22); *Bidzina Ivanishvili v Georgia* (ICSID Case №ARB/12/27).

¹²⁷² ბეგალიშვილი, „სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში“ (სქ. 1265) 129.

1.8. დასკვნა

ICSID კონვენცია სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმია,¹²⁷³ რომელიც მოიცავს სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორის მონაწილეობით გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დელოკალიზებულ, ავტომატურ, თვითკმარ და თვითაღსრულებად რეჟიმს, რაც გულისხმობს ადგილობრივი სასამართლოს კონტროლის გამორიცხვას ცნობისა და აღსრულების პროცესში.¹²⁷⁴

ICSID კონვენცია წინააღმდეგობის ნაბიჯია სახელმწიფოს მონაწილეობით გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში, რადგან იგი, ნიუ-იორკის კონვენციასთან შედარებით, უფრო ხელსაყრელ გარემოს სთავაზობს საარბიტრაჟო დავის მხარეებს. თუმცა, ICSID კონვენციასაც აქვს ერთგვარი „აქილევსის ქუსლი“, როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორი, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის სახით. შესაბამისად, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო პროცესის დასრულება დამოკიდებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობაზე, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების აღსრულება.¹²⁷⁵ განხილული კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე კი შეიძლება ითქვას, რომ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი ის ბარიერია, რომლის გადალახვა საკმაოდ რთული თუ არა შეუძლებელია ცალკეულ შემთხვევაში.

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმის ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველგვარი გარანტიის გარეშე ტოვებს მოგებულ კერძო მხარეს მის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით.¹²⁷⁶

¹²⁷³ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 321.

¹²⁷⁴ Delaume, 'Foreign Sovereign Immunity: Impact on Arbitration' (სქ. 743) 35.

¹²⁷⁵ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 321.

¹²⁷⁶ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 241.

აღნიშნული პრობლემიდან ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის მუხლის შეტანა ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში, თუმცა, ეს არ შექმნის უნიფიცირებულ რეჟიმს ICSID კონვენციის ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის.¹²⁷⁷

უფრო შეზღუდული, თუმცა შედარებით ეფექტიანი გზა იქნებოდა საინვესტიციო ხელშეკრულებებით იმ სახელმწიფო აქტივების განსაზღვრა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაკმაყოფილებისათვის ან აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმისთვის.¹²⁷⁸ თუმცა, აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფოს დათანხმებაც ნაკლებ სავარაუდოა დღესდღეობით.¹²⁷⁹

კიდევ ერთი გამოსავალი, რომელიც შემოთავაზებულია ჰეიზელ ფოქსის მიერ, არის მოდელური კანონის მიღება სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, რომელიც იმპლემენტირებული იქნება სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში.¹²⁸⁰ მართალია, აღნიშნული ინსტრუმენტი აღსრულების მიზნით ისევ შეზღუდავს ინვესტორების წვდომას სახელმწიფოს „ძირულ“ აქტივებზე, როგორცაა, მაგალითად, ცენტრალური ბანკის საბანკო ანგარიშები, თუმცა მაინც გააფართოვებს იმ აქტივების ჩამონათვალს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაკმაყოფილების მიზნით.¹²⁸¹

საკითხის გადაჭრის შესაძლო გზა დევს ასევე ეროვნული კანონმდებლობითა და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკით დადგენილი იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გავრცელებაზე აღსრულებისგან იმუნიტეტზეც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებით.¹²⁸² აღნიშნული მიდგომა მხოლოდ შვეიცარიაშია დღესდღეობით, თუმცა შვეიცარიული სამართლის მიერ დადგენილი ‘Binnenbeziehung’-ის მოთხოვნა, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივ ურთიერთობას,

¹²⁷⁷ Cane (სქ. 1100) 460.

¹²⁷⁸ Bjorklund, ‘Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards’ (სქ. 11) 230.

¹²⁷⁹ იქვე.

¹²⁸⁰ Hazel Fox, ‘State Immunity and Enforcement of Arbitral Awards: Do We Need an UNCITRAL Model Law Mark II for Execution Against State Property?’ (1996) 12(1) *Arbitration International* 89, 93.

¹²⁸¹ Bjorklund, ‘Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards’ (სქ. 11) 230.

¹²⁸² Van den Berg, ‘Recent Enforcement Problems under The New-York and ICSID Conventions’ (სქ. 1189) 439.

საიდანაც წარმოიშვა დავა, უნდა ჰქონდეს საკმარისი კავშირი შვეიცარიის ტერიტორიასთან, ზღუდავს სხვაგვარად ფართო დოქტრინას.¹²⁸³

შედარებით იოლი გზა შეიძლება იყოს პროცედურული მექანიზმის გამოყენება, რომლის თანახმადაც, აქტივების კომერციული თუ არაკომერციული ბუნების მტკიცების ტვირთი გადავიდოდა სახელმწიფოზე და არა ინვესტორზე.¹²⁸⁴ საერთაშორისო თანამეგობრობას ასევე შეუძლია განახორციელოს ზეწოლა ურჩ სახელმწიფოზე და ხელი შეუწყოს გადახდას.¹²⁸⁵

თავად ICSID კონვენციის ცვლილება ამ კუთხით ნაკლებ რეალური ჩანს ხელშემკრელ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კონსესუსის არარსებობის გამო.¹²⁸⁶ ბროშე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ICSID კონვენციაზე მუშაობის წლებში, რაც მოიცავს 1962-1965 წლებს, მრავალმხრივი კონვენციით შეუძლებელი იყო აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხის გადაჭრა.¹²⁸⁷ თუმცა ახლა შესაძლებელია ICSID კონვენციის ოქმის მიღება, რომელიც აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას შეეხება და იგივე სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა ექნება, როგორც ICSID კონვენციას.¹²⁸⁸ ასეთ შემთხვევაში, ხელშემკრელ სახელმწიფოებს ექნებათ არჩევანის შესაძლებლობა, მიუერთდნენ აღნიშნულ ოქმს, ან არა.¹²⁸⁹

აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე ერთიანი, უნიფიცირებული რეჟიმის შექმნა რთულია სახელმწიფოთა დღეს არსებული, არაერთგვაროვანი მიდგომის გათვალისწინებით და შემოთავაზებული გზებიც პოლიტიკურად ნაკლებად განხორციელებადია.¹²⁹⁰

მართალია, სახელმწიფოს მიერ ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევები, როგორც წესი, არ არის ხშირი, მაგრამ მათი

¹²⁸³ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 11) 232.

¹²⁸⁴ იქვე, 230.

¹²⁸⁵ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 321, 238-39.

¹²⁸⁶ Cane (სქ. 1100) 460.

¹²⁸⁷ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 333.

¹²⁸⁸ Cane (სქ. 1100) 461.

¹²⁸⁹ იქვე.

¹²⁹⁰ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 321.

რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ქმედითი სანქციები ე.წ. ურჩი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობს საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაზე.¹²⁹¹ არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ნებაყოფლობით იხდიან ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ფულად თანხას, შესაძლოა შეცვალონ თავიანთი მიდგომა.¹²⁹² ამასთან, სახელმწიფოს მიერ ინვესტორის ICSID კონვენციით გათვალისწინებული დიპლომატიური დაცვის საშუალების ამოქმედებით იქმნება საარბიტრაჟო პროცესის რეპოლიტიზაციის საფრთხე, რადგან ძლიერი პოლიტიკური გავლენის მქონე სახელმწიფოს ინვესტორის მიერ ამ გზით წარმატების მიღწევის უფრო მეტი ალბათობა და შესაძლებლობაა, ვიდრე იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ნაკლებად ძლიერ სახელმწიფოს მიეკუთვნებიან.¹²⁹³

შესაბამისად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი მაინც რჩება „უკანასკნელ ბასტიონად“ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში, მათ შორის, ICSID კონვენციის მოქმედების პირობებშიც კი.¹²⁹⁴

2. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად

2.1. შესავალი

არა-ICSID ტრიბუნალის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, ჩვეულებრივ, ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით ხორციელდება. ნიუ-იორკის კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ რატიფიცირებადი კონვენციაა

¹²⁹¹Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 241.

¹²⁹² იქვე. ობ. ასევე Luke Eric L E Peterson, 'How Many States are not Paying Awards under Investment Treaties?' (Investment Arbitration Reporter, 7 May 2010) <<https://www.iareporter.com/articles/how-many-states-are-not-paying-awards-under-investment-treaties/>> [18.12.2022].

¹²⁹³ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 241.

¹²⁹⁴ იქვე. ობ. ასევე Ostrander (სქ. 17) 541-82.

მსოფლიოში.¹²⁹⁵ მისმა წარმატებულმა დანერგვამ და გამოყენებამ ბოლო სამოცი წლის განმავლობაში ხელი შეუწყო საერთაშორისო არბიტრაჟის ინტერნაციონალიზაციას.¹²⁹⁶ ICSID კონვენციისგან განსხვავებით, ნიუ-იორკის კონვენცია შეიქმნა კერძო პირებს შორის კომერციული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მიზნით. მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკის კონვენცია ასევე წარმატებით ვრცელდება სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე.¹²⁹⁷

ICSID კონვენციის მსგავსად, ნიუ-იორკის კონვენციის ძირეული მიზანი იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების მომხრე ერთგვაროვანი სააღსრულებო პრაქტიკის ჩამოყალიბება.¹²⁹⁸ ამ მიზნის მისაღწევად ნიუ-იორკის კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს ცნონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულონ ისინი იმ სახელმწიფოს საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოთხოვნილია ამ გადაწყვეტილების აღსრულება.¹²⁹⁹

ნიუ-იორკის კონვენცია ვრცელდება მხოლოდ *უცხოური* და *არაადგილობრივი* საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე.¹³⁰⁰ ამასთან, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააკეთონ ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული დათქმები, როგორცაა, ნაცვალგებისა და კომერციული დათქმები.¹³⁰¹ ნაცვალგების დათქმა ხელშემკვრელ სახელმწიფოს აძლევს მხოლოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართ ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენების შესაძლებლობას.¹³⁰² რაც შეეხება კომერციულ დათქმას, იგი ითვალისწინებს ნიუ-იორკის კონვენციის გამოყენებას მხოლოდ იმ სამართლებრივი

¹²⁹⁵ Christopher F Dugan and others, *Investor-State Arbitration* (Oxford University Press 2008) 679.

¹²⁹⁶ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 624.

¹²⁹⁷ Van den Berg, *The New York Arbitration Convention of 1958* (სქ. 37) 15-19.

¹²⁹⁸ Stephen T Ostrowski and Yuval Shani, 'Chromalloy: United States Law and International Arbitration at the Crossroads' (1988) 73 *New York University Law Review* 1650, 1656.

¹²⁹⁹ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-3 მუხლი.

¹³⁰⁰ იქვე, 1(1) მუხლი.

¹³⁰¹ იქვე, 1(2),(3) მუხლი.

¹³⁰² ამ დათქმით სარგებლობს ხელშემკვრელი სახელმწიფოების დაახლოებით ორი მესამედი, რომელთა შორისაცაა აშშ, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, საბერძნეთი და ა.შ. სრული სია იხ. <<http://www.newyorkconvention.org/countries>> [10.11.2021].

ურთიერთობიდან წარმოშობილ ისეთ სახელშეკრულებო თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მიიჩნევა კომერციულად დათქმის გამკეთებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.¹³⁰³ მნიშვნელოვანია, რომ ცნება „კომერციული“ ნიუ-იორკის კონვენციის მიზნის გათვალისწინებით, ადგილობრივი სასამართლოების მიერ ფართოდ განიმარტებოდეს.¹³⁰⁴

ნიუ-იორკის კონვენცია, ერთი მხრივ, იცავს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს დისკრიმინაციისგან, იმით რომ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, არ დააწესონ არსებითად უფრო რთული პირობები უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე ადგილობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან შედარებით,¹³⁰⁵ ხოლო, მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს უფრო ხელსაყრელი სამართლის პრინციპს, რაც გულისხმობს ცნობისა და აღსრულების მსურველი მხარის შესაძლებლობას, დაეყრდნოს ნორმებს, რომელიც ნიუ-იორკის კონვენციასთან შედარებით მისთვის უფრო ხელსაყრელია.¹³⁰⁶

ICSID კონვენციის 54-ე მუხლის მსგავსად, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად გადაწყვეტილების აღსრულების მაძიებელმა მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ორიგინალი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი.¹³⁰⁷ თუმცა, ICSID კონვენციისგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების ავტომატური რეჟიმის დანერგვას, ნიუ-იორკის კონვენცია ადგილობრივ

¹³⁰³ „ICCA სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობა მოსამართლეებისთვის” (რუსუდან ჰკუასელი და სხვები (მთარგნელები), სოფიო ტყემალაძე (რედ), კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, (2013) 35 <https://cdn.arbitration-icca.org/s3fs-public/document/media_document/georgian_translation_judges_guide_website_with_cover_20june.pdf> [10.11.2021].

¹³⁰⁴ Yves Derains and Josefa Sicard-Mirabal, *Introduction to Investor-State Arbitration* (Wolters Kluwer 2018) 254. იხ. ასევე Hans Bagner, ‘Article 1’ in Herbert Kronke and others (eds), *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention* (Kluwer Law International 2010) 33-36.

¹³⁰⁵ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-3 მუხლი.

¹³⁰⁶ იქვე, 7(1) მუხლი.

¹³⁰⁷ იქვე, 4(1) მუხლი.

სასამართლოებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების უფლებას ანიჭებს.¹³⁰⁸

გარდა ამისა, ICSID კონვენციისგან განსხვავებით, ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, მხარეს შესაძლოა ეროვნული სასამართლოების მიერ უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას,¹³⁰⁹ როგორცაა:

- ა) საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა ან მხარეთა ქმედუუნარობა;
- ბ) სამართლიანი პროცესის პრინციპის დარღვევა;
- გ) საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ უფლებამოსილების გადამეტება;
- დ) მხარეთა შეთანხმების ან არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლის მოთხოვნებთან არბიტრაჟის შემადგენლობის ან საარბიტრაჟო წარმოების შეუსაბამობა;

ე) შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში, ანდა იგი გაუქმებულია ან შეჩერებულია იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იგი იქნა გამოტანილი.

გარდა ამისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როდესაც იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, დაადგენს, რომ დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, ანდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესრიგს.¹³¹⁰

მართალია, ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად ცნობისა და აღსრულების სტადიაზე ადგილობრივ სასამართლოს არ აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსებითად გადასინჯვის უფლებამოსილება, თუმცა ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად აღსასრულებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმებულ იქნას

¹³⁰⁸ Javier Garcia Olmedo, 'Sovereign Immunity as a Ground to Refuse Compliance with Investor-State Awards: Past Experience and Future Developments' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019) 356.

¹³⁰⁹ ნიუ-იორკის კონვენცია, მე-5 მუხლი.

¹³¹⁰ იქვე, 5(2) მუხლი.

არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ.¹³¹¹ ნიუ-იორკის კონვენცია არ განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, თუმცა ეროვნული კანონმდებლობები, რომლებსაც იმპლემენტირებული აქვთ UNCITRAL-ის სამოდელო კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“,¹³¹² ძირითადად იმეორებენ ამ კანონის 34-ე მუხლს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.¹³¹³

2.2. სახელმწიფო იმუნიტეტი და ნიუ-იორკის კონვენცია

ნიუ-იორკის კონვენციით განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს შორის არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო იმუნიტეტი. თუმცა არსებობს რამდენიმე გზა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს შეუძლია წამოჭრას სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის საკითხი.¹³¹⁴ იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის შემთხვევაში აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს არბიტრაჟის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტების, მხარეთა ქმედუუნარობის, ან დავის არა-არბიტრაჟუნარიანობის საფუძვლით.¹³¹⁵

რაც შეეხება აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტს, ორი შესაძლო გზაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში ამ საკითხის წამოჭრისა.¹³¹⁶ პირველი გზა მოიაზრებს ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის

¹³¹¹ იქვე, 5(1)(e) მუხლი.

¹³¹² UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (1985) with amendments as adopted in 2006, 34-ე მუხლი <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [10.11.2021].

¹³¹³ Carlo de Stefano, 'The Circulation of International Investment Awards under the New York Convention' in Katia-Fach Gomez and Ana M Lopez-Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019) 444; იხ. ასევე საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, 42-ე მუხლი.

¹³¹⁴ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 308.

¹³¹⁵ იქვე. იხ. ასევე Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 11) 218-19.

¹³¹⁶ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 308.

გამოყენებას, რომელიც ადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები უნდა იქნას ცნობილი შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღსრულდეს იმ ქვეყნის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება.¹³¹⁷ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას, ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლი, ასევე მოიაზრებს იმ საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპების გამოყენებას, რომლებიც შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელ ნორმებსაც.¹³¹⁸ შედეგად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მაძიებელმა უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნები.¹³¹⁹ მეორე გზა ითვალისწინებს სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის საკითხის წამოჭრას „საჯარო წესრიგის გამონაკლისის“ საფუძველზე, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.¹³²⁰

ის ფაქტი, რომ ნიუ-იორკის კონვენცია დუმს სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე, ადგილობრივ სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენონ სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა როგორც იურისდიქციული იმუნიტეტით დაცვის, ისე სახელმწიფო ქონების აღსასრულებლად მიქცევის საკითხის გადაწყვეტისას.¹³²¹ შედეგად, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას კიდევ უფრო მეტად ართულებს ეროვნული კანონმდებლობების განსხვავებული მიდგომა სახელმწიფო ქონებაზე აღსრულებისგან იმუნიტეტის თაობაზე.

¹³¹⁷ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 217.

¹³¹⁸ Andreas Börner, 'Article III' in H Kronke and others (eds), *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A global Commentary on the New York Convention* (Kluwer Law International 2010) 137.

¹³¹⁹ Hazel Fox, 'State Immunity and the New York Convention' in Emmanuel Gaillard and D di Pietro (eds), *Enforcement of Arbitral Agreements and International Arbitral Awards: the New York Convention in Practice* (Cameron May 2008) 836-37.

¹³²⁰ იქვე, 837; იხ. ასევე Gerlich (სქ. 388) 59-61.

¹³²¹ Olmedo (სქ. 1308) 357.

2.2.1. სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმა და ნიუ-იორკის კონვენცია

ზოგადი წესის თანახმად, უცხო სახელმწიფოს ადგილობრივი სასამართლოების იურისდიქციისგან იცავს სახელმწიფო იმუნიტეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის ფაქტი ან სხვა ქმედება, რომელიც სასამართლოს იურისდიქციის დადგენის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაგალითად, სახელმწიფოს კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობა.¹³²² ადგილობრივი სასამართლოების მიერ განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა იმის თაობაზე, სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების დადება როდის და რა შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად ცნობისა და აღსრულების პროცესში.¹³²³

ფართოდ, მაგრამ არა საყოველთაოდ, მიღებულია, რომ სახელმწიფოს შეთანხმება დავის არბიტრაჟის გზით მოგვარების თაობაზე, მიიჩნევა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საფუძველად ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში.¹³²⁴

აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია გაეროს კონვენციითაც. იგი შეიცავს საარბიტრაჟო გამონაკლისს, რომელიც ადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება უკარგავს მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების ან გაუქმების საქმისწარმოებაზე, იმ პირობით, რომ საარბიტრაჟო დავა „კომერციულ გარიგებასთანაა“ დაკავშირებული.¹³²⁵

თავის მხრივ, ფრანგული სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს იმ მიდგომას, რომ, როდესაც სახელმწიფო დებს საარბიტრაჟო შეთანხმებას წერილობით და თანხმდება

¹³²² Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 221.

¹³²³ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 221.

¹³²⁴ Georgios Petrochilos, *Procedural Law in International Arbitration* (Oxford University Press 2004) 291-92; იხ. ასევე Felix J Montero and Paloma Castro, 'Waivers of Sovereign Immunities in Enforcement Proceedings and the 1958 NY Convention' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez-Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019) 372.

¹³²⁵ გაეროს კონვენცია, მე-17 მუხლი.

კომერციულ გარიგებასთან დაკავშირებული დავის საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი კარგავს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვის უფლებას.¹³²⁶ აღნიშნული პრინციპის ნათელი გამოხატულებაა საქმეზე 1986 *SEEE v Republique de Yougoslavie* მიღებული გადაწყვეტილება, სადაც საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ იუგოსლავიამ საარბიტრაჟო განხილვაზე თანხმობით თავისი თავი დაუქვემდებარა არბიტრაჟის იურისდიქციას და შედეგად, დაუშვა მათ მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ცნობის შესაძლებლობა.¹³²⁷ ამ დროიდან მოყოლებული აღნიშნული მიდგომა პრეცედენტული გახდა ფრანგული სასამართლო პრაქტიკისთვის.¹³²⁸

საარბიტრაჟო გამონაკლისს შეიცავს გაერთიანებული სამეფოს კანონიც, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვერ ისარგებლებს სახელმწიფო იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში, როდესაც სახელმწიფო წერილობით თანხმობას განაცხადებს უკვე წარმოშობილი ან შესაძლო მომავალი დავის საარბიტრაჟო განხილვაზე.¹³²⁹ გაერთიანებული სამეფოს კანონის საარბიტრაჟო გამონაკლისი იმით არის გამორჩეული, რომ იგი არ მოითხოვს იურისდიქციულ კავშირს გაერთიანებულ სამეფოსთან ან მის სამართალთან და უზრუნველყოფს, რომ უცხო სახელმწიფო არ იქნება დაცული იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში, მიუხედავად იმისა, სად ითვალისწინებდა საარბიტრაჟო შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვას.¹³³⁰

ზემოხსენებული მიდგომა გაიზიარა FSIA-მ მას შემდეგ, რაც აშშ-ის სხვადასხვა სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არათანმიმდევრული

¹³²⁶ *Montero and Castro* (სქ. 1324) 372.

¹³²⁷ *SEEE v Yugoslavia* Judgment of 13 Nov 1984, 24 ILM 345 (1985).

¹³²⁸ *Montero and Castro* (სქ. 1324) 372.

¹³²⁹ SIA, 9(1) მუხლი.

¹³³⁰ *Fox and Webb, The Law of State Immunity* (სქ. 12) 287. იხ. ასევე *Svenska Petroleum Exploration AB v Lithuania and Another* [2006] EWCA Civ 1529; [2007] WLR 876; *Pearl Petroleum Co Ltd v Kurdistan Regional Government of Iraq* [2015] EWHC 3361, Comm.

გადაწყვეტილებები გამოიტანა.¹³³¹ 1988 წლამდე იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისის ვიწრო განმარტების თანახმად, უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აშშ-ში ცნობისა და აღსრულების პროცესში საარბიტრაჟო შეთანხმება იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმად მიიჩნეოდა იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება არბიტრაჟის ადგილსამყოფელ სახელმწიფოდ მოიაზრებდა აშშ-ს.¹³³² თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება რეგულირდებოდა ნიუ-იორკის კონვენციით, მაშინ სავალდებულო არ იყო არბიტრაჟის ადგილსამყოფელად აშშ-ის განსაზღვრა იმ პირობით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანა ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო იყო.¹³³³ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო ითვალისწინებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესის შესაძლებლობას ნიუ-იორკის კონვენციის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მათ შორის, აშშ-ში. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება მიიჩნეოდა FSIA-ს 1605(a)(1) მუხლით გათვალისწინებულ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის საფუძველად, თუმცა, ზემოხსენებული წესი არ ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოპასუხე უცხო სახელმწიფო არ არის ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ პროცესში მონაწილე ყველა სხვა ქვეყანა ნიუ-იორკის კონვენციის წევრი შეიძლება იყოს.¹³³⁴ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება FSIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს იურისდიქციისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისს აშშ-ში საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამტკიცების პროცესში როდესაც: ა) საარბიტრაჟო განხილვა განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო

¹³³¹ Mark B Feldman, 'Waiver of Foreign Sovereign Immunity by Agreement to Arbitrate: Legislation Proposed by the American Bar Association' (1985) *The Arbitration Journal* 24. იხ. ასევე Strong (სქ. 207) 349-351; Turck (სქ. 809) 327.

¹³³² იხ. *Verlinden BV v Central Bank of Nigeria* (1980) 488 F Supp 1284 SDNY, *aff'd* on other grounds, 647 F2d 320 (2nd Cir 1981), *reviewed*, 103 S Ct 1962 (1983); *Ohntrup v Firearms Center Inc* (1981) 516 F Supp 1281 ED Pa.; *Chicago Bridge & Iron & Co v Islamic Republic of Iran* 506 F Supp 981 (DC III 1980) 987-88.

¹³³³ Yang (სქ. 89) 325.

¹³³⁴ Chamlongrasdr (სქ. 200) 141-42.

აშშ-ში, ან ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ვრცელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ აშშ-ისთვის ძალაში მყოფი საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება.¹³³⁵

1988 წელს FSIA-ში საარბიტრაჟო გამონაკლისის სახით შეტანილი ცვლილება ნათელი გამოხატულებაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სწორედ ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად აღსრულების შესაძლებლობის დადასტურებისა და განმტკიცებისა და განმარტება იმისა, რომ უცხო სახელმწიფო კარგავს იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის უფლებას საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად აშშ-ში დადასტურების მოთხოვნის პროცესში.¹³³⁶

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის კონვენცია არ არეგულირებს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმის შემთხვევას ICSID კონვენციისგან განსხვავებით, რომლის 55-ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ICSID კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვაზე სახელმწიფოს თანხმობა არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას,¹³³⁷ რადგანაც ზოგადი პრაქტიკის თანახმად, იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა, როგორც წესი, არ მიიჩნევა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად. შესაბამისად, ადგილობრივი სასამართლოს მიერ უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე განსჯადობის დადგენის შემთხვევაში, სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობების უმრავლესობის მიხედვით, სახელმწიფო აქტივები აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცულად მიიჩნევა. თუმცა, მაგალითად, შვეიცარიას განსხვავებული მიდგომა აქვს და მისი კანონმდებლობით სახელმწიფოს შეთანხმება არბიტრაჟზე ნიუ-იორკის კონვენციის წევრ ქვეყანაში, ნიშნავს სახელმწიფოს უარს როგორც იურისდიქციისგან, ისე აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე.¹³³⁸ აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულთან დაკავშირებით შვეიცარიის კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვას აწესებს და მოითხოვს კავშირის არსებობას

¹³³⁵FSIA, 1605 (a)(6) მუხლი. იხ. ასევე Yang (სქ. 89) 326-27.

¹³³⁶Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 318.

¹³³⁷ ICSID კონვენცია, 55-ე მუხლი.

¹³³⁸ Schneider and Knoll (სქ. 56) 322-23.

დავის საგანსა და აღსასრულებლად მისაქცევ აქტივებს შორის, თუმცა, ბუნდოვანია აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება თუ არა ნიუ-იორკის კონვენციით აღსასრულებელ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.¹³³⁹

სასამართლო პრაქტიკა იცნობს ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოს შეთანხმება კონკრეტული საარბიტრაჟო წესების თანახმად დავის საარბიტრაჟო განხილვაზე, მიჩნეულ იქნა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმად ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნისას.¹³⁴⁰ აღნიშნული შეეხება *Creighton*-ის საქმეს, რომელზეც საარბიტრაჟო შეთანხმება გამოტანილი იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების მიხედვით და აღსრულდა საფრანგეთში.¹³⁴¹ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების საფუძველზე, რომელიც მხოლოდ ძალას ანიჭებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს და მხარეებს ავალდებულებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულებას.¹³⁴² თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება გაკრიტიკებული იქნა სასამართლოს სუსტი მსჯელობის გამო და ამ მიდგომამ ისევე, როგორც შვეიცარიის მაგალითმა, ფართო გამოყენება ვერ მოიპოვა.¹³⁴³ საბოლოო ჯამში, სახეზეა არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფოს მიერ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას.¹³⁴⁴

2.2.2. FSIA, აშშ-ის კონსტიტუცია და ნიუ-იორკის კონვენცია

საინტერესოა FSIA-ს, აშშ-ის კონსტიტუციისა და ნიუ-იორკის კონვენციის ურთიერთმიმართება აშშ-ის საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა

¹³³⁹ *A Limited v Republic of Uzbekistan* BGE 5A_942/2017 (2018) (გერმანულად).

¹³⁴⁰ *Creighton Limited v Government of the State of Qatar* (სქ. 805).

¹³⁴¹ იქვე.

¹³⁴² ICC Rules of Conciliation and Arbitration of 2021, მუხლი 35(6). 2000 წელს აღნიშნული დებულება ფორმულირებული იყო 24(2) მუხლში.

¹³⁴³ *Malet-Deraedt* (სქ. 818) 339.

¹³⁴⁴ იქვე.

და აღსრულების საქმეზე აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციის დადგენის კუთხით. საქმე იმაშია, რომ საარბიტრაჟო გამონაკლისი არ მოითხოვს უცხო სახელმწიფოს საქმიანობასა და აშშ-ს შორის რამე სახის კავშირის არსებობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება აშშ-ია მოთხოვნილი.¹³⁴⁵ შედეგად, დავა მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, შესაბამისობაშია თუ არა FSIA-ს საარბიტრაჟო გამონაკლისის საფუძველზე დადგენილი განსჯადობა პირადი განსჯადობისათვის აშშ-ის კონსტიტუციით გათვალისწინებული „მინიმალური კავშირის“ მოთხოვნასთან უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას,¹³⁴⁶ რადგან მოპასუხე უცხო სახელმწიფოს, გარდა აშშ-ში აქტივების ფლობისა, შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი მინიმალური კავშირი აშშ-თან იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სამართლიანი პროცესის პრინციპის მოთხოვნა.¹³⁴⁷ თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგივე პრობლემის წინაშე დგება ინვესტორი მაშინაც, როდესაც სასამართლო FSIA-თ გათვალისწინებული იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისის საფუძველზე განიხილავს მოპასუხე უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტის საკითხს ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე.¹³⁴⁸ ბოლო პერიოდში საერთოდ კითხვის ქვეშ დადგა უცხო სახელმწიფოსა და სახელმწიფო ერთეულის „პირად“ მიჩნევის საკითხი კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის.¹³⁴⁹ შესაბამისად, თუ უცხო სახელმწიფო და მისი ერთეული არ მიიჩნევა „პირად“, სასამართლოსათვის არც „მინიმალური კავშირის“

¹³⁴⁵ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 319.

¹³⁴⁶ იქვე, 316-21; იხ. ასევე Chamlongrasdr (სქ. 200) 143-185.

¹³⁴⁷ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 319.

¹³⁴⁸ Chamlongrasdr (სქ. 200) 174-180.

¹³⁴⁹ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 320; იხ. ასევე *Republic of Argentina v Weltover Inc* 504 US 607, 619-20 (1992); შეად. *Texas Trading & Milling Corp v Republic of Nigeria* 647 F 2d 300, 308 (2nd Cir 1981), რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ უცხო სახელმწიფო არის „პირი“ სამართლიანი პროცესის პრინციპის მიზნებისთვის.

დადგენის საჭიროება დგება.¹³⁵⁰ თუმცა, აშშ-ის სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც.¹³⁵¹

აშშ-ის კონსტიტუციით დადგენილი სამართლიანი პროცესის პრინციპის საკითხის წამოწევა ნიუ-იორკის კონვენციას დაქვემდებარებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეში, ნიშნავს ნიუ-იორკის კონვენციით დადგენილი სააღსრულებო მექანიზმის არასათანადოდ გაგებას და იმ არგუმენტის უფლებელყოფას, რომ იმ არბიტრაჟზე თანხმობით, რომლის შედეგადაც გამოტანილი გადაწყვეტილება ნიუ-იორკის კონვენციით იქნება რეგულირებული, არბიტრაჟის მხარეები, მათ შორის, სახელმწიფოები, შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ უარს ამბობენ პირადი განსჯადობით დაცვის უფლებაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე.¹³⁵²

გარდა კონსტიტუციით დადგენილი სამართლიანი პროცესის პრინციპისა, ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აშშ-ში დადასტურების მოთხოვნისას, აშშ-ის სასამართლოების იურისდიქციის დადგენაზე კრედიტორს შეიძლება ასევე უარი ეთქვას *forum non conveniens*-ის დოქტრინის საფუძველზე, რომელიც არის საერთო სამართლის დოქტრინა და აშშ-ის სასამართლოებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, უარი თქვან საქმის არსებით განხილვაზე, თუ არსებობს ალტერნატიული ფორუმი და, კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, უფრო მიზანშეწონილია ამ ალტერნატიულ ფორუმში იქნას საქმე განხილული.¹³⁵³ მიუხედავად იმისა, რომ *forum non conveniens*-ის დოქტრინა შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლოებისთვის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გამოსაყენებლად, აშშ-ის რამდენიმე სასამართლომ გამოიყენა იგი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმეზე.¹³⁵⁴ კერძოდ, საქმეზე

¹³⁵⁰Fox and Webb, *The Law of State Immunity* (სქ. 12) 245.

¹³⁵¹ Bjorklund, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' (სქ. 18) 320; იხ. ასევე *Price v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 294 F 3rd 82, 95–9 (DC Cir 2002); *Frontera Resources Azerbaijan Corporation v State Oil Company of the Azerbaijan Republic* 479 F Supp 2nd 376 (SDNY 2007); *MR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F 3rd 296, 302–02 (DC Cir 2005).

¹³⁵² William W Park and Alexander A Yanos, 'Treaty Obligations and National Law: Emerging Conflicts in International Arbitration' (2006) 58 *Hastings Law Journal* 251, 296-7.

¹³⁵³ Foster (სქ. 162) 697.

¹³⁵⁴ იქვე. იხ. ასევე *Monegasque de Reassurances SAM (Monde Re) v NAK Naftogaz of*

Monde Re v NAK Naftogaz and State of Ukraine აშშ-ის პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა უარი უთხრეს მონაკოს კომპანია Monde Re-ს უკრაინის სახელმწიფოსა და უკრაინის სახელმწიფო საწარმოს – ნაფტოგაზის, წინააღმდეგ მოსკოვის არბიტრაჟის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დამტკიცების საქმის განხილვაზე იმ საფუძველით, რომ სისწრაფის, ნაკლები ხარჯისა და სიმარტივის გამო, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა უკრაინის სასამართლოებს განეხილა აღნიშნული საკითხი.¹³⁵⁵ ვინაიდან, მოსარჩელემ, ნაფტოგაზის გარდა, მოპასუხედ ასევე დაასახელა უკრაინის სახელმწიფო, იმ არგუმენტით, რომ ნაფტოგაზს უკრაინის სახელმწიფოს ალტერ ეგოდ მიიჩნევდა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად უკრაინის სასამართლო უფრო შესაფერისი ფორუმი იქნებოდა.¹³⁵⁶ აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოსარჩელის არგუმენტი, რომ უკრაინის სასამართლო მიკერძოებული იქნებოდა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საქმის განხილვისას.¹³⁵⁷

აღნიშნულ საქმეზე აშშ-ის სასამართლოს აზრით, *forum non conveniens* პროცესუალურ საკითხს მიეკუთვნებოდა და ამიტომ სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა იგი ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება ექვემდებარება იმ ადგილობრივი სასამართლოს საპროცესო ნორმებს, სადაც მოითხოვება ამ უკანასკნელის აღსრულება.¹³⁵⁸ მართალია, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველებს, თუმცა როგორც ჩანს, აშშ-ის რამდენიმე სასამართლომ უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე კონვენციის სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძველითაც.¹³⁵⁹

Ukraine 311 F 3rd 488 (2nd Cir 2002); *Figueiredo Ferraz E Engenharia de Projeto Ltda v Republic of Peru* 663 F 4d 384 (2nd Cir. 2011); *Termorio SAESP v Elcetrificadora del Atlantico* 421 F Supp 2d 87 (DDC 2006).

¹³⁵⁵ *Monegasque de Reassurances S.A.M. (Monde Re) v NAK Naftogaz of Ukraine* 311 F 3d 488 (2nd Cir 2002).

¹³⁵⁶ Foster (სქ. 162) 697.

¹³⁵⁷ Kehoe (სქ. 420) 260-63.

¹³⁵⁸ Paulson (სქ. 38) 131.

¹³⁵⁹ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 647.

ნიუ-იორკის კონვენციას დაქვემდებარებულ საქმეებზე *forum non conveniens*-ის დოქტრინის გამოყენებას მოჰყვა კრიტიკა მოსამართლეებისა და კომენტატორების მხრიდან.¹³⁶⁰ აშშ-ის მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, თავის განსხვავებულ აზრში, არაგონივრულად მიიჩნია ნიუ-იორკის კონვენციით რეგულირებული უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე *forum non conveniens*-ის გამოყენება, რადგან მისი თქმით, არცერთი კანონი არ იძლევა ნიუ-იორკის კონვენციას დაქვემდებარებულ საქმეებზე ამ დოქტრინის გამოყენების საფუძველს.¹³⁶¹ თავის მხრივ, ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციის აზრით, ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლი ვიწროდ უნდა განიმარტოს და ეროვნული საპროცესო წესების გამოყენება უნდა შეიზღუდოს მაშინ, როდესაც ისინი შეუსაბამობაშია ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილ ექსკლუზიურ საფუძვლებთან.¹³⁶²

მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ში *forum non conveniens*-ის დოქტრინის გამოყენებამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დადასტურების საქმეებზე არ ჰპოვა ფართო გამოყენება.¹³⁶³ ამ მხრივ საგულისხმოა საქმეზე *TMR Energy* აშშ-ის სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც, შეუძლებელია უფრო მეტად შესაფერისი ალტერნატიული ფორუმის პოვნა მოსარჩელისათვის, რომელიც მოითხოვს აშშ-ში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, რადგან მხოლოდ აშშ-ის სასამართლო არის უფლებამოსილი გამოიტანოს გადაწყვეტილება აშშ-ში მდებარე უცხო სახელმწიფოს კომერციული აქტივების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.¹³⁶⁴

შედეგად, *forum non conveniens*-ის დოქტრინა შეუსაბამოა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესთან, განსაკუთრებით მაშინ,

¹³⁶⁰ Börner (სქ. 1318) 125.

¹³⁶¹ *Randall R Melton v OY Nautor Ab* No-97 15396 (US Court of Appeals 9th Cir 1998) [4-5] [Tashima CJ dissenting] Yearbook of Commercial Arbitration XXIVa (1999), 871, 873.

¹³⁶² International Commercial Disputes Committee of the Association of the Bar of the City of New York, 'Lack of Jurisdiction and Forum Non Conveniens as Defenses to the Enforcement of Foreign Arbitral Awards' (2006) 15(3-4) The American Review of International Arbitration, Columbia Law School 3 (6-17).

¹³⁶³ Foster (სქ. 162) 697.

¹³⁶⁴ *TMR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F3d 296 (DC Cir 2005).

როდესაც ცნობა და აღსრულება ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად ხორციელდება,¹³⁶⁵ რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საარბიტრაჟო წარმოებისა და ძირითადი ვალდებულების შესრულებისათვის სხვადასხვა ადგილს მაშინ, როცა საბოლოო გადაწყვეტილება ექვემდებარება საერთაშორისო აღსრულებას აღსრულებაზე უარის თქმის შეზღუდული საფუძვლების პირობით.¹³⁶⁶ რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება იყოს სხვა იურისდიქცია, რომელიც უფრო ახლო კავშირში იქნება თავდაპირველ დავასთან, ვიდრე აღსრულების ადგილი. მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკის კონვენციის არსი სწორედ ის არის, რომ საერთაშორისო გახადოს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება და არ შეზღუდოს მხარე აღსრულებისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილით.¹³⁶⁷ მეტიც, ნიუ-იორკის კონვენცია შექმნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოში ცნობის ხელშეწყობის მიზნით და აღნიშნული მიზანი მიუღწეველი დარჩება, თუ სასამართლოებს ექნებათ უფლებამოსილება, უარი თქვან გადაწყვეტილების ცნობაზე იმ საფუძვლით, რომ რომელიმე სხვა ქვეყანა უფრო ხელსაყრელი ფორუმი იქნება იმ მხარისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების აღსრულებას.¹³⁶⁸

2.3. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ნიუ-იორკის კონვენცია არ არეგულირებს სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს ნიუ-იორკის კონვენციის მიზანს, რომელიც მხარს უჭერს იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე უარის თქმას.¹³⁶⁹ ნიუ-იორკის კონვენცია

¹³⁶⁵ Foster (სქ. 162) 698.

¹³⁶⁶ Blackaby, Partasides, Redfern and Hunter (სქ. 3) 648.

¹³⁶⁷ იქვე.

¹³⁶⁸ Foster (სქ. 162) 698.

¹³⁶⁹ Albert Jan van den Berg, 'The New York Arbitration Convention and State Immunity' in KH Bockstiegel (ed), *Acts of State and Arbitration* Bands 12 (Karl Heymanns Verlag KG Munchen 1997) 49.

შეიქმნა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების ხელშეწყობისთვის და კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების საერთაშორისო ვალდებულებაა ცნონ და აღსრულონ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები.¹³⁷⁰ შესაბამისად, ადგილობრივი სასამართლოების მხრიდან უნდა წახალისდეს პროკონვენციური განწყობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში, რაც გულისხმობს საარბიტრაჟო გამონაკლისების განმარტებისას მაქსიმალურად აღსრულების ხელშემწყობი მიდგომის დანერგვასა და დამატებითი პროცესუალური ბარიერების თავიდან აცილებას, რაც არ არის გათვალისწინებული კონვენციის მე-5 მუხლით. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხი ნიუ-იორკის კონვენციის შემთხვევაშიც ადგილობრივი კანონმდებლობით წყდება და უმრავლეს შემთხვევაში, იურისდიქციისგან იმუნიტეტზე აურის თქმა არ გულისხმობს აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას, ინვესტორი ყოველთვის აწყდება იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი ნორმებით დაწესებულ წინააღმდეგობებს უცხო ქვეყნის აქტივებზე აღსრულების მოთხოვნისას.

¹³⁷⁰ Chamlongrasdr (სქ. 200) 138.

დასკვნა

ნაშრომის მიზნებისთვის ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტი ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვან ბარიერად უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკისა და ICSID კონვენციებით შემუშავებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დეტალური და ღირებული რეჟიმი, იგი მაინც ვერ სთავაზობს კერძო მხარეს სახელმწიფო იმუნიტეტის დაძლევის გზას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ დაკმაყოფილების მოთხოვნისას, რადგან არცერთი ამ კონვენციიდან არ არეგულირებს აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხს. მართალია, სახელმწიფოთა უმრავლესობამ გაიზიარა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა, რომელიც მიჯნავს ერთმანეთისგან არასახელისუფლებო (*jure gestionis*) და სახელისუფლებო (*jure imperii*) ქმედებებს და მხოლოდ ამ უკანასკნელის შემთხვევაში იცავს სახელმწიფოს იმუნიტეტით, თუმცა, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი თავისთავად არ არის იმის გარანტია, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოში მოსარჩელე კერძო მხარის მიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას, მოპასუხე სახელმწიფოს აქტივები აუცილებლად მიეცემა აღსასრულებლად, რადგან აღსასრულებლად მისაქცევი აქტივები ასევე ექვემდებარება სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მათზე იძულებითი აღსრულების განხორციელება. ამასთან, სპეციალური რეჟიმით დაცული ქონება პრაქტიკულად მიუწვდომელია აღსრულების მიზნებისთვის. შესაბამისად, აღსრულებისგან იმუნიტეტი ისევ რჩება „უკანასკნელ ბასტიონად“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში, რამაც შესაძლოა დაუკარგოს აზრი დავის საერთაშორისო არბიტრაჟის გზით გადაწყვეტას, რადგან სწორედ რომ სხვადასხვა იურისდიქციაში გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა არის საერთაშორისო არბიტრაჟის უმნიშვნელოვანესი უპირატესობა.

კვლევის შედეგად ნაშრომში განხილული კონვენციების, ქვეყნების კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების კუთხით არსებული ტენდენციების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოთა სასამართლოს მართლმსაჯულებისგან, ხოლო მათი აქტივები - სააღსრულებო წარმოებისგან დაცული არიან იმუნიტეტით, გარდა დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. FSIA-სა და SIA-ს მიღებით, მოხდა რა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის კოდიფიცირება, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირების საკითხში. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტი წარმატებით დაინერგა და განვითარდა ასევე ნაშრომში განხილულ იმ ქვეყნებში (შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია), სადაც სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი არ არის მიღებული.

3. გაეროს კონვენცია, მოიცავს რა სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე დღესდღეობით აღიარებულ ყველა ძირითად პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ არ არის ძალაში შესული, მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ საერთაშორისო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისას ეყრდნობიან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებს. გაეროს კონვენცია იძლევა გარკვეული სახის ერთიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნის შესაძლებლობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კონვენცია არ არის სრულყოფილი მექანიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში სახელმწიფო იმუნიტეტის დაძლევის კუთხით, მისი ავტორიტეტულობის ყველაზე კარგი განმსაზღვრელი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სასამართლოების მიერ მისი დებულებების გამოყენებაა.

4. უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით იურისდიქციისგან და აღსრულებისგან იმუნიტეტის რეგულირების სხვადასხვა რეჟიმი გათვალისწინებულია უმრავლეს სახელმწიფოთა ადგილობრივი კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით და გაეროსა და ევროპული კონვენციებით. იგი ასახულია ასევე ICSID და ნიუ-იორკის კონვენციებში. აღნიშნული რეგულირება მოიცავს სახელმწიფო იმუნიტეტიდან გამონაკლისებს, რომელთაგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას ძირითადად გამოიყენება კომერციული საქმიანობის, იმუნიტეტზე უარის თქმისა და საარბიტრაჟო გამონაკლისები.

5. ზოგადი წესის თანახმად, ICSID და ნიუ-იორკის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს შეთანხმება დავის არბიტრაჟის გზით მოგვარების თაობაზე, მიიჩნევა იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საფუძვლად აღნიშნული კონვენციების შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას. აღნიშნული გაზიარებულია როგორც ნაშრომში განხილული ქვეყნების კანონმდებლობებსა და სასამართლო პრაქტიკაში, ისე გაეროსა და ევროპულ კონვენციებში, თუმცა მნიშვნელოვანი ვარიაციებით. აქვე აღსანიშნავია, რომ იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმა, არ გულისხმობს აპრიორი, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას. აღსრულებისგან იმუნიტეტით დაცვის საკითხის განხილვისას უნდა დაკმაყოფილდეს ადგილობრივი კანონმდებლობებით დადგენილი აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისების მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, ბარიერს ქმნის აღსრულების პროცესში, ძირითადად, კომერციული საქმიანობის, სპეციალური რეჟიმით დაცული ქონებისა და იურისდიქციული კავშირის მოთხოვნის სახით. შედეგად, ადგილობრივი სასამართლოები და სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ადგილობრივი სამართალი ვერ უზრუნველყოფენ უცხოელი ინვესტორებისათვის საკმარის სამართლებრივ დაცვას მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში.

6. სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ყველაზე ხშირად გამოყენებადი ICSID და ნიუ-იორკის კონვენციებით

განსაზღვრული რეჟიმი ითვალისწინებს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას მრავალ ქვეყანაში, ადგილობრივი სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის ფუნქციის შეზღუდვით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ნიუ-იორკის კონვენცია ადგილობრივი სასამართლოსთვის ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ხოლო ICSID კონვენცია მოითხოვს, რომ ადგილობრივმა სასამართლომ ისე აღსრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, როგორც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, ხოლო იძულებით აღსრულებას ასევე ადგილობრივ კანონმდებლობას უქვემდებარებს, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი ვერ გადაწყდება ადგილობრივი სასამართლოების მიერ კონტროლის ფუნქციის განხორციელებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის გამოყენების გარეშე. მეტიც, ICSID კონვენციის 55-ე მუხლი აღსრულებისგან იმუნიტეტის საკითხის გადაწყვეტას პირდაპირ აკისრებს ადგილობრივ სასამართლოს ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე. ნიუ-იორკის კონვენცია კი, მართალია, არ შეიცავს არცერთ დებულებას სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე, მისი მე-3 მუხლი ავალდებულებს ადგილობრივ სასამართლოებს ადგილობრივი საპროცესო წესების გამოყენებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას. შედეგად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ადგილობრივი კანონმდებლობისა და სასამართლოებისგან აღნიშნული კონვენციებით შემოთავაზებული დელოკალიზების დონე ვერ უზრუნველყოფს კერძო მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვას სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას.

7. იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისი ქვეყნების მიხედვით სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს: იმუნიტეტზე უარის თქმა FSIA-ს შემთხვევაში, იურისდიქციისადმი დაქვემდებარება - SIA-ს შემთხვევაში, ან სულაც თანხმობა იურისდიქციაზე - როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს კონვენციაში. ამასთან, მაგალითად, აშშ-ის შემთხვევაში დადგენილია

დამატებითი მოთხოვნა, როგორცაა იურისდიქციული კავშირი აშშ-თან და დავაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს ნიუ-იორკის კონვენციის წევრობა, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნიუ-იორკის კონვენციით აღსრულებას ექვემდებარება. აქვე აღსანიშნავია აშშ-ის სასამართლოების მიერ გამოკვეთილი განსხვავებული მიდგომა ისეთი პროცესუალური საკითხებისადმი, როგორცაა აშშ-ის კონსტიტუციით მოთხოვნილი პიროვნული განსჯადობის დადგენისა და უცხო სახელმწიფოს „პირად“ მიჩნევის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. შესაბამისად, სიცხადეს მოკლებულია FSIA-თ შემოთავაზებული იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის გამონაკლისის მოქმედების ფარგლები, რადგან აღნიშნული ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა. ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აშშ-ში დადასტურების მოთხოვნის განხილვისას მნიშვნელოვან პროცესულურ ხარვეზს წარმოადგენს აშშ-ის სასამართლოების მიერ *forum non conveniens*-ისა და „შინ“ სტანდარტის გავრცელება.¹³⁷¹

აღსანიშნავია, რომ იურისდიქციული კავშირის მოთხოვნა ‘*Binnenbeziehung*’-ის სახით, გათვალისწინებულია შვეიცარიაშიც, როგორც იურისდიქციისგან, ისე აღსრულებისგან იმუნიტეტის შემთხვევაში, თუმცა, იურისდიქციული კავშირის მოთხოვნა არ არის დადგენილი მაგალითად, SIA-თ და გაეროს კონვენციით იურისდიქციისგან იმუნიტეტზე სახელმწიფოს მიერ უარის თქმისას, რაც აღნიშნული გამონაკლისის მოქმედების ფარგლებს აფართოებს.

8. 1988 წელს FSIA-ს დამატებულმა საარბიტრაჟო გამონაკლისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-ში არბიტრაჟის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაში. აღნიშნული ნორმით, კონგრესმა ხელი შეუწყო აშშ-ისთვის მოქმედი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების, და განსაკუთრებით, ნიუ-იორკის კონვენციის, ეფექტიან გამოყენებას იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტით დაცვაზე უარის თქმის საკითხის განხილვისას უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა

¹³⁷¹ იხ. Silberman and Simowitz (სქ. 331) 425-25.

და აღსრულების მოთხოვნისას და გამორიცხა იურისდიქციისგან იმუნიტეტით დაცვის შესაძლებლობა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ყველა იმ სასამართლო პროცესიდან, რომელიც ემყარება საარბიტრაჟო შეთანხმებას და მიმართულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებისკენ, საარბიტრაჟო გამონაკლისით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს განზრახვასა და მის მიერ იმუნიტეტზე უარის თქმაზე მსჯელობამ აზრი დაკარგა.

საარბიტრაჟო გამონაკლისის შეიცავს როგორც SIA, ისე გაეროს კონვენცია, თუმცა გარკვეული განსხვავებებით. SIA-ს შემთხვევაში საარბიტრაჟო გამონაკლისი ფართო მოქმედებისაა, შეეხება „არბიტრაჟთან დაკავშირებულ“ სასამართლო წარმოებას, არ არის დამოკიდებული იმაზე, საარბიტრაჟო დავა კომერციული ხასიათის არის თუ არა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შიდაა თუ უცხოური. ამასთან, არც იურისდიქციული კავშირის მოთხოვნაა აღნიშნული ნორმით დადგენილი. ამის საწინააღმდეგოდ, გაეროს კონვენციით განსაზღვრულია იმ სასამართლო პროცესების ჩამონათვალი, რომელთა შემთხვევაშიც მოქმედებს საარბიტრაჟო გამონაკლისი. ასევე, აუცილებელია, რომ საარბიტრაჟო დავა კომერციული გარიგებიდან იყოს წარმოშობილი (თუმცა აღნიშნული მოიცავს საინვესტიციო საკითხებსაც) და ამასთან, სასამართლო, რომელიც განიხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების საკითხს, უნდა იყოს ამ საკითხში „ჩვეულებრივ კომპეტენტური“, რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული იურისდიქციული კავშირის მოთხოვნა უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

9. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტით ძირითადად კომერციული მიზნით გამოყენებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება არ არის დაცული. ამასთან, ხშირია, როდესაც მოითხოვება იურისდიქციული კავშირის არსებობა აღსასრულებლად მისაქცევ ქონებასა და იმ დავის საგანს შორის, რომელიც საფუძვლად დაედო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.¹³⁷² ასეთი კავშირის მოთხოვნა მნიშვნელოვნად აფერხებს ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას, რადგან ნაკლებ

¹³⁷² Bernini and Van den Berg (სქ. 1225) 364 და შემდგომი.

სავარაუდოა, რომ მასპინძელმა ქვეყანამ კომერციული ქონება განათავსოს სხვა ქვეყანაში, რომელიც შეიძლება თავის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან იყოს დაკავშირებული.¹³⁷³ FSIA გამორჩეულია იმით, რომ ყველა გამონაკლისის შემთხვევაში აღსრულებას დასაქვემდებარებელი უცხო სახელმწიფოს ქონება უნდა გამოიყენებოდეს კომერციული საქმიანობისთვის აშშ-ში. თუმცა უცხო სახელმწიფოს უწყებისა ან ინსტიტუციის ქონების შემთხვევაში, FSIA შედარებით ამარტივებს მოთხოვნებს და ითვალისწინებს არაკომერციული მიზნით გამოყენებულ ქონებაზე აღსრულების შესაძლებლობას. თუმცა, ამ შემთხვევაში, თავად სახელმწიფო ერთეული უნდა ახორციელებს კომერციულ საქმიანობას აშშ-ში.

FSIA-სგან განსხვავებით SIA-ს თანახმად, აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმისას სახელმწიფო ქონება შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას, მიუხედავად იმისა, ეს ქონება არის თუ არა კომერციული მიზნით გამოყენებული. იგივე მიდგომა აქვს გაეროს კონვენციასაც.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ FSIA-თ არის გათვალისწინებული აღსრულებისგან იმუნიტეტიდან საარბიტრაჟო გამონაკლისი. თუმცა, FSIA-ში საარბიტრაჟო გამონაკლისის დამატების შემდეგ, ბუნდოვანია უარის თქმის გამონაკლისის როლი, რადგან საარბიტრაჟო გამონაკლისით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ეფუძნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას და შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უფრო მარტივი გზაა შემოთავაზებული.

ასევე მხოლოდ გაეროს კონვენციითა განსაზღვრული აღსრულებისგან იმუნიტეტიდან გამონაკლისი სახელმწიფოს მიერ სასამართლოს საქმისწარმოებაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ქონების გამოყოფისა ან მიკუთვნების შემთხვევაში, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ვალების გადახდის მიზნით ქონების იდენტიფიცირებას. აღნიშნული გამონაკლისი, ფაქტობრივად, კონკრეტული ქმედებით იმუნიტეტზე უარის თქმას წარმოადგენს და, გარკვეულწილად, შეიძლება

¹³⁷³ Schreuer and others (სქ. 16) 1166.

მოიაზრებოდეს FSIA-ს იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმის გამონაკლისითა და SIA-ს კომერციულ გამონაკლისით.

კომერციული გამონაკლისის შემთხვევაში FSIA-თ დადგენილი კიდეც უფრო მკაცრი პირობა, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფო ქონება გამოყენებული იყოს იმ კომერციულ საქმიანობაში, რომელიც საფუძვლად დაედო დავას, უფრო მეტად ზღუდავს იმ ქონების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება მიეცეს აღსასრულებლად. ამ მხრივ, უდავოდ მეტი შესაძლებლობაა გათვალისწინებული SIA-თა და გაეროს კონვენციით, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას არ შეიცავენ. თუმცა, გაეროს კონვენციის კომერციული გამონაკლისით განსაზღვრულია ქონების იმ საწარმოსთან კავშირის მოთხოვნა, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ფაქტობრივად, ყოველთვის უშედეგოდ სრულდება კერძო მხარის მიერ აღსრულების მოთხოვნა სპეციალური რეჟიმით დაცულ ქონებაზე, როგორცაა ცენტრალური ბანკის აქტივები, კულტურული მემკვიდრეობა, სამხედრო და დიპლომატიური მისიების ქონება, განსაკუთრებით, დიპლომატიური მისიების ე.წ. „შერეული ანგარიშები.“ აღნიშნული წინააღმდეგობა თვალსაჩინოა საქმეებზე *NOGA* და *NML Capital v Republic Argentine*, რომლებზეც საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ უფრო მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმის პირობების დასაკმაყოფილებლად სპეციალური რეჟიმით დაცულ ქონებასთან მიმართებით.

10. Yukos-ის ყოფილი მსხვილი აქციონერების სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესის კვალდაკვალ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა საფრანგეთსა და ბელგიაში სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ცხადყოფს რამდენად რთული შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი ისევე, როგორც ნიდერლანდების სასამართლოში თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე საქმისწარმოება, ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ამ პროცესებზე დაკვირვება კიდევ უფრო მეტ საინტერესო ფაქტორებს გამოკვეთს უცხოური საარბიტრაჟო

გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კუთხით. უდავოდ სასიკეთო ფაქტორად შეიძლება იქნას მიჩნეული აშშ-ში კოლუმბიის ფედერალური რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება *Yukos*-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დამტკიცების პროცესის განახლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით საქმე ისევ დაუბრუნდა ჰააგის სააპელაციო სასამართლოს.

შეჯამების სახით, განხილული კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი ის ბარიერია, რომლის გადალახვა საკმაოდ რთული თუ არა შეუძლებელია ცალკეულ შემთხვევებში. აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმის ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ მან შესაძლოა ყოველგვარი გარანტიის გარეშე დატოვოს მოგებული კერძო მხარე მის სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით. საკითხი საჭიროებს გარკვეული წესრიგის შემუშავებას, რომელიც თუ არ აღმოფხვრის, შეამსუბუქებს მაინც აღნიშნულიდან გამომდინარე როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მხარის პრობლემებს.

აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად ერთ-ერთ გამოსავლად ისახება **სახელმწიფოს მიერ აღსრულებისგან იმუნიტეტზე პირდაპირი უარის თქმის მუხლის შეტანა ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში ან კონკრეტულ მხარეებს შორის დადებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში**. ამასთან, უფრო შეზღუდული, თუმცა შედარებით ეფექტიანი გზა იქნებოდა საინვესტიციო ხელშეკრულებებით იმ სახელმწიფო აქტივების განსაზღვრა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაკმაყოფილებისათვის ან აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმისთვის. თუმცა, როგორც ცნობილი ავტორებიც აღნიშნავენ, ზემოხსენებულ საკითხზე სახელმწიფოს დათანხმება ნაკლებ სავარაუდოა დღესდღეობით.

კიდევ ერთი გამოსავალი, რომელიც შემოთავაზებულია ჰეიზელ ფოქსის მიერ, არის მოდელური კანონის მიღება სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, რომელიც იმპლემენტირებული იქნება სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში.¹³⁷⁴ მართალია, აღნიშნული ინსტრუმენტი

¹³⁷⁴ Fox, 'State Immunity and Enforcement of Arbitral Awards' (სქ. 1280) 89, 93.

აღსრულების მიზნით ისევ შეზღუდავს ინვესტორების წვდომას სახელმწიფოს „ძირულ“ აქტივებზე, როგორცაა სპეციალური რეჟიმით დაცული ქონება, თუმცა, მაინც გააფართოვებს იმ აქტივების ჩამონათვალს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაკმაყოფილების მიზნით.

საკითხის გადაჭრის შესაძლო გზაა ასევე იურისდიქციისგან იმუნიტეტზე უარის თქმის მიჩნევა აღსრულებისგან იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებით. *Creighton*-ის საქმე ამის მაგალითია, როდესაც საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების თანახმად სახელმწიფოს შეთანხმება დავის საარბიტრაჟო განხილვაზე საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ნაგულისხმევად უარის თქმად ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფრანგეთში აღსრულების მოთხოვნისას.¹³⁷⁵ თუმცა, აღნიშნულმა მიდგომამ ფართო გამოყენება ვერ მოიპოვა და გაკრიტიკებული იქნა სასამართლოს სუსტი მსჯელობისა და დასაბუთების გამო. ამის საწინააღმდეგოდ, შვეიცარია სახელმწიფო იმუნიტეტის ერთიან კონცეფციას აღიარებს და იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტზე ისევ, როგორც სახელმწიფო იმუნიტეტზე აღსრულებისგან, ავრცელებს რეგულირების ერთიან რეჟიმს, თუმცა შვეიცარიული სამართლის მიერ დადგენილი ‘*Binnenbeziehung*’-ის მოთხოვნა, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივ ურთიერთობას, საიდანაც წარმოიშვა დავა, უნდა ჰქონდეს საკმარისი კავშირი შვეიცარიის ტერიტორიასთან, ზღუდავს სხვაგვარად ფართო დოქტრინას.¹³⁷⁶

თავად საერთაშორისო კონვენციების ცვლილება აღსრულებისგან იმუნიტეტის რეგულირების კუთხით ნაკლებ რეალური ჩანს ხელშემკრელ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კონსენსუსის არარსებობის გამო.¹³⁷⁷ ბროშე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ICSID კონვენციაზე მუშაობის წლებში, რაც მოიცავს 1962-1965 წლებს, მრავალმხრივი კონვენციით შეუძლებელი იყო აღსრულებისგან სახელმწიფო

¹³⁷⁵ *Creighton Limited v Government of the State of Qatar* (სქ. 805).

¹³⁷⁶ Bjorklund, ‘Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 232.

¹³⁷⁷ Cane (სქ. 1100) 460.

იმუნიტეტის საკითხის გადაჭრა.¹³⁷⁸ თუმცა ახლა შესაძლებელია, მაგალითად, ICSID კონვენციის ოქმის მიღება, რომელიც აღსრულებისგან იმუნიტეტზე უარის თქმას შეეხება და იგივე სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა ექნება, როგორც ICSID კონვენციას.¹³⁷⁹ ასეთ შემთხვევაში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ექნებათ არჩევანის შესაძლებლობა, მიუერთდნენ აღნიშნულ ოქმს, ან არა.¹³⁸⁰ თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს კონვენცია ჯერ არ არის ძალაში შესული, არასაკმარისი რაოდენობის წევრი სახელმწიფოების მიერ მისი რატიფიცირების გამო, კითხვის ნიშნებს ბადებს სახელმწიფოთა მზაობა ზემოხსენებული ოქმის ხელმოწერაზე.

ასევე მნიშვნელოვანია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები არ იყოს გათანაბრებული ადგილობრივ სასამართლო გადაწყვეტილებებთან მათი ცნობისა და აღსრულებისას, რადგან სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის იგივე სტანდარტით გამოყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით საფრთხეს უქმნის და ფაქტობრივად უკარგავს საარბიტრაჟო წარმოებას მის მოქნილობასა და ეფექტიანობას სასამართლო წარმოებასთან შედარებით და ხდის მას დამოკიდებულს ადგილობრივ სასამართლო სისტემაზე.

რაც შეეხება საქართველოს, ისიც მიეკუთვნება სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტის არმქონე ქვეყნების რიცხვს. თუმცა, როგორც კვლევის შედეგად გამოჩნდა, საქართველოში, დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებით, მწირია სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელი ცალკეული ნორმები და არც სასამართლო პრაქტიკა იცნობს სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე რამე სახის მსჯელობას ან გადაწყვეტილებას საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობისა და აღსრულების მოთხოვნისას. ამასთან, საქართველო არც გაეროსა და ევროპული კონვენციების წევრია.

ქართული სასამართლო პრაქტიკის სიმწირე მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო პასუხისმგებლობით ეკიდება და კეთილსინდისიერად ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებას ცნოს და აღასრულოს საარბიტრაჟო

¹³⁷⁸ Broches, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention' (სქ. 758) 333.

¹³⁷⁹ Cane (სქ. 1100) 461.

¹³⁸⁰ იქვე.

გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს მიერ ამგვარი კეთილი ნების გამოვლენის შედეგია, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრობლემა არ დგას საქართველოში დღის წესრიგში, რაც არ გამორიცხავს შემდგომ პერიოდში მისი წარმოშობის ალბათობას. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა ნაშრომში განხილული კანონმდებლობების საფუძველზე კონკრეტული, აპრობირებულად დადებითი შედეგის მქონე გამოცდილების გაზიარებითა და კომბინირებით, შემოთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოში სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტიდან კონკრეტული გამონაკლისების დადგენით, საქართველოში უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მომხრე განწყობის დანერგვასა და გაძლიერებას შეუწყობდა ხელს ისე, რომ დაცული იქნებოდა ბალანსი სახელმწიფოს ვალდებულებებსა და კერძო მხარის საინვესტიციო უფლებებს შორის.

საბოლოო შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტის თაობაზე ერთიანი, უნიფიცირებული რეჟიმის შექმნა რთულია სახელმწიფოთა დღეს არსებული, არაერთგვაროვანი მიდგომის გათვალისწინებით და არა მარტო სამართლებრივად, პოლიტიკურადაც ნაკლებად განხორციელებადია. მართალია, სახელმწიფოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევები, როგორც წესი, არ არის ხშირი, მაგრამ მათი რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ქმედითი სანქციები ე.წ. ურჩი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობს საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაზე.¹³⁸¹ შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ნებაყოფლობით იხდიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ფულად თანხას, შესაძლოა შეცვალონ თავიანთი მიდგომა.¹³⁸² ამასთან, სახელმწიფოს მიერ ინვესტორის ICSID კონვენციით გათვალისწინებული დიპლომატიური დაცვის საშუალების ამოქმედებით იქმნება საარბიტრაჟო პროცესის რეპოლიტიზაციის საფრთხე, რადგან ძლიერი პოლიტიკური გავლენის მქონე სახელმწიფოს ინვესტორის მიერ ამ

¹³⁸¹ Bjorklund, 'Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards (სქ. 11) 241.

¹³⁸² იქვე. იხ. ასევე Peterson (სქ. 1292).

გზით წარმატების მიღწევის უფრო მეტი ალბათობა და შესაძლებლობაა, ვიდრე იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ნაკლებად ძლიერ სახელმწიფოს მიეკუთვნებიან. შედეგად, აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი მაინც რჩება „უკანასკნელ ბასტიონად“ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. საკითხის გადაჭრის ნაშრომში შემოთავაზებული გზები ორიენტირებულია იმ ოპტიმალური მიდგომის შემუშავებაში, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული იქნება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო მხარის ინტერესები და მიიღწევა გარკვეული ბალანსი სამართლის განსხვავებული პრინციპებით დაცულ უფლებებს შორის. თუმცა აღნიშნულის განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფოების მიერ ამ მიმართულებით ნების გამოვლენაზე.

ბიბლიოგრაფია

წიგნები, მონოგრაფიები

1. ბრაუნლი ი, *საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები* (თინათინ ხიდაშელი, (რედ.), გიორგი კუკულავა და სხვები (მთარგმნელები), მე-7 გამოცემა, 2010)).
2. გოთუა ლ, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2010) <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/levan_gotua.pdf>.
3. ლილუაშვილი ბ, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2009) <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/bakur%20liluashvili.pdf>.
4. რუხაძე ნ, „სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2012) <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/nino_ruxaze.pdf>.
5. ცერცვაძე გ, *საერთაშორისო არბიტრაჟი* (მერიდიანი 2012).
6. ცერცვაძე გ, „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“ (სადისერტაციო ნაშრომი, თსუ-ის გამომცემლობა 2008) <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/giorgi_cercaze.pdf>.
7. Amro I, *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards* (Cambridge Scholars Publishing 2013).
8. Bankas EK, *The State Immunity Controversy in International Law: Private Suits Against Sovereign States in Domestic Courts* (Springer 2005).
9. Belohlavek AJ and Rozehnalova N (eds), *Czech and Central European Yearbook of Arbitration - 2012: Party Autonomy versus Autonomy of Arbitrators* (Jurisnett LLC 2012).

10. Blackaby N, Constantine Partasides, Alan Redfern and Martin Hunter, *'Redfern and Hunter on International Arbitration'* (6th edn, OUP 2015).
11. Boog Ch, Magliana M and Radjai N (eds), Swiss Private International Law Act 1987 <https://www.swissarbitration.org/wp-content/uploads/2021/05/20210129-Chapter-12-PILA_Translation_English.pdf>.
12. Born G, *International Commercial Arbitration* (2nd edn, Kluwer Law International 2014).
Chamlongrasdr Dh, *Foreign State Immunity and Arbitration* (Cameron May 2007).
13. Damrosch LF and Murphy SD, *International Law: Cases and Materials'* (6th edn, West Academic Publishing 2014).
14. Dellaphenna JW, *Suing Foreign Governements and Corporations* (2nd edn, Brill Nijhoff 2003).
15. Dickinson A, Lindsay R and Loonam JP, *State Immunity: Selected Materials and Commentary* (Oxford University Press 2004).
16. Derains Y and Sicard-Mirabal J, *Introdiction to Investor-State Arbitration* (Wolters Kluwer 2018).
17. Dugan ChF and others, *Investor-state Arbitration* (Oxford University Press 2008).
18. Fox H and Webb Ph, *The Law of State Immunity* (3rd ed, OUP 2015).
19. Harris DJ, *Cases and Materials on International Law* (6th edn, Sweet&Maxwell 2004).
20. Kovacs C, *Attribution in International Investment Law, International Arbitration Law Library* (Kluwer Law International 2018).
21. McIlwrath M and Savage J, *International Arbitration and Mediation: A Practical Guide'* (Kluwer Law International 2010).
22. Paulson MRP, *The 1958 New York Convention in Action* (Kluwer Law International 2016).
23. Petrochilos G, *Procedural Law in International Arbitration* (Oxford University Press 2004).
24. Reed L, Paulsson J and BlackabyN, *Guide to ICSID Arbitration* (Kluwer Law International 2010).
25. Shaw MN, *International Law* (5th edn, Cambridge University Press 2003).

26. Schreuer ChH, *State Immunity: Some Recent Developments VIII Hersch Lauterpacht Memorial Lecture Series*, (Grotius Publications Limited 1988).
27. Schreuer ChH, *State Immunity: Some Recent Developments* (Cambridge: Grotius Publications Limited 1988).
28. Schreuer ChH, Malintoppi L, Reinisch A and Sinclair AC, *The ICSID Convention: A Commentary: Contents* (2nd edn, Cambridge University Press 2009).
29. Sicard-Mirabal J and Derains Y, *Introduction to Investor-State Arbitration* (Kluwer Law International 2018).
30. Sornarajah M, *The Settlement of Foreign Investment Disputes* (Kluwer Law International 2010).
31. Taelman P and van Severen C, *Civil Procedure in Belgium* (2nd edn, Kluwer Law International 2021).
32. Tweeddale A and Tweeddale K, *Arbitration of Commercial Disputes: International and English Law and Practice* (OUP 2007).
33. Van den Berg AJ, *The New York Arbitration Convention of 1958* (TMC Asser Institute, The Hague 1981).
34. Van Woudenberg N, *State Immunity and Cultural Objects on Loan* (Martinus Nijhoff Publishers 2012).
35. Yang X, *State Immunity in International Law* (Cambridge University Press 2012).

თავები კრებულებიდან

1. Alexandrov SA, 'Enforcement of ICSID Awards: Articles 53 and 54 of the ICSID Convention' in Christina Binder and others (eds), *International Investment Law for the 21st Century: Essays in Honour of Christoph Schreuer* (Oxford Public International Law 2009).

2. Bagner H, 'Article 1' in Herbert Kronke and others (eds), *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention* (Kluwer Law International 2010).
3. Börner A, 'Article III' in H Kronke and others (eds), *Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A global Commentary on the New York Convention* (Kluwer Law International 2010).
4. Bishop DR, Crawford JR and Reisman WM (eds), *Foreign Investment Disputes: Cases, Materials and Commentary* (2nd edn, Kluwer Law International 2014).
5. Bjorklund AK, 'State Immunity and the Enforcement of Investor-State Arbitral Awards' in Christina Binder and others (eds), *International Investment Law for the 21st Century: Essays in Honour of Christoph Schreuer* (Oxford University Press 2009).
6. Brohmer J, 'State Immunity and Sovereign Bonds' in Anne Peters and others (eds), *Immunities in the Age of Global Constitutionalism edited* (Brill Nijhoff 2015).
7. De Stefano C, 'The Circulation of International Investment Awards under the New York Convention' in Katia-Fach Gomez and Ana M Lopez-Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019).
8. Escher A and others, 'Selected Areas and Issues of Arbitration in Germany, Investment Arbitration and the Participation of State Parties in Germany' in Patricia Nacimiento and others (eds), *Arbitration in Germany: The Model Law in Practice* (2nd edn, Kluwer Law International 2015).
9. Fox H, 'International Law and Restraints on the Exercise of Jurisdiction by National Courts of States' in Malcolm D Evans (ed), *International Law* (2nd edn, OUP 2006).
10. Fox H, 'State Immunity and the New York Convention' in Emmanuel Gaillard and D di Pietro (eds), *Enforcement of Arbitral Agreements and International Arbitral Awards: the New York Convention in Practice* (Cameron May 2008).
11. Francois-Poncet S, Horrigan B and Karaman L, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereign States or State Entities – France' in in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009).

12. Frischknecht AA and Walters G, 'Post Recognition Enforcement' in Andreas A Frischknecht, Yasmine Lahlou and others, *Enforcement of Foreign Arbitral Awards and Judgments in New York* (Kluwer Law International 2018).
13. Gaillard E, 'Effectiveness of Arbitral Awards, State Immunity from Execution and Autonomy of State Entities, three Incompatible Principles', in Emmanuel Gaillard and Jennifer Younan (eds), *State Entities in International Arbitration* (Juris Publishing Inc 2008).
14. Geisinger E and Voser N (eds), *International Arbitration in Switzerland: A handbook for Practitioners* (2nd edn, Kluwer Law International 2013).
15. Gill J, Jagusch S and Sinclair A, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereigns – Experience in the Courts of England and Wales' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009).
16. Hober K, 'Arbitration Involving States' in Lawrence W Newman and Richard D Hill (eds), *The Leading Arbitrators' Guide to International Arbitration* (3rd edn, Juris Publishing 2014).
17. Kehoe EG, 'The Enforcement of Arbitral Awards against Foreign Sovereigns – The United States' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009).
18. Mantilla-Serrano F, 'Non-domestic Award: The Second Hypothesis of Article 1(1)' in Kathia Fach Gomez and Ana M Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law Arbitration 2019).
19. Miles CS, 'Sovereign Immunity' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009).
20. Montero FJ and Castro P, 'Waivers of Sovereign Immunities in Enforcement Proceedings and the 1958 NY Convention' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez-Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019).
21. Olmedo JG, 'Sovereign Immunity as a Ground to Refuse Compliance with Investor-State Awards: Past Experience and Future Developments' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez

- Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019).
22. Schneider ME and Knoll J, 'Enforcement in Switzerland' in Raymond Doak Bishop (ed), *Enforcement of Arbitral Awards Against Sovereigns* (JurisNet LLC 2009).
23. Tawil GS, 'Binding Force and Enforcement of ICSID Awards: Untying Articles 53 and 54 of the ICSID Convention', in Albert Jan van den Berg (ed), *50 Years of the New York Convention: ICCA International Arbitration Conference*, ICCA Congress Series, Volume 14 (Kluwer Law International 2009).
24. Toth O, 'The New York Convention and Investment Arbitration: Harmony or Tension?' in Katia Fach Gomez and Ana M. Lopez Rodriguez (eds), *60 Years of the New York Convention: Key Issues and Future Challenges* (Kluwer Law International 2019).
25. Van den Berg AJ, 'The New York Arbitration Convention and State Immunity' in KH Bockstiegel (ed), *Acts of State and Arbitration* Bands 12 (Karl Heymanns Verlag KG Munchen 1997).
26. Yang X, 'Immunity from Execution' in Alexander Orakhelashvili (ed), *Research Handbook on Jurisdiction and Immunities in International Law* (Edward Elgar Publishing 2015).

სტატიები

1. ბეგალიშვილი ნ, „სახელმწიფო იმუნიტეტი ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში“ (2020) 1 სამართლის ჟურნალი.
2. ბეგალიშვილი ნ, „აღსრულებისგან სახელმწიფო იმუნიტეტი „სახელმწიფოებისა და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ“ გაეროს კონვენციის (გაეროს კონვენცია) თანახმად სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში“ (2022) 2 სამართლის ჟურნალი.

3. ოსტერმილერი ს, „არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა“ (2016) წელიდწლეული, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/yearbook2016.pdf>.
4. ჯაფარიძე ს, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება“ (2013) წელიდწლეული, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა <<https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/Yearbook/yearbook-2013.pdf>>.
5. Barbosa FS, ‘The Enforcement of International Investment Arbitral Awards: Is There a Better Way?’ (2009) 6(21) Revista Brasileirade Arbitragem.
6. Beale N, ‘A recent Court of Appeal ruling underlines the limits of the protection afforded by sovereign state immunity in arbitration proceedings. Ned Beale reports’ (2007) New Law Journal <<https://www.newlawjournal.co.uk/content/matters-state>>.
7. Bernhardt R and others, ‘*Restatement of the Law Third: The Foreign Relations Law of the United States*. Vols 1 and 2. St. Paul, MN: American Institute Publishers, 1987. Vol. 1: pp. xxviii, 641; vol. 2: pp. xxiv, 561. Index. 150.’ (1992) 86 American Journal of International Law.
8. Bernini G and Van den Berg AJ, ‘The Enforcement of Arbitral Awards Against a State: The Problem of Immunity from Execution’ in JDM Lew (ed), *Contemporary Problems in International Arbitration* (Springer 1986).
9. Blair W, ‘The Legal Status of Central Bank Investments under English Law’ (1998) 57(2) Cambridge Law Journal.
10. Blane A, ‘Sovereign immunity as a bar to the execution of international arbitral awards’ (2009) 41 New York University Journal of International Law and Politics.
11. Blumrosen A and Malet-Deraedt F, ‘NML Capital ltd v Republic of Argentina’ (2013) 107(3) The American Journal of International Law.
12. Bjorklund AK, ‘Sovereign Immunity as a Barrier to the Enforcement of Investor-State Arbitral Awards: The re-politicization of International Investment Disputes’ (2010) 21 American Review of International Arbitration.

13. Brazil David R, 'International Commercial Arbitration Involving a State Party and the Defense of State Immunity' (2011) 22 *American Review of International Arbitration*.
14. Broches A, 'Awards Rendered Pursuant to the ICSID Convention: Binding Force, Finality, Recognition, Enforcement, Execution' (1987) 2(2) *ICSID Review – Foreign Investment Law Journal*.
15. Broches A, 'Convention on the Settlement of Investment Disputes: Some Observations on Jurisdiction, (1966) 5 *Columbia Journal of Transnational Law*.
16. Broches A, 'Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States of 1965, Explanatory Notes and Survey of its Application' (1993) 18 *Yearbook of Commercial Arbitration*.
17. Cane G, 'The enforcement of ICSID Awards: Revolutionary or Ineffective' (2004) 15 *The American Review of International Arbitration*.
18. Carias-Borjas S, 'Recognition and Enforcement of ICSID Awards: The Decision of the French Cour de Cassacion in SOABI v Senegal' (1991) 2 *The American Review of International Arbitration*.
19. Carducci G, 'The Arbitration Reform in France: Domestic and International Arbitration Law' (2012) 28 (1) *Arbitration International*.
20. Choi S, 'Judicial Enforcement of Arbitration Awards Under the ICSID and New York Conventions' (1995-1996) 28 *New York University Journal of International Law&Politics*.
21. Coli T, 'United States Enforcement of Arbitral Awards Against Sovereign States: Implications of the ICSID Convention' (1976) 17 *Harvard International Law Journal*.
22. Crawford J, 'International Law and Foreign Sovereigns: Distinguishing Immune Transactions' (1983) 54 *British Year Book of International Law*.
23. Cymrot MA, 'Welcome to the Jury System: Supreme Court Units Sovereign Immunity for State-Owned Companies' (2005) 6(3) *Business Law International*.
24. Delaume GR, 'Judicial Decisions Related to Sovereign Immunity and Transnational Arbitration' (1987) 2(2) *ICSID Review*.

25. Davin S, 'Enforcement of ICSID Awards in the United States: Should the ICSID Convention be Read as Allowing a 'Second Bite at the Apple'?' (2016) 44 New York University Journal of International Law and Politics.
26. Delaume GR, 'France: Court of Appeals of Paris Judgement Concerning Recognition and Enforcement of Award in Context of ICSID Convention' (1981) 20(4) International Legal Materials.
27. Delaume GR, 'State Contracts and Transnational Arbitration' (1981) 75 American Journal of International Law.
28. Delaume GR, 'Foreign Sovereign Immunity: Impact on Arbitration' (1983) 38 Arbitration Journal.
29. Delaume GR, 'ICSID Arbitration in Practice' (1984) 2 International Tax and Business Law.
30. Delaume GR, 'ICSID and the Transnational Financial Community' (1986) 1 ICSID Review – Foreign Investment Law Journal.
31. Delaume GR, 'Contractual Waivers of Sovereign Immunity: Some Practical Considerations' (1990) 5 ICSID Review – Foreign Investment Law Journal.
32. Delaume GR, 'Enforcement of State Contract Awards: Jurisdictional Pitfalls and Remedies' (1993) 8(1) ICSID Review – Foreign Investment Law Journal.
33. Elsheshtawy H, 'Issues of State Sovereign and State Entities in International Arbitration: A look into Investor-State Arbitration' 3/2010, 20 <<https://ssrn.com/abstract=1581466>>.
34. Foster GK, 'Collecting from Sovereigns: The Current Legal Framework for Enforcing Arbitral Awards and Court Judgments against States and Their Instrumentalities, and Some Proposals for its Reform' (2008) 25(3) Arizona Journal of International Law.
35. Fox H, 'State Immunity and Enforcement of Arbitral Awards: Do We Need an UNCITRAL Model Law Mark II for Execution Against State Property?' (1996) 12(1) Arbitration International.
36. Franzoni DB, 'Enforcement of ICSID Awards in the United States' (1988) 18 Georgia Journal of International and Comparative Law.

37. Feldman MB, 'Waiver of Foreign Sovereign Immunity by Agreement to Arbitrate: Legislation Proposed by the American Bar Association' (1985) *The Arbitration Journal*.
38. French Court of Cassation in *Creighton v Qatar*, July 6, 2000' (2000) 15 *Mealey's International Arbitration Report*.
39. Gerlich O, 'State Immunity from Execution in the Collection of Awards Rendered in International Investment Arbitration: The Achille's Heel of the Investor-State Arbitration System?' (2015) 26(1) *The American Review of International Arbitration*.
40. Halverson K, 'Is a Foreign State a "Person"? Does it Matter? Personal Jurisdiction, Due Process, and the Foreign Sovereign Immunities Act' (2001) 34 *New York University Journal of International Law&Policy*.
41. International Commercial Disputes Committee of the Association of the Bar of the City of New York, 'Lack of Jurisdiction and Forum Non Conveniens as Defenses to the Enforcement of Foreign Arbitral Awards' (2006) 15(3-4) *The American Review of International Arbitration*, Columbia Law School 3 (6-17).
42. Kahale G, 'Arbitration and Choice-of law Clauses as Waivers of Jurisdictional Immunity' (1981) 14 *New York University International Law and Policy*.
43. Kahale G, 'Enforcing an ICSID Arbitral Award' (1987) 6 *International Financial Law Review*.
44. Kahale G and Vega MA, 'Immunity and Jurisdiction: Toward a Uniform Body of Law in Action Against Foreign States' (1979-1980) 18 *Columbia Journal of Transnational Law*.
45. Lauterpacht H, 'The Problem of Jurisdictional Immunities of Foreign States' (1951) 28 *British Year Book of International Law*.
46. Malet-Deraedt F, 'The New French Legislation on State Immunities from Enforcement' (2018) 36(2) *ASA Bulletin*.
47. Marzorati OJ, 'Enforcement of Treaty Awards and National Constitutions (The Argentinian Cases)' (2006) 7 *Business Law International*.
48. Meyer-Fabre N, 'Enforcement of Arbitral Awards Against Sovereign States, A New Milestone: Signing ICC Arbitration Clause Entails Waiver of Immunity from Execution Held

French Court of Cassation in *Creighton v Qatar*, July 6, 2000' (2000) 15 Mealey's International Arbitration Report 48.

49. Nmehielle VOO, 'Enforcing Arbitration Awards Under the International Convention for the Settlement of Investment Disputes (ICSID Convention)' (2001) 7(21) Annual Survey of International and Comparative Law.

50. O' brien TA, 'The Validity of the Foreign Sovereign Immunity Defense in Suits under the Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards' (1983) 7(2) Fordham International Law Journal.

51. Oparil RJ, 'Waiver of Sovereign Immunity in the United States and Great Britain by and Arbitration Agreement' (1986) 3 Journal of International Arbitration.

52. Ostrander J, 'The Last Bastion of Sovereign Immunity: A Comparative Look at Immunity from Execution of Judgements' (2004) 22 Berkeley Journal of International Law.

53. Ostrowski ST and Shani Y, 'Chromalloy: United States Law and International Arbitration at the Crossroads' (1988) 73 New York University Law Review.

54. Park WW and Yanos AA, 'Treaty Obligations and National Law: Emerging Conflicts in International Arbitration' (2006) 58 Hastings Law Journal.

55. Paulsson J, 'Sovereign Immunity from Jurisdiction: French Caselaw Revisited' (1985) 19 International Law.

56. Pennoyer PWK, 'A New Frontera: Foreign Sovereign Immunity, Arbitral Awards and Waive Goodbye to Assets' (2010) 49 (1) Columbia Journal of Transnational Law.

57. Glannon JW and Jeffery A, 'Politics and Personal Jurisdiction Suing State Sponsors of Terrorism under the 1996 Amendments to the Foreign State Immunities Act' (1999) 87 The Georgetown Law Journal.

58. Reed RK, 'A Comparative Analysis of the British State Immunity Act 1978' (1979) 3(1) Boston College International and Comparative Law Review 175
<<http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1600&context=iclr>>.

59. Reinisch A, 'European Court Practice Concerning State Immunity from Enforcement Measures' (2006) 17 (4) European Journal of International Law.

60. Schicho L, 'The Relationship between a State and State Entities: A Matter of Jurisdiction or of the Merits?' in Nikolaus Pitkowitz and others (eds), *Austrian Yearbook on International Arbitration 2011*, (Manzsche Verlags-und Universitätsbuchhandlung 2011).
61. Schreuer ChH, 'Non-Pecuniary Remedies in ICSID Arbitration' (2004) 20 *Arbitration International*.
62. Silberman LJ and Simowitz AD, 'Recognition and Enforcement of Foreign Judgements and Awards: What Hath Daimler Daimler Wrought?' (2016) 91 *New York University Law Review*.
63. Steele M and Heinlen M, 'Challenges to Enforcing Arbitral Awards Against Foreign States in the United States' (2008) 42(1) *The International Lawyer*.
64. Stephan PB, 'Taxation and Expropriation - The Destruction of the Yukos Oil Empire' (2013) 35 *Houston Journal of International Law*.
65. Strong SI, 'Enforcement of Arbitral Awards against Sovereign States or State Agencies' (2006) 26(2) *Northwestern Journal of International Law&Business*.
66. Sullivan GB, 'Implicit Waiver of Sovereign Immunity by Consent to Arbitration: Territorial Scope and Procedural Limits' (1983) 18 *Texas International Law Journal*.
67. Sutherland PF, 'The World Bank Convention on the Settlement of Investment Disputes' (1979) 28 *International and Comparative Law Quarterly*.
68. TiTi C, (ed), *Public Actors in International Investment Law* in *European Yearbook of International Economic Law* (Special Issue, Springer Link 2021).
69. Turck NB, 'French and US Courts Define Limits of Sovereign Immunity in Execution and Enforcement of Arbitral Awards' (2001) 17 *Arbitration International*.
70. Uchkunova I and Temnikov O, 'Enforcement of Awards Under the ICSID Convention – What Solutions to the Problem of State Immunity?' (2014) 29(1) *ICSID Review- Foreign Investment Law Journal*.
71. Van Blankenstein A, 'Enforcement of an Arbitral Award against a State: With Whom Are We Dealing?' (1993) 6(2) *Leiden Journal of International Law*.
72. Van den Berg AJ, 'Recent Enforcement Problems under The New-York and ICSID Conventions' (1989) 5(1) *Arbitration International*.

73. Yannaca-Small K, 'Case Excerpts, Ares Internationales S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, (ICSID case ARB/05/23): Introductory Note' (2008) 23(1) ICSID Review – Foreign Investment Law Journal.

74. Ziade NG, 'Some Recent Decisions in ICSID Cases' (1991) 6(2) ICSID Review – Foreign Investment Law Journal.

სასამართლო პრაქტიკა

ა) ადგილობრივი სასამართლოები

1. *A Co Ltd v Republic of X* [1990] 2 Lloyd's Rep. 520.

2. *Administration v Societe France* (1969) 52 ILR 315.

3. *Af-Cap Inc v Chevron Overseas (Congo) Ltd* 475 F 3d 1080 (9th Cir 2007) 1091.

4. *Af-Cap Inc v Republic of Congo* 383 F 3d 361, 367–68 (5th Cir 2004).

5. *AIC Ltd v The Federal Government of Nigeria* [2003] EWHC 1357 (QB).

6. *AIG Capital Partners Inc and Anr v Republic of Kazakhstan* [2005] EWHC 2239.

7. *AIG Capital Partners Inc and Anr v Republic of Kazakhstan* [2006] 1 WLR 1420, 129 ILR 589.

8. *Agrocomplect AD v Republic of Iraq* 524 F Supp 2d 16 (DDC 2007).

9. *Alcom v Republic of Colombia* [1984] AC 580, 74 ILR 170.

10. *Alejandro v Republic of Cuba* 42 F Supp 2nd 1317 SD Fla 1999).

11. *Alejandro v Telefonica Larga Distancia de Puerto Rico Inc* 183 F 3d 1277 (11th Cir 1999).

12. *Alfred Dunhill of London v Republic of Congo* 425 US 682 (1976), 15 ILM (1976) 735; 66 ILR 212.

13. *A Limited v Republic of Uzbekistan* BGE 5A_942/2017 (2018) (გერმანულად).

14. *Altmann v Republic of Austria* 317 F 3d 954 (9th Cir 2002), *qft'd*, 541 US 677 (2004).

15. *Aquamar SA v Del Monte Fresh Produce NA Inc* 179 F3d 1279 (11th Cir 1999).

16. *Ares Internationales Srl and MetalGeo Srl v Georgia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე <№ა-1858-შ-53-09 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>>.
16. *Banco de Seguros del Estado v Mutual Marine Offices Inc* 230 F Supp 2nd 362 (SDNY 2002).
18. *Barragan v Banco BCH* 188 Cal App 3d 283 (4th Cir Div 1 Cal 1986) 294.
19. *Bayer & Willis Inc v Republic of Gambia* 283 F Supp 2nd 1 (DDC 2003).
20. *Belize Social Development Ltd v Government of Belize* 5 F Supp 3d 25 (DDC 2013), *aff'd* 794 F 3d 99 (DC Cir 2015).
21. *Benvenuti&Bonfant v Congo*, Cour d'appel, Paris, 26/06/1981, (1993) 1 ICSID Reports, 369, ინგლისური თარგმანი: (1982) 20 International Legal Materials 878 და (1982) 7 Yearbook of Commercial Arbitration 159.
22. *Bergesen v Joseph Muller Corporation* 710 F2d 928, 931 (2d Cir. 1983).
23. *Birch Shipping Corp v Embassy of United Republic of Tanz* 507 F Supp 311 (DDC 1980).
24. *Blue Ridge Invs LLC v Republic of Argentina* (2012) 902 F Supp 2d 367 SDNY.
25. *Blue Ridge Invs LLC v Republic of Argentina* 735 F3d 72 (2nd Cir 2013).
26. *BP Chem Ltd v Jiangsu SOPO Corp (Group)* 420 F 3d 810 (8th Cir 2005).
27. *Bridas SAPIC v Government of Turkmenistan* 447 F.3d 411 (5th Cir 2006).
28. *Capital Ventures Intern. v Republic of Argentina* No 05 Civ 4085 (TPG) 2010 WL 1257611 (SDNY 2010).
29. *Cardinal Financial Investment Corp v Central Bank of Yemen* [2000] EWCA Civ 266.
30. *Cassirer v Kingdom of Spain* 461 F Supp 2d 1157 (CD Cal 2006), *aff'd in part, rev'd in part*, 580 F 3d 1048 (9th Cir 2009).
31. *C Czarinkow v Rolimpex* [1979] AC 351, 364.
32. *Central Bank of Nigeria*, Germany (1975) 65 ILR 131.
33. *CF Yugoslavia v Croatia* [2000] ILR 59.
34. *Chevron Corp v Republic of Ecuador* 949 F Supp 2d 57 (DDC 2013).
35. *Chicago Bridge & Iron & Co v Islamic Republic of Iran* 506 F Supp 981 (DC III 1980).
36. *City of Englewood v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 773 F 2d 31 (3rd Cir 1985).

37. *Clerquet v Banque France* (1969) 52 ILR 310.
38. *Clerquet v Banque France* (1971) 65 ILR 54.
39. *Coco v Argentina* France (1996) 113 ILR 491.
40. *Commisimpex v Republic of Congo*, Versailles CA, 15 November 2012, n° 11-09073.
41. *Commisimpex v Congo*, French Supreme Court, First Civil Chamber, 13 May 2015, No 13-17751. Civ. 1^{re}, 13 May 2015, n°13-17751.
42. *Commisimpex v Republic of Congo*, Cour de cassation, Civ. 1, 10 January 2018 no. 16-22494.
43. *Connecticut Bank of Commerce v Republic of Congo (Af-Cap I)* 309 F 3d 251 (5th Cir 2002).
44. *Continental Casualty Co v Argentine Republic* 893 F Supp 2nd 7 752 (ED Va 2012).
45. *Corporation Mexicana de Mantenimiento v Pemex-Exploracion Y Produccion (Pemex)* 13-4022 (2nd Cir 2016).
46. *Creighton Limited v Government of the State of Qatar* The French Cour de Cassation (6 July 2000), reported in XXV Yearbook of Commercial Arbitration 458 (2000).
47. *Creighton v Ministère des Finances de l'Etat du Qatar* CA Paris December 12, 2001, 2003 Arbitration Review.
48. *Creighton Ltd v Government of the State of Qatar* No. 98-7063 181 F3d 118 (DC Circuit 1999).
49. *Cruz v United States* 387 F Supp 2d 1057 (ND Cal 2005).
50. *Cubic Def Sys* 385 F 3d, 1217-18.
51. *Daimler AG v Bauman* 571 US 117, 134 S Ct 746 (2014).
52. *Dame Clerget v Peoples' Republic of Vietnam Trade Mission et al* Decision of 2 November 1971, Cour de Cassation, 1972 Rev. Crit. 312.
53. *Davis International v Republic of Yemen* (US Court of Appeals) 218 F 3d 1292 (11th Cir 2000).
54. *De Letelier v Republic of Chile* 748 F 2d (2nd Cir 1984), 798.
55. *De Sanchez v Banco Central de Nicaragua* US (Court of Appeal 5th Circuit, 1985) 770 F 2d, 1385.
56. *Dexter & Carpenter* 43 F 2nd, 708; *LETCO* (b). 242) 75-77.

57. *Dole Food Co v Patrickson* (2003) 538 US 468, 123 S.Ct. 1655.
58. *Donegal International Ltd v Zambia* EWHC 197 (Comm); [2007] All ER (D) 184 (Feb); [2007] 1 Lloyds Rep 397.
59. *DRC Inc v Republic of Honduras* 71 F Supp 3d 201 (DDC 2014).
60. *DRFP LLC v Republica Bolivariana de Venezuela* 622 F3d 513 (6th Cir 2010).
61. *Embassy of the Russian Federation et al v Compagnie NOGA d'importation et d'exportation (NOGA)*, Paris Court of Appeal (1st Ch. A), 10 August 2000, Case no. 2000/14157).
62. *EM Ltd v Republic of Argentina* 695 F 3d 201 (2nd Cir 2012).
63. *Empire of Iran Case* [1977] UN Legal Materials 282; 45 ILR 57 (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 1963).
64. *Englander v State Bank of Czechoslovakia*, decision of 11 February, 1969, Cour de Cassation, 1969, 52 ILR 335.
65. *Enron Corp & Ponderosa Assets LP v Argentine Republic*, No. M-82, Dkt 26, Ex. 3 (SDNY 2007) (order recognizing ICSID award and entering as a judgment).
66. *Enterprise v Etats-Uni France* (1964) 45 ILR 82.
67. *FG Hemisphere Associates LLC v Democratic Republic of Congo* 637 F 3d 373 (DC Cir 2011).
68. *Flota Maritima Browning de Cuba v MV Ciudad de la Habana* 335 F 2d 619 (4th Cir 1964).
69. *Farr & Co v The SS Punta Alice* (1956) 144 F Supp 839 SDNY.
70. *First National City Bank v Banco Para el Comercio Exterior de Cuba (Bancec)* (US Supreme Court) 462 US 611 (1983).
71. *Flatow v Iran* 999 F Supp 1 (DCDC 1998) 253.
72. *Figueiredo Ferraz E Engenharia de Projeto Ltda v Republic of Peru* 663 F 4d 384 (2nd Cir. 2011).
73. *Foremost-McKesson Inc v Islamic Republic of Iran* 905 F2d 438 (DC Cir 1990).
74. *Foremost-McKessen Inc v Islamic Republic of Iran* 759 Supp 855 (DCDC 1991).
75. *Foxworth v Permanent Mission of the Republic of Uganda to the UN* (1992) 99 ILR 139.
76. *Frolova v Union of Soviet Socialist Republics* 761 F2d 370 (7th Cir. 1985).

77. *Frontera Resources Azerbaijan Corporation v State Oil Company of the Azerbaijan Republic* 479 F Supp 2nd 376 (SDNY 2007).
78. *Frontera Res Azerbaijan Corp (Frontera v State Oil Co of Azerbaijan Republic (SOCAR))* 582 F 3d 393 (2nd Cir 2009).
79. *Goldberg v. UBS AG* 690 F Supp 2d 92, 106 (EDNY 2010).
80. *Goodyear Dunlop Tires Operations SA v Brown* 564 US 915, 131 S Ct 2846 (2011).
81. *Griessen case*, ATF 108 (1982) III 107, 82 ILR 5.
82. *Guevara v Republic of Peru* 468 F 3d 1289 (11th Cir 2006).
83. *Guggenheim v State of Vietnam* [1955] 22 ILR 224 (პარიზის სააპელაციო სასამართლო).
84. *Hercaire Int'l Inc v Argentina* 642 F Supp 126 (SD Fla 1986).
85. *Hercaire International Inc v Argentina* 821 F 2d 559 (11th Cir 1987).
86. *Hilmarton case* Court of Cassation, 1st Civil Division, 23 March 1994, No 92-15.137, OTV c.
87. *Holland v Lampen-Wolfe* [2000] 1 WLR 1573 HL.
88. *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation* Court of Appeals of Paris, 1st Division, 1st Chamber, 27 June 2017, No 15/11664, No 15/11665, No 15/11.666, No 15/11.667, No RG 15/11.668, No RG 15/11.669 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9025.pdf>>.
89. *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation*, US District Court of Columbia Order of November 20, 2020 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11918.pdf>>.
90. *Hulley Enterprises Ltd et al v The Russian Federation*, (Civ 14-1996 (BAH) DCC) Momerandum of Opinion of April 13, 2022, 16 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw16557.pdf>>.
91. *I Congreso del Partido* [1978] 1 All ER 1192; [1983]1AC 244; [1981] 2 All ER 1064; 64 ILR 307 (HL).
92. *I Congreso del Partido* [1983] 1 AC 244, 64 ILR 307.
93. *International Ins Co v Caja Nacional de Ahorro y Seguro* 293 F 3d 392 397 (7th Cir 2002).
94. *International Shoe v Washington* 326 US 310 (1945).

95. *Ioan Micula et al v Government of Romania* (United States Court of Appeals, 2nd Cir 2018), (2018) 43 Yearbook Commercial Arbitration 43.
96. *Iptrade International SA v Federal Republic of Nigeria* 465 F Supp 824 (DDC 1978).
97. *Iran v Societe EurodifFrance* (1984) 77 ILR 513.
98. *Iran v Societe EurodifFrance* (1989) 89 ILR, 31.
99. *Islamic Republic of Iran v Eurodif* Cour de Cassation 14 March 1984, 77 ILR 513.
100. *IT Consultants Inc v Islamic Republic of Pakistan* 351 F 3d 1184 (DC Cir 2003).
101. *Kalamazoo Spice Extraction Co v Provisional Military Government of Socialist Ethiopia* 616 F Supp 660, 666 (WD Mich 1985).
102. *Karaha Bodas Co v Perusahaan Pertambangan Minyak Dan Gas Bumi Negara* 313 F 3d 70, 82 (2nd Cir 2002).
103. *Ferrostaal Metals Corp v SS Lash Pacifico* 652 F Supp 420 (SDNY 1987).
104. *Kensington International Ltd v Republic of Congo* [2005] EWHC (Comm) 2684.
105. *Kensington International Ltd v Republic of Congo* 461 F 3d 238 (2nd Cir 2006).
106. *K u K Österreichisches Finanzministerium v Dreyfus* ATF 44 (1918) I 49.
107. *Kuwait Airways Corporation v Iraqi Airways CO* [1995] 1 MTLR 1147; 103 ILR 340; 116 ILR 534 (High Court); [2000] 2 All ER (Comm.) 360; [2001] 2 WLR 1117 (Court of Appeal).
108. *Leasing West Gulf V People's Democratic Republic of Algeria* (1986) 116 ILR 527.
109. *Letelier v Republic of Chile* 748 F 2d 790 (2nd Cir 1984).
110. *Liber Eastern Timber Corp v Liberia (LETCO)* 650 F Supp 73, 77 (SDNY 1986), aff'd 854 F 2d 1314 (2nd Cir 1987).
111. *Liberian Eastern Timber Corporation (LETCO) v Republic of Liberia* 650 F Supp 73 (SDNY 1986), (1986) 2 ICSID Reports 385.
112. *LETCO v Liberia* (USDC, SDNY, Order of 5 September 1986), (1986) 2 ICSID Reports 384.
113. *Liber Eastern Timber Corp v Liberia (LETCO II)* 659 F Supp 606 (DDC 1987).
114. *Liber Eastern Timber Corp v Liberia* (1987) 89 ILR 360.
115. *Libra Bank Ltd v Banco Nacional de Costa Rica SA* 676 F2d 47 (2nd Cir 1982).

116. *Libyan American Oil Company (LIAMCO) v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 482 F Supp 1175 (DC Cir 1980).
117. *Libyan Arab Socialist People's Jamahiriya v Actimon SA* (1985), 82 ILR 30 (ინგლისურად).
118. *Littrel v United States of America* (No 2) [1995] 1 WLR 82.
119. *Maritime Ventures Intl Inc v Caribbean Trading & Fidelity Ltd* 689 f Supp 1340 (SDNY 1988).
120. *Maritime Ventures Intl Inc v Caribbean Trading & Fidelity Ltd* 722 F Supp 1032 (SDNY 1989) 1038.
121. *McGee v International Life Ins Co* 355 US 220 (1957).
122. *Micula v Government of Romania (Micula I)* 104 F Supp 3rd 42 (DDC 2015).
123. *Micula v Government of Romania (Micula II)*, No. 15 Misc. 107 (Part I) (SDNY 2015).
124. *Miminco v Democratic Republic of the Congo* 79 F Supp 3rd 213 (DDC 2015).
125. *MINE v Republic of Guinea* 693 F2 d 1094 (DC Cir 1982).
126. *Ministry of Defense and Support for the Armed Forces of the Islamic Republic of Iran v Cubic Defense Sys Inc* 385 F 3d 1206 (2004), სხვა საფუძვლებით გაუქმებული, 546 US 450 (2006).
127. *Mobil Cerro Negro Ltd v Bolivarian Republic of Venezuela* 87 F Supp 3rd 573 (SDNY 2015).
128. *Monde Re v NAK Naftogaz and State of Ukraine* 311 F 3d 488 (2nd Cir 2002).
129. *Monegasque de Reassurances S.A.M. (Monde Re) v NAK Naftogaz of Ukraine* 311 F 3d 488 (2nd Cir 2002).
130. *Montefiore v Congo* France (1955) 22 ILR 226.
131. *Moscow Centre for Automated Air traffic Control v Geneva Supervisory Commission of the Debt Collection Office* [2007] ATF 134 (2007) III, 122 Bulletin 2008 N1 141.
132. *Mouracade v Centre* France (1991) 113 ILR 462.
133. *MR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F 3d 296 (DC Cir 2005).
134. *National City Bank of New York v Republic of China* 22 ILR 210.
135. *National Equipment Rental Ltd v Szukhent* (1964) 375 US 311.
136. *Netherlands v Azeta BV* (1998) 128 ILR 688; *Dumez v Iraq* (1999) 27 ILR 144.

137. *NML Capital v Republique Argentine* No.09-72.057 from September 2011, Civ. 1^{re}, 28 September 2011, n°09-72057.
138. *NML Capital v Republique Argentine* Civ 1^{re}, 28 March 2013, n°11-13323.
139. *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia* საქმეზე ECtHR-ის გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება <<http://doc.ksrf.ru/decision/KSRFDecision258613.pdf>>.
140. *Office des Cereales de Tunisie v Societe Bec Freres*, Civ 1 January 4, 1995, Cass. 1e civ., November; Cass. 1e civ., Feb. 6, 2007, Bull. civ. I (Fr.) 14, 2007, Bull. civ. I (Fr.).
141. *Ohntrup v Firearms Center Inc* (1981) 516 F Supp 1281 ED.
142. *Oliver American Trading Co v Mexico* 5F 2d 659 (2d Cir 1924).
143. *Orion Shipping & Trading Co v Eastern States Petro Corp of Pan* (1960) 284 F2d 419, 421 2d Cir; სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი 373 US 949 (1963).
144. *Pan American Tankers Corp v Republic of Vietnam* 296 F Supp 361 (SDNY 1969).
145. *Pearl Petroleum Co Ltd v Kurdistan Regional Government of Iraq* [2015] EWHC 3361, Comm.
146. *Perkins v Benguest Consol Mining Co* 342 US 437 (1952).
147. *Petrol Shipping Corp v Kingdom of Greece* (1966) 360 F2d 103, 110 (2d Cir), სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი 385 US 931 (1966).
148. *Price v Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* 294 F3d 82 (DC Cir 2002).
149. *Process & Indus Dev (P&ID) v Fed Republic of Nigeria* 27 F4th 776 (DC Cir 2022).
150. *Randall R Melton v OY Nautor Ab* No-97 15396 (US Court of Appeals 9th Cir 1998) [4-5] Yearbook of Commercial Arbitration XXIVa (1999), 871.
151. *Reading and Bates Corp v NIOC* 478 F Supp 724 (SDNY 1979).
152. *Reid v Republic of Nauru* [1993] 1 VR 251.
153. *Republic of 'A' Embassy Account case* (1986) 77 ILR 489.
154. *Republique Arabe d'Egypte v Cinetel ASDI* 1981, 206; 65 ILR 425.
155. *Republic of Argentina v Weltover Inc* (1992) 504 US 607.
156. *Rich v Naviera Vacuba* 32 ILR 127.

157. *Rubin v Islamic Republic of Iran* 349 F Supp 2nd 1108 (ND Ill 2004).
158. *Rubin v Islamic Republic of Iran* No 03 C 9370, 2008 WL 192321 (ND Ill 2008).
159. *Rubin v Islamic Republic of Iran* 2 637 F 3d 783 (7th Cir 2011).
160. *Rux v Republic of Sudan* No Civ A 428, 2005 WL 2086202 (ED Va 2005) *qft'd*, 461 F 3d 461 (4th Cir 2006).
161. *Sabah v Pakistan* [2003] Lloyd's Rep. 571.
162. *Saudi Basic Indus Corp v ExxonMobil Corp* 194 F Supp 2d 378/ (DNJ 2002).
163. *Schaffer v Heitner* 433 US 186 (1977).
164. *Schooner Exchange v McFaddon* 11 US (1812).
165. *Seetransport Wiking Trader Schiffartgesellschaft MBH & Co v Navimpex Centrala Navala* 989 F 2 d 572 (2nd Cir 1993).
166. *Sedelmayer v Russian Federation* (Oberlandesgericht, Cologne, 2003) ამონარიდები თარგმნილია ინგლისურად (2005) XXX YCA 541, 544.
167. *Sedelmayer v Russian Federation* BGH, 04.10.2004, ამონარიდები თარგმნილია ინგლისურად (2005) 31 YCA 707, 709.
168. *Sedelmayer v Russian Federation*, German Federal Supreme Court, Order VII ZB 9/05, 4 October 2005, NJW-RR 2006, 198.
169. *Sedelmayer v Russian Federation* BVerfG 06.12.2006, NJW 2007, 2605.
170. *Sedelmayer v Russian Federation*, Decision of Oberlandegericht Köln 18 March 2008, 22 U 98/07 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0764.pdf>>.
171. *Sedelmayer v Russian Federation* BGH 01.10.2009, NJW 2010, 769.
172. *Sedelmayer v Russian Federation*, Swedish Supreme Court - SSC, (2011), <https://jusmundi.com/en/document/decision/en-mr-franz-sedelmayer-v-the-russian-federation-decision-of-the-swedish-supreme-court-friday-1st-july-2011#decision_1343>.
173. *Sedelmayer v Russian Federation* BGH 30.01.2013, SchiedsVZ 2013, 110 (112).
174. *Segni v Commercial* US 835 F2d 160 (7th Cir 1987); 97 ILR 55.
175. *Sempra Energy Int'l v Argentine Republic* No. M-82, Dkt. 26, Ex. 3 (SDNY 2007) (order recognizing ICSID award and entering as a judgment).

176. *SerVaas Inc v Rafidain Bank & Ors* [2012] UKSC 40.
177. *Siag v Arab Republic of Egypt No. M-82* (SDNY 2009).
178. *Smith Stone & Knight Ltd v Birmingham Corp* [1939] 4 All ER 116 (KB).
179. *SM Wolff Co v Tulkoff*(1961) 9 NY 2d 356, 174 N.E.2d 478.
180. *SOABI v Senegal*, Cour d'appel, Paris, 05/12/1989, 2 ICSID Reports, 1994, 337; (1990) 117 Journal du Droit International 141, იხილეთ: (1990) 5 ICSID Review - Foreign International Law Journal 135.
181. *SOABI v Senegal*, Cour d'appel, Paris, 05/12/1989, 2 ICSID Reports, 1994.
182. *SOABI v Senegal*, Decision of Cour de Cassation, Paris, 11 June 1991, 2 ICSID Reports, 1994.
183. *Societe v Gouvernement Turk France* (1965) 47 ILR 155.
184. *Societe Ouest-Africaine de Betons Industriels (SOABI) v Senegal* 1992, JDI 1005.
185. *Sonera Holding BV v Cukurova Holding AS* 750 F 3d 221 (2014).
186. *Societe Nationale des Petroles du Congo v Walker International Holdings ltd and Republique du Congo* No 2002/03185, IAI Series on International Arbitration No 4 (Juris Publishing 2008) 190.
187. *South Carolina v. Katzenbach* 383 US 301 (1966).
188. *Spanish v Societe France* (1973) 65 ILR 61.
189. *S&R Davis International v The Republic of Yemen* 218 F 3d, 1292 at 1301-1302 (II Cir. 2000).
190. *S & S Machinery Co v Masinexportimport* 706 F 2d 411 (2nd Cir 1983).
191. *S & S Mach Co v Masinexportimport* 802 F Supp 1109 (SDNY 1992).
192. *State Marine Corpn and Currence v USA*, Spain Provincial Ct of Cadiz (1999) 128 ILR 701.
193. *Strata Heights International Corporation v Petroleo Brasileiro SA* No 02-20645, 02-20767, 2003 WL 21145663 (5th Cir 2003).
194. *Svenska v Lithuania* [2005] EWHC 2437.
195. *Svenska Petroleum Exploration AB v Lithuania and Another* [2006] EWCA Civ 1529; [2007] WLR 876,

196. *System Inc v Islamic Republic of Iran* 491 F Supp 1294 (DC 1980) 1300.
197. *Termorio SAESP v Elcetrificadora del Atlantico* 421 F Supp 2d 87 (DDC 2006).
198. *Texas Trading & Milling Corp v Fed Republic of Nigeria* 647 F 2d 300, 313 (2nd Cir 1981),
სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარი 454 U.S. 1148 (1982).
199. *TMR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F 3d 296 (DC Cir 2005).
200. *Thai Lao Lignite (Thailand) Co v Government of the Lao People's Democratic Republic* No
10 Civ 5256 (KMU), 2011 WL 4111504, 4–5 (SDNY 2011).
201. *The Parlement Belge case* (1879-90) 5 Prob Div 197 (CA).
202. *The Philippine Admiral case* [1977] AC 373.
203. *The Philippine Embassy case* 46 BverfGE 342; 65 ILR 146; [1997] UN Legal Materials, 297.
204. *The Russian Federation v Veteran Petroleum Limited (VPL), The Russian Federation v
Yukos Universal Limited (YUL), The Russian Federation v Hulley Enterprises Limited (Hulley)*,
The Hague District Court, Case Number: C/09/477160 / HA ZA 15-1, C/09/477162 / HA ZA 15-2
and C/09/481619 / HA ZA 15-112, 20 April 2016
<<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7258.pdf>>.
205. *TMR Energy Ltd v State Property Fund of Ukraine* 411 F3d 296 (DC Cir 2005).
206. *Trans Commodities Inc v Kaz Trading House SA*, No 96 Civ 9782 (BSJ) 1997 US Dist, 5–6
(SDNY 1997).
207. *Trendex Trading Corporation v Central Bank of Nigeria* [1977] 1 QB 529, [1977] 1 All ER
88, 64 ILR 111 (CA).
208. *TRW Inc v Andrews* 534 US 19 (2001).
209. *Tsavliris Salvage (International) Limited v The Grain Board of Iraq (GBI)* [2008] EWHC 612
(Comm).
210. *Yukos Universal Ltd v The Russian Federation* ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს
2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებები
<<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9630.pdf>>
<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9631_0.pdf>.
211. *United Arab Republic v Mrs X* ATF 86 [1960] I 23, ILR 385.

212. *United World Trade Inc v Mangyshlakneft Oil Prod* 33 F3d 1232 (10th Cir 1994).
213. *United States of America v The Public Service Alliance of Canada and Others* [1992] 91 DLR (4th) 463; 94 ILR 278.
214. *US Fid & Guar Co v Braspetro Oil Servs Co* 199 F 3d 94 (2nd Cir 1999).
215. *USSR v Association France Export* Cass Req, 19 February 1928, D 1929, I, 73.
216. *Velidor v L/P/G Benghazi* 653 F 2d 812, 817 (3rd Cir 1981).
217. *Verlinden BV v CentralBank of Nigeria* (1980) 488 F Supp 1284 SDNY, *aff'd* on other grounds, 647 F2d 320 (2nd Cir 1981), *reviewed*, 103 S Ct 1962 (1983).
218. *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague District Court, April 2016 (ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7258.pdf>>.
219. *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, The Hague Court of Appeal, Case N: 200.197 079/01, 18 February 2018 (არაოფიციალური თარგმანი ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11337.pdf>>.
220. *Veteran Petroleum Limited, Yukos Universal Limited, Hulley Enterprises Limited (HVY) v The Russian Federation*, Court of Appeal in Hague, Case N: 200.197 079/01, 25 September 2018 (თარგმანი ინგლისურად) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw10081.pdf>>.
221. *Victory Transport Inc v Comisaria General de Abastecimientos y transporte* 232 F Supp 294 (SDNY 1963) 35 ILR 110.
222. *VoestAlpine Trading USA Corp v Bank of China* 142 F3d 887 (5th Cir 1998); *Walters v People's Republic of China* 672 F Supp 2nd 573 (SDNY 2009).
223. *Westfield v Fed Republic of Germany* 633 F3d 409 (6th Cir 2011).
224. *World Wide Minerals Ltd v Republic of Kazakhstan* 296 F3d 1154 (DC Cir 2002).
225. *Yukos Universal Limited v The Russian Federation*, Cour D'appel Bruxells, Order of February 20, 2018, 2016/AR/2095 joint avec 2017/AR/242, 7 <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9630.pdf>>.

ბ) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

Jurisdictional Immunities of the State (Germany v Italy: Greece intervening), [2012] ICJ 99, 123
<<https://www.icj-cij.org/en/case/143>>.

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia, Application No 14902/04 (ECtHR, 31 July 2014)

დ) საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები

1. *AIG v Kazakhstan*, Award, ICSID Case No. ARB/01/6, Award, 7 October 2003.
2. *Ares Internationales Srl and MetalGeo Srl v Georgia*, ICSID case No. ARB/05/23, Award, 28 February 2008).
3. *Azurix v Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/12, Annulment Proceeding, Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules) 28 December 2007.
4. *Benvenuti & Bonfant v Congo*, ICSID Case No. ARB/77/2, Decisions of Tribunal de Grande Instance, Paris of 23/12/1980, 13/01/1981, 1 ICSID Reports (1993).
5. *Bob Meijer v Georgia*, ICSID Case No. ARB/20/28.
6. *Compania de Aguas del Aconquija and Vivendi Universal SA v Argentine Republic*, ICISD Case No. ARB 97/3 (Second Annulment Proceeding), Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award Rendered on the 20 August 2007 (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 4 November 2008.

7. *CMS Gas Transmission Company v Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/8 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award, 1 September 2006.
8. *Emilio Agustin Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID No. Apr/97/, Decision on Jurisdiction of 25 January 2000 and award of the Tribunal of 13 November 2000.
9. *Enron Corporation and Ponderosa Assets LP v Argentina*, ICSID Case No. ARB/01/3 (Annulment Proceeding) Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award (Rule 54 of the ICSID Arbitration Rules), 7 October 2008.
10. *Gardabani Holdings BV, Inter RAO UES PJSC, Telasi JSC v Government of Georgia, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, State Service Bureau Ltd*, ICSID Case No ADM/18/1 and SCC Case No V2018/039.
11. *Gardabani Holdings BV and Silk Road Holdings BV v Georgia*, ICSID Case No ARB/17/29.
12. *Generation Ukraine v Ukraine*, ICSID Case No. ARB/00/9, Award, 16 September 2003.
13. *Genin v Estonia*, ICSID Case No. ARB/99/2, Award, 25 June 2001.
14. *Helnan v Egypt*, ICSID Case No. ARB/05/19, Decision on Jurisdiction, 17 October 2006.
15. *Impregilo v Pakistan*, ICSID Case No. ARB/03/3, Decision on Jurisdiction, 22 April 2005.
16. *Ioannis Kardassopoulos and Ron Fuchs v Georgia*, ICSID Case No ARB/05/18 and No. ARB/07/15, Decision of the ad hoc Committee on the Stay of Enforcement of the Award of 12 November 2010.
17. *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia*, ICSID Case No ARB/08/7.
18. *Itera International Energy LLC and Itera Group NV v Georgia*, ICSID Case No ARB/09/22.
19. *Jan de Nul v Egypt*, ICSID Case No. ARB/04/13, Decision on Jurisdiction, 16 June 2006.
20. *Kardassopoulos v Georgia*, ICSID Case No. ARB/05/18, Decision on Jurisdiction, 6 July 2007.
21. *Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v Georgia*, ICSID Case No ARB/08/19.
22. *MINE v Guinea*, ICSID Case No ARB/84/4, Interim Order No 1, 12 August 1988.
23. *Mitchell v DR Congo*, ICSID Case No ARB/99/7, Decision on the Stay of Enforcement of the Award of 30 November 2004, (2005) 20 ICSID Review – Foreign Investment Law Journal.

24. *Mitchell v DR Congo*, ICSID Case N°ARB/99/7, Interim Order No. 1, 12 August 1988.
25. *MTD Equity Sdn Bhd & MTD Chile SA v Republic of Chile*, ICSID Case N°ARB/01/7, Decision on the Respondent's Request for a Continued Stay of Execution of 1 June 2005.
26. *Nasib Hasanov v Georgia*, ICSID Case No. ARB/20/44.
27. *Ron Fuchs v Georgia*, ICSID Case N°ARB/07/15.
28. *Saipem v Bangladesh*, ICSID Case No. ARB/05/7, Decision on Jurisdiction, 21 March 2007.
29. *Salini v Morocco*, ICSID Case No. ARB/00/4, Decision on Jurisdiction, 23 July 2001.
30. *Salini v Jordan*, ICSID Case No. ARB/02/13, Decision on Jurisdiction, 29 November 2004.
31. *Sempra Energy International v Argentine Republic*, ICSID Case N°ARB/02/16, Decision on the Argentine Republic's Request for a Continued Stay of Enforcement of the Award of 5 March 2009.
32. *Siemens AG v Argentina*, ICSID Case No. ARB/02/8, Argentina's Response to the Submission by the United States of America to the *ad hoc* Annulment Committee, 2 June 2008.
33. *SOABI v Senegal*, ICSID Case N°ARB/82/1.
34. *Tanzania Electric v IPTL*, CSID Case No. ARB/98/8, Award, 12 July 2001.
35. *Telcell Wireless, LLC and International Telcell Cellular, LLC v Georgia*, ICSID Case No. ARB/20/5.
36. *Vivendi v Argentina*, ICSID Case No. ARB/97/3, Decision on Annulment, 3 July 2002.
37. *Wena Hotels Limited v Arab Republic of Egypt*, ICSID Case No. ARB/98/4, Award, 17 February 2000.
38. *Wena Hotels Limited v. Arab Republic of Egypt*, ICSID Case No. ARB/98/4, Decision on application for annulment, 3 February 2002.
39. *Zhinvali Development Ltd v Republic of Georgia*, ICSID Case N°ARB/00/1.
40. *Yukos Universal Limited (YUL) v The Russian Federation* PCA Case No. AA 227, 30 November 2009 <<https://pcacases.com/web/sendAttach/421>>.
41. *Hulley Enterprises Limited (Hulley) v the Russian Federation, Yukos Universal Limited (YUL) v the Russian Federation, Veteran Petroleum Limited (VPL) v the Russian Federation*, (Final Awards) (2014) PCA AA 226, AA227 <<https://pcacases.com/web/sendAttach/418>>.

ნორმატიული აქტები

ა) მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ETS No. 005 (მიღების თარიღი: 04/11/1950, ძალაში შესვლის თარიღი: 03/09/1953).
2. გაერთიანებული ერების კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ - United Nations Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards (მიღების თარიღი: 10.06.1958, ძალაში შესვლის თარიღი: 07.06.1959) 330 UNTS 38.
3. გაერთიანებული ერების კონვენცია სახელმწიფოების და მათი ქონების იურისდიქციული იმუნიტეტების შესახებ - United Nations Convention on Jurisdictional Immunities and Their Property (მიღების თარიღი: 02.10.2004, ძალაში არ არის ჯერ შესული) UN General Assembly, A/59/508.
4. დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია (მიღების თარიღი: 18.04.1961; ძალაში შესვლის თარიღი: 24.04.1961).
5. ენერგეტიკული ქარტიისადმი ხელშეკრულება - Energy Charter Treaty (მიღების თარიღი 17.12.1994; ძალაში შესვლის თარიღი: 16.04.1998).
6. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (მიღების თარიღი: 23/05/1969; ძალაში შესვლის თარიღი: 29.01.1980).
7. ინტერ-ამერიკული კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (მიღების თარიღი: 20.01.1975; ძალაში შესვლის თარიღი: 16.06.1976) OAS Treaty Series N 42.
8. საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენცია - European Convention on International Arbitration 1961 (მიღების თარიღი: 21.05.1961; ძალაში შესვლის თარიღი: 07.01.1964) 484 UNTS 364.
9. სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ 1972 წლის ევროპული კონვენცია - European Convention on State Immunity of 1972 (მიღების თარიღი: 16.05.1072; ძალაში შესვლის თარიღი: 11.06.1976) ETS 74, 11 ILM 470 (972).

10. საკონსულო ურთიერთობის შესახებ 1963 წლის ვენის კონვენცია (მიღების თარიღი: 22.04.1963; ძალაში შესვლის თარიღი: 24.04.1963).
11. Convention between the Kingdom of the Netherlands and the Kingdom of Belgium concerning Territorial Jurisdiction, Bankruptcy and the Authority and Execution of Judgements, Arbitral Awards, and Notarial Acts (მიღების თარიღი: 28.03.1925, ძალაში შესვლის თარიღი: 01.09.1929).
12. Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of other States (ICSID Convention) (მიღების თარიღი: 18.03.1965, ძალაში შესვლის თარიღი: 14.10.1966; ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი: 10.04.2006) 575 UNTS 159.
13. Geneva Convention 1927 – Convention on the Execution of Foreign Arbitral Awards (მიღების თარიღი: 26.09.1927; ძალაში შესვლის თარიღი: 25.07.1929) 92 UNTS 301.
14. International Convention for the Unification of Certain Rules concerning the Immunity of State-owned Vessels of 1926 and Additional Protocol of 1934 (Brussels Convention and its Protocol) (მიღების თარიღი: 10.05.1926, ძალაში შესვლის თარიღი: 08.01.1937).

ბ) ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები

1. გერმანია-ტაილანდის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, (ძალაში შესვლის თარიღი: 20.10.2004) BGBI 2004 II, 48. <<https://investmentpolicyhub.unctad.org/IIA/mostRecent/treaty/1766>>.
2. „შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 24.11.2009; ძალაში შესვლის თარიღი: 04.12.2009) <<https://www.matsne.gov.ge/document/view/3539498?publication=0>>.
3. „შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“, (მიღების

თარიღი: 23.06.1993; ძალაში შესვლის თარიღი: 03.07.1999)

<<https://www.matsne.gov.ge/document/view/1215009?publication=0>>.

4. „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 24.11.2006, ძალაში შესვლის თარიღი: 30.12.2007)

<<https://www.matsne.gov.ge/document/view/1204356?publication=0>>.

5. „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“, (მიღების თარიღი: 30.10.2008; ძალაში შესვლის თარიღი: 01.04.2001)

<<https://www.matsne.gov.ge/document/view/1202204?publication=0>>.

გ) ადგილობრივი კანონმდებლობა

1. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, დეკრეტი No 2011-48 (2011), წიგნი IV, თავი II <http://www.iaiparis.com/pdf/FRENCH_LAW_ON_ARBITRATION.pdf>.

2. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, სსმ, №13, 02/07/2009 <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8>>.

3. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №17-18, 05/05/1997, ძალადაკარგულია, 19/06/2009 <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29830?publication=1>>.

4. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, №19-20, 29/04/1998 <<https://www.matsne.gov.ge/document/view/93712?publication=4>>.

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, №31, 24/07/1994 <<https://www.matsne.gov.ge/document/view/31702?publication=121>>.

6. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, №13(20), 01/05/1999 <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=107>>.

7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, სსმ, №48, 09/08/2010
<<https://www.matsne.gov.ge/document/view/112588?publication=51>>.
8. Federal Act of 1889 on Debt Enforcement and Bankruptcy, WIPO Lex NoCH 507
<<https://wipolex.wipo.int/en/legislation/details/19962>>.
9. Federal Act on Private International Law of 1987, WIPO Lex NoCH 487
<<https://wipolex.wipo.int/en/legislation/details/19163>>.
10. French Monetary and Finance Code, No. 2005-842 of 26 July 2005 Art. 51 Official Journal of
27 July 2005, L 153-1.
11. Spanish Arbitration Act of 2003 (*Ley 60/2003 de 23 de diciembre, de Arbitraje*)
(ინგლისურად)
<https://arbitrationlaw.com/sites/default/files/free_pdfs/Spain%20Arbitration%20Act.pdf>.
12. The Australian Foreign States Immunity Act of 1985, 25 ILM 722 (1986).
12. The Convention on the Settlement of Investment Disputes Act of 1966, 22USC – Settlement
of Investment Disputes
<<http://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title22/chapter21A&edition=prelim>>.
14. The Federal Arbitration Act 1925 as amended 1990 (US), 84 Statute 692, 9 US Code Title
§202.
15. The Foreign Sovereign Immunities Act 1976 (as amended 1988) (US), 15 ILM 1388 (1976).
16. The Law on Transparency, Anti-corruption Measures and the Modernisation of the
Economy of France, No. 2016-1691 (მიღების თარიღი: 09.12.2016; ძალაში შესვლის
თარიღი: 01.06.2017).
17. The State Immunity Act 1978 (UK), 17 ILM 1123 (1978).
18. UK Arbitration Act of 1996 [1996] c 23.
19. Федеральный закон о юрисдикционных иммунитетах иностранного государства и
имущества иностранного государства в Российской Федерации (2015) N 297-ФЗ, (მიღების
თარიღი: 23.10.2015 ძალაში შესვლის თარიღი: 01.01.2016).
<<http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&nd=102381335&%D0%98%D0%9D%D0%A2%D0%95%D0%9B%D0%A1%D0%95%D0%90%D0%A0%D0%A6%D0%A5>>.

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები

1. Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as amended in 2006, <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf>.
2. ILC Draft Articles on Jurisdictional Immunities of States and their Property (1991) 2 ILC Yrbk <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/4_1_1991.pdf>.
3. International Chamber of Commerce's ('ICC') Rules of Conciliation and Arbitration of 2021 <<https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/#:~:text=They%20define%20and%20regulate%20the,resolution%20of%20cross%2Dborder%20disputes>>.
4. International Law Commission Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts of 2001, General Assembly resolution 56/83 of 12 December 2001, A/56/49(Vol. I)/Corr.4 <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/draft_articles/9_6_2001.pdf>.
5. Materials on Jurisdictional Immunities of States and their Property, UN Legislative Series, UN Doc. ST/LEG/SER.B/20 <<http://legal.un.org/legislativeseries/documents/Book25/Book25.pdf>>.
6. Report of ILC Jurisdictional Immunities of States and their Property (ILC Report) (1999) A/554/10 (1999) 2 (2) ILC Yrbk 8.
7. 4th Report on Jurisdictional Immunities of States and their Property (1982) prepared for the International Law Commission (ILC) 1982 by its Special Rapporteur (Sucharitku) (1982) YB ILC II-1199 <http://legal.un.org/ilc/guide/4_1.shtml>.
8. 59th Session GA, Sixth Legal Committee: Summary of work (4 March 2005) 7 <<https://www.un.org/law/cod/sixth/59/docs.htm>>.
9. UN Doc A/RES/59/38 <http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/4_1_2004_resolution.pdf>.
10. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985, with amendments as adopted in 2006, UN Doc A/40/17, annex I და A/61/17 annex I

<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf>.

ინტერნეტ-წყაროები

1. Antonio P Parra, The Enforcement of ICSID Arbitral Awards, 24th Colloquium on International Arbitration, Paris, November 2007, <https://www.arbitration-icca.org/media/4/39889320043113/media012144885278400enforcement_of_icsid_awards.pdf>.
2. Constitutional Court Rules on State Immunity from Execution’ (3 May 2017) <<https://www.vbb.com/insights/corporate-commercial/corporate-commercial/constitutional-court-rules-on-state-immunity-from-execution>>.
3. Decision of the Belgian Constitutional Court on the Ability of Creditors to Seize the Assets of the Foreign State’ (თარგმანი გერმანულად) (27 April 2017) <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8802.pdf>> ფრანგული ორიგინალი ტექსტი იხ. <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8801.pdf>>.
4. De Korte J and Wilts G, ‘Court allows Russia's unclean hands argument against former Yukos shareholders (Court of Appeal in The Hague)’ 3 October 2018 <https://www.vosdk.nl/assets/files/assets/uploads/Court_allows_Russias_unclean_hands_argument_against_former_Yukos_shareholders_1.pdf>.
5. Dupoirier C, Laurence Franc-Menget and Andrew Cannon, ‘A Law on Immunity from Enforcement in France’ (*Public International Law Notes*, 1 December 2016) <<https://hsfnotes.com/publicinternationallaw/2016/12/01/a-law-on-immunity-from-enforcement-in-france>>.
6. Former Yukos majority shareholders focus on The Hague to secure justice after illegal expropriation by Russian Federation’ statement of 10 October 2017 by GML (the holding

- company of the former majority shareholders) <<http://www.gmlimited.com/content/media/pressrelease/item-59dc9ece695fa/file/file.pdf>>.
7. Franc-Menget L and Archer P, 'French Supreme Court Decision in Commisimpex Dispute Heralds Significant Change in Approach to Sovereign Immunity' (*Public International Law Notes*, 4 June 2015) <<https://hsfnotes.com/publicinternationallaw/2015/06/04/french-supreme-court-decision-in-commisimpex-dispute-heralds-significant-change-in-approach-to-sovereign-immunity/>>.
8. Giroud S, 'Enforcement against State Assets and Execution of ICSID Awards in Switzerland: How Swiss Courts Deal with Immunity Defences' *ASA Bulletin* 4/2012, 764 <[https://www.lalive.law/data/publications/2012-SGI-ASA-Enforcement against State Assets and Execution of ICSID Awards in Switzerland.pdf](https://www.lalive.law/data/publications/2012-SGI-ASA-Enforcement%20against%20State%20Assets%20and%20Execution%20of%20ICSID%20Awards%20in%20Switzerland.pdf)>.
9. Grégoire M, 'The Yukos Saga Continues: The Bold Decision of the Dutch Court to Set Aside the US\$50 Billion Yukos Award' (Henderson Chambers, 21 April 2016) 5-7 <<https://3yf6pp3bqg8c3rycgf1gbn9w-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/2017/11/Aletter-from-Matthieu-Gregoire-Yukos-Saga-Continues-April-21-2016.pdf>>.
10. Jones T, 'French Court Lifts Yukos Freezing Order' (*Global Arbitration Review*, 10 February 2017) <<https://globalarbitrationreview.com/article/french-court-lifts-yukos-freezing-order>>.
11. Marine de Bailleul, 'The Three hottest Energy Arbitrations of 2017' (*Kluwer Arbitration Blog*, 4 January 2017) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com.ezproxy.library.qmul.ac.uk/2018/01/04/three-hottest-energy-arbitrations-2017/>>.
12. Mayer Brown White Paper, 'Sovereign Immunity and Enforcement of Arbitral Awards: Navigating through Boundaries' 2/2012 <<https://www.mayerbrown.com/files/Publication/2e0f7077-9b25-430e-8b70-6a8f8c1a9d76/Presentation/PublicationAttachment/1be4c54c-bfc2-4d78-9403-85e37c560f43/12270.PDF>>.

13. McNamara T, 'A Primer of Foreign Sovereign Immunity' (Winter Seminar on International Civil Litigation and the United States of America, February-March/2006) 10 <<https://www.dgslaw.com/images/materials/McNamara1.pdf>>.
14. Noyan O, 'Germany Open to Russian Central Bank Asset Seizure to Finance Ukraine's Recovery' Euractiv (17 May 2022) <<https://www.euractiv.com/section/eastern-europe/news/germany-open-to-russian-central-bank-asset-seizure-to-finance-ukraines-recovery/>>.
15. Ordonez M, 'Late Twist to the Commisimpex Saga as French Supreme Court Reverses its Position on State Immunity From Execution' (*Thomson Reuters, Practical Law Arbitration Blog*, 12 March 2018) <<http://arbitrationblog.practicallaw.com/late-twist-to-the-commisimpex-saga-as-french-supreme-court-reverses-its-position-on-state-immunity-from-execution/>>.
16. Philippov I, 'Russian Constitutional Court denies Enforcement of ECHR Decision on Yukos' (CIS Arbitration Forum, 25 January 2017) <<http://www.cisarbitration.com/2017/01/25/russian-constitutional-court-denies-enforcement-of-echr-decision-on-yukos/>>.
17. Peterson LE, 'How Many States are not Paying Awards under Investment Treaties?' (Investment Arbitration Reporter, 7 May 2010) <<https://www.iareporter.com/articles/how-many-states-are-not-paying-awards-under-investment-treaties/>>.
18. Poisson E, 'Creditors Likely to Find it More Difficult to Enforce Against State Assets in France' (*Allen & Overy Publications*, 18 July 2016) <<http://www.allenoverly.com/publications/en-gb/Pages/Creditors-likely-to-find-it-more-difficult-to-enforce-against-foreign-state-assets-in-France.aspx>>.
19. Press Release from Russian Federation's International Center for Legal Protection of 20 March 2018 <<https://www.yukoscase.com/wp-content/uploads/2018/03/20180320-Brussels-Court-of-Appeal-puts-an-end-to-YUL%E2%80%99s-attempts-to-enforce-the-YUL-Awards-in-Belgium.pdf>>.
20. Rappeport A and Sanger DE, 'Seizing Russian Assets to Help Ukraine Sets off White House Debate' *The New York Times* (31 May 2022) <<https://www.nytimes.com/2022/05/31/us/politics/russia-sanctions-central-bank-assets.html>>.

21. Roudik P, 'Laws Lifting Sovereign Immunity: Russia' (June, 2016) <https://www.loc.gov/law/help/sovereign-immunity/russia.php#_ftn21>.
22. Saleh S and Dehaut-Delville Y, 'Protection of States' Diplomatic Assets in France' (*Kluwer Arbitration Blog*, 21 February 2018) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2018/02/21/protection-states-diplomatic-assets-france/>>.
23. Scherer M, 'Swiss Federal Supreme Court Provides Guidance on Rules of State Immunity Applicable to Enforcement of ICSID Awards' (*Kluwer Arbitration Blog*, 13 December 2011) <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2011/12/13/swiss-federal-supreme-court-provides-guidance-on-rules-of-state-immunity-applicable-to-enforcement-of-icsid-awards/>>.
24. Seventh Declaration of Professor Albert Jan Van den Berg of December 10, 2021 <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw16582_1.pdf>.
25. Sheila AS Gunther SAS and Gunther SP, 'The Russian Spin on the Yukos Decision' <[http://www.samuelgunther.com/images/1Dispute Resolution Journal Vol 70 No 1.pdf](http://www.samuelgunther.com/images/1Dispute%20Resolution%20Journal%20Vol%2070%20No%201.pdf)>.
26. Sovereign Immunity-France, GettingTheDealThrough (2018) <<https://gettingthedealthrough.com/area/113/jurisdiction/28/sovereign-immunity-2018-france/>>.
27. Spain's New Arbitration Act, Cairns DJA and Lopez Ortiz A (მთარგმნელები) <https://arbitrationlaw.com/sites/default/files/free_pdfs/Spain%20Arbitration%20Act.pdf>.
28. Stutzer H, Bösch M and Hohler SM, 'Arbitration Newsletter Switzerland: Precedence of Foreign State Immunity over the New York Convention?' (*ThouveninRechtsanwalte* 11 October, 2018) <<https://thouvenin.com/en/publication/arbitration-newsletter-switzerland-precedence-of-foreign-state-immunity-over-the-new-york-convention/>>.
29. Thomson D, 'French Court Unfreezes Russian Assets in Yukos Battle' (*Global Arbitration Review*, 23 November 2016) <<https://globalarbitrationreview.com/article/french-court-unfreezes-russian-assets-in-yukos-battle>>.
30. <<https://www.yukoscase.com/court-actions/attempted-asset-seizures/france/>>.
31. <<https://www.yukoscase.com/court-actions/attempted-asset-seizures/belgium/>>.

სხვადასხვა

1. კაპანაძე ნ და კვაჭაძე მ, *ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი* (ჭანტურია ლ, ტაბიძე მ. (რედ), სეზანი 2008) 60.
2. „ICCA სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობა მოსამართლეებისთვის” (რუსუდან ქუყასელი და სხვები (მთარგნელები), სოფიო ტყემალაძე (რედ), კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, (2013) <https://cdn.arbitration-icca.org/s3fs-public/document/media_document/georgian_translation_judges_guide_website_with_cover_20june.pdf>.
3. 132 Cong Rec S 14795 (1986).
4. Contracting States and Measures taken by them for the Purpose of the Convention’ ICSID/8 (February 2019) <<https://icsid.worldbank.org/en/Documents/icsiddocs/ICSID%208-Contracting%20States%20and%20Measures%20Taken%20by%20Them%20for%20the%20Purpose%20of%20the%20Convention.pdf>>.
5. House Report. Rep. No 1487, 941 Cong., 2nd Sesion 12, ხელახლა დაბეჭდილი 1976 US Code Congo & Admin. News 6615-16.
6. Legislative History of the Foreign Sovereign Immunities Act 1976, House Report No 94-1487, 94th Cong, 2nd Sess 12, reproduced in (1976) 15 ILM 1398.
7. Stewart DP, ‘The Foreign Sovereign Immunities Act: A Guide for Judges’ (Federal Judicial Center 2013) <[http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/\\$file/fsiaguide2013.pdf](http://www.fjc.gov/public/pdf.nsf/lookup/fsiaguide2013.pdf/$file/fsiaguide2013.pdf)>.
8. Tate Letter – 1952 წლის 19 მაისის ჯეკ ბ ტეიტის წერილი (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში) ფილიპ პერლმანთან (გენერალური პროკურორი) ხელახლა დაბეჭდილი 26 DEP'T ST BULL 984 (1952).
9. The History of the ICSID Convention, Documents Concerning the Origin and the Formulation of the Convention, Vol. 2, Part 2, 1968, 889,

<<https://icsid.worldbank.org/en/Documents/resources/History%20of%20ICSID%20Convention%20-%20VOLUME%20II-2.pdf>>.